

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტის

გიორგი მურვანიძის

სადისერტაციო ნაშრომი

**“კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი”**

სელმელვანელი – პროფ. ლ. ალექსიძე

## შინაარსი

|  |     |
|--|-----|
| წინასიტყვაობა.....   | 4   |
| შესავალი .....   | 5   |
| კარი I. ისტორიული წინაპირობები. სახელშეკრულებო პრაქტიკის<br>ანალიზი.....   | 10  |
| თავი 1. გასაბჭოებამდელი პერიოდი .....  | 10  |
| თავი 2. სახელმწიფო პრაქტიკის ანალიზი 1991 წლამდე, საბჭოთა<br>პერიოდში. ისტორიული, სამართლებრივი და გეოპოლიტიკური<br>ასპექტები..... | 15  |
| (a) 1921 რუსეთ-საბარეთის ხელშეკრულება .....  | 15  |
| (b) საბჭოთა კავშირ-ირანის სხვა ხელშეკრულებები. ზოგადი<br>დასკვნები.....  | 20  |
| კარი II. კასპიისპირა სახელმწიფოთა პოზიცია კასპიის ზღვის<br>სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის საკითხებე.....                       | 25  |
| თავი 1. სახელმწიფოთა პრაქტიკა 1991 წლის შემდგომ.....   | 25  |
| (a) სახელმწიფოთა პოზიციები (და მათი ურთიერთშესაბამისობა) 1991<br>წლის შემდგომ.....   | 25  |
| (b) პოზიციების ერთობლივი გამოხატვება და პრაქტიკა .....   | 34  |
| კარი III. კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ პრობლემური საკითხების<br>გადაწყვეტის არსებული ვარიანტების შედარებითი ანალიზი .....        | 59  |
| თავი 1. არსებული სამეცნიერო პოზიციები.....   | 59  |
| თავი 2. მსოფლიო პრაქტიკა სტატუსის განსაზღვრის ირგვლივ ტბისა<br>და ზღვის ვარიანტების მიმართ .....                                   | 67  |
| თავი 3. საერთაშორისო სამართლებრივი დარეგულირება;.....  | 73  |
| ზოგადი შედარება: ტბისა და ზღვის სამართლებრივი სტატუსი.....   | 73  |
| თავი 4. საერთაშორისო საზღვაო სამართალი .....   | 77  |
| (a) საზღვაო დელიმიტაციის მეთოდებისა და პრინციპების<br>ჩამოყალიბების პროცესი.....   | 82  |
| (b) საზღვაო დელიმიტაციის წესების განვითარება 1958 წ.   |     |
| კონვენციებით .....   | 82  |
| (გ) საერთაშორისო პრეცედენტები სამართალი.....   | 93  |
| (გ) გაერთ-ს კონვენციის საზღვაო სამართლის შესახებ და საზღვაო<br>საზღვრების განსაზღვრა .....   | 98  |
| (დ) სანაპირო სახელმწიფოთა ხუკურებული უფლებები საზღვაო<br>სივრცეების მიმართ .....   | 101 |
| (ე) თანამშრომლობა სახელმწიფოთა შორის.....  | 102 |
| კარი IV. სამართლის ზოგადი პრინციპების გამოყენება კასპიის<br>სტატუსის პრობლემასთან მიმართებაში .....                                | 106 |
| თავი 1. ზოგადი თეორიული ასპექტები .....  | 106 |
| თავი 2. კასპიისპირა სახელმწიფოთა შორის ამჟამინდელი და<br>სამომავლო შესაძლო სამართლებრივი დავების მიმოხილვა .....                   | 109 |
| (ა) კასპიის ზღვის ფსკერის განაწილება: ანალიზი და პროგნოზი.....   | 112 |
| ორმხრივი ხელშეკრულებები .....  | 112 |

|  |     |
|--|-----|
| (ბ) შესაბამისობა საერთაშორისო სამართლოთან.....   | 113 |
| (გ) კასპიის ზღვის საზღვრების დადგენის პერსპექტივები და მისი<br>გეორგები .....  | 116 |
| (i) აზერბაიჯანი თურქეთის წინააღმდეგ .....  | 116 |
| (ii) ერთობლივი განვითარების პერსპექტივები გამოყენება .....   | 130 |
| (გ) შესაძლო დელიმიტიაციის შედეგები ირანისათვის.....  | 132 |
| კარი V. კომპლექსური მიღვომა კასპიის სტატუსის პრობლემასთან.   |     |
| გაყოფის შესაძლო ვარიანტები და პრინციპები.....  | 134 |
| თავი 1. სრული სუვერენიტეტი. ტერიტორიული წყლები .....   | 134 |
| თავი 2. ფსკერი და წიაღი. ნახშირწყალბადური რესურსები .....  | 135 |
| თავი 3. წყლის სიბრტყე.....   | 136 |
| (ა) ნაოსნობის თავისუფლება .....  | 137 |
| (ბ) ბიორგებურსები.....   | 137 |
| (გ) გარემოს დაცვა.....   | 139 |
| (გ) თანამშრომლობა კასპიისპირა ქვეყნებს შორის .....   | 140 |
| თავი 4. პოსტსაბჭოური სახელმწიფო პრაქტიკისა და ახალი<br>პოლიტიკურ-სამართლებრივი ინიციატივების ზოგადი ანალიზი და<br>პერსპექტივები. იურიდიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები .. | 141 |
| (ა) სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბების საკანონო ისტორიული<br>მოძენებები.....   | 142 |
| (ბ) სახელმწიფო პრაქტიკის სამართლებრივი შეფასებები .....  | 143 |
| (გ) საერთაშორისო პრაქტიკა და კასპიის ზღვის სამართლებრივი<br>სტატუსის ცალკეული ვარიანტები .....   | 146 |
| (გ) რესენტის ინიციატივები. უახლესი მიღვოძები და შედეგები .....   | 150 |
| (დ) კასპიის ზღვის სტატუსთან დაკავშირებული ახალი ვითარების<br>პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები .....  | 155 |
| (ე) პოსტსაბჭოური სახელმწიფო პრაქტიკის ზოგადი ანალიზი და<br>პერსპექტივები .....   | 158 |
| თავი 5. გაყოფის პრინციპები .....   | 161 |
| დასკვნები.....   | 163 |
| ბიბლიოგრაფია.....  | 169 |

## წინასიტყვაობა

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ავტორის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ბ-ნი რეჯისალდ დეკანოზოვის ნათელ ხსოვნას.

ნაშრომში გამოყენებულია მასალები, რომლებიც მოპოვებული იქნა აშშ სხვადასხვა ქალაქების, აგრეთვე ლონდონის, მოსკოვის, ტაშკენტისა და ბაქოს ბიბლიოთეკებში და საუნივერსიტეტო ცენტრებში. ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე წყაროები საერთაშორისო სამართლებრივი ბაზებიდან LexisNexis და Westlaw. ნაშრომის ცალკეულ მიმართულებებთან დაკავშირებით ავტორს აქვს მიღებული პირადი კონსულტაციები მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტებისაგან საერთაშორისო საზღვაო სამართლის დარგში, როგორებიც არიან პროფესორები ლოუ (პროფ. Vaughan Lowe, University of Cambridge), ჰანდლი (პროფ. Gunther Handl, Tulane University), ტეტლი (პროფ. William Tetley, McGill University), კოლოდკინი (პროფ. Anatoly Kolodkin, International Maritime Law Association president).

ნაშრომში განხილული პრობლემა ხასიათდება სხვადასხვა კომპლექსური ფაქტორების სიმრავლით, როგორებიცაა გამომრიცხავი სუვერენული ინტერესების გამოხატულება, პრობლემის მოუწესრიგებლობა ისტორიულად, რეგიონის მსოფლიო მნიშვნელობა მინერალური რესურსების გამო, პოლიტიკური დაძაბულობა და ა.შ.

ამრიგად, კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი თავისი უნიკალურებით წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე რთულ საკითხს. მისი გადაჭრა მოითხოვს არსებული სიტუაციის ყველა ასპექტის გაანალიზებას, და არასტანდარტულ მიდგომას.

აქედან გამომდინარე, ნაშრომში თავმოყრილია პრობლემისადმი არსებული მრავალი მიდგომა და მათი წინაპირობები, აგრეთვე შემოთავაზებულია საკითხის გადაჭრის შესაძლო გზები და ვარიანტები. აღსანიშნავია, რომ პრობლემის ირგვლივ მსჯელობა არსებულ ვიწრო აკადემიურ ჩარჩოებში უშედეგოდ მიმდინარეობს მრავალი წლის განმავლობაში. ამდენად, ნაშრომი კონცენტრირებულია ისეთ პრაქტიკულ ასპექტებზე, რამაც შესაძლოა დასახოს პრობლემის გადაჭრა მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე. პრობლემის გადაჭრის წარმოდგენილი ვარიანტები დეტალიზირებულია იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია კასპიისპირა ქვეყნებს შორის ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების, სხვა კომპლექსური ფაქტორებისა და პრობლემის დარეგულირების შესაძლო რეალური მექანიზმების გათვალისწინებით.

## შესავალი

სსრკ-ს დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის შემდეგ, ამ სახელმწიფოთა შორის წარმოიქმნა ყოფილი ქვეყნის მემკვიდრეობის გაყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. პრობლემამ მოიცვა საკითხების ფართო სპექტრი, სამართალმემკვიდრეობიდან დაწყებული, საკაგშირო საკუთრების გაყოფით დამთავრებული.

ამ საკითხების უმრავლესობის გადაწყვეტა, ასე თუ ისე, დაკავშირებულია შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთების არსებობასთან.

ნახ.1.



სივრცის, მისი ფსკერის და წიაღის სამართლებრივ სტატუსი, როგორც ამას დღევანდელი დღის რეალობა მოითხოვს.<sup>1</sup> არ გამოდგება აქ არც გეოგრაფიული განსაზღვრება - კასპიის ზღვა, - იმის მსგავსად, როგორც სამართლებრივი თვალსაზრისით არაფერს ნიშნავს ცნებანი “სპარსეთის ყურე” და “ინდოეთის ოკეანე”.

თანამედროვე ეტაპზე კასპიის ზღვის სანაპიროზე გასასვლელი გააჩნია ხუთ სუვერენულ სახელმწიფოს და რეალური სტატუსის განსაზღვრის პრობლემა ყველა ამ ქვეყნისათვის მისაღები პირობების საფუძველზე სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა.

საიდუმლოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ პრობლემის დერძი კასპიის რესურსებს ეფუძნება, ანუ კასპიის ზღვის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა ავტომატურად გადაანაწილებს მის რესურსებზე

სხვა დანარჩენთან ერთად, დღის წერიგში დადგა კასპიის ზღვის პრობლემაც. სსრკ-ს არსებობის პერიოდში კასპიის ზღვის სტატუსი დაწყვილებით განსაზღვრული არ იყო და რაიმე განსაბუთრებულ შეუთანხმებლობას ორ მაშინდელ კასპიისპირა სახელმწიფოს - საბჭოთა კავშირსა და ირანს - შორის ეს არ იწვევდა, რასაც, შესაძლოა, ხელს უწყობდა დიდი ქვეყნის ძლევამოსილება. კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ არსებული საბუთები არ მოიცავენ სრულად წყლის სტატუს, როგორც არ გამოდგება აქ არც განსაზღვრის პრობლემა ყველა ამ ქვეყნისათვის მისაღები პირობების საფუძველზე სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა.

<sup>1</sup> იხ. უფრო ვრცლად წინამდებარე ნაშრომის კარი I, თავი 2

საკუთრების უფლებას კასპიისპირა სახელმწიფოებს შორის, ერთი რომელიმე ცნობილი ვარიანტის მიხედვით.

კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ არსებული საკითხის გადახლართვა მის რესურსებზე საკუთრების გადანაწილებასა და კასპიისპირა სახელმწიფოების (და აგრეთვე სხვა ქვეყნების) პოლიტიკურ ინტერესებთან, მიზანშეწონილად ქმნის საკითხის კომპლექსურ დაყენებას, რაც ქვემოთ იქნება განხორციელებული.

სადღეისოდ კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრა სანაპირო სახელმწიფოთა მიერ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ საერთაშორისო პრობლემას.<sup>2</sup>

ეს პრობლემა, გართულდა რა კასპიის ზღვის სიღრმეში, უფრო სწორედ კი ზღვის<sup>3</sup> დაუყოფელ კონტინენტურ შელფზე<sup>4</sup> ნავთობისა და ბუნებრივი აირის დიდი მარაგის<sup>5</sup> აღმოჩენით, უფრო მეტად არის გაღრმავებული ადგილობრივი კონფლიქტებითა და საერთაშორისო ჩარევით.<sup>6</sup>

არსებული სამართლებრივი ბაზა, ე.ო. საბჭოთა-ირანული ხელშეკრულებები მხოლოდ ზედაპირულად ეხებოდა კასპიის ზღვის სტატუსის თემას საბჭოთა ეპოქაში, ხოლო 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კასპიის ზღვის ახლად წარმოშობილი სახელმწიფოები გერ შეთანხმდნენ თუ როგორ გაეყოთ მისი უზარმაზარი რესურსები. მთავარი საკითხები ადრეულ 90-იან წლებში შემდეგნაირად

<sup>2</sup> ხუთი სახელმწიფო ესაზღვრება ამჯერად ზღვას, ესენია: რუსეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი და ირანი. ყოველი სახელმწიფოს სანაპიროთა სიგრძის წილობრივი მაჩვენებელია: რუსეთი – 18.5%, ყაზახეთი – 30.8%, თურქმენეთი – 16.8%, აზერბაიჯანი – 15.2% და ირანი – 18.7%. იხ. Brice M. Clagett, *Ownership of Seabed and Subsoil Resources in the Caspian Sea under the Rules of International Law*, CASPIAN CROSSROADS MAG., Summer/Fall 1995.

<sup>3</sup> კასპიის ზღვა არის მსოფლიოში ყველაზე დიდი შიდამატერიკული საწყლოსნო ობიექტი: მისი სიგრძეა დაახლოებით 1204 კმ და ზედაპირის ფართი 436,000 კმ<sup>2</sup>. შედარებისათვის: ჩრდილოეთ ამერიკის დიდი ტბების ზედაპირის საერთო ფართობია 244,000 კმ<sup>2</sup>. იხ. INTERNATIONAL ENERGY AGENCY, CASPIAN OIL AND GAS 147 (1998).

<sup>4</sup> საბჭოთა საზღვაო სამართლის ცნობილ მაკლევარს ვ. ბათლერს ეჭვი შეაქვს კასპიის ზღვის კონტინენტური შელფის ფიზიკურად არსებობაში; ნაკვლად ამისა იგი მიიჩნევს, რომ ეს ადგილი (ფსკერი) წარმოადგენს სინამდვილეში კონტინენტის მიწის დაძირულ დაბლობს. იხ. William E. Butler, *The Soviet Union and the Continental Shelf*, 63 AJIL 103, 106 (1969).

<sup>5</sup> კასპიის აუზის დაზუსტებული მარაგი არის ნავთობის 15.31 მილიარდი ბარელი, ანუ მსოფლიო მარაგის 2.7%. რაც შეეხება პროგნოზებს ბუნებრივი აირის მიმართ, მათი მიხედვით კასპიის ზღვა შეიძლება შეიცვალოს ბუნებრივი აირის 230-360 ტრილიონ კუბურ ფუტს, ანუ მსოფლიო მარაგის 7%. ნავთობთან მიმართებაში საპროგნოზო მაჩვენებლები მერყეობს 20-დან 200 ბილიონამდე ბარელს შორის, რაც კასპიის აუზს აქცევს მსოფლიოში მესამე ადგილზე ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგის მიხედვით. იხ. *The changing face of energy geopolitics*, OECD OBSERVER, June 22, 1999, at 48, available in LEXIS, News Library, Curnws File.

<sup>6</sup> იხ. წყარო: <http://poli.vub.ac.be/publi/crs/eng/Vol5/adams.htm>;

[http://www.petroleumiran.com/index.php?option=com\\_content&view=article&id=87:caspian-sea-region-regional-conflicts&catid=32:caspian-sea-region&Itemid=37](http://www.petroleumiran.com/index.php?option=com_content&view=article&id=87:caspian-sea-region-regional-conflicts&catid=32:caspian-sea-region&Itemid=37)

იდგა, - იქნებოდა თუ არა კასპიის ზღვა ყველა კასპიის ზღვისპირა ქვეყნის საერთო მფლობელობაში თუ უნდა დაყოფილიყო სხვადასხვა პრინციპის მიხედვით. დღესდღეობით კასპიის ზღვისპირა ქვეყნები ძირითადად კასპიის ზღვის დანაწილების გზებზე კამათობენ და უფრო მეტიც, ჩრდილოეთ ნაწილის სანაპირო და ნაწილობრივ ცენტრალური ნაწილი უკვე დანაწილებულია რუსეთს, ყაზახეთსა და აზერბაიჯანს შორის.

წინამდებარე ნაშრომი ეხება კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის ჩარჩოებში, რომლის საბოლოო მიზანიც არის საზღვაო სივრცეების დადგენა და დელიმიტაცია, და სახელმწიფოთა იურისდიქციის განსაზღვრა დადგენილი საზღვრების ფარგლებში.

საზღვაო დელიმიტაცია არის პროცესი, რომელიც მოიცავს საზღვრების დამყოფი ხაზების დადგენას იმ საზღვაო სივრცეთა მიმართ, სადაც სანაპირო ქვეყნები განავრცობენ თავიანთ იურისდიქციას. ეს პროცესი არის ერთ-ერთი ყველაზე მეტად და ფართოდ შესწავლილი საკითხი საერთაშორისო სამართალში.<sup>7</sup> საბოლოო ჯამში, საზღვაო დელიმიტაციის პროცესი, შეისწავლის რა, თუ რომელი სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორიული პრეტენზია არის უკეთ გამოხატული და დასაბუთებული (ძირითადად კონტინენტური შელფის მიმართ), რეალობაში წარმოადგენს პრეტენდენტებს შორის რესურსების გადანაწილების ამოცანას,<sup>8</sup> რაც ასევე სწორია კასპიის ზღვის შემთხვევაში. ამგვარი ხედვა ნაკლებად ზუსტია ტერიტორიული ზღვის საზღვრების დადგენისას, ანუ ზღვის იმ სივრცეში, სადაც ეკონომიკური რესურსები წიაღისეულის სახით ნაკლებად მოიპოვება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საზღვაო საზღვრებთან დაკავშირებული საკითხები, ჩვეულებრივ, არ იწვევს ისეთი დონის პოლიტიკურ ყურადღებას, როგორსაც იწვევს დავები სახმელეთო ტერიტორიაზე, თუმცა ზოგიერთი საზღვაო დელიმიტაციის დამდგენი საერთაშორისო შეთანხმებები მიიჩნევა როგორც უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე.<sup>9</sup> ამ თვალსაზრისით ზედმეტი არ იქნება იმის ხაზგასმა, რომ კასპიის ზღვის სტატუსის საკითხები ასევე მკვეთრად პოლიტიზირებულია საერთაშორისო დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო საზღვრები ბევრი პარამეტრით, მ.შ. ფუნქციონალური დატვირთვით, განსხვავდება სახმელეთო საზღვრებისგან, სახელმწიფოთა ძირითადი პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური მიდგომა - გამოიყენონ და

<sup>7</sup> *ib.* Nuno S. M. Antunes “Towards the Conceptualisation of Maritime Delimitation: Legal and Technical Aspects of a Political Process,” Martinus Nijhoff Publishers, 2003, p1.

<sup>8</sup> *ib.* Derek W. Bowett, ‘Exploitation of Mineral Resources and the Continental Shelf’, in Umberto Lanza (ed.) *International Maritime Boundaries*, 1993, p. 27.

<sup>9</sup> *ib.* Bernard H. Oxman, “Political, Strategic, and Historical Considerations”, *International Maritime Boundaries*, 1993, pp. 12. საზღვაო დავების პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ *ib.* სასამართლო საქმე საბერძნეთსა და თურქეთს შორის ეგეოსის ზღვის მიმართ: *Greece v. Turkey dispute in Aegean Sea. ICJ Judgments 1978*, წერთვა: <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=81&case=62&code=gt&p3=4>

აკონტროლონ ტერიტორია შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ორგორც სრულიად გავრცელებული საზღვაო სივრცეებზე.<sup>10</sup>

ისევე, ორგორც სხვა ანალოგიურ სიტუაციებში, კასპიის ზღვის შემთხვევაშიც ახალი საზღვრების დადგენა გამოწვეულია ისტორიულ-პოლიტიკური გარემოებებით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საზღვაო საზღვრების მდებარეობა შედეგია გარკვეული პოლიტიკური ბალანსისა, ხოლო ეს ბალანსი შესაძლოა დროთა განმავლობაში შეიცვალოს.<sup>11</sup>

ვაცნობიერებთ რა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის თანამედროვე ასპექტებს, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ კასპიის ზღვის საქმე ისეთ კატეგორიაში შედის, სადაც პოლიტიკური სიტუაციის დომინირება უდავოა.

მაშასადამე, კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრის რეალური ამოცანა არის საზღვაო დელიმიტაცია, რომლის ძირითადი საგანია რესურსების გადანაწილების პრობლემის მოგვარება, ხოლო პროცედურული თვალსაზრისით კი - გასათვალისწინებელია მაღალი დონის პოლიტიკური გავლენის განხორციელება სამართლებრივი არგუმენტაციის ჩამოყალიბებაში და იმპლემენტაციაში.

და მაინც, მიუხედავად პოლიტიკური გავლენის ძლიერი ფაქტორის არსებობისა, მთავარი მიზანი კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრისას და საზღვაო დელიმიტაციის განხორციელებისას არის საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ჩვეულებების გამოყენება, ვიდრე დაყრდნობა ცვალებად პოლიტიკურ ვითარებაზე. წინამდებარე ნაშრომში პოლიტიკური საკითხები არ აისახება მათი რაოდენობრივი მაჩვენებლებით, არამედ როგორც ინსტრუმენტები და გამოხატულება კასპიისპირა ქვეყნების პრაქტიკისა, ვინაიდან თანამედროვე დელიმიტაციის პროცესი, როგორც ეს აღნიშნულია საერთაშორისო სასამართლოს მიერ და სამეცნიერო ნაშრომებში, გულისხმობს სანაპირო სახელმწიფოთა პრაქტიკის გაანალიზებას და გათვალისწინებას.<sup>12</sup> ხოლო პოლიტიკური გადაწყვეტილებანი გამოხატულია სანაპირო სახელმწიფოთა პრაქტიკაში (და პირიქით), რაც ანალიზის საგანს წარმოადგენს სამართლებრივ ჭრილში.

მიუხედავად იმისა, რომ დელიმიტაციის საწყისი ეტაპი შეიძლება ჩამოყალიბდეს პოლიტიკური ზეგავლენით (როგორც ეს კასპიის ზღვის შემთხვევაში ხდება), ეს პროცესი ყველა შემთხვევაში უნდა მოექცეს საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებში, რათა მოხდეს გადასვლა პოლიტიკური გამოხატულებიდან სამართლებრივ და სამართლიან

<sup>10</sup> იქნა.

<sup>11</sup> *ibid.* H. Thirlway, "The Law and the Procedure of the International Court of Justice", 64 BYIL, 1993, pp.9-10, სადაც მოცემულია პოლიტიკური ზეგავლენის მაგალითები საზღვაო დელიმიტაციის პროცესებზე.

<sup>12</sup> *ibid.* Malcolm D. Evans, "Maritime Delimitation after Denmark v. Norway: Back to the Future?", The Reality of International Law: Essays in Honor of Ian Brownlie, 1999, p. 156.

დარგებულირებაზე. ხოლო ტერიტორიების მიმართ ჭეშმარიტად სამართლიანი დაყოფის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი არის დელიმიტაციის სამართლებრივი მეთოდების შერჩევა და გამოყენება, და მათი შემდგომი შერწყმა საზღვაო სივრცეების რეჟიმის ერთიან სქემაში, რაც განიხილება წინამდებარე ნაშრომში.

ამიტომაც, ეს ნაშრომი, ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით, განიხილავს საერთაშორისო-სამართლებრივ ჭრილში კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსთან (და შესაბამისად, მის დელიმიტაციასთან) დაკავშირებულ ბოლო მიღწევებს (რომელიც წამოწყებულია რუსეთის მიერ, და მხარდაჭერილია დსთ-ს სხვა სანაპირო სახელმწიფოების მიერ), აგრეთვე საწყისი დელიმიტაციის სამართლებრივ პერსპექტივას მთლიანობაში კასპიის ზღვის სტატუსის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საერთაშორისო დაგების განხილვის დროს მნიშვნელოვანია გავეცნოთ ისტორიულ კონტექსტს, რათა უკეთ გავიგოთ მიმდინარე პროცესები, - ამიტომაც წინამდებარე ნაშრომის პირველი ორი კარი განიხილავს კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბების ისტორიას მეფის რუსეთის, საბჭოთა კავშირის არსებობისა და მისი დაშლის შემდგომ პერიოდებში. 1991 წლის შემდგომ ახალ კასპიისპირა სახელმწიფოთა მიერ აქტიურად ხორციელდებოდა მცდელობები კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის დადგენის ირგვლივ, რაც ხშირ შემთხვევაში ავლენდა უფრო სხვაობებს პოზიციებში, ვიდრე თანხვედრას.<sup>13</sup>

ნაშრომის მესამე და მეოთხე კარი ეძღვნება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და ჩვეულებების ანალიზს, რომელიც შეიძლება მიესადაგოს კასპიის ზღვის სიტუაციას, მათ შორის სადაო საკითხთა გადაწყვეტის მექანიზმებს; ასევე იხილება მსოფლიოში არსებული ანალოგიები, რათა განისაზღვროს ის სავარაუდო სამართლებრივი ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც მოხდება კასპიის ზღვის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების ეფექტური მოგვარება.

ნაშრომის ეს ნაწილი ასევე მოიცავს სანაპირო სახელმწიფოთა ურთიერთობის განხილვას სამართლებრივი დავის შემთხვევაში, ასევე განხილულია საზღვაო საერთაშორისო-სამართლებრივი დელიმიტაციის პრაქტიკული საკითხები. განსაკუთრებული უურადღება ეთმობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1982 წ. კონვენციას საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ (შემდგომ – “UNCLOS”).<sup>14</sup>

ნაშრომის მეხუთე კარი მიმოხილავს კასპიის ზღვის ჩრდილო და ცენტრალური ნაწილის სამმხრივი დაყოფის სამართლებრივ ასპექტებს, ამ დაყოფის საერთაშორისო ლეგიტიმურობის ჩათვლით. ნაშრომის ეს ნაწილი განიხილავს, თუ როგორი ცვლილება განიცადა კასპიის სანაპირო სახელმწიფოთა ურთიერთობაში ბოლო პერიოდში,

<sup>13</sup> იხ. უფრო ვრცლად წინამდებარე ნაშრომის კარი II, თავი 1

<sup>14</sup> იხ. ორიგინალი: [http://www.un.org/Depts/los/convention\\_agreements/texts/unclos/closindx.htm](http://www.un.org/Depts/los/convention_agreements/texts/unclos/closindx.htm) ; ქართული თარგმანი: საერთაშორისო საზღვაო სამართლი, თბილისი 2011, გვ.4-205

სამართლებრივ-შედარებითი ანალიზის ჭრილში განხილულია საზღვაო დავების გადაჭრის მსოფლიო პრეცედენტები. აქეთ, გავლებულია პარალელები საზღვაო დელიმიტაციისა და დავების მიმართ საერთაშორისო სამართლში არსებულ პრეცედენტებსა და კასპიის ზღვის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებულ ამჟამინდელ სიტუაციას შორის, განხილულია კასპიის ზღვის მომავალი ერთიანი სტატუსის ჩამოყალიბების პერსპექტივები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში გაკეთებულია სამართლებრივ-შედარებითი ანალიზის შეჯამება და ნაჩვენებია კასპიის ზღვის დელიმიტაციის ორმხრივი და სამმხრივი შეთანხმებების ტრანსფორმაციის შესაძლებლობა მრავალმხრივ ერთიან შეთანხმებაში კასპიის ზღვის სამართლივ სტატუსზე.

## კარი I. ისტორიული წინაპირობები. სახელშეკრულებო პრაქტიკის ანალიზი

### თავი 1. გასაბჭოებამდელი პერიოდი

კასპიის ზღვის პოლიტიკურ - სამართლებრივი სტატუსის პრობლემა, თანამედროვე გაგებით, წარმოიქმნა პეტრე I-ის მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის ლაშქრობების და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში წარმოებული ომების შემდგომ. ამ ომების კვალდაკვალ მოყოლილი პეტერბურგის (1723 წ.), რეშთის (1729 წ.), გიულისტანის (1813 წ.) და თურქმანჩაის<sup>15</sup> (1828 წ.) ტრაქტატები აკუთვნებდნენ რუსეთს განსაკუთრებულ უფლებას პქონოდა სამხედრო ფლოტი კასპიის ზღვაზე, სპარსეთმა შეინარჩუნა მხოლოდ სავაჭრო ნაოსნობის უფლება. ეს ნიშნავდა კასპიის ზღვის რუსეთის იურისდიქციისათვის სრულ დამორჩილებას, ანუ სხვაგვარად რომ ითქვას, კასპიის ზღვა რუსეთის შიდა წყალსატევს წარმოადგენდა.<sup>16</sup>

კასპიის ზღვა მოიხსენიება პეგათე მილეთელის, სტრაბონის, პერიოდოგეს, არისტოტელეს, ერასტოფენის და სხვათა ნაშრომებში..<sup>17</sup>

კასპიის ზღვას სხვადასხვა დროს ორმოციდან ასამდე სხვადასხვა დასახელება პქონდა.<sup>18</sup> მათი წარმოშობა უკავშირდებოდა ზღვის

<sup>15</sup> ი. წყარო <http://www.genocide.ru/lib/treaties/02.htm>

<sup>16</sup> ისტორიულ-ენციკლოპედიური ცნობები, ი. წყარო:

<http://www.portaktau.kz/ru/enc/istoriya>. კასპიის ზღვას ბერძნულად ეწოდება *Kászion pélagos*, ხოლო ლათინურად *Caspium Mare*. ი. დიდი საბჭოტა ენციკლოპედია, წყარო: <http://bsc.sci-lib.com/article059731.html>

<sup>17</sup> ი. გიულ კ.კ. Из истории географических исследований Каспийского моря // Известия АН Азерб. ССР. Сер. Геол.-геогр. наук, 1960, № 2., Баку, стр. 90—92; ი. ზოგადად პეიდარ ალიევის ფონდის მიერ მომზადებული ისტორიულ-ანალიტიკური ცნობა, წყარო: [http://www.analitika.az/browse.php?sec\\_id=80](http://www.analitika.az/browse.php?sec_id=80)

ნაპირებთან მცხოვრები ხალხების უთნიკურ დასახელებებს, ან ქალაქების, მხარეების, მისი სანაპირო ზოლის ქვეყნების სახელებს (სხვათა შორის, ამჟამინდელი დასახელებისათვის კასპიის ზღვა ოდესლაც მის დასავლეთ ნაპირზე მცხოვრებ კასპიების ტომებს უნდა უმადლოდეს). რუსები კასპიის ზღვას ხვალინის ზღვას უწოდებდნენ, ვოლგის<sup>18</sup> შესართავთან მცხოვრები ხალხის მიხედვით. ირანელები, თავის მხრივ, მას დარიაიე ხაზარს (ხაზართა ზღვას)<sup>20</sup> უწოდებდნენ, დარიაიე მაზანდარანს (მაზანდარანის ზღვას) ან დარიაიე შომალს (ჩრდილოეთის ზღვას)<sup>21</sup> – ეს სანაპირო ისტორიული მხარეების სახელწოდებებია, სადაც უძველესი ირანელი ხალხები ბინადრობდნენ.<sup>22</sup>

ისლამის გავრცელებასა და არაბთა ხალიფატის საზღვრების გაფართოებასთან ერთად ზღვა და ზღვისპირა ზოლი არაბ დამპურობელთა და შესაბამისად მეცნიერ-მკვლევართა განსაკუთრებული უურადღების ობიექტი აღმოჩნდა. კასპიის ზღვას ეძღვნება VIII - XI საუკუნეების მრავალი არაბული წყარო, რომლებშიც მას ხშირად ხორეზმის, ჯურჯანის, ტაბარისტანის ზღვას, ად დაილამ ზღვას (ალ დეილემს) უწოდებდნენ. გამოიყენება აგრეთვე ისეთი ჰიდრონიმები, როგორიცაა ალდაბ ვადლდაბვაბ (დარუბანდის), ალდხაზარ, ალდხაზარიდა და ა.შ.<sup>23</sup>

კასპიისპირა ტერიტორიების ათვისება და დაპყრობა დაიწყო ბევრად ადრე, ვიდრე რუსეთში გავრცელდა ქრისტიანობა, ხოლო ისლამი - კასპიის ზღვის რეგიონის სამხრეთში. ჩვენამდე მოღწეული წყაროებიდან ცნობილია, რომ კასპიის ზღვის სამხრეთი 760-761 წლებში დაპყრობილ იქნა აბასიდების მიერ. პრაქტიკულად რეგიონი 1722 წლამდე სპარსეთის გავლენის ქვეშ იყო. სეფევიდების დინასტია (1501-1522) მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. სეფევიდებმა წარმატებით გაავრცელეს შიიზმი კასპიისპირეთის<sup>24</sup> სამხრეთი ნაწილის მოსახლეობაში. აქტიურად ვითარდებოდა სავაჭრო ნაოსნობა, აქ ყოფილან გენუელი, მოგვიანებით ბრიტანელი ვაჭრები.<sup>25</sup>

<sup>18</sup> ი. წყარო: [http://www.azerbaijan.az/\\_WorldCommunity/\\_CaspianStatus/\\_caspianStatus\\_r.html](http://www.azerbaijan.az/_WorldCommunity/_CaspianStatus/_caspianStatus_r.html)

<sup>19</sup> ი. Жило П.В. О названиях Каспийского моря // Известия АН Азерб. ССР. Сер. Геол.-геогр. наук, 1960, № 4., Баку, стр. 94—95.

<sup>20</sup> აზერბაიჯანში ტრადიციულად გამოიყენება სახელწოდება “ხაზართა ზღვა” (“ხაზარ დენიზი.”) ი. ასევე სქოლით 16 და 17 supra

<sup>21</sup> ირანელები კასპიის ზღვას - “დარიადე კომალს” ანუ ჩრდილოეთის ზღვას უწოდებდნენ, (ი. წყარო: <http://www.dslib.net/pravo-evropy/mezhdunarodno-pravovoj-status-kaspijskogo-morja-i-mezhdunarodnoe-jeconomicheskoe.html>, ასევე (ყაზ.): [http://www.rusnauka.com/6\\_PNI\\_2013/Geographia/3\\_126069.doc.htm](http://www.rusnauka.com/6_PNI_2013/Geographia/3_126069.doc.htm) ; ამასთან შეედველობაში იყო ის, რომ იგი ქვეყნის ჩრდილოეთი მდებარეობდა, ხოლო სპარსეთის უერეს, შესაბამისად, უწოდებდნენ სამხრეთის ზღვას. თავისი მარაგების მნიშვნელობიდან გამომდინარე მას ზოგჯერ მეორე სპარსეთის ყურეს უწოდებენ, ი. ე. <http://voprosik.net/sotrudnichestvo-iranii-i-rossii-po-kaspiyu/>

<sup>22</sup> ი. Mohammad Reza Djalili. Mer Caspienne: perspectives iraniennes|| Cahiers d'etutes sur la Mediterranee orientale et le monde turco – iranien, 1997, N 23., p. 127.

<sup>23</sup> ი. კასпийское море в арабских источниках (перевод с арабского и примечания З.М. Буняитова и Н.М. Велихановой) // Известия АН Азерб. ССР. Сер. История, философия и право, 1988, № 3., с. 113-126.

<sup>24</sup> ი. სქოლით 22 supra, გვ. 138.

<sup>25</sup> ი. История Азербайджана. В VII томах. Т. III (XIII—XVIII вв.). Баку, 1999, с. 182-220, 232-236.

თუმცა არამარტო სპარსეთი იყო დაინტერესებული ამ რეგიონით. კასპიის ზღვის აუზი რუსებისათვის უძველესი დროიდან იყო ცნობილი. პირველი რუსები კასპიის სივრცეებზე გამოჩნდნენ დაახლოებით 880 წელს, მაშინვე მათ შტურმით აიღეს კუნძული აბესკუნი<sup>26</sup>. ანალოგიური აქცია განხორციელებული იყო 909 წელს<sup>27</sup>.

ცნობილია რუსების კიდევ ერთი ლაშქრობა კასპიის ზღვაზე, ცოტა ხნით ადრე თათარ-მონფოლთა შემოჭრამდე კასპიის მიმდებარე რაიონებში<sup>28</sup>.

რომანოვების დინასტიის ტახტზე ასვლასთან და ხელისუფლების თანდათან ცენტრალიზაციასთან ერთად კასპიის ზღვისა და მისი მიმდებარე მიწების მიმართ რუსეთის ინტერესმა დაიწყო ზრდა<sup>29</sup> - ამ დროს მიეკუთვნება კასპიის ზღვაში გასასვლელად განკუთვნილი პირველი რუსული სამხედრო გემის მშენებლობა (1667), - მეოქვემდებარებული მიხეილის ძის ბრძანებულების საფუძველზე. მოგვიანებით კაზაკები აწყობდნენ შემოსევებს სამხრეთ სანაპიროს სპარსულ ქალაქებზე: რეშთზე, ფარახაბადზე, ასტრაბადზე და სხვ.<sup>30</sup>

XVIII საუკუნის დასაწყისში კასპიის რეგიონი პეტრე I-ის სპარსული ლაშქრობის შედეგად რუსეთმა ბრძოლით წაართვა სპარსელებს, რომელთაც კასპიის ზღვა მიაჩნდათ შუა აზიის ქვეყნებში და ინდოეთში<sup>31</sup> მიმავალ მნიშვნელოვან სტრატეგიულ გზად.

1722წ. იმპერატორის ბრძანებით დაიწყო კასპიის ზღვის სამხედრო ფლოტის მშენებლობა. ერთი წლის შემდეგ კი დამარცხებულმა სპარსეთმა თავისი კასპიისპირა სამფლობელობები რუსეთს დაუთმო.<sup>32</sup>

მთლიანობაში ბრძოლის პიკი კასპიის ზღვაზე და კასპიისპირეთის მიწებზე გავლენისა და საკუთრების უფლებისათვის დაემთხვა ყაჯართა დინასტიის მმართველობის პერიოდს (1779 - 1925). მაგრამ მათაც დაუთმეს შემდგომ რუსეთს.<sup>33</sup> 1732 წლის 21 იანვარს კი სპარსეთმა და რუსეთმა დადეს რეშთის ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ

<sup>26</sup> ი. მაკოვსკი ა.ა., რადცენკო ბ.მ. კასպიური კრასი 1982, с.4-10.

<sup>27</sup> ი. ტუმანსკი ა. სამხედრო მართვის ისტორია მ. 1953, с. 396.

<sup>28</sup> ი. ვიშნევოსკი ს.ა. მსოფლიო მეცნიერებების ისტორია. მ. 1953, с. 201.

<sup>29</sup> ი. იაკემचუკ რომ. Les Hydrocarbures de la Caspienne. La competition des puissances. Bruxelles, 1999. p. 15.

<sup>30</sup> ი. ვორობევა ა.გ. კ ვიკი სამსახური აზერბაიჯანი და სამხედრო მართვის ისტორია // ისტორია აზერბაიჯანის ისტორია. მ. 1983, № 3. с. 32.

<sup>31</sup> ი. ბადირბეილი რ.ფ. მართვის კუთხით კასპიური კრასი 1982, с. 44.

<sup>32</sup> ი. დიპლომატიური სიტყვა. მ. 1985. с. 483.

<sup>33</sup> ი. აბდურახმანოვ ა. აზერბაიჯანი და სამხედრო მართვის ისტორია // ისტორია აზერბაიჯანის ისტორია. მ. 1983, № 3. с. 32.

(განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში),<sup>34</sup> რომელმაც შეცვალა 1723 წლის ხელშეკრულება. მაგრამ რუსეთი აგრძელებდა სამხედრო მოქმედებებს.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს რუსეთმა დაიპყრო მახაჩკალა და ბაქო. და ამრიგად, 1828 წლისათვის მთელი ჩრდილოეთ აზერბაიჯანი გადავიდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში, რამაც ასახვა ჰპოვა 1828 წლის ტრაქტატში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელებულმა თურქმენეთის დაპყრობამ, გაიყვანა რუსეთი ამ ქვეყნის კასპიის სანაპიროზე. ამას დაემატა 40-ნი წლების ბოლოსათვის საბჭოეთის მიერ ჩრდილოეთ ირანის კონტროლი. XIX საუკუნისათვის აზიის მიმართ დამახასიათებელი კოლონიალური პოლიტიკიდან გამომდინარე, კასპიის ზღვაზე სხვადასხვა დროს და ხშირად ერთდროულად თავის პრეტეზიებს აცხადებდნენ რუსეთი (ყველაზე წარმატებულად), დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია. ირანმა, ახორციელებდა რა საკუთარი სახელმწიფოებრიობის გადარჩენის მოქნილ და ხშირად ერთის დანახვით დამთმობ პოლიტიკას, 1801 წელს სამხედრო დახმარების ხელშეკრულება დადო ინგლისთან. ამ ხელშეკრულებით დაიმედებულმა ირანის ხელისუფლებამ რუსეთთან მორიგი საბრძოლო მოქმედებები წამოიწყო. მოგვიანებით 1805წ. აღმოჩნდა, რომ ბრიტანეთის დახმარება უანგარო არ იქნებოდა, ვინაიდან დახმარების სანაცვლოდ ინგლისელებმა კასპიის ზღვაზე სპარსეთის ტერიტორიების მათვების გადაცემა მოითხოვეს.<sup>35</sup>

ასეთივე მიზნებით დიდმა ბრიტანეთმა კიდევ რამდენიმე ხელშეკრულება დადო სპარსეთთან 1809-14 წწ.<sup>36</sup>, და ასევე იგი უარს აცხადებდა დახმარებაზე იმ საბაბით, რომ სამხედრო მოქმედებანი თვით სპარსეთის მიერ იყო გამოწვეული.<sup>37</sup>

ზემოთ მოყვანილი მონაცემები საშუალებას გვაძლევენ ვამტკიცოთ, რომ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბება დაიწყო სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ის რუსეთისა და სპარსეთის დაპირისპირების მიზეზი გახდა, აგრეთვე რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის კასპიისპირა მიწებისა და კასპიის ზღვის ფლობისათვის ბრძოლაში. XIX საუკუნის დასაწყისისათვის რეგიონში დამკვიდრდნენ რუსეთი და ირანი და, როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, კასპიის ზღვის სტატუსს საფუძველი ჩაუყარეს სანკტ-პეტერბურგის (1723) და რეზოს (1732) ტრაქტატებმა.

რეზოს 1732 წლის ხელშეკრულებამ დაამყარა რუსეთის საკუთრების უფლება ზოგიერთ, სპარსეთის მიერ დათმობილ, ტერიტორიაზე,

<sup>34</sup> ი. Советско-иранские отношения в договорах, конвенциях и соглашениях / Составители С.И.Сычев, В.К.Волков. М., 1946; История Азербайджана , Б, 1995 с. 369-370.

<sup>35</sup> ი. Туманович Н.А. Европейские державы в Персидском заливе в XVI—XIX вв. М., 1982. с. 68.

<sup>36</sup> იქვე გვ. 65. ი. ზოგადად Balfour M. Recent Happenings in Persia . London, 1932.

<sup>37</sup> ი. Егорова О. В. Некоторые аспекты англо-русских отношений накануне конгресса в Троппau (1820 г.)/О. В. Егорова// Российская цивилизация: история и современность: Межвузовский сборник научных статей/ Воронеж: Издательско-полиграфическая фирма Воронеж.- 1999. - Вып. 4. - С. 184-190.

მოახდინა ზღვაზე ვაჭრობისა და ნავიგაციის თავისუფლების რეგლამენტაცია, ასევე მდინარეებზე არაქსა და მტკვარზე.<sup>38</sup> ეს ხელშეკრულება, 1723 წლის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებდა გარკვეულ უფლებებს, კერძოდ ნავიგაციაში, სპარსეთისათვისაც. რუსეთმა ნება დართო მის სავაჭრო ხომალდებს ეცურათ ზღვაზე და შესულიყვნენ ნავსადგურებში. რაც შეეხება სამხედრო გემებს, როგორც ომის დროს, ისე მშვიდობიანობისას, კასპიის ზღვის აკვატორიაში მხოლოდ რუსულ ხომალდებს შეეძლოთ ყოფნა.<sup>39</sup>

1828 წ. ომის შემდეგ კი სპარსეთმა საბოლოოდ დაკარგა კონტროლი კასპიის ზღვაზე. 1828 წლის 22 თებერვლის თურქმანჩაის<sup>40</sup> ხელშეკრულება ცნობდა ორივე სახელმწიფოს უფლებას ხომალდების სავაჭრო ნაოსნობაზე, მაგრამ უკრძალავდა სპარსეთს სამხედრო ფლოტის ყოლას. ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებული იყო 1921 წელს ხელმოწერილი რუსეთ-სპარსეთის (საბჭოთა კავშირ-ირანის) ხელშეკრულებამდე მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ. თანამედროვე ირანელი ავტორები XVIII-XIX საუკუნეებს უწოდებენ კასპიის ზღვასა და ირანის ჩრდილოეთში რუსეთის ექსპანსიის პერიოდს<sup>41</sup>, ხოლო რუს მეცნიერებს სხვა აზრი აქვთ. მაგალითისათვის, ი. ბარსეგოვი თვლის, რომ იმდროინდელი ხელშეკრულებები წარმოადგენდნენ “მნიშვნელოვან ეტაპებს კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბების ისტორიაში, რომელნიც ადასტურებდნენ სავაჭრო გემების ნაოსნობის თავისუფლებას და დამკვიდრეს რუსეთისათვის სამხედრო ფლოტის ყოლის განსაკუთრებული უფლება.”<sup>42</sup>

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ერთ-ერთმა პირველმა კასპიის ზღვა ცნობილმა რუსმა იურისტმა და დიპლომატმა ფ. მარტენსმა დაახასიათა: “დია ზღვებთან შედარებით სრულიად სხვა მდგომარეობაში იმყოფება ის ზღვები, რომელიც არამარტო გარშემორტყმულია ერთი და იგივე სახელმწიფოს სამფლობელოებით, არამედ არ გააჩნიათ არანაირი კავშირი ოკეანესთან. ეს დახურული ზღვებია: ისინი არიან იმ სახელმწიფოს ძალაუფლების ქვეშ, რომლის ფარგლებშიც იმყოფებიან. ამის საფუძველზე კასპიის ზღვა აგრეთვე დახურულია, და თუმცა ის გარს ერტყმის ნაპირებს, რომლებიც ეპუთვნის რუსეთს და სპარსეთს, რუსულად უნდა ითვლებოდეს.”<sup>43</sup> სხვა ცნობილი რუსი საერთაშორისო სამართლის ექსპერტები იგივეს ამტკიცებდნენ.<sup>44</sup>

<sup>38</sup> ი. დипломатический словарь. Т. II. М., 1985. с. 463.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> ი. Geranmayeh Ali. The Caspian Sea in Iranian History and Politics|| Central Asian Quarterly Labyrinth. Vol. 2, 1995, No. 3. p. 39.

<sup>41</sup> ი. სქოლით 22 *supra*, გვ. 130-133.

<sup>42</sup> ი. Барсегов Ю.Г. Каспий в международном праве и мировой политике. М., 1998. с. 4.

<sup>43</sup> ი. Мартенс Ф.Ф. Современное международное право цивилизованных народов. Издание пятое.

Т. I. Санкт-Петербург, 1904. с. 385. ი. ზოგადად ი. И. Лукашук. Международное право - М.: Издательство БЕК, 1997.

<sup>44</sup> ი. Комаровский Л.А., Ульяницкий В.А. Международное право. М., 1908. с. 79.

თავი 2. სახელმწიფო პრაქტიკის ანალიზი 1991 წლამდე, საბჭოთა კერიოდში. ისტორიული, სამართლებრივი და გეოპოლიტიკური ასპექტები

### (ა) 1921 რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულება

ეს ხელშეკრულება განიხილება სხვადასხვა, პირველ რიგში რუსულ წყაროებში, როგორც კასპიის ზღვის სტატუსის საბაზისო თანამედროვე წყარო, ანუ როგორც 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შედეგად წარმოქმნილი კომუნისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საფუძლის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

ნაცვლად მეფის რუსეთის აშკარად გამოხატული ექსპანსიური სახითისა, 1921წ. ხელშეკრულება თითქოსდა ადასტურებდა საბჭოთა რუსეთის ზრახვებს თავისუფლება მოერანა სპარსეთის ხალხისათვის.<sup>45</sup> მეორეს მხრივ, ამ დოკუმენტმა განსაზღვრა შაპის, ხოლო შემდგომ ირანში ისლამის რეჟიმის ახალი ორიენტირები XX საუკუნეში. თეირანმა, რომელიც დათანხმდა რუსეთის არაოფიციალურ კონტროლს ირანსა და კასპიის ზღვაზე, მიიღო გარკვეული უფლებები და ამასთან ერთად მდგრადი მშვიდობის და მის მიმართ აგრესიის შემთხვევაში მესამე ქვეყნების წინააღმდეგ დახმარების გარანტიები.

პრაქტიკულად ირანი დათანხმდა ტერიტორიების, სამფლობელოებისა და გავლენის სფეროების დაკარგვას იმის გარანტიის სანაცვლოდ, რომ იარსებებს იმ საზღვრებში და იმ სახით, რომელშიც ის იმყოფებოდა მთელი XX საუკუნე. ამიტომ ირანმა შეინარჩუნა დისტანცია ურთიერთობებში დიდ ბრიტანეთთან, მოგვიანებით გერმანიასა და აშშ – სთან,<sup>46</sup> რომელთაც სურდათ გაეძლიერებინათ თავისი გავლენა და განედევნათ საბჭოების წერხი. ეს პერიოდი უკავშირდება რუსეთის მიერ სპარსეთის ნაწილის გასაბჭოების უშედეგო მცდელობას.<sup>47</sup>

აღსანიშნავია ასევე ბრიტანული პოლიტიკის მარცხი დიპლომატიურ ასპარეზზეც, - მაგალითად, როდესაც ირანმა ინგლისის ზეწოლით საჩივრით მიმართა ერთა ლიგას საბჭოეთის მოქმედებებზე, რუსეთმა შესძლო ჯარების დროული მანევრირებით ეიძულებინა ერთა ლიგა უარი ეთქა რუსეთის დადანაშაულებაზე სპარსეთის სუვერენიტეტის ხელყოფისთვის. ერთა ლიგის ვერდიქტის თანახმად ირანს მიეცა რჩევა

<sup>45</sup> იხ. Документы внешней политики СССР. М., 1961, т. 5, с. 80—81.

<sup>46</sup> 1955 წლის 11 ოქტომბერს ირანი შეუერთდა ბადდადის პაქტს, ანუ პროდასავლურ სამხედრო - პოლიტიკურ ბლოკს. ამ პაქტის დანართი - საიდუმლო ოქტომბერი, კერძოდ, ითვალისწინებდა მისი მონაწილეების ვალდებულებებს აუცილებლობის შემთხვევებში შესთავაზონ თავისი ტერიტორია და აეროდრომი ერთმანეთის ჯარების განლაგებისათვის. - იხ. Иванов М.С. Иран в 60—70 годах XX века. М., 1977. с. 10.

<sup>47</sup> იხ. ზოგადად Тузмухамедов Р. А. Советско-иранские отношения (1917—1921). М., 1960.

თავად მოეგვარებინა ურთიერთობები რუსეთთან მოლაპარაკებების გზით. ეს იყო ალბათ ერთადერთი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარევა კასპიის რეგიონალურ ურთიერთობებში.<sup>48</sup>

ირანი მთელი ამ წლების განმავლობაში არავის არ ენდობოდა, მაგრამ ტერიტორიულ პრიორიტეტებს მაინც სსრკ-ს ანიჭებდა. 1921 წლის ხელშეკრულება, ბ. ფარვიზფურის<sup>49</sup> აზრით, ეხმარებოდა ირანის ლავირება მოეხდინა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

ისტორიულ, პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში მოიპოვება 1921 წლის ხელშეკრულების მხოლოდ ზედაპირული ანალიზი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტით საბჭოთა სახელმწიფომ და სპარსეთმა (30-იანი წლების შემდეგ ოფიციალური სახელწოდება - ირანი) სხვა სახელმწიფოთა ინტერესების იგნორირება მოახდინეს და თვითონ მოილაპარაკეს გავლენის სფეროების გაყოფაზე. არსებითად, მათ დაამყარეს კასპიის ზღვის დახურული, უცხოთავის მიუწვდომელი და შინაარსით კოლონიალური (ირანმა ნებაყოფლობით მიიღო დისკრიმინირებული მხარის მდგომარეობა) სტატუსი.

თავის დროზე, როდესაც ახალმა კასპიისპირა სახელმწიფოებმა (აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქმენეთი), აგრეთვე არაკასპიისპირა, მაგრამ ამ რეგიონით დაინტერესებულმა ქვეყნებმა, გააკეთეს განცხადება 1921 წლის ხელშეკრულების ფორმალურ და არქაულ ხასიათზე, რუსეთის ფედერაცია, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე და ირანის ისლამური რესპუბლიკა, როგორც სპარსეთის სამართალმემკვიდრე, ერთობლივად გამოვიდნენ ამ შეთანხმების დასაცავად, რომელიც, აყალიბებს ეწ. გეოპოლიტიკურ პაქტს საუკუნის დასაწყისში.

XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც ბაქოს მახლობლად დიდი ნავთობი აღმოაჩინეს, მაკვერად გაიზარდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტერესი რეგიონის მიმართ. XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში რუსეთის იმპერია, რომელსაც ამოუწურავი რესურსები გააჩნდა, კვლავ დამოკიდებული რჩებოდა დასავლეთზე. ამიტომ კასპიისპირა რეგიონში, კერძოდ ბაქოს ნავთობის სარეწებზე მეტი ნობელების, როტმილდების და მსხვილი დასავლური კაპიტალის სხვა წარმომადგენელთა მოსვლა მის მიერ მისასალმებელი და გამართლებული იყო.<sup>50</sup> დასავლეთის მეწარმეებმა მოახერხეს ბაქოს ნავთობის ტრანსპორტირება (იმდროინდელი მსოფლიო ნავთობის წარმოების 50%) რამოდენიმე მიმართულებით: ასტრახანამდე; აშენებული რკინიგზით ბაქო - თბილისი - ფოთი; ბათუმის გავლით შვეიცარიამდე

<sup>48</sup> ი. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях. М., 1929, ч. 3, вып. 2, с. 26—27.

<sup>49</sup> ი. Парвизпур Б.Х. СССР — Иран: Возникновение и развитие добрососедских отношений и сотрудничества, 1917—1927 гг. Опыт историко-правового исследования. Тбилиси, 1977. с. 20-22.

<sup>50</sup> ი. Yakemtchouk Romain. Les Hydrocarbures de la Caspienne. La competition des puistrale. Bruxelles, 1999. P.15.

(სენ გოტარი), გენუამდე და ხმელთაშვა ზღვის სხვა მსხვილ ნაგსაღურებამდე.<sup>51</sup>

პირველმა მსოფლიო ომმა, რომელმაც მიიყვანა დასუსტებამდე რუსეთი და გააძლიერა დასავლეთი იმპერიის ეროვნულ განაპირა რაიონებში, ხელი შეუწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი პროცესების ზრდას. 1918 წლის 28 მაისს გამოცხადებულ იქნა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა (ადრ). როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა ის უფრო მისაღები იყო დასავლეთისათვის, ვიდრე რუსეთის განაპირა რეგიონი.<sup>52</sup> რუსეთი კი, პირველ რიგში, ცდილობდა გამოედევნა წამყვანი უცხო ქვეყნები და მათი კომპანიები კასპიისპირა ნავთობშემცველი რაიონებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1907 წელს (სპარსეთის, ავდანეთის და ტიბეტის საქმეების შესახებ 1907 წლის 31 აგვისტოს პეტერბურგის კონვენციის ფარგლებში)<sup>53</sup> მეფის რუსეთმა და დიდმა ბრიტანეთმა მოახერხეს მოლაპარაკება გავლენის სფეროს გაყოფის შესახებ აზიის<sup>54</sup> ვრცელ რეგიონში, დასავლეთის ინტერესები კასპიის ზღვაზე და მის გარშემომრტყმელ მხარეებში არ იქნა დაკმაყოფილებული. ბრიტანული ჯარების მიერ ბაქოს დაპყრობა 1918წ. სრულად ადასტურებს ამ თვალსაზრისს.

ბაქოს ოკუპაციის კვალდაკვალ კომპანიებმა “როიალ დათ შელმა” და “სტანდარტ ოილმა” განაცხადეს კასპიის ზღვის ენერგორესურსების დამუშავების დაწყების თავისი სურვილის შესახებ და ცდილობდნენ კიდევაც ამისათვის იურიდიული ხასიათი მიეცათ. დიდი ბრიტანეთის ჯარების მიერ დასავლური კაპიტალის მფარველობის თავისებურებანი<sup>55</sup> აღნიშნა საბჭოთა მეცნიერმა რ. ტუზმუხამედოვმა. მისი აზრით, ამას ყოვლად ხელს უწყობდა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის პოზიცია, რომელსაც ჩრდილოეთიდან ექსპანსიის შიში ჰქონდა. 1918 წლის ოქტომბრისათვის “ინგლისელთა ხომალდები გაერთიანებულ იქნენ თეთრგვარდიელთა ხომალდებთან და ცენტრალურ კასპიის ფლოტილიასთან... ინგლისელებმა სრულიად ჩაიგდეს ხელში ფლოტი კასპიის ზღვაზე.”<sup>56</sup>

დამოუკიდებელი აზერბაიჯანის მთავრობა მაშინ აქტიურად უჭერდა მხარს ამ პოლიტიკას, ჰქონდა რა დასავლეთის სამხედრო დახმარების იმედი, რაც შემდგომში არ გამართლდა. ამ ისტორიულ ფაქტზე მიუთითებს ი. ბარსეგოვიც, მართალია სხვა რაკურსში, რუსეთის ინტერესების პოზიციიდან. ის წერს: “კასპიის ზღვის მომავალი სტატუსისადმი თავისი დამოკიდებულების განსაზღვრისას რუსეთს არ

<sup>51</sup> იქვე, გვ. 16

<sup>52</sup> ი. აзербайджанская Демократическая Республика (1918—1920). Баку, 1998. с. 6-7.

<sup>53</sup> ი. Сборник договоров России с другими государствами 1856—1917. М., 1952. с. 386-389.

<sup>54</sup> ი. Дипломатический словарь. Т. II. С. с. 482.

<sup>55</sup> ი. ზოგადად: ინგლისის არასამხედრო დონისძიებების შესახებ — კაპიტალის ექსპანსია კასპიის რეგიონში: Balfour M. Recent Happenings in Persia . London , 1932, p . 157.

<sup>56</sup> ი. Тузмухamedov P.A. Советско-иранские отношения (1917—1921). М., 1960. с. 30.

შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს პოლიტიკური და სამხედრო უსაფრთხოების ფაქტორს.”<sup>57</sup>

მისი აზრით, რუსეთის ყოფნას კავკასიაში და ამიერკავკასიაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის დიდი სახელმწიფოს მდგომარეობის შეძენისა და შენარჩუნებისათვის. “ევროპის დიდი სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ფრონტი, გამავალი რუსეთის დასავლეთ საზღვრების გასწვრივ, ოდითგანვე შეჭრილი იყო სამხედროის ფლანგის ზურგში, მოიცავდა შავ ზღვას, კავკასიას და ამიერკავკასიას... ამჟამინდელი რუსეთის გარშემორტყმა ნატოს სამხედრო - პოლიტიკური ბლოკის მიერ სამხედროის ფლანგიდან - თურქეთისა და აზერბაიჯანის გავლით - წარმოადგენს ისტორიული გეოპოლიტიკური ტენდენციის გაგრძელებას.”<sup>58</sup>

კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ ორივე მსოფლიო ომის და 1917 წლის ოქტომბრის პერიოდში დასავლეთის სახელმწიფოები პანთურქიზმს იყენებდნენ რუსეთის რეგიონიდან გამოძევებისათვის, და შესაბამისად კასპიის ზღვის აუზიდანაც.<sup>59</sup>

მაგრამ მაშინ, მისი აზრით, რუსეთისათვის თურქული რეგიონების წართმევის საშიშროების ნეიტრალიზაცია მოხერხდა. შემდეგ კეთდება კიდევ ერთი დასკვნა: “კასპიის ზღვის არსებული საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი, თუ გამოვრიცხავთ მტრულად განწყობილი სახელმწიფოების შეღწევას, უზრუნველყოფდა ორივე კასპიისპირა სახელმწიფოს - სსრკ და ირანის უსაფრთხოებას - აგრესიული პანთურქიზმის პოტენციურ თბიექტებს.”<sup>60</sup>

თავისი მსჯელობის შეჯერებისას ი. ბარსეგოვი განაცხადებს: “კასპიის ზღვის რეგიონში სსრკ დაშლის შემდეგ იუველირული სიზუსტით მეორდება მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ პირველი კატაკლიზმის შემდეგ, რომელიც დაკავშირებული იყო 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებასთან და რუსეთის იმპერიის დანგრევასთან.”<sup>61</sup>

1917 წლის შემდეგ მიღებულ იქნა ქმედითი ზომები რეგიონში ახალი რეჟიმის გასამტკიცებლად. ჯერ კიდევ 1921 წლის ხელშეკრულების ხელმოწერამდე გამოჩნდა საბჭოების მიმართვა “სპარსელი ხალხისა და სპარსეთის ხელისუფლებისადმი. 1919 წლის 26 ივნისი.”<sup>62</sup> მასში ნათქვამი იყო, რომ “კასპიის ზღვა გამოცხადდება თავისუფლად სპარსეთის დროშით მცურავი ხომალდებისათვის.”<sup>63</sup> ამის შემდეგ მალევე მიღებულ იქნა რსფსრ სგსკ (საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის) 1919 წლის

<sup>57</sup> იხ. Барсегов Ю.Г. Каспий в международном праве и мировой политике. М., 1998. с. 13.

<sup>58</sup> იქვე, გვ.14

<sup>59</sup> იქვე

<sup>60</sup> იქვე, გვ.15

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იხ. Тузмухамедов Р.А. Советско-иранские отношения (1917—1921). М., 1960. с. 30.

<sup>63</sup> იხ. Советско-иранские соглашения в договорах, конвенциях и соглашениях. Издательство МИД СССР, М., 1946. С. 66.

30 აგვისტოს ანალოგიური შინაარსის მიმართვა სპარსეთის მუშებისა და გლეხებისადმი.<sup>64</sup>

1920 წლის აპრილში განხორციელებულ იქნა აზერბაიჯანის გასაბჭოება. საბჭოთა რუსეთმა და სპარსეთმა მოილაპარაკეს იმის შესახებ, რომ კასპიის ზღვაზე და მიმდებარე ტერიტორიებზე უცხოელები მეტი არანაირი მიზეზით აღარ აღმოჩნდებიან.<sup>65</sup> ამას მოწმობებ 1921 წლის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები (მუხ. 6-7). სანაცვლოდ ირანმა მიიღო იმის გარანტიები, რომ ის არ იქნებოდა ოკუპირებული რუსეთის მიერ. როგორც ჩანს, სავარაუდოდ ამ ხელშეკრულების ძალით საბჭოთა ჯარები მეორე მსოფლიო ომის დროს იმყოფებოდნენ ირანში.<sup>66</sup>

1921წ. ხელშეკრულება უპირველეს ყოვლისა ახდენდა (მუხ. 1) სპარსეთსა და მეფის მთავრობას შორის დადებული ყველა იმ ხელშეკრულების, შეთანხმების და კონცესიის მიერ კანონიერი ძალის დაკარგვას, რომელიც ლახავდნენ ირანელი ხალხის უფლებებს.<sup>67</sup> ხელშეკრულებამ განსაზღვრა თანასწორობის პრინციპი, როგორც ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების საფუძველი.<sup>68</sup>

მხარეებმა შეთანხმებს 1881 წლის შემათანხმებელი კომისიის მიერ დადგენილი (მუხ. 3) რუსეთ-სპარსეთის საზღვრის პატივისცემის უფლება, მაგრამ კასპიის ზღვის წყლებში საზღვრის განსაზღვრის გარეშე. მუხ. 8-ის შესაბამისად გაუქმებულ იქნა საკონსულო იურისდიქცია, ამით რუსეთი უარ ამბობდა სამხედრო უპირატესობის შედეგად მიღებულ კონომიკურ პრივილეგიებზე, იმ სესხებზე უფლებების ჩათვლით, რომლებიც თავის დროზე მიეცა სპარსეთს მეფის ხელისუფლების მიერ.<sup>69</sup>

ცნობილია, რომ 1917 წლის გადატრიალებამდე კონცესიები თვეზჭერაზე რუსეთის ქვეშევრდომთა ხელში იმყოფებოდა.<sup>70</sup> ხელშეკრულებამ ბოლო მოუღო ასეთ მდგომარეობას და მისცა ირანის მხარეს თვეზჭერის უფლება, რაც განისაზღვრებოდა დამატებითი შეთანხმებებით (მუხ. 14). ამ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ნაოსნობას და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემებს.

<sup>64</sup> იქვე გვ. 70.

<sup>65</sup> იხ. Парвизпур Б.Х. Великий Октябрь и суверенитет Ирана. Тбилиси, 1984. с. 13-14.

<sup>66</sup> თანახმად მუხ. 6, საბჭოთა რუსეთმა მიიღო ირანში ჯარების შეუგანის უფლება მისი საკუთარი საზღვრებისა და მისი მოკავშირების ტერიტორიისათვის საშიშროების წარმოქმნის შემთხვევაში. ეს იყო თავისი მნიშვნელობით საბჭოთა მხარის განსაკუთრებული პოლიტიკური უპირატესობა, რომელიც საშუალებას აძლევდა მას თავისი შეხედულებისამებრ ჩაეტარებინა ირანის ტერიტორიაზე პრევენციული სამხედრო აქციები (რეიდები, ჯარების შევება და ა.შ.), თუ ამას ამიერკავკასიის ან თურქმენეთის უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვდა.

<sup>67</sup> იხ. Аскеров Э.И. Принципы мира, дружбы и сотрудничества СССР с народами стран Востока (Турция, Иран, Афганистан). М., 1969. С. 4, 11.

<sup>68</sup> იხ. Vinogradov S., wouters P. The Caspian Sea: Current Legal Problems|| Zeitschrift fur auslandisches öffentliches Recht und Völkerrecht. Symposium Paper. Heidelberg., 26 – 28 January 1995. Pp. 607 – 608.

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> იხ. Мамедов Р.Ф. Правовое регулирование советско-иранских отношений в области рыболовства в Каспийском море // Международно-правовые формы сотрудничества социалистических и развивающихся стран. Баку: Азерб. Госуниверситет, 1987. с. 37-38.

მუხ. 11-ის მიხედვით სპარსეთს მიეცა კასპიის ზღვაზე ფლოტის ყოლის უფლება იგივე პირობებით, როგორც რუსეთს;<sup>71</sup> “შეთანხმებაში მონაწილე ორივე უმაღლესი მხარე თანახმაა, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ისინი თანაბრად ისარგებლებენ კასპიის ზღვაზე საკუთარი დროშით თავისუფალი ზღვაოსნობის უფლებით.”<sup>72</sup>

რაც შეეხება კასპიისპირა სახელმწიფოების უსაფრთხოებას (რუსეთი და სპარსეთი), მითითებანი ამ მხრივ არის მუხლებში 6 და 7. კერძოდ, მუხ. 6 ახდენს რუსეთის უფლების კონსტატაციას შეიყვანოს სპარსეთში ჯარი, იმ შემთხვევაში, თუ მესამე სახელმწიფოები ეცდებიან სპარსეთის ტერიტორია აქციონ ბაზად საზღვრების გადალახვისა და რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო გამოსვლებისთვის.

ხოლო მუხლი 7 ანგითარებს მესამე სახელმწიფოების კასპიის ზღვაზე დაუშვებლობის იდეას. აღნიშნული დებულება ამბობს, რომ “თუ სპარსეთის ფლოტის ხომალდების ეკიპაჟების შემაღებლობაში აღმოჩნდებიან მესამე სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომელნიც გამოიყენებენ თავის ყოფნას სპარსეთის ფლოტში რუსეთის მიმართ არამეგობრული დამოკიდებულების მიზნით, რუსეთის საბჭოთა მთავრობას ექნება უფლება მოსთხოვოს სპარსეთის მთავრობას მითითებული მაგნე ელემენტების მოცილება.”<sup>73</sup>

დაბოლოს, თანახმად მუხ. 3 რუსეთმა დაუთმო სპარსეთს ირანული კუნძული აშურადეპი, ხოლო მუხ. 10-ს მიხედვით - ნავსადგურ ენზელის მოწყობილობა.

(გ) საბჭოთა კავშირ - ირანის სხვა ხელშეკრულებები. ზოგადი დასკვნები

1921 წლის ხელშეკრულების მუხ. 14-ის გასავითარებლად 1927 წლის 1 ოქტომბერს სსრკ და ირანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს თევზის რესურსების ექსპლუატაციის შესახებ. ამ დოკუმენტის შესაბამისად შეიქმნა შერეული საბჭოთა კავშირ-ირანული თევზისაჭერი კომპანია კასპიის ზღვის ბიორესურსების დამუშავების კონცესიებით 25 წლის განმავლობაში.<sup>74</sup> კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ ირანმა არ ისურვა მისი გაგრძელება და შეთანხმებამ დაკარგა იურიდიული ძალა. შეთანხმებამ ვერანაირი სპეციალური

<sup>71</sup> იბ. Документы внешней политики СССР. Т. III. М., 1959. с. 538-539.

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> იქვე.

<sup>74</sup> იბ. Мамедов Р.Ф. Правовое регулирование советско-иранских отношений в области рыболовства в Каспийском море, Баку 1989. с. 40.

წვლილი ვერ შეიტანა კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის განვითარების საქმეში და შუალედურ დოკუმენტად იქცა.<sup>75</sup>

საერთაშორისო სამართლის შესახებ უცხოურ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ საბჭოთა პერიოდის სახელშეკრულებო პრაქტიკით სავსებით განსაზღვრულ სტატუსზე. სტატუსთან დაკავშირებული საკითხები ასახულია დიპლომატიურ მიმოწერაშიც. ასე მაგალითად, უკვე პირველი ოფიციალური ნოტების შინაარსში, რომლებიც გაცვალეს სსრკ და სპარსეთის მთავრობებმა ფეხლევის ნავსადგურის შესახებ (1 ოქტომბერი 1927) ხაზგასმული იყო, რომ კასპიის ზღვა საბჭოთა კავშირ-ირანულ ზღვას<sup>77</sup> წარმოადგენს, რომელიც ხელმისაწვდომია ორივე მხარისათვის. შედარებისათვის - XIX საუკუნის სახელშეკრულებო პრაქტიკა იხილავდა მას მხოლოდ როგორც რუსულ ზღვას. 1931 წლის დასახლების, ვაჭრობის და ზღვაოსნობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ირანული კონვენციის მუხ. 16 შესაბამისად აღნიშნული იყო, რომ კასპიის ზღვის აუზში შეიძლება იმყოფებოდნენ მხოლოდ ზღვისპირა სახელმწიფოების ხომალდები. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ზღვა მაშინ დახურული იყო მესამე ქვეყნებისათვის.<sup>78</sup> 1935 წლის ხელშეკრულება ასეთივე სახელწოდებით და 1940 წლის ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ, აგრეთვე ორივე მხარის ნოტები მიღებული დოკუმენტების შესახებ გამომდინარეობდა ამ პოზიციიდან.<sup>79</sup>

კერძოდ, 1940 წლის 25 მარტის წერილებში კასპიის ზღვის შესახებ, რომლებიც გაცვალეს სსრკ და ირანის წარმომადგენლებმა ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, აღნიშნულია, რომ "...კასპიის ზღვა, რომელიც შეთანხმებაში მონაწილე ითვისებული მხარის მიერ განიხილება, როგორც საბჭოთა და ირანული ზღვა, შეთანხმებაში მონაწილე მხარეებისათვის წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს."<sup>80</sup>

1940 წლის ხელშეკრულებამ განავითარა პრინციპები, გამოცხადებული 1921 წლის ხელშეკრულებაში, რომ მხოლოდ ორი ზღვისპირა სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ გემებს აქვთ კასპიის ზღვაზე ცურვის უფლება, ხოლო უცხოური პერსონალი, რომელიც ამ გემებზე და ნავსადგურებში მუშაობს, თავის ქმედებებში შემოფარგლული უნდა იყოს კონტრაქტით განსაზღვრულ ფარგლებში. ხელშეკრულებაში ახალი იყო ის, რომ გათვალისწინებულ იქნა 10-

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> იხ. Pondaven Ph. Les lacs frontiere. P., 1971. p. 59-69.

<sup>77</sup> იხ. Документы внешней политики СССР. Т. III. М., 1959. с. 535-540.

<sup>78</sup> იქვე.

<sup>79</sup> იქვე.

<sup>80</sup> იხ. Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР с иностранными государствами. Вып. X. М., 1956. с. 71-72.

მიღიანი საზღვაო ზოლი, რომელსაც თუგზერის ზონა ეწოდება (მუხ. 11).<sup>81</sup>

არსებითად, შეთანხმების წესით იქნა განსაზღვრული ეროვნული და საერთაშორისო ზონები კასპიის ზღვაში. ეს მდგომარეობა ეჭვებეშ აყენებს პოზიციას, რომლის შესაბამისადაც 30-40-იანი წლების საბჭოთა კავშირ-ირანულმა სახელშეკრულებო პრაქტიკამ პირდაპირ განსაზღვრა ზღვის სტატუსი, როგორც კონდომინიმუმი, ანუ ერთობლივი სარგებლობის ზონა. 1921 - 1940 წლების ხელშეკრულებებით როგორიცა მსჯელობა იმაზე, თუ როგორი წყლის ობიექტზე შეათანხმეს თავისი პოზიციები მხარეებმა - ზღვაზე თუ ტბაზე; მხარეებმა იურიდიულად განსაზღვრეს ამ ობიექტის დახურულობის ფაქტორი და არა მისი მდგომარეობა. ხელშეკრულებებში საერთოდ არ იყო ლაპარაკი მისი წყლებისა და ფსკერის გამიჯვნაზე. მაგრამ იმდროინდელი სახელშეკრულებო პრაქტიკა არც ისახავდა მიზნად განესაზღვრა კასპიის ზღვის სტატუსი. ორმა ზღვისპირა სახელმწიფომ არჩია შეექმნათ უფრო კასპიის ზღვისათვის განსაკუთრებული, სპეციალური სტატუსი<sup>82</sup> და რეჟიმი, რომელიც პასუხობდა მათ სამხედრო - პოლიტიკურ დოქტრინებს, მაგრამ საერთაშორისო - სამართლებრივი თეორიის მკაცრ ჩარჩოებში განსაზღვრის გარეშე.<sup>83</sup>

ამგვარად, საბჭოთა რუსეთმა უარი თქვა კასპიის ზღვაზე თავის მონოპოლიურ უფლებაზე და 1921, 1935 და 1940 წწ. საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებები აძლევდა განსაკუთრებულ უფლებებს საზღვაო საქმიანობის განხორციელებაზე სსრკ და ირანს. ცნობილია, რომ 1935 წელს გამოცემულ იქნა შსსკ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის) შიდაუწყებრივი ბრძანება, რომელშიც ნახსენებია საზღვაო საზღვარი ასტარაპასანცულის<sup>84</sup> ზოლის გასწვრივ. ფაქტიურად სსრკ ამ ხაზის გასწვრივ ატარებდა სახელმწიფო საზღვარს. ირანის რეაქციას ამგვარ მდგომარეობაზე მოწმობს, მაგალითად, ირანის სსს (საგარეო საქმეთა სამინისტროს) ხოტა, გაგზავნილი 1976 წელს სსრკ საელჩოში თეირანში, რომელშიც ნათქვამია: “რომ არანაირი ხელშეკრულება, ან შეთანხმება, ან დადგენილი წესი ირანსა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირს შორის საზღვაო საზღვრის ხაზის შესახებ არ არსებობს.”<sup>85</sup>

მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, პრაქტიკულად ირანიც და სსრკ-ც იცავდნენ ამ პირობით საზღვარს ასტარაპასანცულის ზოლის გასწვრივ და ეს იქცა ორივე მხარის მიერ ურთიერთაღიარებულ ხორმად. საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებებით დადგენილი კასპიის ზღვის სტატუსი, როგორც საბჭოთა კავშირის და ირანის ზღვისა, პრაქტიკულად აღიარებულ იქნა სახელმწიფოთა საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

<sup>81</sup> იქნა.

<sup>82</sup> *sui generis* (ლათ.)

<sup>83</sup> იბ. Dabiri M.R. A New Approach for the Legal Regime of the Caspian Sea as a Basis for Peace and Development. Iranian Journal of International Affairs, 28-46 (Spring-Summer), 1994.

<sup>84</sup> იბ. A. Бугаев “Каспий: море или озеро?”, Махачкала, 1988, с. 20-21

<sup>85</sup> იქნა.

სტატუსის შესახებ ეს დებულებები მოკლედ ნიშნავს: ა) სსრკ და ირანს აქვთ სუვერენული უფლებები 10-მილიან<sup>86</sup> ზონაზე და თანაბარი უფლებები ზღვის დანარჩენ ნაწილზე; ბ) კასპიის ზღვა დახურულია დანარჩენი სახელმწიფოებისათვის, რაც გამორიცხავს საზღვაო საქმიანობიდან არაზღვისპირა სახელმწიფოებს, მათ კომპანიებს და ორგანიზაციებს.

70-იან წლებში საბჭოთა კავშირი შეუდგა კასპიის ზღვაზე ნავთობის საზღვაო საბადოების ათვისებას. კასპიის ზღვის სექტორი, რომელშიც აღმოჩნდა ყველაზე მსხვილი საბადოები - გიუნეშლი, შირაგი, აზერი და კიაპაზი - სსრკ ნავთობის მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით გადაეცა კასპსაზღნავთგაზის გაერთიანებას, რომლის სათანო სამმართველო აზერბაიჯანში იმყოფებოდა. კიაპაზის საბადოს აღმოსავლეთით არსებული სექტორი შესაბამისად გადაეცა თურქმენეთს. ყველა ამ საბადოს დამუშავება დაიწყო სსრკ არსებობის პერიოდში.

1991 წ. მიღებულ იქნა აზერბაიჯანის სსრ-ს და სსრკ ნავთობისა და გაზის მრეწველობის სამინისტროს<sup>87</sup> ერთობლივი დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ ნავთობისა და გაზის ოთხი მსხვილი საბადო აღმოჩნილია კასპიის ზღვის აზერბაიჯანულ ღრმაწყლისეულ სექტორში.

ზემოაღნიშნულის შეჯერებით შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლის რუსეთ-ირანის ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა განზრახვას წარმოადგენდა მათი დამოკიდებულების განსაზღვრა კასპიის ზღვის მიმართ არსებულ ისტორიულ და განსაკუთრებით გეოპოლიტიკურ კონტექსტში. 1921 წლის რუსეთ-ირანის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის კასპიისპირა ქვეყნებისათვის არსებითი იყო წინააღმდეგობა გაეწიათ ბრიტანეთის მცდელობისათვის კონტროლზე აეყვანა ნაოსნობა კასპიის ზღვაზე.<sup>88</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტმა დაადგინა ორი მეზობელი სახელმწიფოს კავშირი, მიმართული დასავლეთის სახელმწიფოების და მათი ტრანსეროვნული კომპანიების მხრიდან კასპიისპირა ზოლის, კერძოდ ქალაქ ბაქოს, ნავთობის სიმდიდრის ექსპლუატაციის მცდელობების აღკვეთისგან.

ხელშეკრულებამ გვერდი აუარა მთავარ საკითხს - კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრას, კერძოდ მასში სუვერენიტეტების დელიმიტაციის პრობლემას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მას არ განუსაზღვრავს ზღვისპირა სახელმწიფოების იურიდიული საზღვრები. რაც შეეხება უსაფრთხოების უზრუნველყოფას, შეიძლება აღინიშნოს სახელშეკრულებო პრაქტიკის და რეალური ცხოვრების შეუსაბამობა იმ პუნქტში, რომელიც ზღუდვდა კასპიის ზღვაში მცურავ ხომალდებზე მესამე ქვეყნების წარმომადგენელთა ყოფნას. მუხ. 7 ლოგიკით არ იკრძალება მესამე ქვეყნების მოქალაქეთა ყოფნა იმ შემთხვევაში, თუ

<sup>86</sup> მხედველობაშია საზღვაო მილი – 1850 მ.

<sup>87</sup> აზ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება №25/25, 1991წ. აზ. მთავრობის არქივი.

<sup>88</sup> იხ. Гиззатов В.Х. Каспийская нефть и международная безопасность // Каспийская нефть и международная безопасность. Вып.2. Материалы международной конференции. М., 1996. с. 52.

ისინი არ ეწევიან მტრულ საქმიანობას. საქმით კი მესამე ქვეყნების მოქალაქეები 1990-იან წლებამდე - ე.წ. “პერესტროიკამდე” - ვერც მოხვდნენ კასპიის ზღვაზე.<sup>89</sup>

იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში აღინიშნებოდა, რომ ახალი საერთაშორისო - სამართლებრივი სტატუსის გარკვევამდე კასპიისპირა სახელმწიფოები უნდა იცავდნენ 1921 წლის ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე მიღებული შემდგომი შეთანხმებების დებულებებს.<sup>90</sup> ეს პოზიცია ასახავს რუსეთისა და ირანის<sup>91</sup> სურვილს, და არა ახალი კასპიისპირა სახელმწიფოების ინტერესებს, აგრეთვე სხვა ქვეყნებისას, რომელნიც მონაწილეობენ კასპიის პროექტების რეალიზაციაში, - ესაა ინტერესები, რომელნიც შეიძლება მოთხოვნილ იქნას საერთაშორისო სამართლის თანამედროვე დებულებების ანალოგიის შესაბამისად.<sup>92</sup>

ამრიგად, 1921 წლის ხელშეკრულებას მკვეთრად არ განუსაზღვრავს კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი. შემდგომმა ხელშეკრულებებმა, კერძოდ 1931, 1935 და 1940 წწ., ასევე ვერ შეძლეს ამ საკითხის დაზუსტება და სამართლებრივი ვაკუუმის შევსება.<sup>93</sup> შესაბამისად, დღემდე არაა დადგენილი საზღვრები, არ არის დებულება მთავარი სანაოსნო მდინარეებისა და არხების შესახებ, არაა განსაზღვრული ნაოსნობის პრინციპი, მეტად ზედაპირულადაა მოხსენიებული თევზჭერის საკითხები, და ცხადად არ ჩანს, თუ როგორ უნდა იქნეს კვალიფიცირებული ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებები - ზღვისა თუ ტბის მიმართ.

<sup>89</sup> იქვე გვ. 53-54.

<sup>90</sup> ი. ზოგადად წყარო: <http://uchebnik-besplatno.com/uchebnik-geopolitika/pravovom-statuse-kaspiya.html>

<sup>91</sup> ი. ზოგადად მერზაკოვ იუ. По пути раздела Каспия. К Соглашению между Россией и Казахстаном о разграничении дна северной части Каспия // Нефть и газ Каспия. Аналитический журнал. 1998. с. 11.; Momtaz Djamchid. Quel régime pour la mer Caspienne? // Collection espaces et ressources maritimes. Droit et sciences numaines. Р., 1996, No. 10. Pp. 83—93; <http://uchebnik-besplatno.com/uchebnik-geopolitika/pravovom-statuse-kaspiya.html>

<sup>92</sup> ანალოგიისათვის გამოდგება UNCLOS (1982წ. გაერო-ს კონვენცია საერთაშორისო სამართლის შესახებ), რომელიც ითვალისწინებს არაზღვისპირა სახელმწიფოა უფლებას მიიღონ მონაწილეობა საზღვაო რესურსების ათვისება-განაწილებაში, ი. სქოლით 14 *supra*.

<sup>93</sup> ი. ხელშეკრულების შინაარსი: <http://historic.ru/books/item/f00/s00/z0000129/st036.shtml>; ი.

ზოგადად დოკ-თვ ვнеш. политики СССР, т. 3, 10, М., 1959-65; Сб. действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР с иностр. гос-вами, в. 17 -18, М., 1960.

## კარი II. კასპიისპირა სახელმწიფოთა პოზიცია კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის საკითხზე

თავი 1. სახელმწიფოთა პრაქტიკა 1991 წლის შემდგომ

(ა) სახელმწიფოთა პოზიციები (და მათი ურთიერთშესაბამისობა) 1991  
წლის შემდგომ

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიქმნა ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია: ორი კასპიისპირა სახელმწიფოს (სსრკ და ირანის) ნაცვლად წარმოიშვა ხუთი (დაემატა აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქმენეთი).

მაშინვე წამოიჭრა ამ სახელმწიფოთა დამოკიდებულების საკითხი კასპიის ზღვისადმი რუსეთი-ირანის სახელშეკრულებო პრაქტიკის მიმართ. ყველა ახალი კასპიისპირა სახელმწიფო ალაპარაკდა ამ სახელშეკრულებო პრაქტიკის და ასპექტების გადახედვის აუცილებლობის შესახებ, როგორც თანამედროვე დღის რეალიებისათვის და მათი ეროვნული ინტერესებისათვის შეუსაბამოსი: ეკონომიკურის, ენერგეტიკულის და პოლიტიკურის. რუსეთი და ირანი (უკანასკნელი ნაკლებ თანმიმდევრულად) გამოდიან 1921 და 1940 წლების ხელშეკრულებების იურიდიული ძალის შენარჩუნების სასარგებლოდ.

### ირანის პოზიცია

ირანის პოზიცია ყოველთვის ცალსახა არ ყოფილა. დროდადრო სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ამჟამინდელი რეჟიმის ჩათვლით, გამოდიოდნენ 1921 წლის საბაზო ხელშეკრულების დენონსაციის მომხრეებად. 1959 წელს იგეგმებოდა საბჭოთა კავშირ - ირანის ხელშეკრულება მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. მაგრამ ამის ნაცვლად 1959 წლის 5 მარტს ანკარაში ირანმა ხელი მოაწერა ორმხრივ სამხედრო ხელშეკრულებას აშშ-სთან 20 წლით მოქმედების ვადით.<sup>94</sup>

<sup>94</sup> ი. Внешняя политика стран Ближнего и Среднего Востока / Отв. ред. А.А. Кузенков, А.И. Чичеров. М., 1984. с. 67-68. ი. ასევე კასპიის ზღვაში დასავლური ნავთობის კომპანიების მიერ კვლევების ჩატარების ინიციატივაზე ირანის ცვალებადი პოზიციის შესახებ:

[http://dic.academic.ru/dic.nsf/dic\\_diplomatic/1152/%D0%A1%D0%9E%D0%92%D0%95%D0%A2%D0%A1%D0%9A%D0%9E](http://dic.academic.ru/dic.nsf/dic_diplomatic/1152/%D0%A1%D0%9E%D0%92%D0%95%D0%A2%D0%A1%D0%9A%D0%9E)

თუმცა ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმოქმნის შემდეგაც (1979 წ. თებერვალი) მის მიერ წამოყენებული იქნა 1921 წლის ხელშეკრულების დენონსაციის საკითხი (განსაკუთრებით მუხ. 5-6). იირ სსს თავის 1979 წლის 11 ნოემბრის ნოტაში 453\17640\18<sup>95</sup> განაცხადა, რომ ისლამური რესპუბლიკის საბჭოში მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადებულ იქნეს 1921 წლის ხელშეკრულების მუხლების 5 და 6 მიერ არსის დაკარგვისა და მათი მოქმედების გაუქმების შესახებ.

ირანის ნოტის მეორე და მესამე ნაწილებში მითითებული იყო, რომ ირანის მთავრობა, 1921 წლის ხელშეკრულების მუხლებით 5 და 6 გათვალისწინებული პირობების არსებითი ცვლილების გამო,<sup>96</sup> გაეროს დებულების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, ამ მუხლებს ძალადაკარგულად აცხადებს. ამავე სულისკვეთებით, ასახავდა რა სრულად თავისი მთავრობის პოლიტიკას, გაზეთი “ჯომჰურიე ესლამი” (1983 წლის 31 მაისი) 1921 წლის ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლებიდან გამომდინარე საბჭოთა კავშირის უფლებას კვალიფიკაციას აძლევდა, როგორც მისი დამპურობლური გეგმების განხორციელების საშუალებას.<sup>97</sup>

თუმცა, რამდენად არის ეს პოზიცია სამართლებრივად გამყარებული ძნელი სათქმელია, ვინაიდან ირანი მეტად ზოგადი მიუთითებს ხელშეკრულების ერთ ნაწილთან დაკავშირებული გარემოების ცვლილებაზე.<sup>98</sup>.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ვენის 1969წ. კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებიდან (მთლიანად და არა ნაწილი მუხლების მიმართ) გამოსვლის შესაძლებლობას პირობების არსებითი ცვლილებების გამო (მუხ. 62), არ მოქმედებს იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელიც ამოქმედდა ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე.<sup>99</sup>

ამჟამად ირანმა შეცვალა თავისი პოზიცია და ორიენტირებულია 1921 წლის ხელშეკრულებაზე. “აზერბაიჯანთან დაკავშირებულია ნამდვილი და პოტენციური საფრთხე რუსეთის უროვნელი უსაფრთხოებისათვის კავკასიაში. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის ახლანდელი ხელმძღვანელები ტაქტიკურად გამოხატავენ თავის ურთგულებას რუსეთისადმი, მათი სამხედრო - პოლიტიკური სტრატეგიული ხაზი მიმართულია დასავლეთისაკენ”<sup>100</sup>.

<sup>95</sup> ი. აлександра Блохина: Советско-иранский договор от 26 февраля 1921 г., წ. 587. <http://www.ia-centr.ru/archive/comments5d30.html?id=587>.

<sup>96</sup> rebus sic stantibus პრინციპის თანახმად, ანუ გარემოებათა ძირებული ცვლილება (ლათ.)

<sup>97</sup> ი. ჩინაშვili გ. Извращенное освещение советско-иранских отношений на страницах “Джомхурийе эслами” // Исламская Республика Иран за пять лет: Специальный бюллетень. М., 1985. с. 201

<sup>98</sup> ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია და ჩამოყალიბდა ირანის ისლამური რესპუბლიკა, ი. ზოგადად:

[http://iran.ru/news/culture/85912/V\\_Irane\\_opublikovana\\_kniga\\_Islamskaya\\_revolyuciya\\_s\\_tochki\\_zreniy\\_a\\_rossiyskih\\_mysliteley](http://iran.ru/news/culture/85912/V_Irane_opublikovana_kniga_Islamskaya_revolyuciya_s_tochki_zreniy_a_rossiyskih_mysliteley)

<sup>99</sup> ი. წ. წ. [http://untreaty.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1\\_1\\_1969.pdf](http://untreaty.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_1_1969.pdf)

<sup>100</sup> ი. კასем მალეკი. Политика нефти на Кавказе // Аму-Дарья, №3, 1999. с. 81.

ირანი უპირატესობას ანიჭებს კასპიის ზღვის საერთო სარგებლობაში შენარჩუნებას კონდომინიმუმის პრინციპით. ერთდროულად თეირანი აცხადებს, რომ მზადაა დათანხმდეს კასპიის ზღვის გაყოფაზე ეროვნულ სექტორებად, ოდონდ თანაბარი წილების (20 – 20-ი პროცენტის) პირობით.<sup>101</sup> თუმცა რუსეთსა და ირანს შორის უნდობლობის ფაქტორი უოველთვის არსებობდა.<sup>102</sup>

2001 წლის 12 მარტს მიღებულ იქნა რუსეთ-ირანის ერთობლივი განცხადება, რომელშიც საგანგებოდ ხაზგასმული იყო, რომ კასპიის ზღვის სამართლებრივი რეჟიმის გაუმჯობესებამდე ორივე მხარე არ ცნობს ოფიციალურად არანაირ საზღვრებს ამ ზღვაზე და აღნიშნული საფუძვლის გათვალისწინებით, ავითარებენ თანამშრომლობას კასპიის ზღვაზე სხვადასხვა დარგებში აუცილებელი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავების მეშვეობით. ყურადღებას იქცევს ერთობლივ განცხადებაში დაფიქსირებული კონსენსუსის პრინციპი, როდესაც ყველა გადაწყვეტილებას და შეთანხმებას, რომელიც შეეხება კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსს და მისი რესურსების გამოყენების რეჟიმს, ძალა ექნებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიღებული იქნება ხუთი კასპიისპირა სახელმწიფოს საერთო თანხმობით.<sup>103</sup>

რუსეთ-ირანის ერთობლივმა განცხადებამ კასპიის ზღვის შესახებ გამოიწვია ნეგატიური რეაქცია ყაზახეთსა და აზერბაიჯანში: ზღვაზე არანაირი საზღვრების ოფიციალური არ აღიარება არ ეთანხმება რუსეთ-ყაზახეთის და რუსეთ-აზერბაიჯანის შეთანხმებებს, რომელთა თანახმადაც მხარეების მიერ მიღებულია ზღვის ფსკერის გამიჯვნა სექტორებად.<sup>104</sup>

შეკითხვების მოსახსნელად რუსეთის მხარემ განმარტა, რომ რუსეთ-ირანის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამი იყო მხოლოდ კასპიის ზღვაზე სახელმწიფო საზღვრების არ აღიარებაზე და რომ რუსეთი და ირანი ზღვის, როგორც სახელმწიფო ტერიტორიების ნაწილის, სახელმწიფო სექტორებად დაყოფის წინააღმდეგნი არიან. ასეთი მიდგომა, როგორც განცხადებული იყო, არ ნიშნავს რუსეთის მხრიდან ფსკერის მიხედვით გამიჯვნაზე უარის თქმას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია არა სახელმწიფო საზღვარზე, არამედ მხოლოდ რესურსულ ხაზზე.<sup>105</sup> საერთაშორისო პრაქტიკაში ამგვარ პრეცედენტებს ადგილი აქვთ, მაგალითად მაშინ, როდესაც საუბრობენ ეკონომიკური ზონის საზღვარზე.

<sup>101</sup> ob. Ian Brownlie, The Principles of Public International Law, Oxford: Oxford University Press, 1998.

<sup>102</sup> ზოგადად: <http://news.iran.ru/news/80544/>.

<sup>103</sup> ob. განცხადების ტექსტი: <http://archive.kremlin.ru/text/docs/2001/03/134984.shtml>.

<sup>104</sup> ასეთი რეაქცია დაკავშირებულია იმასთან, რომ სამი თვით ადრე, 2001წ. იანვარში რუსეთმა, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კასპიის ზღვის ფსკერის ჩრდილოეთი ნაწილის გამიჯვნის შესახებ, იბ. Обозреватель-Observer, 4/2009, p.76: [http://www.rau.su/observer/N4\\_2009/070\\_079.pdf](http://www.rau.su/observer/N4_2009/070_079.pdf)

<sup>105</sup> ob. სქოლით 436 *infra*.

სამართლიანად გვეჩვენება ირანის პოზიციის ანალიზი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით: პოლიტიკური ირანი თავის ურთიერთობებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, მათ მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, აგებდა კასპიის ზღვის იმ სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, რომელიც განისაზღვრა საბჭოთა კავშირის დროს. ის მოითხოვდა კასპიის ზღვის რესურსების ერთობლივ გამოყენებას. ირანმა ვერ მოახერხა ესარგებლა თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდგომარეობით და უზრუნველეყო ახალ პირობებში თავისი ინტერესების დაცვა.”<sup>106</sup> ამ დროს გრძელდებოდა დაპირისპირება ირანსა და ამერიკას შორის, რომელიც იყენებდა მთელ თავის საშუალებებს ირანის მიმართ ალაგმვის პოლიტიკის გატარებაზე, რის შედეგად ირანი დაეყრდნო თავის ქმედებებში რუსეთის ფედერაციას. როდესაც რუსეთის პოზიცია კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პრობლემის მიმართ შეიცვალა და მან დააყენა საკითხი რესურსების ზღვის ფსკერის მიხედვით გაყოფის შესახებ, ირანმა შესთავაზა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის საკუთარი ვარიანტი – რითაც ირანმა მნიშვნელოვანწილად თვითონ შეიზღუდა სამართლებრივ ვარიანტებს შორის ლავირებისა და არჩევანის გაკეთების საშუალება.<sup>107</sup>

იმ პირობებში, როდესაც რუსეთი, აზერბაიჯანი და ყაზახეთი შეუდგნენ საბადოების გაყოფას ზღვის ფსკერის ქვეშ, ირანი ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა მსგავს გაყოფას, ირანი ბოლო ათწლეულის მანძილზე არ უთმობდა დიდ ყურადღებას კონსტრუქციულ თანამშრომლობას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, არ იქნა ჩაყრილი მათთან მტკიცე კავშირების დამყარების სამირკველი. როგორც ჩანს, ყველაზე დიდი ზარალი ბოლო ათი წლის განმავლობაში კასპიის ზღვის რაიონში მომხდარი მოვლენებისაგან მიიღო სწორად ირანმა.<sup>108</sup>

ამ ზარალის მოცულობა უფრო ცხადი ხდება, თუ გავითვალისწინებთ სამი სახელმწიფოს - რუსეთის, ყაზახეთის და აზერბაიჯანის, კასპიის ზღვის ფსკერის ქვეშ რესურსების გაყოფის შესახებ სამმხრივი შეთანხმების<sup>109</sup> მიღწევის მცდელობებს. საგარეო პოლიტიკაში სავსებით ცხადის უარყოფა მხოლოდ მცირე ხნის მანძილზეა შესაძლებელი. ადრე თუ გვიან საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობა ყველასათვის ცნობილი გახდება.<sup>110</sup>

<sup>106</sup> დოქტორ ალაპა ყულაი, თეირანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დაქტორი, ირანის მეჯლისის დეპუტატი: კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის გამოცნა; გაზეთი “ჰაშაპრი”, 29 ოქტომბერი 2002 წ., წერო:

<http://www.centrasia.ru/newsA.php?st=1036101420>

<sup>107</sup> იქვე

<sup>108</sup> იქვე

<sup>109</sup> ი. წყარო:

[http://www.iran.ru/news/analytics/80544/Kaspiyskoe\\_more\\_Rossiya\\_i\\_Iran\\_obrecheny\\_na\\_soyuznye\\_ot\\_noshemiy](http://www.iran.ru/news/analytics/80544/Kaspiyskoe_more_Rossiya_i_Iran_obrecheny_na_soyuznye_ot_noshemiy)

<sup>110</sup> ი. სქოლით 106 *supra*

## რუსეთის პოზიცია

რუსეთი გამოდის იქიდან, რომ კასპიის ზღვა არის უნიკალური შიდა კონტინენტური წყალსატევი, რომელზედაც არ ვრცელდება წმინდა სახით არც საზღვაო სამართლის გაეროს კონვენცია, არც საერთაშორისო პრაქტიკით მიღებული ტბების გაყოფის პრინციპები. თავდაპირველად რუსეთი (ისევე, როგორც ირანი) გამოდიოდა იმის მომხრედ, რომ კონვენციამ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ გაავრცელოს საერთო სარგებლობის რეჟიმი მისი ფსკერის მინერალურ რესურსებზეც.

1996 წელს რუსეთმა წამოაყენა კასპიისპირა სახელმწიფოებისათვის 45-მილიანი სანაპირო ზონების დადგენის კომპრომისული წინადადება, მათ ფარგლებს გარეთ მდებარე ასათვისებელი რესურსული ნაკვეთების თავზე “წერტილოვანი იურისდიქციით”.<sup>111</sup> მაშინ ამ წინადადებას მხარდაჭერა არ ჰქონია.

ამიტომ რუსეთი გამოვიდა კასპიის ზღვის ფსკერის გამიჯვნის ახალი კომპრომისული ინიციატივით მოსაზღვრე და საწინააღმდეგოდ მდებარე სახელმწიფოებს შორის მოდიფიცირებული შუა ხაზის მიხედვით, წიაღსარგებლობის უფლების განხორციელების მიზნით წყლის სივრცის საერთო სარგებლობაში შენარჩუნებისას, ნაოსნობის თავისუფლების, თევზჭერის შეთანხმებული ნორმების და გარემოს დაცვის უზრუნველყოფით.<sup>112</sup>

რუსეთის მიდგომაში პრინციპიალურად რჩება პირველ რიგში წყლის ზედაპირისა და სისქის საერთო სარგებლობაში დარჩენა. ეროვნულ სექტორებად იყოფა მხოლოდ ფსკერი. მეორე რიგში, შემოთავაზებულია საკამათო საბადოების გაყოფის ჩატარება პრინციპით 50:50, ანუ ერთ-ერთი პრეტენდენტი მხარე მეორე მხარეს, რომელმაც დაიწყო საკამათო საბადოს ათვისება, უნაზღაურებს საბადოს გამოკვლევაზე და ათვისებაზე გაწეული დანახარჯების ნახევარს და უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს შემდგომ სამუშაოებში. მესამე რიგში, რუსეთი სთავაზობს კასპიის ზღვის სტრატეგიულ-ეკონომიკური ცენტრის შექმნას, რომლის ფარგლებშიც გადაწყდება ეკოლოგიის, ნაოსნობის, თევზჭერის და ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციის საკითხები.<sup>113</sup>

1998 წელს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება რუსეთსა და ყაზახეთს შორის კასპიის ზღვის ფსკერის ჩრდილოეთ ნაწილის გამიჯვნის შესახებ<sup>114</sup>. ფსკერის მოდიფიცირებული შუა ხაზის მიხედვით გამიჯვნის

<sup>111</sup> იბ. Merzliakov Iu. Legal Status of the Caspian Sea // Millennium Journal of International Studies.

1999. №45 (1).

<sup>112</sup> იბ. სქოლით 106 და 109 *supra*.

<sup>113</sup> იბ. Багиров А. Можна ли наконец поделить Каспий? // Российская газета. – 1999.

<sup>114</sup> ამჟამად გატარებულია დიდი სამუშაო მოდიფიცირებული შუა ხაზის გეოგრაფიული წარმოშობის საკითხის შეთანხმების მხრივ. ამ დროს რუსეთი და ყაზახეთი შეუდგნენ იმ საბადოების დამოუკიდებლად ათვისებას, რომელიც განლაგებული არიან გამიჯვნის ხაზის სავარაუდო გაფლის რაიონებში. 2000 წლის 9 ოქტომბერს ასტანაში ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას კასპიის ზღვაზე

პრინციპი - ეს გაყოფის ის პრინციპია, რომელზეც მზადაა წავიდეს რუსეთი. დასაშვებია, აგრეთვე, შეთანხმებული სიგანის ორი სანაპირო ზოლის დადგენა: 12-მილიანი - სასაზღვრო, საბაჟო, სანიტარული და სხვა სახის კონტროლის განსახორციელებლად; 20-მილიანი შესაბამისი ზღვისპირა ქვეყნის დროშით თევზჭერისათვის.

მხარეთა მიღებობებში შენარჩუნებული სერიოზული განსხვავების გათვალისწინებით (და კონსენსუსის საფუძველზე სტატუსის განახლების კონტექსტში) რუსეთის მხარე თვლის, რომ კასპიის ზღვის სტატუსის პრობლემის გადაწყვეტაში წინსვლა ეტაპობრივად უნდა ხდებოდეს, დაწყებული ფსკერის გამიჯვნიდან წიაღსარგებლობის მიზნით, ამასთან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკოლოგიური სიტუაციის გამოსწორებას, ბიორესურსების შენარჩუნების პრობლემას, ნაოსნობის და თევზჭერის პრინციპების შეთანხმებას. სტატუსის შესახებ შეთანხმების გამომუშავება, მოსკოვის აზრით, შეიძლება წარმოებდეს პარალელურად, ან ზემოთ დასახელებული ყველაზე გადაუდებელი პრობლემების გადაწყვეტის შემდეგ. ამ პოზიციისაკენ იხრებიან ყაზახეთი და აზერბაიჯანი. ინტერესი ასეთი მიღების მიმართ ბოლო დროს ირანმაც გამოავლინა. ამგვარად, რუსეთის პოზიციაა - კასპიის ზღვის, როგორც განსაკუთრებული დახურული წყალსატევის სასარგებლოდ; ამ დროს წყლის სივრცე აღიქმება სანაპირო სახელმწიფოთა საერთო სარგებლობაში, ხოლო ზღვა მთლიანობაში დანარჩენი მსოფლიოსათვის დახურული სტატუსის მქონედ.<sup>115</sup>

### აზერბაიჯანის პოზიცია

აზერბაიჯანი თავდაპირველად ატარებდა კასპიის ზღვის როგორც სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილის ეროვნულ სექტორებად გაყოფის ხაზს, რაც დაფიქსირებულ იქნა 1995 წლის აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში. ეროვნული სექტორი იმყოფება რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის ქვეშ და მოიცავს ფსკერს, წყლის სისქეს და ზედაპირს, აგრეთვე საპატიო სივრცეს.

ამას საფუძვლად ედება ზემოთ ხსენებული 18.01.1991 წ. აზერბაიჯანის სსრ და სსრკ ნავთობისა და გაზის მრეწველობის სამინისტროს ერთობლივი დადგენილება, რომლის თანახმად ნავთობისა და გაზის ოთხი მსხვილი საბადო მიჩნეულია აღმოჩენილად კასპიის ზღვის აზერბაიჯანულ სექტორში, რომელთა ათვისებისათვის შეიქმნა ერთობლივი საწარმო “კასპორნეფტეგაზი”. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს არის უწყებრივი ხასიათის დოკუმენტი, რომელიც ვერ განსაზღვრავს სასაზღვრო დელიმიტაციის საკითხებს. ხოლო ამ დარგში

თანამშრომლობის შესახებ. უფრო დაწერილებით იხ. წინამდებარე ნაშრომი კარი IV, თავი 2.

<sup>115</sup> იქვე

გადაწყვეტილებების მიღების პრეროგატივა ეკუთვნოდა სსრკ უზენაეს საბჭოს.<sup>116</sup>

ბოლო დროს აზერბაიჯანის პოზიციაში ცვლილებები მოხდა, რამაც ასახვა ჰქონდა ვ. პუტინის და გ. ალიევის მიერ 2001 წლის 9 იანვარს ბაქოში ხელმოწერილი კასპიის ზღვის შესახებ ერთობლივ განცხადებაში. მასში, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ პირველ ეტაპზე შემოთავაზებულ იქნა კასპიის ზღვის ფსკერის გამიჯვნა სექტორებად\ზონებად მოდიფიცირებული შუა ხაზის მიხედვით, საერთაშორისო სამართლის საზოგადოდ აღიარებული პრინციპებისა და კასპიის ზღვაზე ჩამოყალიბებული პრაქტიკის გათვალისწინებით.<sup>117</sup>

აზერბაიჯანის პოზიციაა - ცალკეულ, შესაბამის სექტორებად განცალკევებული სარგებლობის შემოღებაზე.<sup>118</sup> ასეთი გაყოფის სამართლებრივი ფორმის საკითხი განიხილება კასპიის ზღვის სტატუსის ხედვაში, როგორც საერთაშორისო ტბისა მსოფლიო ოკეანეში გასასვლელის გარეშე, რომელიც განაწილებული იქნება ტერიტორიულ სექტორებად სახმელეთო საზღვრების გავლის ხაზების გაგრძელებათა შუა ხაზთან გადაკვეთამდე.

ასეთი სამართლებრივი ფორმის დასაბუთებისათვის მოყვანილია დადგენილებები, მიღებული სსრკ არსებობის პერიოდში. შესაბამისი სექტორი აზერბაიჯანის კონსტიტუციის მიხედვით შედის ამ სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენლობაში. ასეთი სამართლებრივი ფორმის დასაბუთებისას აზერბაიჯანი იმოწმებს მსოფლიოს სხვა სასაზღვრო ტბების ანალოგიურ რეჟიმებს, მაგალითად ონგრარიოს ტბის, რომელიც გაყოფილია აშშ და კანადას შორის; ჩადის ტბის, გაყოფილი ნიგერიას, ჩადს, კამერუნსა და ნიგერს შორის; შენევის ტბის - საფრანგეთს და შვეიცარიას შორის და სხვ.<sup>119</sup>

ასეთ ტბებში გატარებულია ფიქსირებული სამიჯნე ხაზები და თითოეული სახელმწიფო სარგებლობს ტბის თავის ნაწილში საკუთრების მონოპოლიური უფლებით.

როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობის მიღებისთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ სსრკ დროს ის ახორციელებდა ნავთობის საბადოების დამუშავებას თავისი სანაპიროს სიახლოებებს, დააფიქსირა თავის 1992 წლის კონსტიტუციაში ამ საბადოებზე საკუთრების უფლება. აზერბაიჯანმა თავი უფლებამოსილად ჩათვალა კასპიის ზღვის ახალი სტატუსის არ არსებობის პირობებში შედგომოდა ენერგორესურსების მარაგების გამოყენებას უცხოურ კომპანიებთან ერთობლივად. რუსეთის მიერ ყაზახეთთან შეთანხმების

<sup>116</sup> იბ. Федоров Ю.Е. Правовой статус Каспийского моря. Исследование ЦМИ МГИМО №8, М., июнь 1996г., с.36.

<sup>117</sup> იბ. სქოლიო 104 *supra*

<sup>118</sup> ეს პოზიცია დაფიქსირებულია არაერთხელ, მ.შ. აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადებებში, იბ. Независимая газета. 21.10. 1995. С.3.

<sup>119</sup> იქვე

ხელმოწერის შემდეგ ზღვის ფსკერის ქვეშ საბადოების გაყოფის თაობაზე აზერბაიჯანი ასევე შეუერთდა ამ პროცესს.<sup>120</sup>

### ყაზახეთის პოზიცია

ყაზახეთს უჭირავს რუსეთთან ახლო მდგომი პოზიცია, რომელიც დაფიქსირებული იყო 1998 წლის რუსეთ-ყაზახეთის შეთანხმებაში კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის ფსკერის გამიჯვნის შესახებ და 2000 წლის დეკლარაციაში კასპიის ზღვაზე თანამშრომლობის შესახებ. თავიდან ყაზახეთმა განახორციელა იმ იდეის მხარდაჭერის მცდელობა, რომ კასპიის ზღვა უნდა განიხილებოდეს, როგორც ზღვა სრული მნიშვნელობით, დაკავშირებული მსოფლიო ოკეანესთან კოლგა-დონისა და კოლგა-ბალტიის არხებით.<sup>121</sup>

ფაქტიურად კი ყაზახეთმა დაიკავა ისეთივე პოზიცია, როგორც აზერბაიჯანმა. ყაზახეთი გამოვიდა სანაპიროების ახლოს მყოფ საბადოებზე თითოეული კასპიისპირა სახელმწიფოს მიერ მონოპოლიური კონტროლის მომხრედ. ყაზახეთმა მხარი დაუჭირა ზღვის ფსკერის ქვეშ ენერგორესურსების მარაგების გაყოფის რუსეთის წინადადებას და ამის შესახებ პირველი შეთანხმება ორ ქვეყნას შორის ხელმოწერილ იქნა 1998 წელს. ამ მომენტიდან დაიწყო ახალი ეტაპი კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ მოლაპარაკებებში, ვინაიდან რუსეთმაც და ყაზახეთმაც დააყენეს სამართლებრივ სტატუსში ორი ასპექტის საკითხი, ანუ იმის სტატუსის შესახებ, რაც ფსკერის ზემოთ იმყოფება და იმის, რაც ფსკერს ქვემოთად. სხვა სიტყვებით, ყველა რესურსი ფსკერს ზემოთ გამოიყენება ერთობლივად, ხოლო ფსკერს ქვემოთ მყოფი საბადოების შესახებ მიიღწევა შეთანხმება მათი გაყოფის შესახებ.<sup>122</sup>

### თურქმენეთის პოზიცია

ეს პოზიცია გარკვეული წინააღმდეგობრიობით გამოირჩევა. ერთის მხრივ თურქმენეთი გამოდის ირანის პოზიციის მხარდაჭერად, თანაბარი ოდენობით გაყოფის სასარგებლოდ.

2000 წლის 27 ნოემბერს თურქმენეთის პრეზიდენტმა და ირანის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა კასპიის ზღვის

<sup>120</sup> იბ. ზოგადად წყარო: <http://geobez.ru/index.php/arkhiv-nomerov/8-kategoriya-na-glavnoj/20-new-one>

<sup>121</sup> იქვე.

<sup>122</sup> იბ. ყაზახეთის ოფიციალური პოზიცია, ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე: [http://mfa.gov.kz/ru/#!/foreign-policy/aktualnyie\\_voprosyi\\_vneshney\\_politiki\\_kazahstana/pravovoy\\_status\\_kaspiyskogo\\_morya/](http://mfa.gov.kz/ru/#!/foreign-policy/aktualnyie_voprosyi_vneshney_politiki_kazahstana/pravovoy_status_kaspiyskogo_morya/);

იბ. ზოგადად ყაზახეთის სამთავრობო დირექტივა: [http://adilet.zan.kz/rus/docs/R940000295\\_](http://adilet.zan.kz/rus/docs/R940000295_)

საკითხებზე ალი ახანდა დაადასტურეს აშხაბადის და თეირანის პოზიციების სიახლოვე კასპიის ზღვის სტატუსის მიმართ.<sup>123</sup>

მეორეს მხრივ, თურქმენეთის კანონით სახელმწიფო საზღვრის შესახებ შემოტანილია 12 მილის სიგანის ტერიტორიული ზღვის ცნება, რაც შეესაბამება გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციას. პრეზიდენტის ბრძანებულებით “თურქმენეთის პრეზიდენტთან არსებული კასპიის ზღვის თურქმენული სექტორის ათვისების ეროვნული სამსახურის შექმნის შესახებ” კასპიის ზღვის “ეროვნული სექტორი” ოფიციალურად გამოცხადებულ იქნა თურქმენეთის განუყოფელ ნაწილად და დასმულ იქნა ამოცანა მისი სრული ყოველმხრივი ინტეგრაციისა ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში.<sup>124</sup>

თურქმენეთს გააჩნია სერიოზული უთანხმოება აზერბაიჯანთან უკვე აღმოჩენილი ნავთობის საბადოების გამო. როდესაც აზერბაიჯანისა და რუსეთის მთავრობების მიერ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება კიაპაზის საბადოს გამოყენების შესახებ, თურქმენეთის მხრიდან პროტესტის შედეგად იგი გაუქმდა. ბაქო და აშხაბადი კამათობენ აზერის და კიაპაზის საბადოების კუთვნილების შესახებ, თურქმენული ტრანსკონფიდენციალური - ხაზარის და სერდარის, და თვით საკითხის დაყენება გამორიცხავს საერთო სარგებლობის სტატუსს. ასევე არის კამათი საბადოთა ბლოკის ალოვდშარგდარაზ<sup>125</sup> მიმართ.

მალიან მძაფრი დებატებია მოსალოდნელი ცენტრალური (გეოლოგიური) სტრუქტურის გარშემო, რომელიც მოსკოვის, ასტანას და ბაქოს ინტერესების გადაკვეთაზე იმყოფება. არაა განსაზღვრული იალამოდსამურის თაღის კუთვნილება. აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ უნდა გაიყოს მეგასტრუქტურები, რომელებიც გადაჭიმულია ასეულ კილომეტრებზე და შეუძლიათ შეიჭრან მეზობელი სახელმწიფოს რესურსეულ ზონაში. თურქმენეთს გააჩნია ბუნებრივი გაზის დიდი მარაგები და ამან საჭმე მიიყვანა იქამდე, რომ ის არ ავლენს განსაკუთრებულ დაინტერესებას კასპიის ზღვის ენერგომატარებელი რესურსების ათვისებისადმი, მაგრამ თურქმენეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის ინტერესების გათვალისწინებით ის სათანადო ინტერესით უდგება აღნიშნულ პრობლემას.

<sup>123</sup> ი. ზოგადად Nugman Gulnar. The Legal Status of the Caspian Sea // Eurasian Studies. Spring, 1998, No. 13.

<sup>124</sup> ი. ზოგადად Yazdani Majid, "The Legal Regime of Closed Seas With Consideration of the Caspian Sea," Central Asia and the Caucasus Review, No. 14 (Summer 1996); ი. ასევე სქოლიო 120 *supra*

<sup>125</sup> ი. Журавлев А. Маневры вокруг "Каспийского пирога" // Правда. 1997. 29 августа — 1 сентября.

### (გ) პოზიციების ერთობლივი გამოხატულება და პრაქტიკა

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს “საერთაშორისო ჩვეულება, როგორც საყოველთაო პრაქტიკის დადასტურება, აღიარებული სამართლებრივი ნორმის სახით.”<sup>126</sup> გამომდინარე აქედან, ქვემოთ განიხილება კასპიისპირა სახელმწიფოების პრაქტიკა კასპიის ზღვის სტატუსის სამართლებრივი ელემენტების ფორმირების მიმართ.

დიდი ხნის მანძილზე სსრკ და ირანი კასპიის ზღვის ერთადეურთი სანაპირო სახელმწიფოები იყვნენ. სიტუაცია შეიცვალა სსრკ და მის მიერ რეგიონში შექმნილი სამართლებრივი მექანიზმების დემონტაჟის შემდეგ. კასპიის ზღვის პრობლემამ მწვავე ხასიათი შეიძინა მხოლოდ XX საუკუნის ზღვარზე.

“ცხადია, რომ გეოპოლიტიკური სიტუაციის შეცვლამ და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნამ კასპიის ზღვის რეგიონში განსაზღვრეს ინტერესების ახალი თანაფარდობა.” ამან მიიყვანა “კასპიის ზღვის რეგიონში საერთაშორისო ურთიერთობებში სერიოზული ცვლილებების შეტანის აუცილებლობამდე.”<sup>127</sup> სუვერენულმა კასპიისპირა სახელმწიფოებმა ცალმხრივად განაცხადეს კასპიის ზღვის ცალკეულ ნაწილებზე თავისი უფლებების შესახებ და მონიშნეს თავისი პრეტენზიები კასპიის ზღვის ეროვნულ ნაწილებზე.<sup>128</sup>

ყოველივე ეს იქცა კასპიისპირა სახელმწიფოების ახალი საერთაშორისო ურთიერთობების შექმნის წინაპირობად,<sup>129</sup> როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმალურად. დაწყებული 1992 წლიდან მიმდინარეობს მრავალმხრივი ურთიერთობების ფორმირების საბაბების, სტიმულების და მოტივების ძებნა კასპიის ზღვის სტატუსის და გამოყენების რეების საკითხებში, რაც პრაქტიკაში ნიშნავს ურთიერთმისადები გადაწყვეტილების მიღებას ნაოსნობის, თევზჭრის,

<sup>126</sup> საერთაშორისო სასამართლოს სტატუსი (ხრული დახახელებაა: “მართლმხაჭულების საერთაშორისო სასამართლო”)  
მუხლი 38

1. სასამართლო, რომელიც ვალდებულია გადაწყვიტოს მისთვის გადაცემული დავები საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, იყენებს: а) საერთაშორისო კონვენციებს, როგორც ზოგადს, ისე სპეციალურს, რომელიც ადგენენ მოდავე სახელმწიფოების მიერ აღიარებულ წესებს; ბ) საერთაშორისო ჩვეულება, როგორც საყოველთაო პრაქტიკის დადასტურება, აღიარებული სამართლებრივი ნორმის სახით; გ) სამართლის ზოგადი პრინციპები, აღიარებული ცივილიზებული ერების მიერ; დ) მუხ. 59 მოთითებული პირობით, სასამართლო გადაწყვეტილებანი და სხვადასხვა ერების საჯარო სამართლის ყველაზე კვალიფიცირებული სპეციალისტების დოქტრინები, სამართლებრივი ნორმების განსაზღვრისათვის დამხმარე საშუალების სახით.

წყარო: [http://www.icj-cij.org/icjwww/ibasicdocuments/ibasictext/ibasicstatute.htm#CHAPTER\\_II](http://www.icj-cij.org/icjwww/ibasicdocuments/ibasictext/ibasicstatute.htm#CHAPTER_II).

იხ. ზოგადად. Оппенгейм Л. "Международное право", 2003, РУДН, ред. В.С.Денисенко, гл. II.

<sup>127</sup> იხ. ზოგადად Yolbaps Kepbanov A. The new legal status of the Caspian sea is the basis of regional co-operation and stability// Journal of International Affairs. December 1997-1998. Vol. II. N4.

<sup>128</sup> იხ. Vinogradov S, Wouters P. The Caspian Sea: Quest for a New Legal Regime// Leiden Journal of International law. Vol. 9. 1996. p. 92-93.

<sup>129</sup> იხ. Чубченко Ю. Сепаратный раздел Каспийского моря // Коммерсантъ. 1998. 7 июля.

ბიორესურსების დაცვისა და გამოყენების, ეკოლოგიის და ეკონომიკის, განსაკუთრებით კარბოჰიდროგენების გიგანტური რესურსების გამოყენების სფეროში.

შეცვლილმა გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ უფრო აქტუალური გახდა კასპიის ზღვის სახელმწიფოთაშორისი კუთვნილების საკითხი, ამასთან კავშირში კი - საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პრობლემაც. არც ერთმა სუვერენულმა პოსტსაბჭოთა კასპიისპირა სახელმწიფომ, რუსეთის გამოკლებით (და არათანმიმდევრულად ირანმა), არ გამოავლინა კასპიის ზღვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ირანულ სახელშეკრულებო ბაზის (1921 - 1940 წწ.) აღიარება.<sup>130</sup>

აუზის ტრადიციული სტატუსი შედის, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების აზრით, წინააღმდეგობაში მათ ეროვნულ ინტერესებთან, ლახავს ზღვის შესაბამისი ნაწილების ფლობის მათ კანონიერ უფლებებს. მაგრამ რუსი სამართალმცოდნები ასეთ პოზიციას არ ეთანხმებიან. მათი აზრით, 1991 წლის 21 დეკემბერს მიღებული აღმა-ათის დეკლარაციის ფარგლებში ახალმა სახელმწიფოებმა დაადასტურეს თავისი თანხმობა საბჭოთა კავშირის ყველა სახელშეკრულებო ვალდებულების ძალაში ყოფნის აღიარებაზე.<sup>131</sup>

მაგრამ ვინაიდან 1921 - 1940 წწ. ხელშეკრულებები უფრო გეოპოლიტიკური იყო, ვიდრე სამართლებრივი ხასიათისა, მათ ფაქტიურად შეწყვიტეს მოქმედება<sup>132</sup> ჯერ კიდევ საბჭოთა დროში. ამასთან დაკავშირებით ყველა კასპიისპირა სახელმწიფო ერთსულოვანი იყო იმ აზრში, რომ საბჭოთა პერიოდში კასპიის ზღვის სტატუსი არ ჩამოყალიბდა დასრულებული სახით მაინც.

ამიტომ კასპიის ზღვის ახალი სტატუსის გამომუშავებას ერთდროულად შეუდგა ყველა კასპიისპირა სახელმწიფო. 1992 წლიდან მათ ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარეს მრავალმხრივ ურთიერთობებს და მოლაპარაკებებს. ეს პროცესი ამ დრომდე გრძელდება. პარალელურად მიმდინარეობს ორმხრივი შეხვედრები და მოლაპარაკებები.<sup>133</sup>

ამგვარად, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დამკვიდრება დაიწყო კასპიისპირა ქვეყნების მრავალმხრივმა და ორმხრივმა კავშირებმა, რომელნიც შეუდგნენ აუზის სტატუსის განსაზღვრაში

<sup>130</sup> ი. ზოგადად ა. ბლოხინა, Подходы прикаспийских государств к проблеме определения международно-правового статуса Каспия., [http://www.ia-centr.ru/archive/public\\_detailsa851.html?id=557](http://www.ia-centr.ru/archive/public_detailsa851.html?id=557)

<sup>131</sup> ი. Guevorguian K.. Le cadre juridique d'une cooperation dans la region de la mer Caspienne//La region de la mer Caspienne. Colloque du 26 fevrier 1997. p. 42-43.

<sup>132</sup> ი. მამედოვ რ. მеждународно-правовой статус Каспийского моря: вчера, сегодня, завтра (Вопросы теории и практики). Ч. II. Становление международно-правового статуса Каспийского моря с древнейших времен до 1991 г. // Центральная Азия и Кавказ. Общественно-политический журнал. 2000. №3 (9). (ИАЦ “Central Asia and Caucase” — Швеция) р. 167-170; Mamedov R. International legal status of Caspian Sea in its historical development // Caspian energy/ Quarterly analitical journal. 2000. Summer. №2. p. 36-40.

<sup>133</sup> ი. სქოლიომ 130 *supra*

კომპრომისის ძიებას: “რას წარმოადგენს კასპიის ზღვა - “ზღვას” თუ “ტბას”? კასპიის ზღვის სივრცის, ფსკერის და ბიოლოგიური და მინერალური რესურსების გაყოფის პრინციპების ფორმირების მიმართ ამ საფუძველგანმსაზღვრელი საკითხის გარშემო ყალიბდება გარკვეული ურთიერთობანი ქვეყნებს შორის, ანუ ე.წ. პრაქტიკა.<sup>134</sup>

კასპიის ზღვის სივრცეში ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობანი და მოლაპარაკებები კასპიის ზღვის პრობლემების შესახებ, განსაკუთრებით მისი საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მიზეზით, როგორც მრავალმხრივი, ასევე ორმხრივი, პირობითად შეიძლება დაიყოს რამოდენიმე საფეხურად.<sup>135</sup>

საწყისს საფეხურზე – 1991-1994 წწ. - კასპიისპირა სახელმწიფოებმა, აგრეთვე დაინტერესებულმა ქვეყნებმა - აშშ, თურქეთმა, ჩინეთმა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა და სხვ. - კასპიის ქვეყნებში დაინახეს პერსპექტივაში ენერგომატარებელთა ერთ-ერთი ძირითადი წყარო. ურადღებით დაიწყეს რეგიონის შესწავლა, იმ საკითხების გაცნობიერება, რომლებიც დაკავშირებულია ფორმირებად გეოპოლიტიკურ ველში თავისი და სხვისი შესაძლებლობების შეფასების ისტორიულ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და იურიდიულ ასპექტებთან. საკვანძო საკითხად მაშინვე იქცა მისი სტატუსის განსაზღვრა. ერთდროულად დაიწყო კასპიისპირა სახელმწიფოთა პრიორიტეტების ფორმირების პროცესი.<sup>136</sup>

კასპიისპირა სახელმწიფოებმა მონაცვლეობით დაიწყეს სხვადასხვა იდეების წამოყენება სტატუსის შესწავლის და კასპიის ზღვის რესურსების გამოყენების საკითხების გადაწყვეტის შესახებ. ამ დროს თითოეული ქვეყანა ცდილობდა თავის ხელში აედო ინიციატივა, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო ეროვნული პრიორიტეტების დაცვა.

პირველი ქვეყანა, რომელმაც აქტიურობა გამოიჩინა, იყო ირანის ისლამური რესპუბლიკა, მაშინ, როდესაც რუსეთი მხოლოდ თვალყურს ადევნებდა მოვლენების განვითარებას პოსტსაბჭოთა სივრცეში და რეგიონში, ხოლო ახალმა კასპიისპირა სახელმწიფოებმა მხოლოდ დაიწყეს დეპლარაციული ფორმით თავისი ინიციატივების წამოყენება.<sup>137</sup>

კასპიის ზღვის სტატუსისადმი კოლექტიური მუდმივი პროცესის გამართვისათვის ირანმა პირველად წამოაყენა კასპიის ზღვაზე თანამშრომლობის ორგანიზაციის დაფუძნების იდეა.<sup>138</sup> ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ ირანი, ასეთი ორგანიზაციის იდეის

<sup>134</sup> იქვე.

<sup>135</sup> იქვე. იხ. აგრეთვე [http://www.rau.su/observer/N04\\_00/04\\_08.HT](http://www.rau.su/observer/N04_00/04_08.HT) ;

[http://www.iran.ru/news/politics/15494/Obsuzhdenie\\_problemy\\_Kaspiya.](http://www.iran.ru/news/politics/15494/Obsuzhdenie_problemy_Kaspiya.); იხ. ზოგადად:

<http://www.caspinfo.ru/data/2002.HTM/001235.HTM>

<sup>136</sup> იქვე.

<sup>137</sup> იხ. ზოგადად საინფორმაციო წყარო:

[http://www.iran.ru/news/politics/15288/Mehdi\\_Safari\\_Poka\\_ne\\_budet\\_opredelen\\_pravovoy\\_status\\_Kasp\\_iya\\_my\\_nikomu\\_ne\\_pozvolim\\_proizvodit\\_v\\_more\\_kakie\\_libo\\_raboty](http://www.iran.ru/news/politics/15288/Mehdi_Safari_Poka_ne_budet_opredelen_pravovoy_status_Kasp_iya_my_nikomu_ne_pozvolim_proizvodit_v_more_kakie_libo_raboty)

<sup>138</sup> იხ. Herzig E. Iran and former Soviet South// The Roral Institute of International Affaires. Londress. 1995. p. 30-33.

წამოყენებისას არსებითად იმედოვნებდა მისი შტაბ-ბინის თავის ტერიტორიაზე განლაგებას, რომ შემდგომში კასპიის ზღვის საკითხების და პრობლემების თავის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირება განეხორციელებინა.

ირანში გამართული კონფერენციის მიერ მიღებულ კომუნიკაციი (17 თებერვალი 1992 წ., თეირანი) იყო მიმართვა კასპიის ზღვის სანაპიროს სახელმწიფო ორგანიზაციისადმი შექმნან კასპიის ზღვის და მისი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის თანამშრომლობის სანდო რეგიონალური მექანიზმი. ირანელი მეცნიერის ჯამშიდ მომთაზის აზრით, ამას კასპიისპირა სახელმწიფო ორგანიზაციის სავარაუდო რეაქცია არ მოჰყოლია, რადგან აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა “გადაწყვიტეს ერთობლივად ემოქმედათ სხვა მიმართულებით.”<sup>139</sup>

მაგრამ იმ წლებში დანარჩენი სახელმწიფო ორგანიზაციის ცდილობდნენ თავად დაეპარსებინათ თავის დედაქალაქებში კასპიის პრობლემებზე თანამშრომლობის ორგანიზაცია. უფრო კონკრეტული მიღომა გამოვლინდა თეირანის სპეციალური კონფერენციის ფარგლებში (1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერი), რომლის თემაც კასპიის ზღვის პრობლემების მოვარეობისათვის მოწოდებული საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსება იყო.<sup>140</sup>

საკითხი კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის შესახებ პირველად წამოყენებული იყო ხუთი კასპიისპირა სახელმწიფოს თეირანის კონფერენციაზე 1992 წლის ოქტომბერში. განხილვაზე შემოტანილ იქნა ირანის პროექტი კასპიისპირა სახელმწიფო ორგანიზაციის (შედმგომ – “კსთო”) ხელშეკრულების შესახებ. კსთო-ს მიმართ კონვენციის პროექტში განსაზღვრული იყო შემდეგი მიზანი: კასპიის ზღვის რესურსების ექსპლუატაციისას მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაახლოება (მუხ. 3). კასპიისპირა სახელმწიფო ორგანიზაციის სავარაუდო სახელმწიფოთაშორის გაერთიანებას პირველ ეტაპზე უნდა დაეგროვებინა კასპიის ზღვის, მისი რესურსების შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური მოცულობა, აგრეთვე გაერკვია რეგიონალური ქვეყნების განვითარების შესაძლებლობანი რეგიონში თანამშრომლობისა და სტაბილურობის, მშვიდობიანი ატმოსფეროს შექმნის საფუძველზე. კსთო-ს პროგრამის მიხედვით, კასპიისპირა სახელმწიფოებს შეეძლოთ გაეფართოვებინათ სოციალური და ეკონომიკური განვითარება ზღვასთან დაკავშირებული ყველა მიმართულებით საქმიანობის კოორდინაციის მეშვეობით, აგრეთვე მუდმივი მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების პერიოდში ზღვის რესურსების გამოყენების ურთიერთმისაღები რეალიზაციის

<sup>139</sup> ob. Momtaz D. Quel régime juridique pour la mer Caspienne?// Collection espèces et ressources maritimes. Droit et sciences humaines. P. Pedone, 1996. N10. p. 82-83.

<sup>140</sup> ob. Momtaz D. Quel régime juridique pour la mer Caspienne? // Collection espèces et ressources maritimes. Droit et sciences humaines. P. Pedone, 1996. №10. P. 82-83.

ხელშეწყობით; განსაკუთრებით ხაზგასმული იყო კასპიისპირა სახელმწიფოების თანამშრომლობის მნიშვნელობა.<sup>141</sup>

კონფერენციის შედეგების მიხედვით მიღებულ იქნა 1992 წლის 4 ოქტომბრის ერთობლივი კომუნიკა,<sup>142</sup> რომელშიც ნახსენები იყო მხარეთა შეთანხმება ერთობლივი საქმიანობის სფეროების განსაზღვრის შესახებ, კასპიის ზღვის ბუნებრივი რესურსების დაცვის, ბიორესურსების კონსერვაციის და ოპტიმალური გამოყენების, ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე საზღვაო გზების განსაზღვრის და კკოლოგიური მოთხოვნების შესრულების (ზღვის დონის ამაღლების პროცესზე კონტროლი)<sup>143</sup> ჩათვლით.

მაშინვე კომუნიკას ფარგლებში ყველა კასპიისპირა სახელმწიფომ თანხმობა გამოიტანა ექვსი სპეციალიზირებული კომიტეტის შექმნაზე, კერძოდ: სამართლებრივი სტატუსის, გარემოს დაცვის, ბიოლოგიური რესურსების (ნავთობის და გაზის) დამუშავების, გამოყენების და დაცვის; ნაოსნობის; სამეცნიერო კვლევების; კასპიის ზღვის წყლის დონის მერყეობის მიზეზების შესწავლისა და ამ პროცესებზე კონტროლის განხორციელებით.

მაგრამ ფაქტიურად, მხოლოდ ბიორესურსების კომიტეტი აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი და დაიწყო პროექტების შემუშავება რუსეთის ფაქტიური ზემოქმედებისა და ინიციატივების გავლენით. მალევე 1992 წლის თეირანის კონფერენციის შემდეგ კასპიისპირა ქვეყნებს დაეგზავნათ კონვენციის პროექტი ბიორესურსების დაცვის შესახებ. თანმხელებ წერილში მითითებული იყო, რომ კასპიის ზღვის ბიორესურსების დაცვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გაჩნდა ამ საკითხის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობა სამართლებრივი შეთანხმების საფუძველზე.

1993 წელს (23-26 აგვისტოს) კასპიისპირა სახელმწიფოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ ირანის ქალაქ რეზთში კასპიის ზღვის ბიორესურსების გამოყენების და დაცვის შესახებ<sup>144</sup> სამთავრობათშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

მასში პირველად მიიღეს მონაწილეობა აგრეთვე მეცნიერ-ექსპერტებმა (ეკოლოგებმა, ბიოლოგებმა, ინტიოლოგებმა, იურისტებმა და სხვ.). კონფერენციის მიმღინარეობის დროს განსახილველად და შესათანხმებლად წარმოდგენილ იქნა კონვენციის რუსული პროექტი

<sup>141</sup> კონვენცია კასპიისპირა სახელმწიფოების თანამშრომლობის ორგანიზაციის (კსო) შესახებ. ირანის ისლამური რესპუბლიკის 1992 წლის პროექტი // აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

<sup>142</sup> Ob. Momtaz D. Quel régime juridique pour la mer Caspienne?// Collection espèces et ressources maritimes. Droit et sciences humaines. P. Pedone, 1996. N10. p. 136.

<sup>143</sup> კასპიისპირა სახელმწიფოების წარმომადგენელთა ერთობლივი კომუნიკა 1992 წლის 4 ოქტომბერი // აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

<sup>144</sup> რეზთის კონფერენციის მასალები 23-26 აგვისტო 1993 წელი. // აზერბაიჯანის სახელმწიფო გაერთიანება “აზერბაიჯანის” არქივი.

ბიორესურსების შენარჩუნების და გამოყენების შესახებ.<sup>145</sup> შეიძლება მოვახდინოთ კონსტატირება, რომ ზღვისპირა სახელმწიფოების ინტერესების და პოზიციების პირველი დია შეჯახება მოხდა სწორედ რეჟიმის კონფერენციის ფარგლებში.

მაგალითისათვის, აზერბაიჯანის წინადადებას კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ “სასაზღვრო ტბის” სახით ნებატიურად შეხვდნენ რუსეთის და ირანის დელეგაციები. განსახილველი საკითხების მიმართ გულგრილობა გამოიჩინეს თურქმენეთმა და ყაზახეთმა. ამიტომ აზერბაიჯანის წინადადებამ კონფერენციის მსვლელობისას მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და გადატანილი იყო შემდგომი განხილვისათვის. თუმცა აზერბაიჯანის მეორე წინადადებამაც - კონფერენციის პროექტში კასპიის ზღვის რესურსების გამოყოფის პრინციპის გაყოფის პრინციპით შეცვლის შესახებ - რუსეთის დელეგაციის უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია.

მთლიანობაში, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტი კასპიის ზღვის ბიორესურსების შენარჩუნების და გამოყენების შესახებ, რომელიც შედგება პრეამბულისა და 17 მუხლისაგან, უშუალოდ არ ეხებოდა კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსს. მაგრამ არანაირი გადაწყვეტილება მაშინ ამ დოკუმენტის გარშემო მიღებული არ ყოფილა.

კასპიისპირა სახელმწიფოების მორიგი შეხვედრა მოხდა 1993 წლის 14 ოქტომბერს ასტრახანში. აქ კასპიისპირა სახელმწიფოების მხრიდან განხორციელებულ იქნა კომპრომისის მიღწევის მცდელობა, კერძოდ აკვატორიის ეკონომიკურ ზონებად გაყოფის პრინციპების შემუშავება. ყაზახეთს შესთავაზეს გამოსულიყო ბუნებრივი რესურსების გამოყენების ანდა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ შეთანხმების პროექტის მომზადების ინიციატორად.<sup>146</sup>

1993 წელი დასრულდა აშხაბადის კონფერენციით (8 - 10 დეკემბერს), სადაც კვლავ წამოყენებული იყო საკითხი კასპიის ზღვასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების აუცილებლობის თაობაზე. ამის მიუხედავად, არანაირი შეთანხმება საკითხის არსის მხრივ მიღწეული არ ყოფილა. სახელმწიფოა ერთობლივი პრაქტიკის ამ მონაკვეთის მთავარი მოვლენა მოხდა 1994 წლის 11-12 ოქტომბერს, როდესაც კასპიისპირა სახელმწიფოების უფლებამოსილი წარმომადგენლები შეიკრიბნენ კონფერენციაზე

<sup>145</sup> კონვენცია კასპიის ზღვის ბიორესურსების შენარჩუნებისა და გამოყენების შესახებ. პროექტი // აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

<sup>146</sup> იხ. Қуандыков Б.М. Правовой статус Каспийского моря — основа планомерного освоения минеральных ресурсов региона // Международная научно-практическая конференция “Правовой статус Каспийского моря, проблемы и перспективы сотрудничества прикаспийских государств”. Алматы. 15-16 мая 1995 г. Стенографический отчет. Казахстанский институт стратегических исследований при Президенте Республики Казахстан. Алматы, 1995. იხ. ასევე წყარო: <http://www.marketcenter.ru/News/News.asp?NewsID=10909>.

მოსკოვში, რომელიც რუსეთის ფედერაციის ინიციატივით იყო მოწვეული.<sup>147</sup>

ამ შეხვედრის მიზანი დაკავშირებული იყო აზერბაიჯანის, ყაზახეთის და რუსეთის მიერ წამოყენებული კასპიის ზღვის სტატუსის კონვენციის პროექტების განხილვის სურვილთან.<sup>148</sup>

აზერბაიჯანის პროექტი სთავაზობდა სასაზღვრო ტბის სტატუსს, ამასთან სექტორებად დელიმიტირებულს,<sup>149</sup> ყაზახეთისა კი იხილავდა კასპიის ზღვას, როგორც “ჩაკეტილ ზღვას”,<sup>150</sup> რომელზეც უნდა ვრცელდებოდეს UNCLOS-ს (მუხ. 122 და 123).<sup>151</sup>

როგორც ჩატარებულმა დისკუსიებმა ცხადყო, ყაზახეთის ვარიანტი ასევე ვერ გახდა კომპრომისული და პირიქით, მას რუსეთის და ირანის მხრიდან აშკარა სიფრთხილით დახვდნენ, ვინაიდან იგი მათ რთულ მდგომარეობაში აყენებდა.

არც რუსეთს, არც ირანს კასპიის ზღვის საზღვაო ვარიანტი არ აწყობდა, ვინაიდან ისინი ავლენდნენ რა საბჭოთა კავშირ - ირანის სახელშეკრულებო პრაქტიკისადმი ერთგულებას, ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ახალი ტენდენციებისათვის. ასეთი მიდგომის მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: თუ კასპიის ზღვა აღიარებულ იქნება ნახევრად ჩაკეტილ ან ჩაკეტილ ზღვად, მაშინ მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საერთაშორისო სამართლის მოქმედი ნორმები, აგრეთვე UNCLOS-ს ნორმები მუხ. 122 და 123.<sup>152</sup>

ამ შემთხვევაში უკუგდებული იყო დელიმიტაციის სპეციალური შეთანხმების აუცილებლობა, რადგან ზღვათა შესაბამის სივრცეებად გამიჯვნის წესი განხორციელდებოდა ავტომატურად, UNCLOS-ს დებულებებთან სრულ შესაბამისობაში. როგორც ცნობილია, ტბის ვარიანტისათვის მოითხოვება სანაპირო სახელმწიფოების მიერ დამატებითი სპეციალური შეთანხმების დადება საერთაშორისო სამართლის და დელიმიტაციის საკითხებზე.

მსჯელობისათვის არ იქნა დაშვებული არც აზერბაიჯანის, არც ყაზახეთის ვარიანტები. როგორც კომპრომისული ვარიანტი განხილულ იქნა რუსეთის მიერ წარმოდგენილი რეგიონალური ონამშრომლობის შესახებ კასპიისპირა სახელმწიფოების შეთანხმების პროექტი.<sup>153</sup>

<sup>147</sup> ი. ი. Vinogradov S., Wouters P. The Caspian Sea: Quest for a New Legal Regime // Leiden Journal of International law. Vol. 9. 1996. p.94.

<sup>148</sup> ი. ი. ზოგადად Khodakov A.G. (1995). The Legal Framework for Regional Cooperation in the Caspian Region. Ed. by Charles Gurdon & Sarah Lloyd. Menas. Associates Ltd. London, September.

<sup>149</sup> ი. ი. აზერბაიჯანის სს მინისტრის კომენტარი აღნიშნულ მიდგომაზე: Независимая газета, 14.11.96г.

<sup>150</sup> enclosed sea – ჩაკეტილი ზღვა (ინგლ.).

<sup>151</sup> ი. ი. Gizzatov V. (1995). The Legal Status of the Caspian Sea. In: Oil & Caviar in the Caspian. Ed. by Charles Gurdon & Sarah Lloyd. Menas. Associates Ltd. London , September, Pp. 32-38.

<sup>152</sup> UNCLOS, ი. ს. სექტემბერ 14 supra.

<sup>153</sup> ი. ი. სექტემბერ 148 supra

კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ კონვენციის აზერბაიჯანის პროექტი შედგებოდა პრეამბულისა და 12 მუხლისაგან<sup>154</sup>. მუხ. 1-ში მოყვანილი იყო ის ტერმინები, რომლებიც გამოიყენებოდა შეთანხმების ძირათად ტექსტში. კასპიისპირა სახელმწიფოების პრაქტიკაში პირველად შეთავაზებული იყო “სასაზღვრო ტბის” ტერმინი. თანახმად მუხ. 2 ზღვისპირა სახელმწიფოების თანამშრომლობა და საქმიანობა აგებულ უნდა ყოფილიყო საერთაშორისო სამართლის ძირებით პრინციპების ბაზაზე. ხოლო მუხ. 3 სთავაზობდა კასპიის ზღვის დაყოფას შესაბამის სექტორებად ზღვისპირა ქვეყნებში.

ამასთან დელიმიტაციის ჩატარება ივარაუდებოდა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე (მუხ. 4). მუხ. 6-ის აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ კასპიის ზღვის თითოეული სექტორის ფარგლებში გამოყენებული ყოფილიყო ზღვისპირა სახელმწიფოს კანონმდებლობა, თუ სხვა რამე არა გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით. კონვენციის პროექტი იხილავდა აგრეთვე კასპიის ზღვის გამოყენების სხვადასხვა სახეობებს. მაგალითად, საქმიანობის ასეთი სახეობების სახით დამტკიცებული უნდა ყოფილიყო თვეზემო და თევზის მოშენება, ნაოსნობა, ბიორესურსების, კარბოკიდროგენების, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება და ექსპლუატაცია, სამეცნიერო კვლევათა ჩატარება, სხვა სახის საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ზღვისპირა სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობას.

მალევე, მოსკოვის შეხვედრის შემდეგ, აზერბაიჯანში მომზადდა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ კონვენციის პროექტის მეორე ვარიანტი, შემდგარი პრეამბულისა (შესავლის) და 14 მუხლისაგან. მთავარი განსხვავება პირველ და მეორე ვარიანტს შორის მდგომარეობდა იმაში, რომ ეს უკანასკნელი შეიცავდა უფრო კონკრეტულ და განსაზღვრულ შეფასებას კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, მუხ. 1-ში მოცემულია მკაფიო განსაზღვრებაზე ტერმინების “კასპიის ზღვა”, “კასპიის ზღვის სექტორი” (პირველ ვარიანტში ისინი არ ყოფილი). ცნება “კასპიის ზღვა” განისაზღვრება როგორც მსოფლიო ოკეანესთან ბუნებრივი კავშირის არმქონე შიდამატერიკული არაგამდინარე აუზი (დახურული წყალსატევი), რომელიც განლაგების ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით და გამომდინარე მისი აკვატორიის გამიჯვნის ტრადიციულად ჩამოყალიბებული პრინციპიდან (რუსეთ-ირანი, სსრკირანი) ხვდება “სასაზღვრო ტბის” სამართლებრივი სტატუსის ქვეშ.

თავის მხრივ, “კასპიის ზღვის სექტორი”-ს ქვეშ იგულისხმებოდა აკვატორიის იმ ნაწილის, ფსკერისა და წიაღის ცნება, რომელიც წარმოადგენს კასპიისპირა სახელმწიფოების ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს და შეზღუდულია სახელმწიფო საზღვრით წყალზე. თანახმად კონვენციის პროექტის მე-3 მუხ., კასპიის ზღვა (სასაზღვრო ტბა) იყოფოდა სუვერენულ სექტორებად, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი კასპიისპირა სახელმწიფოების ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს.

<sup>154</sup> კონვენცია კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროექტის აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

მკაფიო მითითებანი იყო კასპიის ზღვაში საზღვრების დელიმიტაციის მიმართაც. გრძივი სახელმწიფო საზღვარი კასპიისპირა სახელმწიფოებს შორის უნდა გადიოდეს ამ ნაპირებიდან თანაბრად დაშორებული შუა ხაზის მიხედვით, ხოლო კუნძულების არსებობისას - პირობითი ხაზიდან, რომელიც აერთიანებს შუა ხაზისაკენ მიმართულ ამ კუნძულების ნაპირებს.

ამას გარდა, ნავარაუდევი იყო, რომ სახელმწიფო საზღვარი წყალზე მეზობელ კასპიისპირა სახელმწიფოებს შორის უნდა დადგინდეს პირობითი ხაზის გასწვრივ, რომელიც წარმოადგენს სახმელეთო საზღვრის გაგრძელებას, პერპენდიკულარულს აკვატორიის შუა (გრძივი) ხაზისადმი.

კონვენციის პროექტი სთავაზობდა აგრეთვე ირანის ისლამური რესპუბლიკის სექტორის აკვატორიის საგარეო საზღვრის დადგენას, რომელიც პროექტის აზრით შეიძლება დადგენილ იქნეს აზერბაიჯანის და თურქმენეთის სამხრეთის საზღვრების შემაერთებელი წრფის გასწვრივ. შესაძლებელია, სწორედ ამ წინადადებებმა განაპირობა პროექტის ბედი და ის არ იქნა მიღებული სამუშაო დოკუმენტად განხილვისათვის.

ასეთივე ბედი ეწია ყაზახეთის მიერ წარმოდგენილ პროექტსაც. მან მოამზადა და წარმოადგინა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ კონვენციის პროექტის ორი ვარიანტი. არსებითი განსხვავება შინაარსისა და მირითადი საკითხების განმარტების არსში ამ პროექტის ორ ვარიანტს შორის არ ყოფილა. თუმცა მეორე ვარიანტი უფრო სრულყოფილი და ყოვლისმომცველი იყო: მასში ძირითადი დებულებები შემუშავებული და წარმოდგენილი იყო უფრო გაშლილი სახით, ამიტომ წინა ვარიანტთან შედარებით მასში იყო სამჯერ მეტი მუხლი (35 – 13-ის ნაცვლად). ამ პროექტში უფრო კონკრეტულადაა მოხაზული ის უნივერსალური საზღვაო სამართლებრივი ბაზა, რომელზეც ნავარაუდევი იყო ამ წყლის ობიექტის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის ფორმირება.

თუმცა, მიუხედავად პროექტის ორიენტაციისა, UNCLOS-ზე, პროექტის ტექსტში არსებობდა სერიოზული წინააღმდეგობა, კერძოდ, მუხ. 17.-ი მეორდებოდა 1921 - 1940 წწ. შესაბამისი მუხლების შინაარსი. ეს მუხლი ამბობს: “კასპიის ზღვის მთელ განფენილობაზე შეიძლება იმუოფებოდნენ მხოლოდ ხომალდები, რომელნიც ეკუთვნიან მხარეებს და ამგარადვე მათ მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს და ცურავენ შესაბამისად ყაზახეთის რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ირანის ისლამური რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის და თურქმენეთის დროშებით.”<sup>155</sup>

რუსეთის პროექტი კასპიისპირა სახელმწიფოების რეგიონალური თანამშრომლობის შესახებ არ ჰგავდა არც აზერბაიჯანის, არც

<sup>155</sup> კონვენცია კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ. ყაზახეთის პროექტი // აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

յաზաեցուն կասპուն թղզուն սամարտլեթրուզու სტატუսուն Շեսաեց շոնցենցուն ձրույթուն զարուանքուն անգայ ամ դռշտիմենցուն Շոնաարսուն մոեցուու մեցուա օմանց մեջելուն, ու ռաս վարմոացցեն կասպուն թղզա - թղզաւ ու թօն.

տաճաեմած ձրույթուն մյ-2 մյելուս, նազարայւդցու օյու ամ սակուտես ցածանցցուն ցածածցուն ցանցածցուն ցալուու: “կասպուն թղզուն սամարտլեթրուզու սტաტուսու ցանուսանցրուն ցալյյ շոնցենցուու.”<sup>156</sup> եռլու աხալու սტաტուսուն նացուլած րուսու սուազանուն, րում կասպուն թղզուն սամարտլեթրուզու սტաტուսուն ցանուսանցրուն մեարյյեմա դաուցան արյյ դացցենուու րոյյուն (անյ 1921-1940 թի. սածկուա կաշմուր-օրանուն ելլշեյրուլցցուն ցածածցուն). ամաս ցարդա, յե զարուանքու ուցալուսինցեցու տաճամթրումլուն ծցցրած նակլցու ձրոնցունցյյեն, ցուցրյ անցրծանչանուն դա յանաեցուն զարուանքուն. կասպուն թղզուն սայրտանորուսու-սամարտլեթրուզու սტաტուսուն ցանուսանցրուն մացուրած կցլազ րոյանմուրյյուլ օյնա սայրտանորուսու որցանունացուն - կասպուն թղզուն սաելումնուցուանուն սածկու Շյյմնուն օդյա (մյե. 5), պալանաուր յոմուրյյունուան (մյե. 7) դա սամցունուսուան յրտած (մյե.8).

ձրույթուն մոեցուու յասպուն թղզուն սաելումնուցուանուն սածկու շնցա օեուացցու թոցած սակուտեյն դա յասպունսկուր սաելումնուցուն մոյմեցցուն ձրույթուն ամաս, ացրյուու օյյեցցուն օմ ցածանցցունցյյեն, րումլցուն յեյեա տաճամթրումլուն ցանցուարյյեն սամոմացլու ձյրտայցցուն (մյե. 6).

ձրայթույլած մեարյյեն մոյմուցցու ցարյարյեն ցուարյյենուատ յասպուն թղզուն շոնցումունույմո. յե օդյա, ցամուսատյուլու ելլշեյրուլցցուն ձրույթուն ցալյյ շոնցցուն ձյնեյթուն սախու (րուսու զարուանքուն) ար օյու մեարդակյյրուու անցրծանչանուն մոյր դա մու կցալցակցալ յանաեցուս դա ոյրյմենյյուն մոյրաց (մոմցուն Շյեցցրյյուն). մուցյյուլու օդյա արուն ելլշեյրուլցցուատ օրանուն (1992 թ.) դա րուսու զարուանքուն (1994 թ.) զարուանքուն.

1994 թլուս 11-12 ոյթումերս մուսյունու Շյեցցրյուն մովյցցու մոնյենո շաբազմուցցա ձայրմո 1994 թլուս 20 եյթյմերս “սաշանուն շոնցրայթուն” ելլմուրյյրաս, դասացլցուու վամյցանո նացտուկյմբանույն սան, րուսու և լույցուու լույցուն ացնյ-ս (անցրծանչանուն ցանուս դա նացտուկյմբանուն) մոնայուուու, յասպուն թղզուն անցրծանչանցու սցիցուրուն նացտուկյմբանուն Շյելցուն լամյշացցուն Շյեսաեց.<sup>157</sup> տյմբց յե շոնցրայթուն ձորդանու ար յեյեուու յասպուն թղզուն սტաტուս, ու օյնա ցանմսանցրուլ յայթուրած յասպունսկուր սաելումնուցունցյյեն սաելումնուցուանուն մոլապարակյյեն Շյմցուն ցանցուարյյեն սայմյուն.

<sup>156</sup> շոնցենցու յասպուն թղզուն սամարտլեթրուզու սტաტուս Շյեսաեց. րուսու շաբազմուու ձրույթուն // անցրծանչանուն շյեցցրյունուն լեւ արյյուն; օբ. թոցած անցայ: [http://www.rau.su/observer/N8\\_2004/8\\_12.HTM](http://www.rau.su/observer/N8_2004/8_12.HTM)

<sup>157</sup> օբ. Гейдар А. Азербайджанская нефть в политике мира. Баку, 1997. С. 15-19; Алиев Н., Юсиф-заде Х. Еще раз к вопросу разделения Каспийского моря на экономические зоны // Caspian. Baku, 1997. с. 18.

რუსეთის სახელმწიფო წარმომადგენელმა ი. შაფრანიკმა თავისი მონაწილეობით და გამოსვლით, ზოგიერთი აზერბაიჯანელი მკვლევარის აზრით,<sup>158</sup> არამარტო მხარი დაუჭირა ამ კონტრაქტს, არამედ, არსებითად აღიარა კასპიის ზღვის აზერბაიჯანული სექტორის არსებობა, ანუ კასპიის ზღვის პირობით სექტორებად<sup>159</sup> დაყოფის ფაქტი, რაც თავის მხრივ შეიძლება გამხდარიყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმის ფორმირების პროცესში.

თუმცა, რუსეთის ფედერაციამ 1994 წლის 5 დეკემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეას გაუგზავნა სპეციალური დოკუმენტი ”რუსეთის ფედერაციის პოზიციის შესახებ კასპიის ზღვის სამართლებრივი რეჟიმის მიმართ” გაეროს წევრებს შორის გასავრცელებლად. მასში ნათქვამი იყო, რომ ”ზოგიერთი კასპიისპირა სახელმწიფო ცალმხრივი ქმედებების გზას ადგება და საერთაშორისო სამართლის პრინციპების და ნორმების ანგარიშგაუწევლად ცდილობს ცალმხრივი უპირატესობების მიღწევას სხვა კასპიისპირა სახელმწიფოების უფლებებისა და ინტერესების საზიანოდ.”<sup>160</sup>

1994 წლის შემდეგ დაწყებული მოლაპარაკებების შემდეგი ეტაპი ”შეიძლება დახასიათდეს, როგორც გეოპოლიტიკური თამაში, გაფართოებული გეოგრაფიითა და მონაწილეობა წრით,”<sup>161</sup> ანუ კასპიის ზღვის ახალი სამართლებრივი სტატუსის ფორმირების საკითხი მნიშვნელოვნად იქცა არამარტო ზღვისპირა სახელმწიფოებისათვის, არამედ ამერიკის, ევროპის და აზიის კონტინენტების სხვა ქვეყნებისათვისაც.

აშხაბადის 1995 წლის შეხვედრაზე განიხილეს კასპიის ზღვის ბიორესურსების შენარჩუნების საკითხები. კონფერენციაზე ერთმანეთს უპირისპირდებოდა პირველ რიგში ეკოლოგთა და დიპლომატთა პოზიციები. ეს უკანასკნელი აცხადებდნენ, რომ კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ შეთანხმების და კონვენციის ან სპეციალური ნორმების მიღების გარეშე შეუძლებელია მისი რესურსების გამოყენების კონკრეტულ საკითხებზე შეთანხმება. ამავე დროს, ხუთივე ქვეყნის ეკოლოგები და თევზის რეწვის ბიზნესის მესვეურნი აცხადებდნენ, რომ თევზის მრეწველობას არ შეუძლია ლოდინი, როდის შეთანხმდებიან ზღვისპირა სახელმწიფოები სტატუსზე და დაუდგენენ მათ თევზჭერის წესებს.

<sup>158</sup> იხ. ზოგადად მამედოვ რ. Международно-правовой статус Каспийского моря: вчера, сегодня, завтра (Вопросы теории и практики). Ч. II. Становление международно-правового статуса Каспийского моря с древнейших времен до 1991 г. // Центральная Азия и Кавказ. Общественно-политический журнал. 2000. №3 (9). (ИАЦ “Central Asia and Caucasus” — Швеция); Mamedov R. International legal status of Caspian Sea in its historical development // Caspian energy/ Quarterly analitical journal. 2000. Summer. №2.

<sup>159</sup> იხ. მეხთიევ ა. Россию не устраивает нынешний статус Каспия. Борясь за каспийскую нефть, Москва может больше потерять, чем получить // Независимая газета. 1994. 15 июня.

<sup>160</sup> გაეროს დოკუმ. ა/49/475. 1994. 5 ოქტომბერი. გვ. 3. რუსეთის სსს არქივი.

<sup>161</sup> იხ. კუშკუმბაევ ს. კასпий на перекрестке геополитических интересов: нефть, политика, безопасность // Caspian. Kazakhstan. Almaty, 1999. p. 15.

ამის შედეგად კასპიის ზღვის ბიორესურსების შენახვის და გამოყენების შესახებ შეთანხმების პროექტი განხილული და თითქმის შეთანხმებული იყო ერთის გარდა ყველა პუნქტში. ერთადერთი გადაუწყვეტელი დარჩა სტატუსთან დაკავშირებული საკითხი, ანუ ზღვისპირა სახელმწიფოების განსაკუთრებული იურისდიქციის თევზჭერის ზონების გავრცელება.

შემოთავაზებული იყო მრავალი ვარიანტი: 15-დან (რუსეთი) 25-მდე (ყაზახეთი), 30 (ირანი) და 40 მილი (თურქენეთი და აზერბაიჯანი). შედეგად ოთხი კასპიისპირა სახელმწიფო (აზერბაიჯანის გამოკლებით) დათანხმდა ზღვისპირა სახელმწიფოების თევზჭერის ზონების 20 მილიან შეზღუდვაზე. აზერბაიჯანი დარჩა ერთადერთ სახელმწიფოდ, რომელმაც უარი თქვა ამ შეთანხმების ცნობაზე,<sup>162</sup> განაცხადა, რა რომ მისი აღიარება განაპირობებს კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.<sup>163</sup>

ამიტომ შეთანხმება ხელმოწერილი არ იყო. 1995 წლის 15-16 მაისს ყაზახეთმა მოიწვია ალმა-ათაში საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია კასპიელი მეცნიერების და კასპიისპირა სახელმწიფოების ოფიციალური წარმომადგენლების (დიპლომატების) მონაწილეობით.<sup>164</sup>

კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა აგრეთვე ოთხი კასპიისპირა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალური შეხვედრა. თურქენეთის მხარემ კონფერენციაში მონაწილეობა არ მიიღო.<sup>165</sup>

როგორც კონფერენციაზე, ასევე შეხვედრის მიმდინარეობისას კონსულტაციების მთავარ თემას კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პერსპექტივების განხილვა წარმოადგენდა. ყაზახეთის, რუსეთის და ირანის წარმომადგენლები დაბეჯითებით მოითხოვდნენ მოლაპარაკებათა სასწრაფოდ დაწყებას და ამ მიზნით “კომიტეტის”, როგორც მოლაპარაკებათა მუდმივი მექანიზმის შექმნას, რამაც აზერბაიჯანის წინააღმდეგობა გამოიწვია. კომპრომისის სახით შეიქმნა კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ექსპერტთა მუდმივი სამუშაო ჯგუფი.

კონფერენციას და დიპლომატთა შეხვედრას განასხვავებდა ის, რომ პრაქტიკულად თითოეული მხარე დაბეჯითებით იცავდა თავის პოზიციას და კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის თავისეულ

<sup>162</sup> ob. Minutes of the Negotiations of the Caspian States Delegations concerning Draft Agreement on the Conservation and Utilization of the Biological Resources of the Caspian Sea. 30 January to 2 February 1995. Attachment 3, Separate opinion of the Delegation of the Republic of Azerbaijan. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

<sup>163</sup> ob. Vinogradov S., Wouters P. The Caspian Sea: Current Legal problems// ZaCRV. 1995. Vol. 55. p. 606.

<sup>164</sup> კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი (საერთაშორისო სამეცნიეროდპრაქტიკული კონფერენცია). ალმა-ათა 1995. გვ. 3-5. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

<sup>165</sup> ob. Азимов А. Краткая информация о неформальных консультациях заместителей министров иностранных дел Азербайджана, Ирана, Казахстана и России // აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

ხედვას. ყაზახეთი სტატუსის შესახებ კონვენციის თავისი პროექტის მეორე ვარიანტში სთავაზობდა კასპიის ზღვის განხილვას ზღვის სახით და შესაბამისად მის მიმართ UNCLOS-ს ნორმების და პრინციპების გამოყენებას. ეს ნიშნავდა, რომ კასპიის აუზში საზღვაო სივრცის დელიმიტაცია უნდა ტარდებოდეს საერთაშორისო საზღვაო სამართალთან სრული შესაბამისობით; მასში გამოყოფილი უნდა იქნას ტერიტორიული წყლების, კონომიკური ზონის, კონტინენტური შეღვის და ა.შ. ინსტიტუტები.

თავის მხრივ აზერბაიჯანი, როგორც ადრე, დაბეჯითებით მოითხოვდა კასპიის ზღვის განხილვას სასაზღვრო ტბის სახით, რომელიც დაიყოფა შესაბამის სექტორებად შეა ხაზის მიხედვით. აღიარებდა რა მოსალოდნელ სიძნელებს რუსეთთან და ყაზახეთთან მოლაპარაკებების დროს, აზერბაიჯანი უშვებდა მიღომების კომბინაციას წყლის ზედაპირის, ბიორესურსების და მინერალური რესურსების გამოყენების მიმართ.

რუსეთი კვლავ მოითხოვდა კასპიის ზღვაზე კომდომინიუმის დადგენას, ანუ სთავაზობდა განეხილათ ის, როგორც ხუთი ზღვისპირა ქვეყნის საერთო მონაპოვარი და შესაბამისად არ დაეშვათ მისი სივრცეების, აგრეთვე რესურსების მისათვისებლად რამენაირი ცალმხრივი ქმედებები, დანარჩენთა თანხმობის გარეშე: “რუსეთი კასპიის ზღვის უხეში გაყოფის წინააღმდეგია, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ კასპიის ზღვის მინერალური რესურსების ძარცვისა.

არსებობს ინტერესები კასპიის ზღვაზე ... ჩვენ გახსნილნი ვართ თანამშრომლობისათვის ... კომპრომისის მიღწევის საშუალებები არსებობს, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ კასპიის ზღვაზე ცალმხრივი მოქმედებებისა ხუთი სახელმწიფოს შეთანხმების მიღწევამდე ... თუ ადგილი ექნება ცალმხრივ ქმედებებს, რუსეთს საკუთარი ქმედების უფლება ექნება, თუ საჭმე მეტის-მეტად შორს წავა.”<sup>166</sup>

თავის მხრივ, ირანი კომდომინიუმის და მის საფუძველზე კომპრომისის მიღწევის მომხრედ გამოდის. თავის სიტყვაში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აბას მალექმა ხაზი გაუსვა: “გაიყოს თუ არ გაიყოს კასპიის ზღვა - ამ კითხვაზე პასუხი ექსპერტებმა უნდა გასცენ. არც ერთი ვარიანტი არ შეიძლება მიღებულ იქნეს ასი პროცენტით, გათვალისწინებული უნდა იქნეს კასპიის სახელმწიფოების, აგრეთვე მსოფლიოს სხვა ქვეყნების ისტორიული გამოცდილება. შეიძლება ჩვენ ვიპოვოთ კომპრომისი.”<sup>167</sup>

1995 წლის ალმა-ათის კონფერენციის მიღწევას წარმოადგენს კასპიისპირა სახელმწიფოების შეთანხმება კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის გარშემო მოლაპარაკებათა მუდმივი მექანიზმის შექმნაზე, მუშა ჯგუფების

<sup>166</sup> ი. Журнал «Дипломатический вестник», М. 1995. №12. с. 55-56.

<sup>167</sup> ი. მალეკი ა. Геополитическая ситуация в Каспийском регионе: баланс сотрудничества // Правовой статус Каспийского моря... (Международно-практическая конференция). Алма-Ата 1995г. с. 24-25. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

ფორმით, საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით.

მუშა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო თეირანში 1995 წლის 28 - 29 ივნისს, და პირველმა სხდომამ გამოაშკარავა უთანხმოებანი ფორმულირების მიღებისას: “კასპიის ზღვის სტატუსი ფორმულირებული იქნება ერთ ტიპიურ დოკუმენტში, რომელიც შეიძლება გამოდგეს საფუძვლად შემდგომში მრავალმხრივი შეთანხმებების სერიისათვის, რომელიც დაარეგულირებენ კასპიის ზღვაზე განხორციელებული საქმიანობის სხვადასხვა ფორმებს.”<sup>168</sup>

მუდმივი ჯგუფების მეორე შეხვედრა ჩატარდა 1995 წლის 26 - 27 სექტემბერს ალმა-ათაში.<sup>169</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მას არ ესწრებოდა რუსეთის დელეგაცია, უკმაყოფილო თეირანის კონფერენციის (ივნისი 1995 წ.) შედეგებით. მიუხედავად ამისა, სხვა კასპიისპირა სახელმწიფოებმა მოახერხეს შეგდარებინათ ყაზახეთის, ირანისა და აზერბაიჯანის კონვენციის პროექტები კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ; მათ შეათანხმეს თავიანთი მიდგომები კასპიის ზღვის აუზში კასპიისპირა სახელმწიფოების მოქმედებების ძირითადი პრინციპების ირგვლივ, რომელიც კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრის საძირკველს წარმოადგენს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ მხარეებმა მიიღეს ერთობლივი კომუნიკა, რომელშიც წამოყენებული იყო ირანის დელეგაციის იდეა კასპიის ზღვის სტატუსის და რეგიმის ერთიანი დოკუმენტის ფორმირების შესახებ.<sup>170</sup> აზერბაიჯანის პოზიცია იმაში მდგომარეობდა, რომ სტატუსის შესახებ საკითხი უნდა შემუშავდეს დამოუკიდებელი შეთანხმების ფარგლებში, ხოლო ამის კვალდაკვალ შეიძლება მიღებულ იქნენ ხელშეკრულებები კასპიის ზღვის რესურსების გამოყენების ცალკეულ საკითხებზე

ალმა-ათის სექტემბრის შეხვედრის შედეგები ნაკლებ შედეგიანი აღმოჩნდა, მაგრამ ბიძგი მიეცა ორმხრივ მოლაპარაკებებს. აზერბაიჯანმა გადაწყვიტა ცალმხრივი წესით სამართლებრივი სახე მიეცა კასპიის ზღვაზე თავისი ეროვნული სექტორის არსებობისთვის<sup>171</sup>. ამიტომ აზერბაიჯანულმა კანონმდებლობამ ქვეყნის 1995 წლის კონსტიტუციის შინაარსში შეიტანა მუხ. 11 (პ. 2), რომელიც ამკვიდრებდა კასპიის ზღვის ტბის სექტორულ ვარიანტს. ამ დებულების შესაბამისად ფსკერიც, წყლის სიბრტყეც და საჰაერო სივრცეც კასპიის ზღვის აზერბაიჯანული სექტორის ფარგლებში აღიარებული იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკუთრებად.<sup>172</sup>

<sup>168</sup> იბ. Idrisov E. Oil andGaz of Kazakhstan\Solutation to the problem of the Status of the Caspian Sea: A Key Task of Caspian States Conference in London. 1998. 29 – 30 April.

<sup>169</sup> თაგმჯდომარის განცხადება კასპიისპირა სახელმწიფოების სსს სამართლებრივი სამსახურების ხელმძღვანელთა მეორე თათბირის შედეგების შესახებ\ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

<sup>170</sup> იბ. სქოლით 168 *supra*

<sup>171</sup> იბ. Коптев Д. Дно Каспия уже поделили. Остается поделить воды // Русский телеграф. 1998. 30 июля.

<sup>172</sup> აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია. ბაქო, 1997. გვ. 12.

1995წ. ოქტომბრის მოსკოვის კონფერენცია დასამასხოვრებელი იყო რუსეთის პოზიციაში შიდაუწყებრივი უთანხმოებით.<sup>173</sup>

საკითხი საერთო ორგანოს შესახებ კვლავ იქნა წამოყენებული 1995 წლის დეკემბერში კასპიის ზღვის პრობლემებზე თეირანის კონფერენციის ფარგლებში.<sup>174</sup> ირანმა კვლავ წამოაყენა წინადადება კასპიის ზღვის ქვეყნების ორგანიზაციის დაუყოვნებელი დაარსების აუცილებლობის შესახებ, რომელსაც შეეძლებოდა განეხილა და გადაეწყვიტა პოლიტიკური და კონომიკური ხასიათის პრობლემები, მათ შორის ენერგეტიკულ სფეროშიც, ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, ადემართა ბარიერი რეგიონში დასავლეთის სახელმწიფოების და ტრანსნაციონალური სანავთობო კომპანიების შეღწევის გზაზე.

აზერბაიჯანის დელეგაცია გამოვიდა განცხადებით იმის შესახებ, რომ გამომდინარე კასპიის ზღვის უდიდესი ენერგეტიკული რესურსებიდან და ზღვისპირა სახელმწიფოებისათვის მათი მნიშვნელობიდან, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა ინტერესებიდან, რომელიც საწვავის ნაკლებობას განიცდიან, უნდა მოხდეს კონსტატირება იმისა, რომ ზღვის პრობლემები დიდი ხანია პრაქტიკულად გავიდა რეგიონალური ჩარჩოებიდან და ზოგად მსოფლიო პრობლემებად გადაიქცა.

მოცემულმა მიდგომამ ევროკავშირის მხარდაჭერა ჰქოვა; მისი პოლიტიკა კასპიისპირა რეგიონის, კერძოდ კასპიის ზღვის ენერგორესურსების მიმართ, შეესაბამებოდა აზერბაიჯანის პოზიციას.

1996 წლის აპრილში ორგანიზაცია ტასის-მა<sup>175</sup> შექმნა ექსპერტთა ჯგუფი “კასპიის რეგიონიდან და ცენტრალური აზიდან დასავლეთის ბაზრებამდე რესურსების ტრანსპორტირების სისტემის რეფორმის მხარდაჭერ საშუალებათა შესწავლისა და ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა განსაზღვრისათვის.”<sup>176</sup> გადაწყვეტილების მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ გამომუშავებულიყო სპეციალური წინადადებები ინვესტორებისათვის მიმზიდველი მსხვილმასშტაბიანი პროექტების შესახებ.

ტასის-მა შეიმუშავა პროგრამა “სახელმწიფოთაშორისი ნავთობსადენები და გაზსადენები ევროპისაკენ”.<sup>177</sup> პროგრამის

<sup>173</sup> იბ. ასევე სქოლით 220.

<sup>174</sup> იბ. Акимов А.В. Экономическая ситуация и интересы стран-участниц проекта разработки Каспийской нефти // Каспийская нефть и международная безопасность. Вып. 2. Материалы международной конференции. М., 1996. с. 27-29.

<sup>175</sup> TACIS – დსო-ს ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების პროგრამა; იბ. ზოგადად [http://europa.eu/legislation\\_summaries/external\\_relations/relations\\_with\\_third\\_countries/eastern\\_europe\\_and\\_central\\_asia/r17003\\_en.htm](http://europa.eu/legislation_summaries/external_relations/relations_with_third_countries/eastern_europe_and_central_asia/r17003_en.htm).

<sup>176</sup> იბ. Yakemchuk Roman. Les Hydrocarbures de la Caspienne. La competition des puistrale. Bruxelles, 1999. p. 88.

<sup>177</sup> (“Interstate oil and gas to Europe”); პროგრამა ამჟამად ხორციელდება ევროკავშირის ინოგეთ პროგრამის ფარგლებში:

ფარგლებში შემუშავდა სხვადასხვა პროექტები, გ. ჟ. აქტაუს, თურქმენბაშის და ბაქოს საზღვაო ნავსადგურების რეკონსტრუქციის დაწყება კასპიის ზღვის დონის ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით<sup>178</sup> და სხვა.

1996 წლის მარტში ქ. მოსკოვში რუსეთის ფედერაციის ინიციატივით მოწვეულ იქნა მეცნიერთა მორიგი შეხვედრა - საერთაშორისო სამეცნიერო სემინარი “კასპიის ზღვა და საერთაშორისო უსაფრთხოება”, ორგანიზებული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის “მშვიდობის და თანხმობის ფედერაცია”, რუსეთის სამეცნიერო ფონდის მოსკოვის განყოფილების, უურნალ “ნავთობი და კაპიტალი” და ფრიდრიხ ებერტის სახელობის ფონდის მიერ, პოსტსაბჭოთა კვლევათა ამერიკული ცენტრის ხელშეწყობით.<sup>179</sup>

ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ოფიციალურმა პირებმა, ნავთობკომპანიების წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა, რუსეთის, აშშ, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საბერძნების, საქართველოს და სხვ. ექსპერტებმა. სემინარის პროგრამა, მონაწილეობა გამოსვლათა თემატიკა საშუალებას გვაძლევს გაკეთდეს დასკვნა, რომ კონფერენცია ატარებდა კომპლექსურ ხასიათს: განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა კასპიის ზღვის ნავთობის და გაზის როლი და ადგილი მსოფლიოს საწვავ-ენერგეტიკულ ბაზრებზე; კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის პრობლემები; ზღვისა და ზღვის ფსკერის ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების უფლების თავისებურებანი; აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები და სხვ.<sup>180</sup>

რუსეთის წარმომადგენელთა გამოსვლებში ყურადღების აქცენტირება ხდებოდა მირითადად საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის, ეკონომიკური მონიტორინგის და ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საკითხებზე.

აღინიშნა, რომ 1996 წლისათვის უკვე მოხდა კასპიის ზღვის სივრცეების თვითნებური გადანაწილება. ფორუმზე აგრეთვე აღინიშნა, რომ კასპიისპირა სახელმწიფოთა შემდგომი ბედი დამოკიდებულია მინერალური რესურსების პრობლემის საკითხის გადაწყვეტაზე.<sup>181</sup>

[http://www.inogate.org/index.php?option=com\\_content&view=article&id=46%3Aabout-inogate&catid=31%3Ageneral&Itemid=72&lang=en](http://www.inogate.org/index.php?option=com_content&view=article&id=46%3Aabout-inogate&catid=31%3Ageneral&Itemid=72&lang=en)

<sup>178</sup> იქვე.

<sup>179</sup> ინფორმაცია საერთაშორისო სემინარის შესახებ “კასპიის ზღვის ნავთობი და საერთაშორისო უსაფრთხოება”. 5 დ 6 მარტი 1996 წ. მოსკოვი || აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

<sup>180</sup> იხ. შულცე პ. კასპიjskaya neft: podkhody k probleme // Kaspisjkskaya neft i mezhduunarodnaya bezopasnost. Vyp. 2. c. 9-15.

<sup>181</sup> იხ. Шематенков В.Г. Интеграция прикаспийских государств — путь к решению проблемы минеральных ресурсов Каспия // Каспийская нефть и международная безопасность. Вып. 2. с. 44-48.

გამოითქვა კრიტიკული მოსაზრებები კასპიის ზღვაზე აზერბაიჯანისა და ყაზახეთის საქმიანობასთან დაკავშირებით:<sup>182</sup> ნეგატიური რეაქცია გამოიწვია 1996 წელს დადებული ნავთობის ტრანზიტის შესახებ რუსეთ-აზერბაიჯანის ხელშეკრულებამ. რუსეთის იმ წრეების მოქმედებანი, ვინც დადო ეს ხელშეკრულება, შეფასებული იყო, როგორც “უადგილო, რუსეთის ეროვნული და სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის მომტკიცება.”<sup>183</sup>

თავისი გეოპოლიტიკური იდეებით ცნობილი რუსი საერთაშორისო სამართლის ექსპერტის ი. ბარსეგოვის აზრით, კასპიის ზღვის სტატუსის განმსაზღვრელ ნორმატიულ ბაზად უნდა აღიარებულიყო საბჭოთა კავშირ-ირანული სახელშეკრულებო პრაქტიკა (1921-1940 წლების შეკრულებები).

ამ პრაქტიკაზე მითითებით მან განაცხადა, რომ კასპიის ზღვა არის დახურული წყლის აუზი, დახურული ზღვისპირა სახელმწიფოებისათვის (ანუ მესამე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ სარგებლობა კასპიის ზღვით). ზღვა, როგორც ადრე, უნდა დარჩეს ერთობლივი სარგებლობის ობიექტიდ, სხვა სიტყვებით, “კონდომინიუმად”. იმავდროულად ი. ბარსეგოვმა ხაზი გაუსვა, რომ კასპიის აუზის სახელწოდებას ძირითადი მნიშვნელობა არ გააჩნია, - მიუხედავად იმისა ზღვა იქნება თუ ტბა, მთავარია - შეინარჩუნოს ძალაში მისი ძველი საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობა.<sup>184</sup>

ამ პოზიციას არ დაეთანხმენ ყაზახეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები, რომელნიც ეჭვის ქვეშ აყენებდნენ კასპიის ზღვაზე საერთო საკუთრების რუსეთის კონცეფციის სამართლიანობას (ერთობლივი საკუთრების რეჟიმი ან ერთობლივი იურისდიქცია); მათი დასკვნით საბჭოთა-ირანული სახელშეკრულებო პრაქტიკა არანაირად არ აძლევს სახელმწიფოებს კასპიის “კონდომინიუმად” გამოცხადების უფლებას. და აქედან გამომდინარე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ კასპიისპირა სახელმწიფოების მიმართ გამოხატული მოწოდებანი - თავი შეეკავებინათ ცალმხრივი შეუთანხმებელი ქმედებებისგან, მოკლებული იყვნენ სამართლებრივ საფუძველს.<sup>185</sup>

აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა დააყენეს ასევე კასპიის ზღვის ფსკერის დელიმიტაციის საკითხი: “კასპიის ზღვის ფსკერი და წიაღისეული დელიმიტირებული უნდა იქნეს ზღვისპირა სახელმწიფოებს შორის, რომელთაც ექნებათ ეროვნული იურისდიქცია და

<sup>182</sup> ი. მარცენკო გ.ვ. Проблема транспортировки каспийской нефти в свете урегулирования региональных конфликтов // Каспийская нефть и международная безопасность. Вып. 2. с. 75-80.

<sup>183</sup> Звягельская И. Политические противоречия между прикаспийскими государствами и перспективы реинтеграции // Каспийская нефть и международная безопасность. 2002.

<sup>184</sup> ი. ბარსეგოვ ი. კასпий в международном праве и мировой политике. М., 1998; Не пей до дна. О проблемах раздела Каспия размышляет доктор юридических наук Юрий Барсегов // Трибуна. 1998. 10 сентября.

<sup>185</sup> ი. გიzzatov ვ.Х. Каспийская нефть и международная безопасность // Каспийская нефть и международная безопасность. Вып. 2. с. 49-50.

განსაკუთრებული უფლებები ზღვის საკუთარ ნაწილში მინერალური რესურსების დაზერვის და დამუშავების მიმართ.”<sup>186</sup>

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანი ემხრობა საერთაშორისო (სასაზღვრო) ტბების შეა ხაზის გასწვრივ დელიმიტაციის პრაქტიკას.<sup>187</sup>

ნაკლებად პოლიტიზირებული რუსი მეცნიერის ი. ფიოდოროვის აზრით, რუსეთის პოლიტიკა კასპიის ზღვაზე გამოირჩევა დესტრუქციული მიდგომებით.<sup>188</sup>

შემდეგი კონფერენცია გაიმართა 1996წ. მაისში თეირანში, რომელშიც გაურკვეველი მიზეზების გამო არ მონაწილეობდა ყაზახეთის დელეგაცია.<sup>189</sup> კონფერენციის დღის წესრიგი ეხებოდა თევზჭერასა და ბიორესურსებს, მ.შ. ხიზილალის მოპოვებასა და ექსპორტს.

ამავე წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ იქნა რუსეთის, ირანისა და თურქეთის სამმსრივი მემორანდუმი ბუნებრივი რესურსების ერთობლივი გამოყენების შესახებ.<sup>190</sup> ხოლო დეკემბერში აზერბაიჯანმა, საქართველომ და უკრაინამ ხელი მოაწერეს პრინციპიალურ შეთანხმებას კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ მარშრუტით - ბაქო - სუფსა - ოდესა - ბროდი - დასავლეთ ევროპა.<sup>191</sup>

“ხუთი კასპიისპირა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების აშხაბადის შეხვედრაზე რუსეთი კომპრომისული გადაწყვეტილებით მოვიდა. მან განაცხადა, რომ 45 - მილიანი ზღვისპირა ზოლის შიგნით თითოეულ ქვეყანას აქვს განსაკუთრებული ან სუვერენული უფლება ზღვის ფსკერის მინერალურ რესურსებზე. ამ ზონის ფარგლებს გარეთ, იმ ადგილებში, სადაც ნებისმიერმა სახელმწიფომ დაიწყო ან უპე მზადაა დაიწყოს კონკრეტული მონაკვეთის დამუშავება, ამ მონაკვეთის იურისდიქცია მიეკუთვნება შესაბამის სახელმწიფოს.”<sup>192</sup>

რაც შეეხება ზღვის დანარჩენ ნაწილს, - რუსეთმა შესთავაზა ერთობლივი სააქციო კომპანიების შექმნა ზღვის ამ ნაწილის ათვისების მიზნით. წინადადება მეტად ჩახლართული და მოუმზადებელი იყო, და იგი დადებითი გამოხმაურების გარეშე დარჩა.<sup>193</sup>

<sup>186</sup> იქვე გვ. 57.

<sup>187</sup> ი. მუსთაფაევ რ.С. Позиция Азербайджанской Республики по вопросу о статусе Каспия и правового режима использования его ресурсов. Информация о международном семинаре “Каспийская нефть и международная безопасность. 5-6 марта 1996 г.” // Архив МИД Азербайджанской Республики.

<sup>188</sup> ი. ფედოროვ იუ. Каспийская нефть и международная безопасность. Вып. 1. Аналитический доклад по материалам международной конференции. М., 1996. с. 53.

<sup>189</sup> ი. ახუნდოვ რ. ვ თერანე ისახავება ბიორესურსი კასპია // ვიშა. 1996. 24 მაი.

<sup>190</sup> ი. Основы правового сотрудничества — добное сотрудничество // Бакинский рабочий. 1996. 19 ноября.

<sup>191</sup> ი. PACEKA — новый импульс для развития нашей страны // Панорама. 1998. 19 августа.

<sup>192</sup> ი. Merzliakov Iu. Legal Status of the Caspian Sea// Millennium Journal of International Studies. 1999. N45 (1). P. 33-39.

<sup>193</sup> ი. მირზოევ მ.ა. რა განაკვეთი კასპიი? // ვიშა. 1996. 26 ноября.

ცნობილია, რომ ზემოთ ხსენებული მემორანდუმის ფარგლებში რუსეთმა, თურქმენეთმა და ირანმა გადაწყვეტეს დაეარსებინათ ზღვის ფსკერის ნახშირწყალბადური რესურსების მოკვლევისა და დამუშავების სამმსრივი კომპანია. სამწუხაროდ, რაც იმ წლებისათვის დამახასიათებელია, ეს ინიციატივა, ისევე, როგორც სხვა მრავალმხრივი პრაქტიკული მცდელობები, არ განხორციელებულა.<sup>194</sup> საბაბი კი უფლების ერთი და იგივე იყო – სტატუსთან დაკავშირებული დეტალების შეუთანხმებლობა, ხოლო არსებითად – მხარეთა ურთიერთ უნდობლობა.

არ სურდა რა პესიმისტურად შეეჯამებინა 1996წ. შედეგები, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, აზერბაიჯანის პოზიციის ერთერთმა აქტიურმა სულისხამდგმელმა ხ. ხალაფოვმა განაცხადა, რომ მხარეებმა დაიწყეს უფრო მეტად “კასპიის ზღვის სექტორული და გაყოფილი ექსპლუატაციის”<sup>195</sup> აღიარება. მისი აზრით, ხსენებული სამი სახელმწიფოს სურვილი დააარსონ ირანულ-რუსულ-თურქმენული ერთობლივი კომპანია საბადოთა მოკვლევისა და დამუშავებისათვის, თავისი არსით სხვა არაფერია, თუ არა კასპიის ზღვაში შუა ხაზის არსებობის დე ფაქტო აღიარება.<sup>196</sup>

1997წ. მაისში ალმა-ათაში გაიმართა დისკუსიები კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ კონვენციის<sup>197</sup> გარშემო. ეს შეხვედრა დირსშესანიშნავი იყო იმითაც, რომ მხარეები აღარ ფარავდნენ თავის განზრახვებს და დისკუსიების მრავალმხრივი სფეროდან ორმხრივში გადატანის შესაძლებლობას. მით უმეტეს, რომ ორმხრივი მოლაპარაკებები ბოლო ორი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა ზოგიერთ ქავენებს შორის.

ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პ. ტოკაევის სიტყვებით, მხარეების პოზიციები ემთხვეოდა ისეთ საკითხებში, როგორიცაა გარემოს დაცვა, ნაოსნობა, თევზჭერა, ხოლო სხვაობები კვლავაც არსებობდა კასპიის ზღვის ფსკერისა და წიაღის დელიმიტაციის საკითხში.<sup>198</sup>

ალმა-ათის შეხვედრაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო უკვე ოთხი პროექტი: ყაზახეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის და ირანის. გადაწყვეტილი იყო საფუძვლად კონვენციის ყაზახეთის ვარიანტის მიღება, ხოლო ძირითადი პრობლემა შემდეგი პოზიციების შეთანხმებისას წარმოიქმნა: რუსეთი კვლავაც მოითხოვდა ეროვნული იურისდიქციის 45-მილიანი ზონის შემოღებას; აზერბაიჯანი - “სასაზღვრო ტბის” კონცეფციას, რომელიც დელიმიტირებული იქნებოდა ეროვნულ

<sup>194</sup> ი. Дубнов А. К Каспийскому консенсусу через русский “авось”. Москва объяснил Тегерану, что хотела как лучше... // Время. 1998. 10 июля.

<sup>195</sup> ი. Khalafov K. Le statut juridique de la mer Caspienne, ses fondements en droit international et ses conséquences pratiques// La region de la mer Caspienne. Colloque du 26 fevrier 1997. p. 20-25.

<sup>196</sup> იქვე.

<sup>197</sup> ი. Статус Каспия: будем делить по-братски или по справедливости. Время. 1997. 23 мая. с. 6.

<sup>198</sup> იქვე.

სექტორებად შუა ხაზის პრინციპით; ყაზახეთი - ზღვის ფსკერის დელიმიტაციას, თურქმენეთმა შუალედური, კომპრომისული პოზიცია დაიკავა; ირანი კი ამტკიცებდა, რომ საჭიროა 1921 - 1940 წწ. ხელშეკრულებების დაცვა, სანამ ზღვისპირა სახელმწიფოები არ შეთანხმდებიან სხვა რამეზე.<sup>199</sup>

1997 წელს კასპიის ზღვის პრობლემა თანდათან გასცდა კასპიისპირა სახელმწიფოების მრავალმხრივი მოლაპარაკებების ფარგლებს და გადაიქცა უფრო გლობალურად. ასე მაგალითად, 1997 წ. მაისში აშხაბადში გამართული თურქმენეთის, ავღანეთის, ირანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, პაკისტანის, უზბეკეთის, თურქეთისა და ტაჯიკეთის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურთა სამიზნე განიხილებოდა ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, აგრეთვე კასპიის ზღვის აუზიდან საერთაშორისო ნავთობ-გაზსადენების ქსელის განვითარების პერსპექტივები. ადინიშნა, რომ “ვითვალისწინებო რა, უდიდეს ენერგეტიკულ რესურსებს, რომლებსაც ის ფლობს და მათ მნიშვნელობას მრავალრიცხოვანი სახელმწიფოების ეკონომიკისათვის, რომელნიც განლაგებულნი არიან ამ რეგიონის ფარგლებს გარეთ და განიცდიან საწვავის საჭიროებას, კასპიის ზღვის პრობლემები გადის წმინდა რეგიონალური საგნის ფარგლებიდან.”<sup>200</sup>

ანალიზიური მიდგომა დაფიქსირდა ევროპის საბჭოს მიდგომაშიც.<sup>201</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა იმედოვნებდა, რომ “საერთაშორისო ბალანსის დამყარება ... ყველა დაინტერესებული სახელმწიფოსა და კომპანიის მონაწილეობით ... ბოლოს მოუდებს “ნავთობსადენთა ომს” ... და ურჩია მინისტრთა კომიტეტს ... გამოიჩინოს ინიციატივა იმისათვის, რომ გამართოს დიალოგი შეერთებულ შტატებთან შეხედულებებში განსხვავებათა დაძლევის მიზნით, რომლებიც არსებობს ცენტრალური აზიისა და კავკასიის მიმართ წარმოებული პოლიტიკის ზოგიერთ ასპექტში.”<sup>202</sup>

როგორც ბუნებრივმა მოვლენამ, კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის საკითხის შესახებ კასპიისპირა სახელმწიფოების მრავალმხრივი მოლაპარაკებების უშედგობამ ბიძგი მისცა მათ შორის ორმხრივ მოლაპარაკებებს.

<sup>199</sup> ი. Nugman G. The legal status of the Caspian Sea// Eurasian Studies. Spring. 1998. N13. p. 84.

<sup>200</sup> ი. Nourlan D. L'approche du Kazakhstan aux problemes et aux perspectives de la cooperation des Etats riverains de la mer Caspienne// La Region de la mer Caspienne. P. 32.

<sup>201</sup> ი. საერთაშორისო კონფერენციის: “ნავთობი და კასპიის რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოება”. (მოსკოვი - ასტრახანი, 24 - 27 ივნისის 1997 წ.) მონაწილეების მიმართვა საზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

<sup>202</sup> ი. Гафарлы М. Ельцин и Назарбаев разделили Каспий. Подписана декларация “О вечной дружбе и союзничестве” и предложено урегулировать взаимные долги с помощью “нулевого варианта” // Независимая газета. 1998. 7 июля; ი. ავავე Қиямпур С. Москва и Астана начали раздел дна Каспия по национальному признаку // Русский телеграф. 1998. 7 июля.

ამის პრაქტიკულმა შედეგებმა არ დააყოვნა, და 1998 წლის 6 ივლისს რუსეთმა და ყაზახეთმა დადეს ხელშეკრულება ჩრდილოეთ კასპიის ფსკერის და წიაღის<sup>203</sup> გაყოფის შესახებ.

კასპიის ზღვის რესურსების ათვისებაში ფორმალური საკითხების დარეგულირება მჭიდროდაა დაკავშირებული მოპოვებული რესურსების ტრანსპორტირებასთან და, როგორც ცნობილია, სტამბოლში, 1998 წელს, თურქეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის და ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს დეკლარაცია, რომელიც განსაზღვრავს კასპიის ზღვის ნავთობის და გაზის ტრანსპორტირებას თურქეთის გავლით; ეს გადაწყვეტილება დამტკიცებული იყო 1998 წლის 28 აპრილს პრეზიდენტების ს. დემირელის, გ. ალიევის და ე. შევარდნაძის მიერ.<sup>204</sup>

იმავდროულად, ევროპის საბჭომ მიიღო დეკლარაცია, სადაც აღინიშნებოდა კასპიის ზღვის რეგიონის ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელობა ევროპისათვის.<sup>205</sup>

ამ მოვლენათა პგალდაკვალ ჯერ თბილისში,<sup>206</sup> 1998წ. მაისში, ხოლო შემდგომ ბაქოსა და ანკარაში ჩატარდა სამიტები მრავალი დაინტერესებული ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობით, სადაც იმსჯელეს კასპიის ზღვაში მოპოვებული ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებაზე ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის მეშვეობით,<sup>207</sup> და თურქეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის და საქართველოს პრეზიდენტებმა ანკარაში ხელი მოაწერეს დეკლარაციას ბაქო - ჯეიპანის მიღსაღენის პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებით.<sup>208</sup>

ნავთობის ტრანსპორტირების ამ ხაზით სტიმულირების მიზნით თურქეთის მთავრობამ განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში შემოიღებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეთა გემებით გავლის გამკაცრებულ რეგლამენტაციას, და შეზღუდვს ტანკერების მოძრაობას.<sup>209</sup>

<sup>203</sup> იქვე.

<sup>204</sup> იბ. Виноградов Б. Каспийская пятерка без России и Ирана // Известия. 1998. 3 марта.

<sup>205</sup> იბ. Yakemtchouk R. Les hydrocarbures de la Caspienne. La competition des puissances dans le Caucase et en Asie centrale. Bruxelles, 1999. p. 86-87. იბ. ზოგადად ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტის მოხსენება ამავე საკითხზე (2002წ.), წყარო: <http://www.assembly.coe.int/ASP/Doc/XrefViewHTML.asp?FileID=9934&Language=EN> და მისი განხილვა, წერი:

<http://www.assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/Records/2003/E/0304021500E.htm#4>

<sup>206</sup> იბ. ТРАСЕКА — новый импульс для развития нашей страны; Заглядывая в будущее // Бакинский рабочий. 1999. 24 апреля.

<sup>207</sup> იბ. Шерматова С. “Шелковый путь” для нефти // Московские новости. 1998. 6-13 сентября.

<sup>208</sup> იბ. Чубченко Ю. Каспийское море остается неделимым. До начала июля // Коммерсант. 1998. 29 апреля

<sup>209</sup> იბ. Сладкий запах каспийской нефти // Век. 1998. 27 ноября.; Иванов Н. Дружба дружбой, а нефть пойдет там, где дешевле. При выборе путей транзита каспийской нефти экономика возобладала над политикой // Сегодня. 1998. 30 октября.; Новопрудский С. Почтовый трубопровод Баку — Джейхан. Турция: открылся сезон переписки по каспийской нефти // Финансовые известия. 1998. 4 ноября; Нефть Каспия и политика Азербайджана // Бакинский рабочий. 1999. 31 марта.

ამგვარად, ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ტრანსპორტირების საკითხები პრაქტიკულ ჭრილში გადავიდა, და პროცესებმა შეუძლებადი ხასიათი მიიღო.

ირანის თანმიმდევრული პოზიციის გათვალისწინებით, რუსეთსა და ირანს შორის წარმოიქმნა დაპირისპირება 1998წ. ფსკერის (შელფის) გაყოფასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე 1998წ. დეპერენტში მოსკოვში მოწეულ იქნა კონფერენცია, რომელზეც პოსტსაბჭოთა კასპიისპირა სახელმწიფოებმა შეძლეს შეთანხმების მიღწევა კასპიის ზღვის სრული გაყოფის აუცილებლობის შესახებ.<sup>210</sup>

ირანი, აღმოჩნდა რა იზოლაციაში თავისი ხისტი მიდგომით კასპიის ზღვით ერთობლივად სარგებლობისადმი, გამოვიდა ახალი ინიციატივით – კასპიის ზღვა არც ზღვად და არც სასაზღვრო ტბა – არამედ თანაბარ 20-20% სექტორებად დაყოფილი წყლის აუზი.<sup>211</sup> აღნიშნული პოზიციის გამყარება მეტად რთულია პრეცედენტების არარსებობის გამო, მაგრამ ირანის პოზიციის პროგრესული ცვლილება სახეზე იყო.

ირანმა თავის მხრივ მოიწვია სამეცნიერო კონფერენცია 1999წ. იქნისში თეირანში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, დიპლომატებმა, სპეციალისტებმა და ექსპერტებმა ცენტრალური აზიისა და კავკასიის მრავალი ქვეყნიდან<sup>212</sup>. კონფერენციაზე ირანმა კვლავაც გააკეთა მოწოდება 1921-1940 წწ. საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებების სასარგებლოდ,<sup>213</sup> და ხელახლა წარმოადგინა თავისი ახალი ინიციატივა ზღვის სივრცის თანაბარწილად გაყოფაზე, რამაც დადგებითი გამოხმაურება ვერ ჰპოვა.<sup>214</sup>

ირანის პოზიცია გააჭდერა საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ხარაზიძე: “კასპიის ზღვის სამართლებრივი რეჟიმის საკითხზე ირანის ისლამურ რესპუბლიკას მიაჩნია, რომ ამ ზღვის ახალი სამართლებრივი სტატუსი უნდა ფორმდებოდეს და მიიღოს ერთხმად მისი სანაპიროს ყველა ქვეყანამ. სანამ არ არის ახალი სამართლებრივი რეჟიმი, უნდა მოქმედებდეს ძველი.

ამ ზღვის სიმდიდრეთა ნებისმიერი ცალმხრივი და დაუსაბუთებელი ექსპლუატაცია, მისი უნიკალურობის გათვალისწინებით, არ იქნება ჩვენს მიერ აღიარებული ახალი სამართლებრივი სტატუსის მიღებამდე. ამ ზღვის ყველა რესურსი ახალი სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრამდე ეკუთვნის ყველა ზღვისპირა სახელმწიფოს. ამიტომ ის ქვეყნები,

<sup>210</sup> იხ. Багиров А. Можно ли наконец поделить Каспий? // Российская газета. 1999. 5 января.

<sup>211</sup> იხ. Халафов Х. Иранские требования по поводу статуса Каспия не имеют основания // Азадлыг. 2000. 8 августа).

<sup>212</sup> ანგარიში 1999 წლის 22-23 ივნისს თეირანში ირანის ისლამური რესპუბლიკის სსს პოლიტიკური და საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული VII საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, თემაზე: “კასპიის ზღვა: შესაძლებლობანი და შეზღუდვები”// აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსს არქივი.

<sup>213</sup> იქვე.

<sup>214</sup> იქვე.

რომელთა ცალმხრივი მოქმედებები ზიანს აუენებენ სხვა ზღვისპირა ქვეყნების უფლებებს, პასუხს აგებენ.”<sup>215</sup>

ამგვარად ირანმა ვერ დასძლია ინერტულობა, ვერ გამოიჩინა დიპლომატიური მოქნილობა, კვლავაც ვერ გაამყარა თავისი პოზიცია სამართლებრივად, და გამორიცხა თავისი თავი სტატუსის დადგენის აქტიური ღონისძიებების განხორციელებაში.

2000 წლიდან კასპიის ზღვის სტატუსის ფორმირების უშედეგო თეორიული მცდელობები მკვეთრად, და ჩვენის აზრით, შეუძლევადად, შეიცვალა პრაქტიკული ნაბიჯებით. დაიწყო ორმხრივი მოლაპარაკებების სტადია.

ამ პერიოდში აღინიშნება რუსეთის უფრო აქტიური, და იმავროულად შინაგანი წინააღმდეგობებით მოცული ქმედებები, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა კასპიის ზღვის სტატუსის ჩამოყალიბების საკითხებში, რაც უფრო ვრცლად ქვემოთაა აღწერილი.

რუსეთის ე.წ. ახალი ინიციატივების შემოდება აღინიშნა კასპიის ზღვის საკითხებზე რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის პოსტის შემოდებით.<sup>216</sup> გაუდერდა, რომ რუსეთი სთავაზობს პრობლემების გადაჭრის ეტაპობრივ გზას დარგობრივი მიდგომით - ნაოსნობის, ეკოლოგიის, ბიოლოგიური რესურსების გამოყენების, სანაპირო ზოლის განსაზღვრის და ა.შ.<sup>217</sup>

განავრცო რა 1998წ. ყაზახეთთან დადებული ხელშეკრულების თემა, რუსეთმა განაცხადა, რომ კასპიის ზღვა იყოფა ეროვნულ სექტორებად, ამასთან კასპიის ზღვის ზედაპირი საერთო სარგებლობაში რჩება, - ამდენად ეროვნულ სექტორებად იყოფა მარტო ფსკერი.<sup>218</sup>

ორმხრივი მოლაპარაკებების აუცილებლობა საბუთდება პრაქტიკული მოსაზრებით, ანუ თუ რომელიმე სახელმწიფო ხელს შეუშლის კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ მოლაპარაკებებს, და აჭიანურებს მათ, მაშინ დანარჩენმა ქვეყნებმა არ უნდა დაკარგონ დრო და თვითონ მოილაპარაკონ.<sup>219</sup>

საკითხების ამგვარმა დაყენებამ რუსეთში გარკვეული შინაგანი კრიტიკა გამოიწვია,<sup>220</sup> ასევე არაერთგვაროვანი იყო კასპიისპირა

<sup>215</sup> ი. ხარразი კ. Текст выступления... на заседании открытия седьмой конференции Центральной Азии и Кавказа // Аму-Дарья, 1999, №3. с. 19.

<sup>216</sup> ი. ზუბკოვ ვ. კასპიй на перепутье // Трибуна. 2000. 6 октября.

<sup>217</sup> ი. დავითოვა მ. კასპიйское горе // Итоги. 2000. 17 сентября.

<sup>218</sup> ი. ვინogradov B. Туркменбаши оказался неуступчивым. Ашхабад отверг позицию Москвы по статусу Каспия // Известия. 2000. 20 июля; Буянцева А. Калюжный предлагает делить, когда речь идет о Каспии // Ведомости. 2000. 17 июля.

<sup>219</sup> ი. გაჯизадე ა. Россия определила свои приоритеты на Каспии. Что решат остальные прибрежные страны // Независимая газета. 2000. 18 июля.

<sup>220</sup> ასე, ცოდიტოლოგმა ა. დუბნოვმა მის წინადადებას უწოდა ”კასპიის თავსატეხი”. მანვე გამოთქვა კრიტიკა იმის თაობაზე, რომ ვ. კალიურიძ არ გამოიჩინა საკმაო სიფრთხილე აშხაბადისა და თეირანის კასპიური ”პლატფორმის” შეფასებაში. ერთერთ თავის სტატიაში მ. იგნატოვამ ხაზი გაუსვა: “პირველი შეხედვით პრეზიდენტის

სახელმწიფოების რეაქცია რუსეთის ფედერაციის ახალი წინადაღებების მიმართ. აზერბაიჯანში მათ ვერ გამოავლინეს ახალი მიდგომები კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრაში.

მოიწონა რა რუსეთისა და ყაზახეთის შეთანხმება, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა განაცხადა საკითხის ისეთი გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ, რომლის შედეგადაც ”არავის არავისთან პრეტენზიები არ ექნება.”<sup>221</sup> 2001 წლის 9 იანვარს ბაქოში რუსეთს და აზერბაიჯანს შორის ხელმოწერილი იყო ორი დოკუმენტი: ბაქოს დეკლარაცია და ერთობლივი განცხადება კასპიის ზღვაზე თანამშრომლობის პრინციპების შესახებ.<sup>222</sup>

არსებული უთანხმოებების ეტაპობრივი დაძლევის მიზნით მხარეები შეთანხმდნენ, რომ საწყის ეტაპზე ისინი გამიჯნავენ კასპიის ზღვის ფსკერს სექტორებად-ზონებად შუა ხაზის პრინციპის საფუძველზე, რომელიც რომელიც გაივლის თანაბრად დაშორებული წერტილების გათვალისწინებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და კასპიის ზღვაზე ჩამოყალიბებული პრაქტიკის გათვალისწინებით. რუსეთი და აზერბაიჯანი აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ თითოეულ მხარეს თავის სექტორ-ზონაში ექნება განსაკუთრებული უფლებები აუზის ფსკერზე მინერალური რესურსების მოკვლევა-მოპოვების მიზნით.<sup>223</sup>

ამგვარად, შედგა კასპიის ზღვის ფსკერის დელიმიტაცია რუსეთისა და აზერბაიჯანის მიერ, რასაც დაემატა რუსეთ-აზერბაიჯან-ყაზახეთის 2003წ. სამხხოვი შეთანხმება ფსკერის სექტორების გამმიჯნავი წერტილების შესახებ.<sup>224</sup>

ყაზახეთთან ურთიერთობებში რუსეთს არ გასჩენია რაიმე განსაკუთრებული უთანხმოება კასპიის ზღვის გამიჯნული სექტორების მიმართ, როგორც ფსკერის, ისე წყლის სიბრტყით სარგებლობის მიმართ (წყლის სიბრტყის საკითხი რუსეთ-აზერბაიჯანის 2001წ. ხელშეკრულებით არ რეგულირდება). 1998 წ. შეთანხმების დებულებების ხელახლი კონსტატაცია მოხდა რუსეთ-ყაზახეთის დეკლარაციაში (2000წ. ოქტომბერი).<sup>225</sup>

სპეციარმომადგენლის ქცევა გარკვეულ გაპირვებას იწვევს და უფრო გვაგონებს “ორი ბატონის მოახლის” მოქმედებას. ფაქტოურად რუსეთი შეუდგა საქმაოდ როგორც თამაშს კასპიისპირა სახელმწიფოების წინააღმდეგობებზე, მაგრამ რამდენად დიდ ხანს შეძლებს ის ორ ცეცხლს შუა სიარულს, როგორც სათქმელია”. // იხ. Время новостей. 2000. 4 октября. // Известия. 2000. 2 августа.

<sup>221</sup> Гаджизаде А. Россия определила свои приоритеты на Каспии. Что решат остальные прибрежные страны // Независимая газета. 2000. 18 июля.

<sup>222</sup> იხ. Соколова В. Дошли до дна. Владимир Путин согласен закончить разделение Каспия // Известия. 2001. 10 января.

<sup>223</sup> იქვე.

<sup>224</sup> იქვე.

<sup>225</sup> დეკლარაციის ტექსტი იხ.

<http://base.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc;base=INT;n=8909>.

ახალი რეალობების გათვალისწინებით მოხდა კასპიისპირა სახელმწიფოთა პოზიციების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება, როთაც ვერ გამოირჩეოდა წინა წლებში მიღებული აბსტრაქტულ-თეორიული ფორმები. ყაზახეთის მიღომა წყლის სიბრტყის მიმართ აიხსნება იმ გარემოებით, რომ კასპიის ზღვაში წყალქვეშა მიღსადენის მშენებლობამდე იგი დამოკიდებულია მის სექტორში (და ნაწილობრივ სახმელეთო ტერიტორიაზე) მოპოვებული ნავთობის საზღვაო ტრანსპორტირებაზე, და, შესაბამისად, დაინტერესებულია, კასპიის ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობით, აგრეთვე თევზჭერის თავისუფალი რეჟიმით.<sup>226</sup>

ამ ინტერესისადმი კი ტბის სტატუსი ნაკლებად მისადებია, ხოლო ზღვის – გარკვეულ წილად შემზღვდავი (უფრო ვრცლად იხ. შემდეგ თავებში). გარდა ამისა ყაზახეთს, დაამყარა რა გარკვეული ურთიერთობანი რუსეთთან, არ სურს მნიშვნელოვნად გაემიჯნოს ამ უკანასკნელის პოზიციას წყლის სიბრტყის მიმართ.

რუსეთი კი არ ადიარებს ზღვის ვარიანტს, ვინაიდან ტერიტორიული წყლებისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შემოღება მას დააკარგვინებს ყოვლისმოცველ კონტროლს კასპიის ზღვის მთელ ზედაპირზე, (მ.შ. სამხედრო ძალის ფართო დემონსტრაციების შესაძლებლობას),<sup>227</sup> იგივე შეიძლება ითქვას ტბის ვარიანტის მიმართაც.

ირანის პოზიციამ განიცადა მხოლოდ ის ცვლილება, რომ ირანი თანახმად არ დაელოდოს კასპიის ზღვის სტატუსის სამართლებრივი პროცესის გადაჭრას, და მონაწილეობა მიიღოს სხვა საკითხების დარეგულირებაში, როგორიცაა მაგალითად ეკოლოგია. თურქმენეთი ძირითადად ემხრობა ახალ რუსულ ინიციატივებს, მაგრამ მოითხოვს რომ საბადოთა ათვისება არ მოხდეს, სანამ საბოლოოდ არ გაირკვევა სტატუსის საკითხი.<sup>228</sup> თურქმენეთის სიფრთხილე აიხსნება იმით, რომ იგი დაობს აზერბაიჯანთან გარკვეული საბადოების თაობაზე, თუმცა თურქმენეთის პოლიტიკისა და პოზიციის ერთპიროვნული გამომხატველის პრეზიდენტ ნიაზოვის გარდაცვალების შემდეგ, გაურკვეველია შეიცვლება თუ შენარჩუნდება აღნიშნული მიდგომა.

2000 წლიდან დღემდე კასპიის ზღვის ერთიანი სამართლებრივი სტატუსის ირგვლივ არანაირი წინსვლა კასპიისპირა ქვეყნებს შორის არ ყოფილა, არც რაიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის ხელმოწერა შემდგარა, თუ არ ჩავთვლით 2003წ. კონვენციას ბიორესურსების შესახებ.<sup>229</sup>

შევაჯამებთ რა კასპიისპირა სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების პრაქტიკას, რომლის ძირითადი დერძი შედგა 2000 წლამდე მათ მიერ გამოხატულ პოზიციებში, აღვნიშნავთ შემდეგს:

<sup>226</sup> იხ. ყაზახეთის სსს განცხადება 2002წ. <http://www.nomad.su/?a=3-200209030009>.

<sup>227</sup> იხ. საინფორმაციო წყარო <http://www.centrasia.ru/newsA.php4?st=1028926140>.

<sup>228</sup> იხ. ასევე სქოლით 124 *supra*.

<sup>229</sup> იხ. საინფორმაციო წყარო:  
[http://www.iran.ru/rus/news\\_iran.php?act=news\\_by\\_id&news\\_id=41907](http://www.iran.ru/rus/news_iran.php?act=news_by_id&news_id=41907).

მრავალმხრივმა მოლაპარაკებებმა, მ.შ. არაკასპიისპირა ქვეყნების მონაწილეობით, უნაყოფოდ ჩაიარა.

კასპიისპირა სახელმწიფოთა მოლაპარაკებებმა გამოავლინა მხოლოდ სხვაობანი პოზიციებში; ძირითადად დაფიქსირდა სტატუსისადმი სამი მიდგომა – ან საერთო სარგებლობა, ე.წ. კონდომინუმი; ან ზღვა თავისი სივრცეებით, რომელთა მიმართ სანაპირო სახელმწიფო გარკვეულ იურისდიქციას ახორციელებს; ან სასაზღვრო ტბა, დაყოფილი სრული სუვერენული იურისდიქციის მქონე სექტორებად.<sup>230</sup>

მრავალმხრივი მოლაპარაკებები შეიცვალა ორმხრივი კონტაქტებით, რამაც გარკვეული შედეგი გამოიდო კასპიის ჩრდილოეთი ნაწილის ფსკერის გამიჯვნის სახით.<sup>231</sup> ასეთი ორ- და სამმხრივი მოლაპარაკებები გაიმართა ყოფილ სსრკ რესპუბლიკებს შორის, რაც ჩვენის აზრით აბრუნებს მოვლენებს იმ საწყისი წერტილისაკენ, საიდანაც შეიძლება დაწყებულიყო კასპიის ზღვის სტატუსის დარეგულირების ათვლა (უფრო ვრცლად იხ. შემდეგ თავებში).

გასაკვირი არ არის, რომ ასეთი მიდგომების ინიციატორად გამოვიდა რუსეთი – ყოფილი სსრკ ძირითადი სამართალმექვიდრე. უცხოელი ინვესტორების - ნავთობის კომპანიების - გამოჩენამ მოახდინა კასპიისპირა რეგიონში ახალი აქცენტების დასმა, კერძოდ ყურადღება მნიშვნელოვნად გადატანილია კასპიის ზღვის რესურსების გატანა-ტრანსპორტირების საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სტატუსისადმი გაურკვევლობამ არსებითად ვერ შეაფერება კასპიის ზღვაში ნავთობის მომვარების საკითხები; იხსნება ახალი საბაზოები. ამ მხრივ, შეიძლება აღინიშნოს, რომ სადღეისოდ სამართლებრივი სტატუსის მოუგვარებლობა მხოლოდ აძვირებს რესურსების ტრანსპორტირებას, ვინაიდან არ შენდება წყალქვეშა მილსადენები, და ხელს უშლის ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას.<sup>232</sup>

### ქარი III. კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ პრობლემური საკითხების გადაწყვეტის არსებული ვარიანტების შედარებითი ანალიზი

#### თავი 1. არსებული სამეცნიერო პოზიციები

საერთაშორისო ხელშეკრულებანი საბჭოთა კავშირს და ირანს შორის, აგრეთვე კასპიის ზღვის სამომავლო სტატუსთან დაკავშირებული საკითხები, განიხილება დსთ-ს, ირანის და დასავლეთის ქვეყნების საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში. მეცნიერული პოზიციები სტატუსის მიმართ შეიძლება ზოგადად კლასიფიცირებული იქნეს

<sup>230</sup> იხ. ზოგადად Гукалова Е. «Проблема урегулирования международно-правового статуса Каспийского моря с 1991 по 2001 гг.», М. 2003.

<sup>231</sup> იხ. წყარო: <http://www.continent.kz/2002/19/06.html>.

<sup>232</sup> იხ. ზოგადად <http://www.ecoteco.ru/library/magazine/zhurnal-111/ekologiya/kaspiy-problemy-kaspiya-resheniya-problem-kaspiya-na-sovremennom-etape/>.

რამოდენიმე მიმართულებით: დახურული, მაგრამ არა როგორც ჩაკეტილი (ან ნახევრად ჩაკეტილი) ზღვა,<sup>233</sup> რომელზეც არ შეიძლება გავრცელდეს საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმები; კონფონიუმი, ანუ საერთო საკუთრება ან ზღვისპირა სახელმწიფოების საერთო ტერიტორია; სასაზღვრო (საერთაშორისო) ტბა; ზღვა - საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის განსაზღვრებით.

რუსეთში და ირანში ყველაზე პოპულარულია იმ მეცნიერთა აზრი, რომელნიც კასპიის ზღვას დახურულ ზღვად თვლიან. ეს აზრი ეყრდნობა მეცნიერთა დოქტრინას, რომელიც ჩამოყალიბებულია XIX საუკუნეში. კერძოდ, ის ასახულია 1940 წელს მოსკოვში გამოცემულ “სამხედრო-საზღვაო საერთაშორისო სამართლებრივ ცნობარში” ვ. ბელის რედაქციით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ “კასპიის ზღვა, როგორც გეოგრაფიულად დახურული და ორი სახელმწიფოს - სსრკ და ირანის - ტერიტორიებით გარშემორტყმული, განიხილება როგორც საბჭოთა კავშირ - ირანული ზღვა.”<sup>234</sup>

1957 წელს ასევე მოსკოვში გამოცემულ “საერთაშორისო სამართლის” სახელმძღვანელოში კასპიის ზღვა აღიარებულია დახურულ ზღვად, - იმ საბაბით, რომ მის წყლებს არა აქვთ კავშირი დია ზღვასთან.<sup>235</sup> ამგვარი მოსაზრება ასახულია სხვა შემდგომ საბჭოთა გამოცემაშიც - “სამხედრო-საზღვაო საერთაშორისო-სამართლებრივ ცნობარში” პ. ბარაბოლის რედაქციით: დახურულ ზღვებს, თავისი სამართლებრივი მდგომარეობით და ნაოსნობის რეჟიმით, მიეკუთვნება კ.წ. ზღვა - ტბები, რომელნიც წარმოადგენენ ზღვისპირა სახელმწიფოების შიდა ეროვნულ წყლებს, მათი სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში, რომლებსაც ავტორები კასპიის ზღვასაც აკუთვნებენ.<sup>236</sup>

აღნიშნული დახურული ზღვის დოქტრინა ასახულია საბჭოთა მეცნიერის ვ. ლოგუნოვის ნაშრომში; იგი აცხადებდა, რომ კასპიის ზღვა არაა დაკავშირებული გზებით არც დია ზღვასთან, არც ოკეანესთან და ამიტომ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით დახურულს წარმოადგენს. ვინაიდან ტერმინი დახურული ზღვა საერთაშორისო სამართლისათვის ზოგადია, ვ. ლოგუნოვი აქცევდა კასპიის ზღვას საერთაშორისო ტბის ჩარჩოებში: “არა აქვს რა გასასვლელი ოკეანეში, კასპიის ზღვა წარმოადგენს ტიპიურ სასაზღვრო ტბას, განლაგებულს ორ სახელმწიფოს - სსრკ და ირანს - შორის.”<sup>237</sup>

შესაბამისად, იგი აცხადებს, რომ “ზოგადი ნორმები, რომელნიც გამოიყენება დია ზღვების მიმართ - ხომალდების და ეკიპაჟების ..... დია

<sup>233</sup> enclosed, or semi-enclosed sea – ჩაკეტილი, ან ნახევრად ჩაკეტილი ზღვა (ინგლ.)

<sup>234</sup> ი. В. Военно-морской международно-правовой справочник / Сост. В.А. Белли. Кн.2. М. — Л., 1940. с. 75.

<sup>235</sup> ი. Международное право / Отв. ред. Ф.И. Кожевников. М., 1957. с. 222.

<sup>236</sup> ი. Иванашенк. Л.А. Международно-правовой режим закрытых морей // Военно-морской международно-правовой справочник. М., 1966. с. 130.

<sup>237</sup> ი. Логунов В.Д. Международно-правовой режим Каспийского морского театра // Военно-морской международно-правовой справочник. М., 1966. с. 371.

ზღვის კვლევის და ბუნებრივი რესურსების სარეწად, - კასპიის ზღვას არ მიესადაგება, ისევე, როგორც ისინი არ ვრცელდება სასაზღვრო ტბებზეც". დასკვნით ნაწილში ავტორი მაინც ვერ ასცდა პოლიტიკურ ტერმინოლოგიას და განაცხადა: "კასპიის ზღვა წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-ირანულ ზღვას."<sup>238</sup>

იგივე აზრი განმეორებულია ცნობილი საბჭოთა საზღვაო სამართლის ექსპერტის ფ. ბოიცოვის მიერ, რომელიც კასპიის ზღვას უწოდებს საბჭოთა კავშირ-ირანულ ზღვას.<sup>239</sup> ამგვარად, საბჭოთა მეცნიერთა მოსაზრებები სრულიად თანხვედრია მეფის რუსეთის დროს გამომუშავებულ მიდგომასთან, და სსრკ-ს ოფიციალურ პოზიციასთან.<sup>240</sup>

თითქმის ანალოგიური იყო ირანის ოფიციალური პოზიციაც, რომელიც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაშიც: "თუმცა 1959 წლის 12 აპრილის კანონში (ტერიტორიური წყლების შესახებ კანონში ცვლილებათა შეგანის შესახებ - გ. მ.) არაა სპეციალური შენიშვნა, - ადრე მიღებული კანონმდებლობისა და ირანის სახელშექრულებო-სამართლებრივი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე საჭიროა გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ ამ კანონის დებულებები არ შეიძლება გაერცელებული იყოს კასპიის ზღვის აუზზე, რომელიც დახურულ ზღვად ითვლება. ეს ცხადი ფაქტი ირანის საკანონმდებლო პრაქტიკის მიერ აღიარებული იყო ჯერ კიდევ 50-იანი წლების შუაში და ასახვა ჰპოვა 1955 წლის 19 ივნისის "კონტინენტური შელფის შესახებ" კანონის მუხ. 2-ის შენიშვნაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ "საერთაშორისო სამართლის დებულებები დახურული ზღვების მიმართ გამოიყენება კასპიის ზღვის მიმართაც."<sup>241</sup>

ეს შეხედულებანი გამოთქმული იყო საბჭოთა დროს, მაგრამ რუსი მეცნიერი ი. ბარსეგოვი თავის თანამედროვე მონოგრაფიაში, იზიარებს და ავითარებს იმავე პოზიციას. "კასპიის ზღვასთან ისეთივე მოპყრობის მცდელობები, როგორც მოქმედი საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის არმქონე სივრცესთან, მოქლებულია უოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ XX საუკუნის ბოლოს მთელი ზღვა არ ხვდებოდეს საერთაშორისო სამართლის მოქმედების ქვეშ. ელემენტარული ლოგიკის გარდა კასპიის ზღვის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის არსებობა დასტურდება ზემოთ მოყვანილი ნორმატიული მასალებით"<sup>242</sup> (მხედველობაშია 1921-1940 წწ. საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშექრულებები - გ. მ.).

ი. ბარსეგოვის აზრით: "კასპიის ზღვას გააჩნია დახურული შიდა კონტინენტური ზღვის სტატუსი, დადგენილი ზღვისპირა

<sup>238</sup> იქვე, გვ. 372-375.

<sup>239</sup> ი. ბойцов Ф.С., Иванов Г.Г., Маковский А.Л. Морское право. М., 1985. с. 46.

<sup>240</sup> ი. ბ. წინამდებარე ნაშრომის კარი 1, თავი 1.

<sup>241</sup> ი. ბ. Шестопалов В.Я. Персидский залив: проблема континентального шельфа. М., 1982. с. 73.

<sup>242</sup> ი. ბарсегов Ю.Г. Каспий в международном праве и мировой политике. М., 1998. с. 5.

სახელმწიფოების და აღიარებული საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ.”<sup>243</sup>

კასპიის ზღვის აღიარება დახურულ საბჭოთა კავშირ-ირანულ ზღვად მოიძიება სხვა მეცნიერების ნაშრომებშიც, მათ შორის უცხოურ წყაროებში.<sup>244</sup>

დახურული ზღვის კონცეფცია თავის დასაწყისს შეა საუკუნეებიდან იწყებს. მისი ავტორი ჯონ სელდენი<sup>245</sup> ცდილობდა მსოფლიო ოკეანეზე დიდი ბრიტანეთის პრეტენზიების დასაბუთებას. XIX - XX საუკუნეებში ამ კონცეფციას სიცოცხლე შთაბერა ჯერ რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ, მერე საბჭოთა კავშირმაც.

იცავდნენ რა კასპიის ზღვის დახურულ ზღვად აღიარების იდეას, რუსეთი, ხოლო შემდეგ სსრკ, გამოდიოდნენ არა იმდენად გეოგრაფიული ან სამეცნიერო - იურიდიული ფაქტორებიდან, არამედ უფრო პოლიტიკურ-სამხედრო პოზიციებიდან, ანუ არ სურდათ თავისი გავლენის სფეროებში უცხოთა დაშვება, განსაკუთრებით კი განვითარებული დასავლური სახელმწიფოებისა, რომლებთანაც ბრძოლაში მათ მოახერხეს გამარჯვება ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში.

დახურული ზღვის კონცეფციის არსებობა კასპიის ზღვის მიმართ, გარდა პოლიტიკური ინტერესებისა, აისხება შემდეგით. არაერთგვაროვანია გეოგრაფიული მეცნიერული დასკვნები, რომლებიც ეფუძნება არამარტო ტბის თანამედროვე მდებარეობასა და მდგომარეობას, არამედ უძველესი საუკუნეებიდან ჩვენამდე მოღწეულ წარმოდგენებსაც: “კასპიის ზღვა - მსოფლიოს უდიდესი ტბაა. თავისი ზომების და წყლის სიმდაშის წყალობით მან ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მიიღო ზღვის სახელწოდება.”<sup>246</sup> ასევე ტბად მოიხსენიება კასპიის ზღვა ოფიციალურ საბჭოთა ცნობარში.<sup>247</sup>

გასათვალისწინებელია, რომ კასპიის ზღვაზე პოლიტიკური პრეტენზიების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის მიზეზი, განსაკუთრებით ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, იყო მეცნიერთა სურვილი (და აუცილებლობა) მიპყოლოდნენ თავისი ქვეყნის სამხედრო სტრატეგიას ტერიტორიების სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის შეფასებისას.

ასეთ მეცნიერებს მოჰყავდათ შემდეგი არგუმენტი: დახურული ზღვის კონცეფცია ნაკარნახევი იყო ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით. “ზუსტად ამით აისხება საერთაშორისო სამართლის საბჭოთა

<sup>243</sup> იქვე გვ. 5-6.

<sup>244</sup> ი. Нгун Нгок Минь. Международное морское право. М., 1981. с. 36; Международное право / Отв. ред. Л.А. Моджорян, Н.Т. Блатова. М., 1970. с. 303; Brown D.J. Public International Law. London, 1970. p. 97; Riazi F. La reglementation des cours d'eau frontiers de l'Iran // Revue Iranienne des Relations Internationales. Teheran. 1979, No. 13-14. p. 145-184.

<sup>245</sup> ი. The Works of John Selden, esq. London, 1724 (ed. 1927).

<sup>246</sup> ი. Гюль К.К. Из истории географических исследований Каспийского моря // Известия АН Азерб. ССР. Сер. Геол.-геогр. наук, 1960. с. 12.

<sup>247</sup> ი. Малый атлас СССР. 1978; Малый атлас Мира. 1981. ი. ასევე სქოლით 16 supra.

დოქტრინის დახურული ზღვის კონცეფციის ფართო აღიარება და მისი გავრცელება შავ და ბალტიის ზღვებზე,<sup>248</sup> რომელთაც გააჩნიათ დახურული ზღვების მკვეთრად გამოხატული ნიშნები.”<sup>249</sup>

ამგვარი მიდგომის არსებობას და მის აუცილებლობას პირდაპირ ადასტურებს დახურული ზღვის კონცეფციის ერთერთი ავტორი გ . მელკონი. იგი აღნიშნავს: “საბჭოთა კავშირის ფაშიზმზე გამარჯვებამდე და მსოფლიო სოციალიზმის სისტემის შექმნამდე დახურული ზღვის კონცეფციამ ითამაშა დადგებითი როლი სსრკ უსაფრთხოების საერთაშორისო-სამართლებრივ უზრუნველყოფაში, მათ შორის, საზღვაო მიმართულებითაც.”<sup>250</sup> იგივე შეიძლება ითქვას ირანელ მეცნიერებზე.<sup>251</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 70-6 წლებამდე საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობდა საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში იმ ზღვათა მიმართ, რომელიც ოკეანეს მხოლოდ ვიწრო სრუტეებით ან არსებით უკავშირდებოდნენ, და/ან ძირითადად გარშემორტყმული იყვნენ სახმელეთო ტერიტორიით. ასეთი ზღვები სხვადასხვა მეცნიერთა მიერ მოხსენიებული იყო როგორც დია, დახურული, ნახევრად დახურული, ჩაკეტილი, ნახევრად ჩაკეტილი, მატერიკული, რეგიონალური და სხვ.<sup>252</sup> ამ საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიებში მონაწილეობდნენ საბჭოთა მეცნიერებიც, ისინი იხილავდნენ შავი და ბალტიის ზღვების მდგომარეობას, მაგრამ არასდროს აზოვისა და კასპიის ზღვებისა, ვინაიდან არანაირ საერთაშორისო სტატუსს მათ არ ანიჭებდნენ.

70-იანი წლების დასაწყისისათვის გაერო-ს კონფერენციის ფარგლებში, რომელიც მუშაობდა ახალი საზღვაო კონვენციის საკითხებზე, გამოჩნდა ტერმინოლოგიის გარკვეული სისტემატიზაცია.<sup>253</sup> ეს იყო ახალი კონცეფცია სახელმწოდებით “ჩაკეტილი ზღვა” (ან “ნახევრად ჩაკეტილი ზღვა”), რომელიც შემდგომ შევიდა UNCLOS-ს შინაარსში (მუხ. 122-123). მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოები - გაეროს წევრები შეეცადნენ ტერმინოლოგიის სამხედრო – პოლიტიკური დატვირთვა შეეცვალათ სამართლებრივი და ეკონომიკური არსით.

<sup>248</sup> შედარებისთვის: იგივე მიდგომას აზოვის ზღვის მიმართ არ იზიარებს უკრაინა. ი. საინფორმაციო წერტილი: <http://www.lenta.ru/news/2006/06/06/sea/>.

<sup>249</sup> ი. მ. Молодцов С.В. Международное морское право. М., 1987. с. 187-188.

<sup>250</sup> ი. გ. Горшков Г.С., Мелков Г.М. Военное мореплавание и стратегическое равновесие: международно-правовые аспекты. М., 1986. с. 65.

<sup>251</sup> ი. კ. კასემ მალეკი. Политика нефти на Кавказе // Аму-Дарья, №4, 1999. с. 79-81.

<sup>252</sup> ი. ზოგადად Columbos C. J. The international law of the sea. L., 1967. P. 191-192; Sibert M. Traite de droit international public.P.,1951, т. 1, p. 739; Staynow P. Establishment of a special international statute of the semi-enclosed sea // Stud. Intern. Law. Vol. 2, p.29.; С.А. Малинин «К вопросу о правовой классификации водных пространств» Морское право и практика. 1960. № 46, с. 13-19; Международное право. М.: Госюриздан, 1957. С. 222; Международное право / Под. Ред. Д. Б. Левина и Г. П. Калюжной. М.: ВІОЗИ, 1960. С. 175; Военно-морской международно-правовой справочник. М.: Воениздат, 1956, с. 53; Глазунов Г.А., Мраков Ю.Б. К вопросу о режиме замкнутых и полузамкнутых морей в современном международном праве. // Международно-правовые проблемы Мирового океана на современном этапе. М. 1976. С. 123.

<sup>253</sup> UN Doc. A/CONF. 62/C. 2/L. 72. 21 August 1974. წერტილი: <http://www.un.org/Depts/los/index.htm>.

“ჩაკეტილი ზღვა ან ნახევრად ჩაკეტილი ზღვა ნიშნავს სრუტეს, აუზს ან ზღვას, რომელიც გარშემორტყმულია ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ და დაკავშირებულია სხვა ზღვასთან ან ოკეანესთან ვიწრო გასასვლელით, ან რომელიც შედგება უმთავრესად ორი ან მეტი ზღვისპირა სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვების და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებისაგან.”<sup>254</sup>

ვინაიდან, კონვენციის მიხედვით, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის მაქსიმალური სიგანე 200 საზღვაო მილს შეადგენს, მაშინ კასპიის ზღვაზე სანაპირო სახელმწიფოთა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები სრულად ფარავენ ზღვის მთელ ზედაპირს, და იგი ექვემდებარება ჩაკეტილი ზღვის კონვენციურ ფორმატში.

აშკარაა, რომ კონკრეტული წყლის აუზის დახურულ ზღვად გამოცხადებისას იგულისხმება მასთან დამაკავშირებელი ყველა გზის გადაკეტვა, ხოლო UNCLOS-ს მუხ. 122 და 123 პირიქით, მოუწოდებდნენ ზღვის აუზის სახელმწიფოებს ეკონომიკური თანამშრომლობისათვის და არ გულისხმობენ ამა თუ იმ საზღვაო ობიექტის დახურვას, გამომდინარე სამხედრო - პოლიტიკური მოსაზრებებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ იმის შემდეგ, რაც მიღებული იყო UNCLOS, დახურული ზღვის კონცეფცია სსრკ-ში მფიციალურად აღარ მოიხსენიებოდა;<sup>255</sup> ხოლო კონდომინიუმის იდეა საბჭოთა პერიოდში საერთოდ არ განხილულა.<sup>256</sup>

ამგვარად, საბჭოთა პერიოდში კასპიის ზღვა განიხილებოდა როგორც სასაზღვრო ტბა, ან საბჭოთა-ირანული ზღვა (როგორც წყალსატევი); მისი მოხსენიება ზოგიერთ წყაროში როგორც დახურული ზღვისა გამოწვეულია იმით, რომ კასპიის ზღვის საბჭოური სტატუსი თავსდება დახურული ზღვის კონცეფციის ჩარჩოებში. ფაქტიურად კი ჭარბობდა ძალზედ ბუნდოვანი ტერმინი საბჭოთა-ირანული ზღვა, რაც გამორიცხავდა მის მიმართ რაიმე საერთაშორისო უურადღებას, ხოლო უფრო ძლევამოსილ სანაპირო სახელმწიფოს – სსრკ-ს – ხელს არ უშლიდა კასპიის ზღვაზე არანაირ საქმიანობაში. ირანი თავისი დუმილით თანხმდებოდა ამ მდგომარეობაზე. საბჭოთა პერიოდში მცნება “საბჭოთა-ირანული ზღვა” თავისი ფაქტიური შინაარსით საერთაშორისო ასპარეზზე ეჭვის ქვეშ არ დამდგარა.<sup>257</sup>

<sup>254</sup> საზღვაო სამართლი. საზღვაო სამართლის გაეროს კონვენცია საგნობრივი მითითებით და საზღვაო სამართლის გაეროს მესამე კონფერენციის დასკვნითი აქტით.

UN, New York, 1984. p. 59. იხ. ასევე წყარო: <http://www.un.org/Depts/los/index.htm>.

<sup>255</sup> საბჭოთა კავშირი ეცადა შავ და ბალტიის ზღვებზე განევრცელებინა დახურული ან ნახევრად დახურული ზღვის სტატუსი, რათა თავისი გავლენა განეხორციელებინა სანაპირო სახელმწიფოებზე, სხვა სახელმწიფოთა (საერთაშორისო საზოგადოებრიობის) ჩარევის გარეშე; ხოლო კასპიისა და აზოვის ზღვები, როგორც უკვე აღინიშნა, ამ თვალსაზრისით საერთოდ არ მოიხსენიებოდა. იხ. ასევე სქოლით 276, *infra*.

<sup>256</sup> იხ. ხосეინ კაზიმპურ არდაბელი. Правовой режим Каспийского моря, развитие ресурсов и энергетических магистралей // Аму-Дарья, 1998 №3. с. 17.

<sup>257</sup> იხ. Материалы международной конференции "Каспий: правовые проблемы" // Международная жизнь. 2002. № 4.

“შიუხედავად იმისა, რომ 1921 წლიდან 1991 წლამდე კასპიის ზღვას საბჭოთა კავშირ-ირანულ ზღვას უწოდებდნენ, სინამდვილეში არც ერთ საბჭოთა კავშირ-ირანულ ხელშეკრულებაში არაა დადგენილი მისი ირანული ნაწილი.”<sup>258</sup>

“ძალთა გეოგრაფიული და რეგიონალური განაწილების შედეგად ზღვა (კასპიის - გ.მ.) ფაქტიურად სსრკ-ს კონტროლის ქვეშ იყო, აქ ჭარბობდნენ საბჭოთა ფლოტი და სანავთობე დანადგარები. ამგვარი სტატუსი შეთანხმებული იყო საბჭოთა კავშირ-ირანულ ორ შეთანხმებაში 1921 და 1940 წლებში, რომელთაც დაადგინეს ზღვაზე ძალთა შედარებით სტაბილური და დამაკმაყოფილებელი განაწილება.”<sup>259</sup>

ვინაიდან ტერმინი “საბჭოთა კავშირ-ირანული ზღვა”<sup>260</sup> გაცილებით უფრო პოლიტიკურია, ვიდრე სამართლებრივი, მე-XX საუკუნის 80-იანი წლებიდან (ანუ UNCLOS-ს მზადების პარალელურად) საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში იმდღავრა ტენდენციებმა კასპიის ზღვის სასაზღვრო ტბად აღიარების შესაძლებლობის შესახებ: “კასპიის ზღვას ისტორიულად დაუმკვიდრდა ზღვის დასახელება, ამის მიუხედავად, გეოგრაფიული თვალსაზრისით ის ჩვეულებრივი სასაზღვრო ტბაა.”<sup>261</sup>

ცნებათა ცვლამ არანაირად არ შეზღუდა სსრკ-ს, და შესაბამისად არ გაზარდა ირანის უფლებები კასპიის ზღვაზე. მიგვაჩნია, რომ ტერმინთა ფაქტიური გადათამაშება<sup>262</sup> ასევე ვერ გაამყარებს კასპიის ზღვის როგორც სასაზღვრო ტბის სტატუსის მიმდევართა (ისევე როგორც მათი ოპონენტების პოზიციას), რომელნიც მოვლენათა ანალოგიური კონსტატირებით ეროვნული ნიშნით მიკერძოებულ დასკვნებამდე მიდიან.<sup>263</sup>

<sup>258</sup> სსრკ ატარებდა სახელმწიფო საზღვარს სახმელეთო საზღვრების გადაჭრის ასტარა-კასანგულის ხაზზე. ამას ადასტურებს ასევე სსრკ-ს 1982წ. კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ: იგი განსაზღვრავს, რომ სსრკ-ს სახელმწიფო საზღვარი ტბებზე და სხვა წყლის ობიექტებზე გადის პირდაპირი ხაზით, რომელიც აერთებს სსრკ-ს სახელმწიფო საზღვრის გამავალ წერტილებს ტბისა ან სხვა წყლის ობიექტის ნაპირებზე. ი. საქართველოს კავშირის კანონი 1993 წ. // Сб. законов СССР. М., 1993.

<sup>259</sup> Nugman Gulnar. The Legal Status of the Caspian Sea // Eurasian Studies. Spr. 1998. No.13. p. 80.

<sup>260</sup> შედარებისთვის: ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე ეტაპზე რუსეთი გამოვიდა ინიციატივით გამოცხადეს აზოვის ზღვა რუსეთისა და უკრაინის შიდა წყლებად, და არა როგორც რუსულ-უკრაინული ზღვა. იხილეთ საინფორმაციო წყარო: <http://www.lenta.ru/world/2004/04/23/putin/>. თუმცა ითვალისწინებს რა რუსეთის მიდგომებს ანალოგიური საკითხების მიმართ, უკრაინას სურს აზოვის ზღვას მიენიჭოს საერთაშორისო წყლების სტატუსი. წყარო: <http://www.lenta.ru/news/2006/06/sea/>.

<sup>261</sup> ი. საქართველოს კავშირის კასპიის სტატუსი. 1993 წ. // Сб. законов СССР. М., 1993.

<sup>262</sup> ი. საქართველოს კასპიის სტატუსი. 1993 წ. // Сб. законов СССР. М., 1993. ასევე სსრკ-ს კონტროლის უფლებების შესახებ: იგი განსაზღვრავს, რომ სსრკ-ს სახელმწიფო საზღვარი ტბებზე და სხვა წყლის ობიექტებზე გადის პირდაპირი ხაზით, რომელიც აერთებს სსრკ-ს სახელმწიფო საზღვრის გამავალ წერტილებს ტბისა ან სხვა წყლის ობიექტის ნაპირებზე. ი. საქართველოს კავშირის კანონი 1993 წ. // Сб. законов СССР. М., 1993.

<sup>263</sup> ი. საქართველოს კასპიის სტატუსი. 1993 წ. // Сб. законов СССР. М., 1993.

რაც შეეხება უცხოურ წყაროებს, ისინი ზედმიწევნით ფრთხილად უდგებოდნენ კასპიის ზღვის სტატუსს, არანაირად არ აპროტესტებდნენ საბჭოურ დომინირებას; მხოლოდ აკადემიურ ჩარჩოებში გამოითქმებოდა საბჭოური მეცნიერების ანალოგიური მოსაზრებანი კასპიის ზღვის ტბის სტატუსის შესახებ.

მაგალითად, ცნობილი ინგლისელი სამართლის ექსპერტი ჟ. ბატლერი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად კასპიის ზღვის საბჭოთა კავშირის შიდა წყლების შემადგენლობაში შეუვანისა, სინამდვილეში ის წარმოადგენს ტბას, რომელსაც ისტორიულად ზღვას უწოდებენ.<sup>264</sup> “კასპიის ზღვა ისევე, როგორც არალის ზღვა, სინამდვილეში უფრო დიდი ტბებია, რომელნიც ეროვნულ იურისდიქციებს ემორჩილებიან. ვინაიდან კასპიის ნაპირები ორ სახელმწიფოს ეკუთვნის, - საბჭოთა კავშირს და ირანს, ამიტომ მისი წყლები სასაზღვროა.”<sup>265</sup> ნიშანდობლივია, რომ კასპიის ზღვა მოსხენიებულია არალის ზღვასთან ერთად კონტექსტში, - ეს უკანასკნელი კი მთლიანად სსრკ-ს სახმელეთო ტერიტორიით იყო გარშემორტყმული.

იგივე მოსაზრებები, უფრო ზოგადი და გეოგრაფიული, ვიდრე სამართლებრივი ხასიათისა, გამოთქმულია სხვა ავტორების,<sup>266</sup> განსაკუთრებით ირანელების მიერაც.<sup>267</sup>

დაბოლოს დავძენთ, რომ იურისდიქციის გამოყენების თვალსაზრისით ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ გავრცელებული იყო აზრი მსხვილი ტბების /ნაწილის/ ღია ზღვებად განხილვის აუცილებლობის შესახებ, რაც ასახულია, მაგალითად, აშშ უზენაესი სასამართლოს 1893წ. გამოტანილ გადაწყვეტილებაში აშშ - როდჯერსის წინააღმდეგ საქმეზე.”<sup>268</sup> თუმცა საბჭოთა-ირანული პრაქტიკის გათვალისწინებით, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა ამ იდეის გატარება კასპიის ზღვაზე.

Каспийского моря: вчера, сегодня, завтра (Вопросы теории и практики). Становление международно-правового статуса Каспийского моря с древнейших времен до 1991 г. // М., 2001.

<sup>264</sup> ob. Butler W.E. The law of Soviet Territorial Waters. A case study of maritime legislation and practice. N.Y. –W.-, 1968.

<sup>265</sup> ob. Harting F.D. Les conceptions soviétiques de droit de la mer. P., 1960. p. 29.

<sup>266</sup> კასპიის ზღვა, მიუხედავად მისი სიდიდის, რესურსებისა და უმველესი ისტორიისა, მიეკუთვნება საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით უკელავ ნაკლებად რეგლამენტირებულ ტბათა რიცხვს. ob. Pondaven Phillip, Le Lacs-Frontiere (Paris: Pedone, 1972), p. 12, 59-63.

<sup>267</sup> ob. Афшин Данекар. Предупреждение экологического кризиса на Каспийском море // Аму-Дарья. Иранский журнал по изучению Центральной Азии. Год первый, весна 1999, № 1. с.47.

<sup>268</sup> United States v. Rodgers, 150 U.S. 249; 1893 U.S. LEXIS 2379. ამავე საქმეში აღნიშნულია, რომ ტერმინი “დია ზღვა” შეიძლება მიესადაგოს დიდ ტბებს, ისევე როგორც ბალტიისა და შავ ზღვებს.

## თავი 2. მსოფლიო პრაქტიკა სტატუსის განსაზღვრის ირგვლივ ტბისა და ზღვის ვარიანტებთან დაკავშირებით

თუ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ტბის სტატუსის ვარიანტზე, ადგიშნავთ, რომ კასპიის ზღვის მსხვილ ტბებთან შედარებისას, რომელიც გაყოფილი არიან საერთაშორისო საზღვრებით, ინტერესს შეიძლება წარმოადგენდეს კონსტანციას ტბის რეგლამენტირებული რეჟიმი სასაზღვრო სახელმწიფოებთან (ავსტრია, შვეიცარია და გერმანია); ასევე შენების ტბის (საფრანგეთი, შვეიცარია), დიდი ტბების (კანადა და აშშ) და ჩადის ტბის რეჟიმები (ჩადი, კამერუნი, ნიგერი, ნიგერია). კასპიის ზღვის მიმართ ინტერესს წარმოადგენს, უსაოურდ, ისეთი სამართლებრივი საკითხები, როგორიცაა საერთო სამართლებრივი სტატუსი, საზღვრების გამიჯვნა, ნავიგაცია, თევზჭერა, წყლის გამოყენებისა და ირიგაციის პრობლემები, აგრეთვე გარემოს დაცვის, წყლის რესურსების მართვის და ტბისპირა სახელმწიფოების საერთო ურთიერთობანი.

საერთო საერთაშორისო სარგებლობის რეჟიმის მქონე არც ერთი ტბა არ განიხილება, როგორც საზღვაო ან საოკეანო სისტემების შემადგენელი. ეს ეხება დიდ ტბებსაც, რომელიც გახსნილია საზღვაო ხომალდებისათვის სენტ-ლორანის გავლით. ისინი მიეკუთვნება წყლისპირა სახელმწიფოების შიდა წყლებს. საზღვაო სამართალი, მაგალითად საზღვაო სამართლის კონვენციები, პირდაპირ ამ ტბებს არ მიესადაგება.<sup>269</sup>

ამის მიუხედავად საზღვაო სამართლის ნორმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ზოგადი სახელმძღვანელო. კერძოდ, შეიძლება მოვიშველიოთ ნავიგაციის წესები. ნავიგაციის ეროვნული ნორმები საერთაშორისო წყლებში (ტბაზე) აღებულია ზღვაზე უსაფრთხოების კონვენციიდან, ხოლო ნავიგაციის ეროვნული კანონები შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ტბა ერთიან წარმოადგენს, რომელიც იმყოფება საერთო სარგებლობაში, ტბები, როგორც წესი, გაყოფილია ეროვნული საზღვრებით.<sup>270</sup> მხოლოდ კონსტანციას ტბის აღმოსავლეთის ნაწილის მიმართ ავსტრია პრეტენზიას აცხადებს კონდომინიუმის სტატუსზე. შვეიცარია უარყოფს ამ პრინციპს, ხოლო გერმანია საკითხს დიად ტოვებს. ყველა წამოჭრილი პრობლემა რეგულირდება შეთანხმებით ავსტრიას, შვეიცარიას და გერმანიას შორის, ზოგიერთ შემთხვევაში კი - შესაბამისი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მიწების) საკანონმდებლო ორგანოების მონაწილეობით.

<sup>269</sup> მხედველობაშია უკნევის კონვენციები, ი. სქოლით 342 *infra*; ი. Pondaven Ph. Les lacs frontière. Thèse... P.: Pendone, 1972., p.60-75.

<sup>270</sup> ი. მатериалы международной конференции "Каспий: правовые проблемы", წარო:

http://news.iran.ru/news/4444/. ი. ასევე Mohamed Bedjaoui, International Law: Achievements and Prospects, UNESCO 1991, pp. 993-996, წარო:

[http://books.google.ru/books?id=jrTsNTzcY7EC&pg=PA994&lpg=PA994&dq=chad+lake+regime&source=bl&ots= m28wL1xKk&sig=5UKT8RiWNVQTHBdpvgJC0845Jcg&hl=ru&sa=X&ei=lvpzUe\\_xJeGS4ATrlH4Cg&ved=0CG8Q6AEwCQ#v=onepage&q=chad%20lake%20regime&f=false](http://books.google.ru/books?id=jrTsNTzcY7EC&pg=PA994&lpg=PA994&dq=chad+lake+regime&source=bl&ots= m28wL1xKk&sig=5UKT8RiWNVQTHBdpvgJC0845Jcg&hl=ru&sa=X&ei=lvpzUe_xJeGS4ATrlH4Cg&ved=0CG8Q6AEwCQ#v=onepage&q=chad%20lake%20regime&f=false)

საზღვრები დიდ ტბებზე, უენევის ტბაზე და ჩადის ტბაზე დაფიქსირებულია საერთაშორისო შეთანხმებებით. ჩადის ტბისათვის ისინი განსაზღვრულია შეთანხმებებით ყოფილ კოლონიურ ქვეყნებს შორის. ეს საზღვრები აღიარებულია ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ. დროდადრო წამოიჭრება ხოლმე დავები სუვერენიტეტის შესახებ ახალი განუყოფელი კუნძულების გაჩენის გამო (გვალვების შედეგად), რამაც გამოიწვია სამხედრო კონფლიქტი ჩადსა და ნიგერიას შორის 1983 წელს.<sup>271</sup>

საზღვრები კონსტანციას ტბაზე, როგორც უკვე აღინიშნა, მოწესრიგებულია მხოლოდ ნაწილობრივ, დანარჩენი დატოვებულია პრაქტიკიდან გამომდინარე ჩვეულებათა შეხედულებისამებრ. საზღვრების დელიმიტაციისათვის საერთოდ იცავენ ღერძული ხაზის პრინციპს, თუმცა არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეს საერთაშორისო სამართლის ჩვეულებაა. არის პრობლემები, დაკავშირებული ტბის ფსკერის ან წიაღის გამოყენებასთან.

ნავიგაცია ასეთ ტბებზე რეგულირდება შეთანხმებებით ტბისპირა სახელმწიფოებს შორის. კონსტანციას ტბაზე 1973 წლის კონვენცია ნავიგაციის შესახებ ავსტრიას, შვეიცარიას და გერმანიას შორის დაფუძნებულია თავისუფალი ნაოსნობის პრინციპებზე ერთიანი უსაფრთხოებისა და ნავიგაციის წესებით. შეთანხმებების დაცვის მონიტორინგის სამი ზონა დადგენილია ძირითადად ღერძული ხაზის გამოყენებით, სადაც არაა მიღწეული შეთანხმება საზღვრების შესახებ. ნავიგაცია უენევის ტბაზე წარმოადგენს საფრანგეთ - შვეიცარიის 1976 წლის შეთანხმების საგანს, რომელიც ითვალისწინებს ხომალდების შესვლას, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ნავიგაციის წესების უნიფიცირებას და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას.<sup>272</sup>

1909 წლის ხელშეკრულება აშშ-სა და კანადას შორის დიდ ტბებზე საზღვრების შესახებ კრძალავს დისკრიმინაციას ტბისპირა სახელმწიფოების ხომალდების მიმართ, მაგრამ პრაქტიკაში გამოიყენება თავისუფალი ნავიგაციის წესი სხვა დროშებით მცურავი ხომალდებისათვისაც.<sup>273</sup> ჩადის ტბაზე ნავიგაციას არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა: ჩადის ტბის აუზის 1964 წლის დებულება აცხადებს თავისუფალ ნავიგაციას შეთანხმების მონაწილეებისათვის და ითვალისწინებს ნავიგაციის ზოგად წესებს.

ტბისპირა სახელმწიფოები საზღვრებს განიხილავენ მთლიანობაში ისე, რომ ისინი ნავიგაციისათვის დაბრკოლებებს არ ქმნიან.<sup>274</sup>

<sup>271</sup> იქვე. იხ. ზოგადად: B. Janusz, The Caspian Sea. Legal status and regime problems, წყარო: [http://www.chathamhouse.org/sites/default/files/public/Research/Russia%20and%20Eurasia/bp0805caspi\\_an.pdf](http://www.chathamhouse.org/sites/default/files/public/Research/Russia%20and%20Eurasia/bp0805caspi_an.pdf)

<sup>272</sup> იქვე, იხ. ზოგადად: Cesare P.R. Romano, The Caspian Sea Dispute: The Role of International Law, წყარო: <http://www.dundee.ac.uk/cepmpl/gateway/index.php?news=28148>

<sup>273</sup> იქვე, იხ. ასევე ზოგადად წყარო:

[http://www.transboundarywaters.orst.edu/research/case\\_studies/US\\_Canada\\_New.htm](http://www.transboundarywaters.orst.edu/research/case_studies/US_Canada_New.htm) ;

<http://www.ijc.org/rel/agree/water.html>


<sup>274</sup> იქვე.

თევზჭერის სამართალი დიდ ტბებზე ეხება მხოლოდ აშშ-სა და კანადის მოქალაქეებს. 1954 წ. დიდ ტბებზე თევზჭერის კონვენციის შესაბამისად შექმნილი იყო კომისია, რომელიც რეკომენდაციებს იძლევა თევზის რესურსების შენარჩუნებასთან დაკავშირებული წესების და სამეურნეო საქმიანობის შესახებ. მაგრამ ამ დარგში რეგულირების უფლებამოსილებანი გადაცემულია აშშ-ს რვა ტბისპირა შტატისათვის და კანადის ონტარიოს პროვინციისათვის.<sup>275</sup>

1993 წლის კონსტანციას ტბაზე თევზჭერის კონვენციის თანახმად მეოვეზე, რომელსაც გააჩნია მოქმედი ლიცენზია, შეიძლება ეწეოდეს რეწვას მოელ ტბაზე სანაპირო ზონის გამოკლებით, სადაც ტბისპირა სახელმწიფოებს გააჩნიათ ექსკლუზიური უფლება დაარეგულირონ თევზჭერა. 1980 წლის ფრანგულ-შვეიცარიული შეთანხმება მიმართულია ეროვნული თევზჭერის წესების პარმონიზაციაზე და თევზის რესურსების დაცვაზე.<sup>276</sup> წყლის გადაყვანის და ირიგაციის პრობლემა რეგულირდება დიდი ტბებისათვის 1909 წ. ხელშეკრულებით წყალზე საზღვრების შესახებ, კონსტანციას ტბისათვის - 1960 წ. ხელშეკრულებით, ჩადის ტბისათვის - კონვენციით და ჩადის ტბის აუზის 1964 წ. დებულებით. ჟენევის ტბისათვის მსგავსი შეთანხმება არ შემუშავებულა.<sup>277</sup>

მსხვილ წყალსატევებზე გარემოს დაცვის მიმართ აგრეთვე დაგროვილია გარკვეული გამოცდილება. 1909 წ. ხელშეკრულება წყალზე საზღვრების შესახებ ეხება ასევე დიდი ტბების ეკოლოგიის საკითხებს.

## 6აბ.2<sup>278</sup>



კონვენცია კონსტანციას ტბის დაცვის შესახებ 1960 წ. იქნა ხელმოწერილი, ხოლო ფრანგულ-შვეიცარიული კონვენცია ჟენევის ტბისათვის დათარიღებულია 1962 წ. ჩადის ტბის აუზის 1964 წ. კონვენცია ითვალისწინებს თანამშრომლობას წყლის ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში. ყველა ეს დოკუმენტი რეგლამენტაციას უკვეთებს ტბისპირა სახელმწიფოთა თანამშრომლობას ეკოლოგიის დარგში.<sup>279</sup>

მნიშვნელოვანია გამოცდილება წყლის რესურსების და ტბისპირა სახელმწიფოების საერთო ინსტიტუტების მართვის დარგში.

<sup>275</sup> იქვე, იხ. ასევე ზოგადი წყარო: <http://www.epa.gov/greatlakes/glwqa/usreport/part5.html>

<sup>276</sup> იხ. სქოლით 273 *supra*

<sup>277</sup> იქვე

<sup>278</sup> იხ. Бутаев А.М. КАСПИЙ: СТАТУС, НЕФТЬ, УРОВЕНЬ 1999, წყარო: [www.caspian.net](http://www.caspian.net).

<sup>279</sup> იხ. სქოლით 273 *supra*

1909 წ. ამერიკულ-კანადურმა ხელშეკრულებამ წყალზე საზღვრების შესახებ დააარსა ერთობლივი საერთაშორისო კომისია ფართო კვლევითი და სასამართლო უფლებებით წყლის რესურსებით სარგებლობის სფეროში. 1994 წ. ტბისპირა სახელმწიფოებმა შექმნეს დიდ ტბებზე ოევზჰერის კომისია. კონსტანციას ტბაზე ჩამოყალიბებულია ნავიგაციის საერთაშორისო კომისია. დაბინძურებისაგან უნევის ტბის დაცვისათვის შექმნილია საერთაშორისო კომისია. ჩადის ტბის კომისია შექმნილია უპირატესად წყლის რესურსების ერთობლივი მართვისათვის, მაგრამ ასრულებს სხვა ამოცანებსაც, მაგალითად გარემოს დაცვის დარგში.<sup>280</sup>

ზემოთ ნათქვამის შეჯერებით შეიძლება აღინიშნოს, რომ სამართლებრივი რეჟიმები საერთაშორისო ტბებისათვის დაფუძნებულია ტბისპირა სახელმწიფოებს შორის დადებულ სპეციალურ ხელშეკრულებებზე. ისინი ადგენენ სამართლებრივ ნორმებს და რეჟიმებს, გარემოებების შესაბამისად და ისტორიული განვითარების გათვალისწინებით. დია სამართლებრივი საკითხებისათვის გადაწყვეტილებების ძიება მიმდინარეობს მოლაპარაკებების პროცესში. საერთაშორისო ტბის მიმართ წამოჭრილი პრობლემები შეიძლება არ იქნეს მოწესრიგებული საერთაშორისო ჩვეულებათა სამართლის ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში გვეხმარება ერთობლივი საერთაშორისო კომისიების დაწესების საერთაშორისო პრაქტიკა ყველა ამოცანის გადასაწყვეტად.

### ნახ.3



კასპიის ზღვა შეიძლება კლასიფიცირებული იყოს არამარტო როგორც ტბა, არამედ, როგორც ზღვაც - სიდიდის, წყლის მარილიანობის, კონტინენტური შელფის და სხვა ზღვებისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმების მიხედვით. რა თქმა უნდა, კასპიის ზღვას არ გააჩნია ბუნებრივი გასასვლელი ოკეანეზე, მაგრამ იგი შეიძლება მივაკუთვნოთ ზღვების განსაკუთრებული ტიპის კატეგორიას - ჩაკეტილ და ნახევრად ჩაკეტილ ზღვებს.<sup>281</sup>

იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ჩავთვლით ვოლგა-დონის და ვოლგა-ბალტიის ხელოვნურ არხებს კასპიის ზღვის მსოფლიო ოკეანესთან დამაკავშირებელ ვიწრო გასასვლელებად, UNCLOS 122-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელშიც ლაპარაკია ორი და მეტი ზღვისპირა სახელმწიფოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებზე, სავსებით საკმარისი დასაბუთებაა კასპიის ზღვის განსაზღვრისათვის ზღვის სახით.

ყველაზე მეტად კასპიისპირა სახელმწიფოების ინტერესებს შეიძლება შეეფერებოდეს კასპიის როგორც “ჩაკეტილი” ზღვის სტატუსი. ეს უზრუნველყოფდა ნაოსნობის თავისუფლებას და დაარეგულირებდა ყველა სადაო საკითხს საერთაშორისო საზღვაო სამართლის

<sup>280</sup> იქვე

<sup>281</sup> ი. სქოლით 14 *supra*, გვ. 122-123.

დამუშავებული ნორმების მიხედვით.<sup>282</sup> მაგრამ რუსეთი (და ირანი ზემოთ ხენებული მიზეზებით) კატეგორიულად არ განიხილავს კასპიის ზღვის სტატუსს როგორც ზღვისას, - როგორც ჩანს, გამომდინარე იქედან, რომ ამ შემთხვევაში დია ზღვაზე გასავლის არმქონე აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქეთი საზღვაო სამართლის კონვენციის X ნაწილის შესაბამისად მოითხოვენ ვოლგა-დონის და ვოლგა-ბალტიის არხების აღიარებას, როგორც საერთაშორისო საწყლოსნო გზებისა და შესაბამისად, მათზე ტრანზიტის თავისუფლებას.

რუსეთი შიშობს, რომ მაშინ ის იძულებული იქნება უზრუნველყოს თავისუფალი არამარტო სავაჭრო, არამედ სამხედრო ზღვაოსნობაც ყველა უცხოური ხომალდისა და გემისათვის და მათი თავისუფალი შესვლა კასპიის ზღვაში.

როგორც უკვე აღინიშნა, გამომდინარე ამ სიფრთხილიდან, რუსეთი გამოდის მასსა და უკრაინას შორის აზოვის ზღვის გაყოფის წინააღმდეგ,<sup>283</sup> თუმცა უკანასკნელი, უდაოდ, ჩაკეტილი ან ნახევრად ჩაკეტილი ზღვების კატეგორიას მიეკუთვნება. რუსეთის პოზიციაა შეინარჩუნოს აზოვის ზღვის და ქერჩის სრუტის წყლებისათვის შიდა წყალსატევის სტატუსი, რომელიც განსაზღვრავს აზოვის ზღვაში ყველა უცხოური ხომალდისა და გემისათვის შესვლის ნებართვით წესს.<sup>284</sup>

ამ კონტექსტში სავსებით გასაგები ხდება რუსეთის თანხმობა კასპიის ზღვის ფსკერის გაყოფაზე მისი წყლის ზედაპირის საერთო სარგებლობაში დატოვების პირობით. კასპიის ზღვის მსოფლიო ოკეანესთან დამაკავშირებელი არხებისა და მდინარეების საერთაშორისო საწყლოსნო გზებად ქცევის და კასპიის ზღვაზე უცხოური ხომალდებისა და გემების, განსაკუთრებით სამხედროს, გამოჩენის დაუშვებლობა - რუსეთის დიპლომატიის მთავარი ამოცანაა.

ივარაუდება, რომ ეს პრობლემა ჰიპერტოფირებულია, ვინაიდან ეს არხები, როგორც ერთი ქვეყნის ფარგლებში მყოფნი, ეჭვგარეშე შეიძლება დაიხუროს უცხოური სამხედრო ხომალდებისა და გემებისათვის. საერთაშორისო მდინარეებზეც არსებობს აკრძალვები - ნორმები იმ გემების გავლაზე (მით უმეტეს სამხედროზე), რომელიც ცურავენ არა წყლისპირა სახელმწიფოების დროშებით. მაგალითად, დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის შესახებ კონვენციის მუხლი 30 ამბობს: “დუნაიზე ყველა არადუნაისპირა ქვეყნების სამხედრო გემების ცურვა აკრძალულია. დუნაიზე დუნაისპირა ქვეყნების სამხედრო გემების ცურვა იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რომლის აღამსაც ატარებს გემი, შეიძლება ხორციელდებოდეს მხოლოდ დაინტერესებული დუნაისპირა ქვეყნების შეთანხმებით.”<sup>285</sup>

<sup>282</sup> ი. Федоров Ю. Е. Правовой статус Каспийского моря. Исследование ЦМИ МГИМО 18, Москва, июнь 1996.

<sup>283</sup> ი. სქოლიო 263 *supra*.

<sup>284</sup> ი. Алексей Александров. Тень Каспия над Азовским морем. Независимая газета. 17 января 1998 года.

<sup>285</sup> ი. Действующее международное право, том 1, Москва, 1996. с. 217.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, აზერბაიჯანი თვლის, რომ კასპიის ზღვა წარმოადგენს ტბას და უნდა იყოს გაყოფილი საერთაშორისო ტბების გაყოფის პრაქტიკის შესაბამისად. ამ შემთხვევაში კასპიისპირა სახელმწიფოების ტერიტორიის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს შიდა წყლები, შემავალი ეროვნულ სექტორებში, და საპატიო სივრცე მის თავზე.

საერთაშორისო ტბის გაყოფა შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგოდ მდებარე სახელმწიფოების სანაპირო ზოლიდან თანაბრად დაშორებული “შუა წერტილის” (იხ.ნახ. 2) ან “შუა ხაზის” (რომლის მომხრეა აზერბაიჯანი, ნახ. 3) მიხედვით. ამასთან ტბის დაყოფის ხაზები იქცევა წყლისპირა ქვეყნების სახელმწიფო საზღვრებად. მათი ეროვნული იურისდიქციის ქვეშ გადადის შესაბამისი ტბის სექტორი და იქ არსებული ბუნებრივი რესურსებიც. ერთადერთი გამონაკლისია - ტიტიკაკას ტბა, მდებარე პერუსა და ბოლივიას შორის. ორმხრივი შეთანხმებით ის არ იქნა გაყოფილი მათ შორის და იმყოფება ერთობლივ სარგებლობაში.

კასპიის ზღვის მთავარი განსხვავება საერთაშორისო ტბებისაგან, რომელიც აახლოებს მას “საზღვაო ბუნებას” - კონტინენტური შელფისა და მასში ნახშირწყალბადების დიდი მარაგების არსებობაა. ეკონომიკური ასპექტი, მით უფრო ის, რომელიც ეხება ნახშირწყალბადების ნედლეულს, უმთავრესი გახდა კასპიის ზღვაზე სსრკ დაშლის და ახალი დამოუკიდებელი კასპიისპირა სახელმწიფოების წარმოქმნის შემდეგ, რამაც განაპირობა კასპიის ზღვის ახალი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობა.

ისტორია მოწოდეს, რომ იმპერიების დაშლის შემდეგ მათში არსებული კოლონიური ადმინისტრაციული საზღვრები ჩვეულებრივ აღიარებული იყო ხოლმე საზღვრებად ახალ სახელმწიფოთა შორის. ასე მოხდა ვიქტორიას ტბასთან დაკავშირებით, რომელიც დაიყო ნაკვეთებად, მიკუთვნებულებად უგანდის, ტანზანიის და კენიისათვის. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სახელმწიფოები აღიარებდნენ მათ შორის ტბაზე დადგენილი საზღვრების კანონიერებას. თითოეულ ქვეყანას ტბის თავისი ფსკერის ნაწილის ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის უფლება აქვს. ტბისპირა სახელმწიფოებს შორის იქნა გაყოფილნი აფრიკის სხვა ტბებიც - ჩადის, ალბერტის, მალავის და ა.შ.

არ შეიძლება გამონაკლისად იქცნენ სსრკ დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებიც. და ეს ეხება არამარტო სახმელეთო, არამედ წყალზე გამავალ საზღვრებსაც. ადმინისტრაციული საზღვრები, რომელიც ჰყოფდნენ ყოფილ კასპიისპირა მოკავშირე რესპუბლიკებს - რუსეთის ფედერაციას, აზერბაიჯანის სსრ, ყაზახეთის სსრ და თურქმენეთის სსრ, - იქცევიან სახელმწიფო საზღვრებად, თუ კასპიის ზღვა ყველა კასპიისპირა სახელმწიფოს მიერ აღიარებული იქნება საერთაშორისო ტბად. ანდა კასპიის ზღვაზე უნდა განისაზღვროს ტერიტორიული წყლები (სანაპირო ზოლიდან 12 მილის დაშორებით), კონტინენტური შელფი და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები. ეს იმ

შემთხვევისათვის, თუ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი როგორც ზღვის, ისე განისაზღვრება.

კასპიის ზღვის მიმართ საზღვაო სამართლის გაერო-ს კონვენციის გამოყენება გამართლებული იქნებოდა კიდევ იმით, რომ რიგი კასპიისპირა სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა ზოგიერთ საკითხში სავსებით შესაბამება ამ კონვენციას. ასე, 1993 წ. თურქმენეთის სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონით დადგენილია კასპიის ზღვაზე ტერიტორიული ზღვა სიგანით 12 მილი, UNCLOS-ს ნორმების შესაბამისად.

რუსეთის ფედერაციის მიერ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის, როგორც ზღვის აღიარების შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებადი გახდებოდა რუსეთის ფედერაციის 1995 წლის 30 ნოემბრის ფედერალური კანონი “რუსეთის ფედერაციის კონტინენტური შელფის შესახებ”. სხვა შემთხვევაში (კასპიის ზღვა - ტბა) რუსეთი და მისი ნავთობისა და გაზის კომპანიები ეროვნული სამართლებრივი ბაზის გარეშე აღმოჩნდებიან.

თავი 3. საერთაშორისო სამართლებრივი დარეგულირება;

ზოგადი შედარება: ტბისა და ზღვის სამართლებრივი სტატუსი

კასპიის ზღვას მრავალი განსხვავებული კლასიფიკაცია გააჩნია,<sup>286</sup> მათ შორის “ტბა”, “ჩაკეტილი ზღვა”, “დახურული ზღვა”, “კონტინენტური ზღვა”, “ზღვა” და “უნიკალური აკვატორია”.<sup>287</sup> ამ საკითხის ზოგიერთი მკვლევარი, შედის რა თეორიულ სიღრმეებში და აკადემიურ გაურკვევლობაში, მიიჩნევს, რომ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის პრობლემა იმაშია, ჩაითვლება თუ არა კასპიის აუზი ზღვად თუ ტბად. აღნიშნული მიღვომა ისხსნება იმ გარემოებით, რომ თითქოსდა ზღვისა და ტბის რეჟიმები გულისხმობს საზღვრების გავლების განსხვავებულ პრინციპებს, რის შედეგადაც მოხდება კასპიის რესურსების სხვადასხვანირი გადანაწილება, იმის მიხედვით, ჩაითვლება ის ზღვად თუ ტბად: “საერთაშორისო სამართლის წესების მიხედვით დელიმიტაციისას ობიექტის კლასიფიცირება როგორც ზღვისა იძლევა სრულიად განსხვავებულ შედეგებს ვიდრე ტბის შემთხვევაში.”<sup>288</sup> მე

<sup>286</sup> კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ცალკეული ასპექტების შესახებ *ob. S. Vinogradov & P. Wouters, The Caspian Sea: Current Legal Problems, 55 ZEITSCHRIFT FÜR AUSLANDISCHES OFFENTLICHES RECHT UND VOLKERRECHT* 604023 (1995); S. Vinogradov & P. Wouters, *The Caspian Sea: Quest for a New Legal Regime*, 9 LEIDEN J. INT'L L. (1996). Resource Journal.

<sup>287</sup> *ob. Julie M. Folger, A Proposal to End the Stalemate in the Caspian Sea Negotiations, 18 Ohio St. J. on Disp. Resol.* 529.

<sup>288</sup> იქვე *ob. ასევე მამედოვ რ. მеждународно-правовой статус Каспийского моря: вчера, сегодня, завтра (Вопросы теории и практики). Ч. II. Становление международно-правового статуса Каспийского моря с древнейших времен до 1991 г. // Центральная Азия и Кавказ. Общественно-политический журнал. 2000.*

ვიზიარებ უფრო პრაქტიკულ მოსაზრებას, რომელიც გვერდს უვლის კატეგორიზაციის უშედეგო კამათს<sup>289</sup> იმის შესახებ, არის თუ არა კასპიის აუზი ზღვა თუ ტბა.<sup>290</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში განხილულია ზოგადად საერთაშორისო სამართლის ის პრინციპები და სასამართლო პრეცედენტები, რომელიც შეიძლება საუკეთესოდ მიესადაგოს კასპიის ზღვის უნიკალურ სიტუაციას და მის სტატუსთან დაკავშირებულ მთავარ საკითხებს, მით უმეტეს, რომ მთელი რიგი გარემოებებისა გამორიცხავს რომელიმეს მზა სამართლებრივი სქემის გამოყენებას კასპიის ზღვის მიმართ.<sup>291</sup>

მართლაც რომ მთავარი პრობლემატური საკითხი, რომელიც კასპიის ზღვას შეეხება და წარმოადგენს ძირითად დაბრკოლებას მისი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით არის კასპიის ზღვის მინერალური რესურსების განაწილება სანაპირო სახელმწიფოთა შორის.<sup>292</sup>

ვაცნობიერებთ რა ამ საკითხს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეთანხმებები, რომლებიც საერთაშორისო ტბებს ეხება, ძირითადად

<sup>289</sup> ცნობილი ამერიკელი სამართლმცოდნე პროფ. ოქსმანი მიიჩნევს, რომ, თუმცა კლაციფიკაციას გაკრეული მნიშვნელობა გააჩნია, იგი არ უნდა კარნახობდეს თუ რომელი სამართლებრივი რეეიმი უნდა მიესადაგოს კასპიის წყლებს, ფსკერს, წიაღისეულს, ცოცხალ რესურსებს, თევზჭერის უფლებებს, ნაოსნობას და ა.შ. “სანაპირო სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობების გარკვევა ლოგიკური მსჯელობით არის თუ არა კასპიის აუზი ზღვა თუ ტბა წარმოადგენს მთლიანობაში, თუ არა სრულიად, უნაყოფო ძალისხმევას” იხ. Bernard H. Oxman, *Caspian Sea or Lake: What Difference Does It Make?*, Caspian Crossroads, Winter 1996, Vol. I, Issue 04.;

იხ. ასევე Barry Hart Dubner in the Article “The Caspian: Is it a Lake, a Sea or an Ocean and Does it Matter? The Danger of Utilizing Unilateral Approaches to Resolving Regional/International Issues” 18 Dick. J. Int'l L. 253; Brice M. Clagett, *Ownership of Seabed and Subsoil Resources in the Caspian Sea Under the Rules of International Law*, Fall 1995, Vol. I, Issue 03,

<sup>290</sup> კასპიის აუზი არ არის “ჩაკეტილი ზღვა” UNCLOS-ს კლასიფიკაციის მიხედვით, ვინაიდან: “(1) საუკუნეების განმავლობაში მისი სანაპირო სახელმწიფოები ექსკლუზიურად ახორციელებდნენ მასზედ კონტროლს; (2) მას არ გააჩნია საერთაშორისო ნაოსნობისათვის საჭირო გასასვლელი; (3) მას არ აქვს შეეხება მსოფლიო ოკეანესთან; (4) მისგან არსებული გასასვლელის გამოყენება შესაძლებელი მხოლოდ რესერვის თანხმობით.” ამასთან, კასპიის აუზი არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც საერთაშორისო ტბა შემდეგი მოსაზრებების გამო: (1) მას გააჩნია ზღვისთვის დამახასიათებელი ოკეანოგრაფიული ოვისებები: (2) სანაპირო სახელმწიფოთა რაოდენობა მეტად ართულებს ერთიანი შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას კასპიის აუზის გამოყენების, მისი რესურსების ათვისებისა და საზღვრების გავლების დარგებში.” იხ. Theodore C. Jonas, “Parting the Sea”: Caspian Littoral States Seek Boundary Disputes’ Resolution, Oil & Gas J., May 28, 2001, წერილი: 2001 WL 9153154, [www.westlaw.com](http://www.westlaw.com)

<sup>291</sup> იქვე.

<sup>292</sup> ამ ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კასპიის ზღვის კონტინენტური შელფის დაყოფაზე, ვინაიდან საერთო საკუთრება კონტინენტურ შელფზე არ არსებობს, არც პრაქტიკულადაა იგი განხორციელებადი საკუთრივ კასპიის ზღვის მიმართ, და არც რაციონალური გამართლება გააჩნია. საერთო საკუთრების მაგალითები თუნდაც წყლის სიბრტყის მიმართ ძნელად თუ მოიპოვება საერთაშორისო პრაქტიკაში. საერთო საკუთრების მიზანშეუწოდობა, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს რესურსების ერთობლივი ათვისების შეთანხმებებს, რაც შეიძლება იყოს წინა საფეხური კონტინენტური შელფის დელიმიტაციამდე, და რაც ვრცლად არის განხილული ნაშრომის შემდგომ ნაწილში.

ნაკლებ შესაფერისია კასპიის კონტინეტური ნაწილის დელიმიტაციისათვის.<sup>293</sup> ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ ტბათა შემთხვევაში უთანხმოებანი მინერალური რესურსების განაწილების შესახებ არ წარმოიშობა, და შესაბამისად, არც ამის რეგლამენტაცია არსებობს.

საერთაშორისო ტბების უმეტესობა წარმოადგენს მცირე წყალსატევს, რომლებიც ორი ქვენის ტერიტორიაზეა განაწილებული, და რომელთა ერთობლივი გამოყენება ორმხრივი შეთანხმებით რეგულირდება. არსებობს მაგალითები, როდესაც საერთაშორისო ტბები დაყოფილია ტბისპირა სახელმწიფოთა შორის: ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს დიდი ტბები, რომლების შესახებაც უფლებები განისაზღვრა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის მოლაპარაკებების შედეგად. სხვა მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ტბა კონსტანტა, რომელიც გაიყო სამ ევროპულ სახელმწიფოს შორის სასამართლო განხილვის შედეგად.<sup>294</sup>

იმის გამო, რომ ეს ტბები, რომლებიც, ისევე როგორც დანარჩენი ტბები, წარმოადგენენ წყლის წყაროს, აგრეთვე გამოიყენებიან თევზჭერისათვის და წარმოადგენენ სანავიგაციო საშუალებას, მდებარეობენ ორ ქვეყანას შორის, ტბების ფლობისა და გამოყენების ყველაზე მისაღები საშუალება იყო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც უნდა გაკონტროლებულიყო ამ ტბიდან წყლის და მისი რესურსების გამოყენება, და არა ფსკერის წიაღიასეულის გამოყენების საკითხები (რომელიც ტბებში არ არსებობს).<sup>295</sup>

ამრიგად ტბების გაყოფასთან დაკავშირებული მთავარი საკითხებია სასმელი წყლის რესურსების მოხმარება, მეთევზაობა, ნაოსნობა და გარემოს დაცვა,<sup>296</sup> მაშინ როდესაც კასპიის ზღვის დაყოფის მთავარ პრობლემად კვლავ რჩება მისი ნავთობითა და აირით მდიდარი წიაღი. ასეთი დაყოფის სპეციფიურობა არასოდეს განუხილავთ იმ ტბების

<sup>293</sup> ob. ზოგადად Attila Tanzi, Codifying the Minimum Standards of the Law of International Watercourses: Remarks on Part One and a Half, 21 NAT, RESOURCES J. 109(1997); და John Crook & Stephen McCaffrey, The United Nations Starts Work on a Watercourses Convention, 91 AM.J.INTL. 374(1997). “... ტბათა დელიმიტაციის ამსახველი სამართლებრივი წესები ნაკლებად მოქნილია, ვიდრე საზღვაო დელიმიტაციის, უფრო კონკრეტულად კი განსაკუთრებული ეკონომიკური სივრცისა (ზონის) და კონტინენტური შელფის დაყოფის მარეგლამენტირებელი ნორმები.” Bernard Oxman, *Caspian Sea or Lake: What Difference Does It Make?* CASPIAN CROSSROADS MAG., Winter 1996, Vol. I, Issue 04,

<sup>294</sup> ob. Barry Hart Dubner “The Caspian: Is it a Lake, a Sea or an Ocean and Does it Matter? The Danger of Utilizing Unilateral Approaches to Resolving Regional/International Issues” 18 Dick. J. Int'l L. 253: კონსტანციას ტბასთან დაკავშირებით სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესები ეწინააღმდეგება კონდომინიუმის (*condominium*) თეორიას.” ob. ასევე Brice M. Clagett, Ownership of Seabed and Subsoil Resources in the Caspian Sea under the Rules of International Law, CASPIAN CROSSROADS MAG., Summer.Fall 1995.

<sup>295</sup> ob. Mark J. Dinsmore, Like a Mirage in the Desert: Great Lakes Water Quantity Preservation Efforts and Their Punitive Effects, წყარო: [24 U. Tol. L. Rev. 449, 449 \(1993\)](#). დიდი ტბები მოიცავს აშშ-ს ზედაპირული სასმელი წყლების 95%, ხოლო მსოფლიო მასშტაბით – 20%-ს.

<sup>296</sup> ob. ზოგადად Julia R. Wilder, Note, The Great Lakes as a Water Resource: Questions of Ownership and Control, [59 Ind. L.J. 463, 485-86 \(1984\)](#).

მიმართ, რადგან მათგან არ მოიპოვებდნენ მინერალურ რესურსებს.<sup>297</sup> ტბებში ქვიშა და ქვები მოსაპოვებლად ხელმისაწვდომია, მაგრამ არ არსებობს ინფორმაცია, რომ ასეთი პროცესები გათვალისწინებულია ტბათა წყლის ფართობის გაყოფისას, ან უფრო მეტიც, ასეთი მოპოვება ხორციელდება ერთი მოსაზღვრე სახელმწიფოს მიერ მეორე ტბისპირა სახელმწიფოს წყლებში.

ტბების დაყოფა, როგორც წესი, ხდება მარტივი შუალედური ხაზის მიხედვით, და გასათვალისწინებელია, რომ ასეთი მეთოდით განხორციელებული დაყოფა შეიძლება მთლიანად ან გარკვეულ მონაკვეთში დაემთხვევს დელიმიტაციას საერთაშორისო საზღვაო სამართლის წესების მიხედვით, რომლის ძირითადი პრინციპია სამართლიანობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მარტივი შუალედური ხაზის მოდიფიცირება სხვადასხვა სპეციალური გარემოებების გათვალისწინებით. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო დელიმიტაციის მეთოდი სპეციალური გარემოებების არარსებობის შემთხვევაში შეიძლება დაემთხვევს მარტივ შუალედურ ხაზს, ამ შემთხვევაშიც მარტივი ხაზის გავლება წყლის ზედაპირზე დატოვებს გაურკვევლობას ფსკერის მიმართ.

უფრო მეტიც, ტბათა წყლის ზედაპირის დაყოფის წესები (საერთაშორისო ტბათა უმრავლესობა კი მდებარეობს ორ მოსაზღვრე სახელმწიფოს შორის) არ აძლევს რამოდენიმე წყლისპირა სახელმწიფოს საშუალებას გამოიყენონ მინერალური წიაღისეული ცალ-ცალკე ან ერთობლივი საქმიანობის მეშვეობით, განახორციელონ თავისუფალი ნავიგაცია და ა.შ., რომელი საკითხებიც ერთობლიობაში დარეგულირებულია საერთაშორისო საზღვაო სამართლის მიერ.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ კასპიის ზღვას განიხილავდნენ, როგორც ტბას, მისი მინერალური რესურსების მფლობელობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა UNCLOS-ის სქემით მოწყობისაგან.<sup>298</sup> მთავარი განსხვავება იარსებებდა ზედაპირული წყლების გამოყენებაში,<sup>299</sup> მ.შ. თავისუფალი ზღვაოსნობის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ კასპიის ზღვის მარიალიანი წყლის გამოყენების და შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი (რაც ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ტბების გამოყენებისას) არასოდეს დამდგარა, რადგან იგი გამოუსადეგარია სასმელად და არც საირიგაციოდ გამოიყენებოდა,<sup>300</sup> მაინც საერთაშორისო ტბების რეჟიმებთან დაკავშირებული ზოგიერთი ელემენტი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული კასპიის ზღვის შემთხვევაში; მაგ.: დიდი ტბების და ტბა კონსტანტას შემთხვევები უჩვენებს არა მხოლოდ კარგი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საჭიროებას, არამედ

<sup>297</sup> ი. სქოლით 273 *supra*

<sup>298</sup> ი. ს. Bernard Oxman, *Caspian Sea or Lake: What Difference Does It Make?* CAPIAN CROSSROADS MAG., Winter 1996, Vol. I, Issue 04

<sup>299</sup> იქვე.

<sup>300</sup> ი. ზოგადად მასალები: [www.caspiy.net](http://www.caspiy.net)

საფუძვლის ჩაყრას უთანხმოებების მოგვარების მექანიზმებისთვის, რაც მნიშვნელოვანია კასპიისპირა სახელმწიფოთა ურთიერთობებში.<sup>301</sup>

დაბოლოს, როგორც შპერ აღნიშული იყო, ტბების დაყოფისას გამოიყენება მარტივი შუალედური ხაზის მეთოდი, რაც ობიექტურად არ იძლევა საშუალებას მხედველობაში იქნას მიღებული გეოგრაფიული და სხვა გარემოებანი, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამართლიანი დელიმიტაციის პირობებში, როგორც ამას საერთაშორისო საზღვაო სამართალი ითხოვს, და როგორც ეს აღნიშნულია საერთაშორისო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში.<sup>302</sup>

ამრიგად, საერთაშორისო ტბების რეჟიმი ვერ გვთავაზობს მოქნილ მექანიზმს კასპიის ზღვის სტატუსის და, კერძოდ, მისი დელიმიტაციის განსაზღვრისას, და არც მიესადაგება კასპიის ზღვას მთელი რიგი ზემოთ მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით.

#### თავი 4. საერთაშორისო საზღვაო სამართალი

მიღვაჩნია, რომ საერთაშორისო საზღვაო სამართალი, და კერძოდ, UNCLOS, წარმოადგენებს საყოველთაოდ აღიარებულ და საუკეთესო სამართლებრივ ინსტრუმენტებს კასპიისპირა სახელმწიფოთა შორის კასპიის ზღვის სტატუსთან დაკავშირებული უთანხმოებების მოსაგვარებლად. “1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ . . . განკუთვნილი იყო იმ სამართლებრივი პროტექტურისა და მოგვარებისათვის, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საზღვაო სივრცეებზე სუვერენული იურისდიქციის დადგენისას და ზღვის გარემოს დაცვის რეჟიმის ჩამოყალიბებისას, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში.”<sup>303</sup>

UNCLOSმიჩნეულია, როგორც “საუკეთესო აზრთა კრებული იმ წყლის სივრცეთა სამარლებრივი რეჟიმის დარეგულირებასთან

<sup>301</sup> ი. ზოგადად მასალები: <http://www.internationalwaterlaw.org/documents/regionaldocs/Local-GW-Agreements/1985-GL-Chartern.pdf>

<sup>302</sup> ი. მაგ. საქმე North Sea Continental Shelf Case, (წყარო: <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&code=cs&case=51&k=e2>, პარაგრაფი 80) “არსებობს, რასაკირველია, უამრავი მაგალითი წყლის და არა ფსკერის დელიმიტაციისა, რომელიც განხორციელებულია შუალედური დისტანციის საფუძველზე შიდა წყლების (ტბები, მდინარეები და სხვა) მიმართ, და ეს არის შუალედური ხაზის გამოყენების მაგალითები. უახლოესი ანალოგია /საზღვაო სამართალში/ არის მიმდებარე ტერიტორიული წყლების დაყოფა, მაგრამ სასამართლოს არ მიაჩნია ეს მაგალითი კონტინენტური შელფის /ფსკერის/ დაყოფის ანალოგად.”

<sup>303</sup> ი. Barry Hart Dubner, The Caspian, Is It a Lake, a Sea or an Ocean and Does It Matter? The Danger of Utilizing Unilateral Approaches to Resolving Regional/International Issues, 18 Dick. J. Int'l L. 253, 260 (2000).

დაკავშირებით, რომლებიც იყოფა ორ ან მეტ სახელმწიფოთა შორის.”<sup>304</sup> კონვენციას მისი შედგენის შემდგომ 159 სახელმწიფო შეუერთდა.<sup>305</sup>

კასპიის უნიკალურობამ არ მისცა საშუალება მკაფიოდებს მოქმედინათ მისი “ხისტი გეოგრაფიული კლასიფიცირება.”<sup>306</sup> და ვინაიდან კასპიის ზღვა პირდაპირ არ ექცევა UNCLOS-ის<sup>307</sup> რეგულირების ჩარჩოებში, ამ კონვენციის წესების გამოყენებით შესაძლოა მხოლოდ მისი სამართლებრივი პრობლემების განსაზღვრა, და მათი გადაჭრისას ანალოგიების მოშველიება, - განსაკუთრებით იმ პრეცედენტებისა, როდესაც საზღვაო დავის მხარეები, როგორ კასპიის ზღვის შემთხვევაში, არ არიან (ან არ იყვნენ დავის მომენტისათვის) UNCLOS-ის ან მისი “წინამორბედი” საზღვაო კონვენციების მონაწილენი, მაგრამ იყენებენ მათ პრინციპებს.<sup>308</sup>

<sup>304</sup> იხ. Jonas, სქოლით 293 *supra,გვ.60*), სადაც განმარტებული, რომ “UNCLOS ითვალისწინებს საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ წესებს საერთაშორისო ზღვაოსნობის, საზღვაო საზღვრების დადგენისა და ზღვის რესურსების გამოყენების დარგში .. ასევე მოიცავს თანამდეროვების პრობლემებს, როგორიცაა ტექნოლოგიების როლი, გარემოს დაცვის საკითხები და დავათა მშვიდობიანი გადაჭრა.”

<sup>305</sup> იხ. წყარო: [http://www.un.org/Depts/los/reference\\_files/chronological\\_lists\\_of\\_ratifications.htm#](http://www.un.org/Depts/los/reference_files/chronological_lists_of_ratifications.htm#)

<sup>306</sup> იხ. Kamyar Mehdiyoun, Current Development, Ownership of Oil and Gas Resources in the Caspian Sea, 94 Am. J. Int'l L. 179 (2000).

<sup>307</sup> ზღვა განიმარტება როგორც “მნიშვნელოვანი საწყლო ობიექტი, რომელსაც გააჩნია გასასვლელი სხვა მნიშვნელოვან საწყლო ობიექტთან,” როგორიცაა, მაგალითად შავი ზღვა თავისი გასასვლელით ხმელთაშუა ზღვაზე. იხ. Mary Ellen O'Connell, The Application of International Law to the Contemporary Security Agenda, Occasional Paper International Relations Seminar Series 1997, at 30 (Johns Hopkins U. Bologna Center, No. 2). ვინაიდან კასპიის ზღვას არ გააჩნია გასასვლელი სხვა მნიშვნელოვან საწყლო ობიექტთან, იგი ცორმალურად ზღვას არ წარმოადგენს. იხ. Faraz Sanei, Note, *The Caspian Sea Legal Regime, Pipeline Diplomacy, and the Prospects for Iran's Isolation from the Oil and Gas Frenzy: Reconciling Tehran's Legal Options with Its Geopolitical Realities*, 34 Vand. J. Transnat'l L. 681 (2001).

მაგრამ იხ. ახევვე William Constantinos Papadopoulos, International Law & Pipeline Geopolitics in the Caspian Sea, 36 Tex. J. Bus. L. 1, 5-7 (1999) (სადაც ნათქვამია, რომ UNCLOS-ის მიხედვით მაფიოზ ერ განისაზღვრება, არის თუ არა კასპიის ზღვა შიდა საწყლო ობიექტი, ან ჩაკეტილი ზღვა – იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კასპიის ზღვაში ჩაედინება მდინარეები. საწყლო ობიექტის ცნობა ზღვად ამ კონვენციის UNCLOS მიხედვით აუცილებელია მისი კავშირი სხვა ზღვასთან ან ოკეანესთან სულ ცოტა ვიწრო გასასვლელით მაინც /ჩაკეტილი ან ნახევრად ჩაკეტილი ზღვები/. ამავე დროს კონვენცია არ აკონკრეტებს, წარმოადგენს თუ არა მრავალრიცხვანი მდინარეები (130 დიდი და პატარა მდინარე ჩაედინება კასპიის ზღვაში) ამგვარ გასასვლელს.)

<sup>308</sup> თვეორიული თვალსაზრისით, UNCLOS –ის ჩაკეტილი ზღვების საქმაოდ ფართო განმარტებანი (მუხლი 122) შეიძლება მიესადაგოს კასპიის ზღვას: “ამ კონვენციის მიზნებისათვის, ჩაკეტილი ან ნახევრად ჩაკეტილი ზღვა არის ყურე ან ზღვა, რომელიც გარშემორტყმულია ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ და დაკავშირებულია სხვა ზღვასთან ან ოკეანესთან ვიწრო გასასვლელით ან შედგება მთლიანად ან უმთავრესად ორი ან მეტი სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორიული წყლებისაგან და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებისაგან.” (122-ე მუხლის სტილით და პუნქტუაციით დაცულია). მართლაც, კასპიის ზღვა აქმაყოფილებს იურისდიკციებით დაფარვის ტესტს, შედგება რა მთლიანად ან უმთავრესად სანაპირო სახელმწიფოთა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებისაგან, რაც 122-ე მუხლის მიხედვით არის დამოუკიდებელი მაკლასიფიცირებელი ნიშანი ჩაკეტილი ან ნახევრად ჩაკეტილი ზღვისათვის. იხ. ზოგადად Myron H Nordquist, Satya N. Nandan, United Nations Convention on the Law of the Sea, 1982, A Commentary, Published 1995, *Martinus Nijhoff Publishers* გვ. 348-355; იხ. აგრეთვე Barry Hart Dubner, The Caspian: Is it a Lake, a Sea or an Ocean and does it really matter? The danger of utilizing unilateral approaches to resolving regional / international issues, 18 Dick. J. Int'l. L. 260 (2000).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსურს მიმოვიხილო **UNCLOS**-ის ძირითადი დებულებანი და მათი ჩამოყალიბების პროცესი, რათა უკეთ იქნას წარმოდგენილი საერთაშორისო საზღვაო სამართლის პრინციპების გამოყენება კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის პრობლემური საკითხების გადაჭრისათვის, და განსაკუთრებით, კასპიის ზღვის კონტინენტური შელფის დელიმიტაციის მიმართ, რაც წარმოადგენს უმთავრეს პრობლემას კასპიისპირა სახელმწიფოთა შორის.

თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და, კერძოდ, **UNCLOS**-ის პრინციპების უკეთ შესწავლისათვის აუცილებელია მისი “წინამორბედი” კონვენციების განხილვა, როგორიცაა 1958წ. უნივერსალური კონვენციები, საიდანაც გამოჩენდება საზღვაო დელიმიტაციის წესების განვითარება.

მსოფლიში მოქმედებს დაახლოებით 200-მდე საზღვაო გამიჯვნის შეთახმება და უფრო მეტი საზღვაო საზღვარი კიდევ საჭიროებს დადგენას.<sup>309</sup>

საზღვაო საზღვარი მარტივი განსაზღვრებით არის გეოგრაფიული ხაზი, რომელიც ჰყოფს მომიჯნავე და მოპირისპირე სანაპირო სახელმწიფოების სრული ან ნაწილობრივი იურისდიქციის<sup>310</sup> სფეროს. ტერმინი “საზღვაო საზღვარი,” მაშასადამე, უკავშირდება საზღვაო ზონირებას, სადაც სახელმწიფო იურისდიქცია გამოიყენება სხვადასხვა დონეზე, საზღვაო სივრცეების მიხედვით, - ტერიტორიული ზღვიდან დაწყებული კონტინენტური შელფით ან განსაკუთრებული ეკონომიკური

---

მაგრამ მთავარი საკითხი იმაში არ არის, თუ რამდენად გვაძლევს სამართლის თვეორია საშუალებას განვიხილოთ კასპიის ზღვა - ზღვად სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ - თუ რამდენად გამოხატავენ კასპიისპირა სახელმწიფოები ასეთ სურვილს. ამდენად გასაგებია, რომ **UNCLOS** -ის პირდაპირი მისადაგებისათვის კასპიის ზღვისადმი, რომელიც არასდროს იყო დაქვემდებარებული საერთაშორისო საზღვაო სამართლს, საჭიროა რომ ხუთივე კასპიისპირა სახელმწიფო იყოს ამ კონვენციის მონაწილე და შეთანხმდნენ მის გავრცელებაზე კასპიის ზღვის მიმართ. სადღეისოდ, ხუთი კასპიისპირა სახელმწიფოს შორის მხოლოდ რუსეთი არის კონვენციის სრული მონაწილე (საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის გამოუყენებლობის დათქმით), - მაგრამ რუსეთი არ განიხილავს მის გავრცობადობას კასპიის ზღვის მიმართ (იხ. სქოლით 436 *infra*), რაც შეეხება ირანს - იგი მიუკრთდა მხოლოდ **UNCLOS**-ის დანართს, - “შეთანხმება **UNCLOS**-ის იმ დებულებების განხორციელების შესახებ, რომელიც ეხება ფართოდ განლაგებულ და მოძრავ თვეზეულის დაცვასა და კონტროლს,” იხ. სქოლით —. ამრიგად, არ არსებობს კასპიის ზღვაზე **UNCLOS**-ის დებულებათა იურიდიულად სავალდებულო გავრცელების წინაპირობა. იხ. ავრამიჯ Faraz Sanei, Note, *The Caspian Sea Legal Regime, Pipeline Diplomacy, and the Prospects for Iran's Isolation from the Oil and Gas Frenzy: Reconciling Tehran's Legal Options with Its Geopolitical Realities*, 34 Vand. J. Transnat'l L. 681 (2001), გვ. 796.

გარდა განხილული ისტორიულ-ფორმალური და გეოგრაფიული მიზეზებისა, არსებობს სხვა გარემოებებიც, რომლებიც აბრკოლებს **UNCLOS**-ის პირდაპირ გავრცელებას კასპიის ზღვის მიმართ, იხ. წინამდებარე ნაშრომის შემდგომი კარი.

<sup>309</sup> იხ. წყარო: [www.asil.org](http://www.asil.org). American Society of International Law. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოჩენა კიდევ უფრო ზრდის დასადგენი საზღვაო საზღვრების რიცხვებს.

<sup>310</sup> “იურისდიქცია”-დ ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია როგორც სრული სუვერენიტეტი, ასევე ცალგენული სუვერენული უფლებების გამოყენების სამართლებრივი შესაძლებლობა.

ზონით (EEZ) დამთავრებული. ამასთან, ერთი სახელმწიფოს ნაწილობრივი იურისდიქციის ქვეშ მყოფი საზღვაო სივრცის მიმართ სხვა სახელმწიფოს გააჩნია უფლებამოსილება განახორციელოს გარკვეული საქმიანობა. ამგვარი საქმიანობა შეიძლება იყოს როგორც წმინდა ეკონომიკური, ასევე სატრანსპორტო-სატრანზიტო, როგორიცა თავისუფალი ნაოსნობა. ამგვარად საზღვაო საზღვრები, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად განსხვადება სახმელეთო საზღვრებისაგან.

საზღვაო გამიჯვნა, ანუ დელიმიტაცია, წარმოადგენს სახელმწიფოებს შორის საზღვაო საზღვრების დადგენას, და, შესაბამისად საზღვაო სივრცეების დაყოფას, გარკვეული პრინციპებისა და წესების გათვალისწინებით. საზღვაო საზღვრების გამიჯვნა იწყება იმის განსაზღვრით, არსებობს თუ არა *de facto* ან *de jure* შეთანხმება მომიჯნავე ან მოპირისპირე სანაპირო სახელმწიფოთა შორის, რომელიც ეხება საზღვრების დადგენას. *de facto* შეთანხმებაში პირობითად მოიაზრება საერთაშორისო სამართალში მიღებული რომელიმე ფორმით აღიარებული ფაქტობრივი საზღვაო გამიჯვნა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნაწილია იმ პრიორიტეტთა სისტემისა, რომელიც ერთობლიობაში წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებათა წესს საზღვაო დელიმიტაციასთან დაკავშირებით.<sup>311</sup>

ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა კასპიის ზღვის მაგალითი, როდესაც საზღვაო დელიმიტაცია არანაირად არ განახორციელებულა (ყოველ შემთხვევაში ფსკერის, ანუ კონტინენტური შელფის მიმართ), საზღვაო საზღვრები უნდა დადგინდეს *ex novo*.<sup>312</sup> შესაბამისად, კასპიის ზღვის შემთხვევაში ისტორიული დაყოფის არარსებობა უნდა იქნას განსილები როგორც *conditio sine non*<sup>313</sup> დელიმიტაციის პროცესის თვალსაზრისით.

ცონბილია, რომ საზღვრის განსაზღვრის პროცესი ზოგადად შედგება შემდეგი საფეხურებისაგან:<sup>314</sup> ტერიტორიის ლოკალიზება, დელიმიტაცია, სადემარკაციო ხაზის გავლება<sup>315</sup> და ადმინისტრირება.<sup>316</sup>

<sup>311</sup> *de facto* გამოხატულება მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, სადაც საზღვაო გამიჯვნის ხაზი არის რომელიმე ფორმით აღიარებული. *ob.* Paul Bravender-Coyle, "The Emerging Legal Principles and Equitable Criteria Governing the Delimitation of Maritime Boundaries Between States," 19(3) ODIL (1988) 171, გვ. 172-177.

<sup>312</sup> ანუ თავიდან (ლათ.). *ob.* ასევე Jonathan Charney, "Progress in International Maritime Boundary Delimitation Law," 88(2) American Journal of International Law (1994) 227, გვ. 234.

<sup>313</sup> აუცილებელი პირობა (ლათ.)

<sup>314</sup> *ob.* Border disputes: Decoding Sir Creek challenges between Pakistan and India, წყარო:

<http://rupeenews.com/2008/02/06/border-disputes-decoding-sir-creek-challenges-between-pakistan-and-india>

<sup>315</sup> გასათვალისწინებელია, რომ საზღვაო საზღვრის მიმართ დემარკაცია (ხილვადი ნიშნების აგება ან იდენტიფიცირება) საქმაოდ როგორიცაა სახმელეთო საზღვრებისაგან განსხვავებით, ვინაიდან წყალზე არ არის ისეთი ბუნებრივი ნიშნები, როგორც სტელეოზე – ამრიგად წყლის დემარკაცია ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. იმ შემთხვევაშიც, როდესაც საზღვაო დემარკაცია ხდება სანაპირო ნიშნებზე ორიენტირების მეშვეობით, ისინი ნაკლებად ხილვადია შორი მანძილებიდან, და, ამდენად, ნაკლებად ეფექტურიც. სსრკ-ირანის პირობითი საზღვარი კასპიის ზღვაზე საბჭოთის მიერ ცალმხრივად იქნა გავლებული ასტარა – ჰასანკულის ხაზზე,

ს. ბ. ჯონსის განსაზღვრების თანხმად ტერიტორიის ლოკალიზება საზღვრის დადგენა-განსაზღვრის პროცესში გულისხმობს ორ სახელმწიფოს შორის ტერიტორიების თავდაპირველ პოლიტიკურ დაყოფას.<sup>317</sup>

შემდეგი ეტაპი – დელიმიტაცია - გულისხმობს იმ სახლემწიფოების გამოყოფას, რომელთა საზღვაო სივრცეები - შიდა საზღვაო წყლები და ტერიტორიული ზღვა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი - ემიჯნება ერთმანეთს და ერთმანეთისაგან გაყოფილი არ არის ლია (თავისუფალი) ზღვით.

საზღვაო საზღვრების დემარკაცია, როგორც უკვე ადინიშნა, საქმაოდ რთული პროცესია, და უფრო ტექნიკურ მხარეს შეიცავს, ვიდრე სამართლებრივს.<sup>318</sup>

დაბოლოს, საზღვრის ადმინისტრირება<sup>319</sup> არის საფეხური, რომელიც მოსდევს სახელმწიფოებს შორის შეთანხმებას, და მოიცავს სასაზღვრო და ახლო მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებულ საქმიანობას (საზღვრის გადაკვეთის წესი, მოწყობა და ა.შ.). საზღვრის ადმინისტრირება ეხება ადმინისტრაციული წესების მოქმედებას და სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ქმედებებს საზღვარზე, როგორიცაა საზღვრის გადასვლა და ტვირთის გადატანა, უსაფრთხოების კონტროლი, მ.შ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის და კონტრაბანდის აღკვეთა, სასაზღვრო ადმინისტრაციებს შორის კომუნიკაციის წესი, წყლის გამოყენება და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომის მთავარი საკითხი ემიჯნება ტერიტორიის ლოკალიზების და მის დელიმიტაციის პროცესში, ვინაიდან კასპიის ზღვის მიმართ ნაადრევია დემარკაციაზე ან ადმინისტრირებაზე საუბარი. რაც შეეხება ამ ნაშრომის დეტალური შესწავლის ობიექტის – კასპიის ზღვის ფსკერის (კონტინენტური შელფის) – გაყოფას, კასპიის სამმა სახელმწიფომ უკვე გაირა ტერიტორიის ლოკალიზების საფეხური და ამჯერად ნაწილობრივ დელიმიტაციის სტადიაშია.

რომლის სადგმარკაციო იდენტიფიცირება ხდებოდა ფსკერზე მიმაგრებული მცურავი ტივტივების მწერივის მიხედვით.

<sup>316</sup> ი. ზოგადად Jones S.B., (1945) Boundary Making. A Handbook For Statesmen, Treaty Editors and Boundary Commissioners, Washington D.C Carnegie Endowment For International Peace, გვ. 5, 143-155.

<sup>317</sup> იქვე.

<sup>318</sup> ი. სქოლიო 317 *supra*.

<sup>319</sup> “საერთაშორისო საზღვრების დელიმიტაცია და დემარკაცია პერსპექტივაში უნაყოფო იქნება, თუ მხარეები არ დათქვამენ საზღვრის დაცვის, მოვლის და სხვა ფუნქციების განხორციელების წესს. საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპი ზოგადად გამოხატულია სახელმწიფოთა პოლიტიკაში და პრაქტიკაში. ამ პრინციპმა (თუ დაცულია მუდმივად) შეუძლია განამტკიცოს ან მოშალოს (თუ ირღვევა) მომიჯნავე სახელმწიფოთა კეთილმეზობლური ურთიერთობა. და ამიტომ ეს გარემოება ხშირად აისახება სასაზღვრო შეთანხმებებში.” ი. Jones S.B., (1945) Boundary Making. A Handbook For Statesmen, Treaty Editors and Boundary Commissioners, Washington D.C Carnegie Endowment For International Peace, გვ. 214.

(ა) საზღვაო დელიმიტაციის მეთოდებისა და პრინციპების ჩამოყალიბების პროცესი

1929 წლის წინარე კონვენცია ტერიტორიული წყლების შესახებ შეიცავდა მუხლს ვიწრო სრუტეებში ტერიტორიული წყლების გამიჯვნის შესახებ, რომელიც გვამცნობს, რომ: “ყველა ქვეყნის ტერიტორიული წყლები ვრცელდება ვიწრო სრუტეების შუა ნაწილამდე, თუ სხვა რამ არ იყო დაწესებული შეთანხმებით.”<sup>320</sup> იგივე სიტყვები გამოითქვა 1930 წლის ჰააგის კონფერენციაზე, ეხებოდა რა “ვიწრო სრუტის ცენტრში გამავალ ზღვარს”.<sup>321</sup> ადსანიშნავია, რომ 1958 წლამდე სახელმწიფოთა გამოცდილება საზღვაო საზღვრების დადგენის სფეროში შედარებით მწირი გახდათ, და ტერიტორიული წყლების დელიმიტაციის პრაქტიკა ასეთ თანაბრად დაშორების პრინციპზე აიგებოდა. ასე მაგალითად, იტალია-იუგოსლავის 1947 წ. სამშვიდობო ხელშეკრულება მოიხსენიებს “საზღვარს, რომელიც თანაბრად არის გავლებული ტრიესტეს და იუგოსლავის თავისუფალი ტერიტორიის სანაპირო ხაზზე.”<sup>322</sup>

(ბ) საზღვაო დელიმიტაციის წესების განვითარება 1958 წ. კონვენციებით

როდესაც საერთაშორისო სამართლის კომისიამ დაიწყო მომზადება პირველი საზღვაო კონვენციების შესამუშავებელი საწყისი სესიისთვის, ერთადერთი შეთანხმება საზღვაო საზღვრების დადგენის შესახებ ტერიტორიული წყლების მიღმა, რომელიც იქნა მიღწეული იმ დროისათვის, გახდათ 1942 წლის ვენესუელა-ინგლისის ხელშეკრულება პარიას (Paria) კურეს მიმართ.<sup>323</sup>

წინა პრეცენდენტების არარსებობის პირობებში ეს ხელშლევარულება შეიცავდა *sui generis* (უნიკალურ) მიღგომას, და ამდენად მან არ მისცა ბიძგი საზღვაო საზღვრების მიმართ რაიმე მეთოდის ან პრინციპის ჩამოყალიბებას, “შეიძინა რა მხოლოდ შეზღუდული ხასიათის პრეცედენტის მნიშვნელობა მომავალი დელიმიტაციებისათვის.”<sup>324</sup>

რაც შეეხბა კონტინენტური შელფის გამიჯვნას და გამოცხადებას, ეს საკითხი, როგორც ჩანს, სახელმწიფოთა პრაქტიკის აღნიშნულ საწყის ეტაპზე შემოიფარგლებოდა ცალმხრივი განხცადებებით, და ამდენად, არ

<sup>320</sup> ეს კონვენცია შემუშავდა ჰარვარდის იურიდიულ ფაკულტეტზე. *ib.* American Journal of International Law, AJIL (1929), გვ. 243-244.

<sup>321</sup> *ib.* 24(Supp.) AJIL (1930) 25, გვ.36 – მოპირდაპირ სახელმწიფოთა საზღვრების შესახებ.

<sup>322</sup> *ib.* 49 [United Nations Treaty Collection](#) UNTS (1950) 139.

<sup>323</sup> *ib.* წერტილ: <http://cil.nus.edu.sg/1942/1942-treaty-between-great-britain-and-northern-island-and-venezuela-relating-to-the-submarine-areas-of-the-gulf-of-paria/>

<sup>324</sup> *ib.* David H. Anderson. "Maritime Delimitation: A View of British Practice," 12(3) MP (1988) 231.

ასახავდა დელიმიტაციის რაიმე პრინციპს თუ მეთოდს. კონტინენტური შელფის მონიშვნის კრიტერიუმი პირველად მოხსენიებულია ასევე ცალმხრივ განცხადებაში, რომელიც ცნობილია როგორც ტრუმენის პროკლამაცია,<sup>325</sup> და რომლის მიხედვითაც: “იქ სადაც ერთი ქვეყნის კონტინენტური შელფი გადადის მეორე ქვეყნის სანაპიროზე, ან ემიჯნება მოსაზღვრე სახელმწიფოს შელფს, საზღვრები უნდა დადგინდეს შეერთებული შტატებისა და მოსაზღვრე სახელმწიფოს მიერ სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით.”

თუ რა იგულისხმებოდა “სამართლიანობის (მიუკერძოებლობის) პრინციპებში” არ იყო დაზუსტებული. 1945 წლისათვის შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ რომელი წესები იყო გამოსაყენებელი თუნდაც უკვე ტრადიციულად აღიარებული საზღვაო სივრცეების საზღვრების დასადგენად, მაგალითად როგორიც არის ტერიტორიული ზღვა; ამდენად, სავსებით დასაშვებია, რომ სამართლიანობის პრინციპების მოხსენიება ითვალისწინებდა მხოლოდ ფორმალურ მასალას და გონივრულ საფუძვლებს მოლაპარაკებისას საზღვრების გამიჯვნაზე.<sup>326</sup>

ამავე დროს, შეერთებული შტატების შეხედულება საზღვრების დადგენის თაობაზე სამართლიანობის პრინციპების მიხედვით გაიგივებული იყო თანაბარი მანძილის<sup>327</sup> ცნების გამოყენებასთან, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს გეოგრაფიულ თავისებურებებს და სხვა ფაქტორებს.<sup>328</sup> ამასთან იტერესს მოკლებული არ არის ის გარემოება, რომ ირანი იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც ტრუმენის პროკლამაციის შემდეგ თავისი ქვეყნის კანონმდებლობაში ასახეს “სამართლიანობის პრინციპები”, რომელიც კონტინენტურ შელფის დადგენას ეხებოდა.<sup>329</sup>

1950 წელს, საერთაშორისო სამართლის კომისიის მეორე სესიაზე ცხადი გახდა, რომ სახელმწიფო გამოცდილებიდან გამომდინარე ერთადერთი გზამკვლევი გახდდათ ის, რომ კონტინენტური შელფის საზღვრის დადგენა უნდა განხორციელდეს მონაწილე ქვეყნების ხელშეკრულების საფუძველზე, ამასთან არ არსებოდა დელიმიტაციის მეთოდები სივრცეების ურთიერთგადაფარვის შემთხვევაში, და არც სადაც საკითხების გადაჭრის მექანიზმი იყო შემუშავებული.<sup>330</sup>

<sup>325</sup> *ob. წყარო:* <http://cil.nus.edu.sg/1945/1945-us-presidential-proclamation-no-2667-policy-of-the-united-states-with-respect-to-the-natural-resources-of-the-subsoil-and-sea-bed-of-the-continental-shelf/>

<sup>326</sup> *ob. Whitemore Boggs.* "Delimitation of the Territorial Sea", 24 AJIL (1910)541.

<sup>327</sup> *ob. Whittemore Boggs,* "Delimitation of Seaward Areas under National Jurisdiction, 45 AJIL (American Journal of International Law) (1951) 240, გვ. 262: "...თანაბარი მანძილის მეთოდი წარმოადგენს სამართლიანობის პრინციპის გამოხატულებას, რის საფუძველზეც მოხდება შეთანხმება აშშ-სა და მეზობელ სახელმწიფოს შორის."

<sup>328</sup> "კრიტერიუმები ფსკერისა და წიაღის (კონტინენტური შელფის) გაყოფაზე ორ და მეტ სანაპირო სახელმწიფოს შორის უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ნაპირების კონფიგურაცია, მინერალური რესურსების მარაგის ეკონომიკური შეფასება და ა.შ.," *ob. Whitemore Boggs.* "Delimitation of the Territorial Sea", 24 AJIL (1910)541-555, ასევე *ob. წყარო:*

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1950.htm> (Yearbook of the International Law Commission)

<sup>329</sup> *ob. ვრცლად ირანის პოზიციის შესახებ ამ ნაშრომის მე-II კარის 1-ლ თავში.*

<sup>330</sup> *ob. ILC Yearbook (1950 – II), გვ49-51, წყარო:* <http://untreaty.un.org/ilc/sessions/2/2sess.htm>

საკითხს უფრო მეტად ართულებდა ის გარემოება, რომ იმ პერიოდისთვის არანაირი სამართლებრივი განსაზღვრება არ იყო შემუშავებული საკუთრივ კონტინენტური შელფისა და მისი გავრცობადობის შესახებ.

ვინაიდან ჩვეულებათა სამართალში არ არსებობდა საზღვაო საზღვრების დელიმიტაციის სტანდარტები, საერთაშორისო სამართლის კომისიამ ამგვარ კრიტერიუმებზე მუშაობა დაიწყო, ითვალისწინებდა რა დელიმიტაციის განხორციელების განსხვავებას და თავისებურებას სანაპირო სახელმწოფოთა მომიჯნავე ან მოპირისპირე გეოგრაფიული მდებარეობის შემთხვევებში. ამგვარად, შუალედური ხაზი მიჩნევდი იყო დელიმიტაციის სამართლიან მეთოდად მოპირისპირე სანაპიროთა შემთხვევაში, სრუტეების დელიმიტაციის ანალოგიით.

ხოლო სანაპირო სახელმწიფოთა მომიჯნავე მდებარეობის შემთხვევაში, ათვლის წერტილი ტერიტორიული ზღვების საზღვრების გაგრძელებაში მდგომარეობდა, თანაბარი დაშორების მეთოდის გამოყენებით; ამასთან აღიარებული იყო სახელმწიფოთა უფლება განხორციელებინათ დელიმიტაცია რაიმე სხვა მეთოდების გამოყენებით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.<sup>331</sup>

ამდენად, საერთაშორისო სამართლის კომისიამ ჩათვალა, რომ დელიმიტაციის მიზანი, არის რა ეს ტერიტორიების სამართლიანი დაყოფა, შეიძლება მიღწეულ იქნას შუალედური ხაზის და თანაბრად დაშორების მეთოდების გამოყენებით.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დელიმიტაციის პრინციპების ჩამოყალიბება არ განხორციელებულა ერთდორულად ყველა საზღვაო სიერცის მიმართ, როგორიცაა ტერიტორიული ზღვა, კონტინენტური შელფი და ა.შ. ამასთან დაკავშირებით დავსძენთ, რომ წინამდებარე ნაშრომში, მისი მიზნებიდან გამომდინარე, არ შევეხებით კონტინენტური შელფისა და ტერიტორიული ზღვის დელიმიტაციის მეთოდების სხვაობათა თეორეული ანალიზის სიღრმისეულ ასპექტებს, ვინაიდან, პირველ რიგში, აღნიშნული სხვაობა არც არის მკვეთრად გამოხატული, მეორეს მხრივ, კონტინენტური დელიმიტაციის პრინციპები და მეთოდები, რაც ასახულია ნაშრომში, საკმაოდ განხოგადოებულია იმისათვის, რომ მოიცავდეს ტერიტორიული ზღვებისა და სხვა საზღვაო სივრცეების დელიმიტაციის თავისებურებებს, და ასევე, ტერიტორიული ზღვების საზღვრების დადგენა კასპიის ზღვის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, განისაზღვრება თუ არა მათი სიგანე 12 მილით (UNCLOS-ს მიხედვით), ან სხვა ნიშნულით, არ წარმოადგენს პრინციპული დავის საგანს კასპიის სანაპირო სახელმწიფოთა შორის.

გუბრუნდებით რა საერთაშორისო სამართლის კომისიის მუშაობას, გამახვილებთ ყურადღებას კომისიის განცხადებაზე, სადაც აღინიშნა, რომ “დელიმიტაციისას გამყოფი ხაზი მეტნაკლებად უმნიშვნელო

<sup>331</sup> *ob.* ILC Yearbook (1951 – II), გვ. 102-104, წყარო: <http://untreaty.un.org/ilc/sessions/3/3sess.htm>

იქნებოდა ტერიტორიული წყლების მიმართ, რომელიც თავისთავად ვიწრო გეოგრაფიულ მონაკვეთს წარმოადგენს, მაგრამ ასეთი ხაზი და, შესაბამისად მისი გავლების მეთოდი, იძენს უდიდეს მნიშვნელობას კონტინენტური შელფის მიმართ, რომელიც დიდ სივრცეს მოიცავს, და, ამდენად, თუ გამყოფი ხაზის გავლების მეთოდი არასამართლიანია, ეს გამიწვევს საზღვაო სივრცეთა მნიშვნელოვანი ფართების უსამართლო და მიკერძოებულ გადანაწილებას.”<sup>332</sup> დავსძონთ, რომ აღნიშნული პრობლემა სრულიად აქტუალურია კასპიის ზღვის მიმართაც.

1951 წლისათვის საერთაშორისო სამართლის კომისიამ საზღვრების განსაზღვრის ორი უმთავრესი ასპექტი დაასახელდა. პირველი მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ საზღვრების დადგენის გეოგრაფიული ასპექტი. მეორე საკითხი კი გაცნობიერება იმისა, რომ საზღვრების დადგენის პროცესი არ უნდა გახდეს არაკეთილგონივრული და არამართებული. ეს ორი საკითხი - გეოგრაფია და სამართლიანობა - იქცა საზღვრების დადგენის განმსაზღვრებლ ფაქტორებად.

საერთაშორისო სამართლის კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შუალედური ხაზის მეთოდი ვერ იქნებოდა ყოველთვის სამართლიანი, მაგალითად განსაკუთრებული გეოგრაფიული კონფიგურაციის და სხვა გარემოებების შემთხვევებში, როგორიცაა სანაპიროს მოხაზულობა და სახეცვლილებები, კუნძულების მდებარეობა და მნიშვნელობა, მინერალური რესურსების არსებობა, ნავიგაციის ინტერესები, თევზჭერა და სხვა.<sup>333</sup> ასევე, ძირითადად ტერიტორიული ზღვების შემთხვევაში, მიჩნეული იყო, რომ ისტორიულმა ფაქტორებმა “arguments historiques” შეიძლება მნიშვნელობა იქონიოს შუალედური ხაზის ცვლილებაზე.<sup>334</sup> აღნიშნულ შემთხვევებში შუალედური ხაზი უნდა იქნას მოდიფიცირებული, რათა დელიმიტაცია განხორციელდეს სამართლიანად.

დელიმიტაციის სამართლებრიგ-პროცედურულ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს დავგების გადაჭრის მექანიზმი, რაც განხილული პერიოდისათვის არ არსებობდა. ამასთან, მნიშვნელობას წარმოადგენდა დავის გადაჭრის სავალდებულო მექნიზმის შემუშავება, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევებში, ტერიტორიული დავები შეიძლება დაუსრულებელი გამხდარიყო, - რისი მაგალითიცაა კასპიის ზღვის სამართლებრივი პრობლემა. ვინაიდან პრაქტიკა არ იცნობდა ამგვარ მექანიზმს იმ დროისათვის, კომისიამ დამუშავა აღნიშნული საკითხი სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე.<sup>335</sup>

<sup>332</sup> *ob. ILC Yearbook (1951 – I), გვ. 288-290, წერ:*

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1951.htm>

<sup>333</sup> საერთაშორისო სამართლის კომისიის წევრი შეთანხმდნენ მასზე, რომ საზღვაო სივრცეებზე იურისდიქციის განხორციელებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ნავიგაციის თავისუფლებას. ასევე არსებობდა მოსაზრება, რომ მესამე სახელმწიფოთა თევზჭერის უფლებები უნდა ყოფილიყო დაცული. *ob. ILC Yearbook (1950 – I), გვ. 224, source:*

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1950.htm>

<sup>334</sup> *ob. ILC Yearbook (1952 – II), გვ. 38, წერ:*

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1952.htm>

<sup>335</sup> *ob. ILC Yearbook (1952 – I), გვ. 184, წერ:*

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1952.htm>

ამ კუთხით საერთაშორისო სამართლის კომისიამ არ მოიწონა დროებითი *ex aequo et bono*<sup>336</sup> არბიტრაჟის იდეა, და მხარი დაუჭირა იმ სამართლებრივი პროცესუალური ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელიც შედგომ გამოყენებული იქნებოდა მუდმივმოქმედი საერთაშორისო არბიტრაჟის ან საერთაშორისო სასამართლოს მიერ საზღვაო დავების განხილვისას.

ამდენად, ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიის მთავარი ამოცანა იყო ჩამოყალიბებინა უკვე აღიარებული სამართლებრივი პრინციპებისაგან ის წესები, რომლებიც შეადგენდნენ საზღვაო დელიმიტაციის სამართლებრივ საფუძველს, და რომლებიც გამოყენებული იქნებოდა სახელმწიფოთა ურთიერთობებში, მ.შ. დავების გადაჭრისას. ეს ამოცანა განხორცილდა საერთაშორისო სამართლის კომისიის სესიებზე, რომელიც წევრ-სახელმწიფოთა მიერ აღჭურვილი იყო შესაბამისი დავალებით, და, ამდენად კომისიის მუშაობა წარმოადგენდა საზღვაო სამართლის დარგში საერთაშორისო ნორმატიული ბაზის ფორმირების უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

სახელმწიფოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები ახდენდენ იმ ოფიციალური განხცადებების წარმოდგენას საერთაშორისო სამართლის კომისიის მუშაობისას, რომლებიც ასახავდა მათ სახელმწიფო პრაქტიკას, რომლისგანაც შემდგომ ყალიბდება საერთაშორისო ჩვეულებანი.<sup>337</sup> მიუხედავად იმისა, რომ, ერთის შეხედვით საერთაშორისო კომისიის მუშაობას ნორმატიული შემოქმედების ხასიათი არ გააჩნდა, ეს სამუშაო წარმოადგენს იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის ჩვეულებათა ჩამოყალიბების გამოხატულებას. და მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კომისიის საქმიანობა ვერ გაუტოლდება სახელმწიფო ან სასამართლო პრაქტიკას, იგი მაინც შეფასებულია როგორც სამართალშემოქმედების ფორმა.<sup>338</sup>

საზღვრების დადგენის ტექნიკური შემაბრკოლებელი მომენტი უნივერსალური სამართლებრივი პრინციპების ჩამოყალიბების პროცესში დაძლეული იქნა იმ გზით, რომ საკითხის ტექნიკური მხარე მთლიანად მინდობილი ყოფილიყო ექსპერტებისთვის, რომლებიც გადაწყვეტდნენ თუ როგორ უნდა გაივლოს ხაზი სხვადასხვა შემთხვევებში, ხოლო საერთაშორისო სამართლის კომისიას უნდა განესაზღვრა დელიმიტაციის სამართლებრივი ასპექტები.<sup>339</sup> ზოგადად რომ ითქვას, კომისიამ გაუკეთა “ლეგალიზაცია” იმ მეცნიერულ-ტექნიკურ კონცეფციას, რომელიც გამოყენებულია პირველ საზღვაო სამართლის კონვენციებში.

ამდენად, ჩვენ დავინახეთ რა საკითხები წამოიჭრებოდა თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის ჩამოყალიბების

<sup>336</sup> სამართლიანად (ლათ.)

<sup>337</sup> *ob.* Malcolm N. Shaw, International Law, 1997, გვ. 65.

<sup>338</sup> *ob.* Hugh Thirlway, “The Law and the Procedure of the International Court of Justice (II),” 61 BYIL (1990)1, გვ. 59-60.

<sup>339</sup> *ob.* ILC Yearbook (1952 – I), გვ. 188, წერ:

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1952.htm>

ეტაპზე, და - რაც მნიშვნელოვანია კასპიის ზღვის პრობლემის თვალსაზრისით – დელიმიტაციის მიმართ.

საერთაშორისო სამართლის კომისიის საქმიანობის შედეგად შემუშავებული და მიღებული იქნა 1958წ. შემდეგი კონვენციები:<sup>340</sup>

- კონვენცია ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ;
- კონვენცია ღია ზღვის შესახებ;
- კონვენცია ღია ზღვაში თევზჭერისა და ცოცხალი რესურსების დაცვის შესახებ;
- კონვენცია კონტინენტური შეღწის შესახებ;
- არასავალდებულო პროტოკოლი დავების მოგვარების შესახებ.

ქვემოთ მე გავაანალიზებ ამ კონვენციებში მოცემულ დელიმიტაციის რამოდენიმე ძირითადი დებულების საფუძვლიანობას *ratio legis*,<sup>341</sup> რომელსაც შეიძლება პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნდეს კასპიის ზღვის შემთხვევაში.

კონვენცია ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ, (TS/CZ), 1958წ.

## მუხლი 12.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ქვეყნის საპაროვები ერთმანეთის საპირისპიროდ ან მომიჯნავედ არის განლაგებული, არც ერთი ამ ორი ქვეყნიდან, თუ მათ შორის არ არსებობს შეთანხმება სხვა რამის შესახებ, არაა უფლებამოსილი განავრცოს თავისი ტერიტორიული ზღვა იმ შუალედური ხაზის მიღმა, რომლის ყოველი წერტილი თანაბარ მანძილზეა იმ საბაზისო ხაზების უახლოესი წერტილებიდან, საიდანაც განისაზღვრება ტერიტორიული ზღვების სიგანე თითოეული ამ ორი სახელმწიფოსთვის. ამ პარაგრაფის დებულებები არ გამოიყენება იმ შეთხვევებში, როდესაც, ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართლებრივი საფუძვლების ან სხვა განსაკუთრებული გარემობების არსებობის შემთხვევაში, აუცილებელი ხდება ტერიტორიული ზღვების დელიმიტაცია ამ დებულებებში მოცემული წესისგან განსხვავებით.
2. ორი ქვეყნის ტერიტორიული ზღვების გამყოფი ხაზები, რომლებიც ერთმანეთის საპირისპიროდ ან მომიჯნავედ იმყოფება, უნდა იქნას

<sup>340</sup> იხ. წყარო: [http://untreaty.un.org/ilc/texts/8\\_1.htm](http://untreaty.un.org/ilc/texts/8_1.htm)

<sup>341</sup> სამართლის საფუძველი (ლათ.).

აღნიშნული სანაპირო სახელმწიფოთა მიერ ოფიციალურად  
აღიარებულ ფართო-მასშტაბიან რუკებზე.

კონვენცია კონტინენტური შელფის შესახებ (CS), 1958წ.:  
მუხლი მე-6.

1. როდესაც ერთი და იგივე კონტინენტური შელფი ემიჯნება ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიას, რომელთა ნაპირები საპირისპიროა, ასეთი სახელმწიფოების კუთვნილი კონტინენტური შელფის საზღვარი უნდა განისაზღვროს მათ შორის შეთანხმებით. შეთანხმების არარსებობის, და თუ საზღვრის სხვა მოხაზულობა არა განპირობებული განსაკუთრებული გარემოებებით, საზღვარი არის შუალედური ხაზი, რომლის ყოველი წერტილი თანაბარ მანძილზეა იმ საბაზისო ხაზების უახლოესი წერტილებისაგან, საიდანაც განისაზღვრება ტერიტორიული ზღვების სიგანე თითოეული სახელმწიფოსთვის.
2. როდესაც ერთი და იგივე კონტინენტური შელფი ემიჯნება ორი ან მეტი მომიჯნავედ მდებარე სახელმწიფოს ტერიტორიას, კონტინენტური შელფის საზღვარი უნდა განისაზღვროს მათ შორის შეთანხმებით. შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, და თუ საზღვრის სხვა მოხაზულობა არ არის დაფუძნებული განსაკუთრებულ გარემოებებზე, საზღვარი განისაზღვრება თანაბრად დაშორების პრინციპით - იმ საბაზისო ხაზების უახლოესი წერტილებიდან, საიდანაც განისაზღვრება ტერიტორიული ზღვების სიგანე თითოეული სახელმწიფოსთვის.
3. კონტინენტური შელფის საზღვრების დელიმიტაციისას ნებისმიერი ხაზი, რომელიც გავლებულია ამ მუხლის 1-ი და მე-2 პარაგრაფებში მოყვანილი პრინციპების მიხედვით, უნდა განისაზღვროს იმ რუკებზე და გეოგრაფიულ ობიექტებზე მინიჭნებით, რომლებიც არსებობს კონკრეტული თარიღისათვის, და ეს მინიჭნება უნდა უკავშირდებოდეს ნაპირზე არსებულ მუდმივად ამოსაცნობ წერტილებს.

თანაბარი მანძილის პრინციპის განსაკუთრებული გარემოებების პრინციპით დამატება-ჩანაცვლების მიმართ TS/CZ კონვენციის მე-12 მუხლში გამოყენებულია ტერმინი “აუცილებელი”, როდესაც ტერმინი “განპირობებული” არის გამოყენებული CS კონვენციის მე-6 მუხლში. არსებული განსხვავება არსებითად არ აისახება თანაბარი მანძილისა და განსაკუთრებული გარემოებების პრინციპების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ვინაიდან TS/CZ კონვენციის მე-12 მუხლში ტერმინი “აუცილებელი”, გამოყენება რა “ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართლებრივი საფუძვლების” მიმართ, ფორმალური ხასიათისა. და ამგვარად, თანაბარი მანძილის მეთოდი იქნა მიჩნეული როგორც მთავარი წესი, ე.ი. საწყისი წერტილი, საზღვრების დადგენის

საკითხში, რომლის მიმართაც მისაღებია ცვლილებები, თუ ამას განსაკუთრებული გარემოებები მოითხოვს.<sup>342</sup>

მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიამ ჩამოაყალიბა მოქნილი სამართლებრივი სტანდარტები, ანუ თანაბარი მანძილის ცნებისა და განსაკუთრებული გარემოებების კომბინირებული ვარიანტი. მთავარი სირთულე თანაბარი მანძილის-განსაკუთრებული გარემოებების წესის გამოყენებისა იყო მის ნაკლებად ზუსტ განსაზღვრებაში, თუმცა გარკვეულია ის, რომ მათი ურთიერთკავშირის იერარქიაში თანაბარი მანძილის წესი უპირატესია. და როგორც ზემოთ ხსენებული კონვენციათა შედგენისათვის განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოები და მასაღები *travaux préparatoires* ცხადყოფს, თანაბარი მანძილის-განსაკუთრებული გარემოებების წესი ეფუძნება სამართლიანობის პრინციპის კონცეფციას.

როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებული გარემოებები მრავალფეროვანია და შესაძლოა იყოს სანაპიროების სპეციფიკური მოხაზულობა, რიფები, კუნძულები, სანავიგაციო არხები, თევზჭერის ინტერესები, წიაღისეული, ისტორიული ფაქტორები და სხვ. ამასთან, არცერთი აღნიშნული გარემოება მხოლოდ თავისი არსებობის ფაქტიდან გამოდინარე არ ნიშნავს, რომ იგი ავტომატურად ჩაითვლება განსაკუთრებულ გარემოებად დელიმიტაციის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, თევზჭერის ინტერესები (განსაკუთრებით კი ისტორიულ ჭრილში) მოახდენს გავლენას განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის განსაზღვრისას, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანია კონტინენტური შელფის დელიმიტაციის დროს. მთლიანობაში, მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად სამართლიანი იქნება აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებაში.

თანაბარი მანძილი უბრალოდ არის სამართლებრივი პრეზუმუცია *juris tantum*,<sup>343</sup> რომელიც შეიძლება გაქარწყლდეს განსაკუთრებული გარემოებებით. ასევე ცხადია, რომ სახელმწიფოს, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებას დელიმიტაციის პროცესში, გააჩნია ასეთი გარემოებების მტკიცების ტვირთი. მაგრამ, საერთაშორისო სამართლის კომისიის დოკუმენტებიდან არ ირკვევა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული გარემოებების არსებობისა და მათი რელევანტურობის მტკიცების პროცესი. აღნიშნული საკითხი უფრო ვრცლად ქვემოთ განიხილება საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტების ანალიზში.

ზემოთ აღნიშნული პრინციპების და მეთოდების პრაქტიკული ასახვის ჭრილში განვიხილოთ დაგა აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის კასპიის ზღვის შეა ნაწილში მდებარე ნავთობის საბადოების ირგვლივ. ამ დავაში ერთ-ერთი არგუმენტი, რომელსაც პრეტენზიის მქონე ქვეყანა (ამ შეთხვევაში - აზერბაიჯანი) აცხადებს, არის ნავთობის

<sup>342</sup> *o.b.* ILC Yearbook (1953 – II), გვ. 215, წერ:

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1953.htm>.

<sup>343</sup> მხოლოდ სამართლის პრეზუმაცია (ლათ.)

საბადოს დიდი ხნით მის მფლობელობაში არსებობა, - შესაბამისად განვიხილოთ თუ რამდენად შესაძლებელია პარალელების გავლება ამ არგუმენტსა და პირველი საზღვაო კონვენციის დებულების - “ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართლებრივი საფუძვლები”-ს - შორის.

როგორც საერთაშორისო სამართლის კომისიის მოსამზადებელი სამუშაოებიდან (*travaux préparatoires*) ჩანს, “ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართლებრივი საფუძვლები” მოისაზრებოდა ისტორიული მფლობელობის შესანარჩუნებლად და ისტორიული სამართლიანობის დასამკვიდრებლად, და მოიცავდა ერთდორულად ისტორიული მფლობელობის უფლებებს და ისტორიულ უფლებებს გარკვეულ საქმიანობაზე. შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავენ ისტორიული მფლობელობის უფლებების არსებობას, რომელთაც სუვერენიტეტის ნიშნები გააჩნიათ: (1) უფლებამოსილების გამოყენება დიდი პერიოდის განმავლობაში (*longa possessio* ლათ.) და იმ ისტორიული უფლების შესაბამისად რომელზეც ხდება აპელირება, (2) უფლებამოსილების ამგვარი გამოხატულების ყოვლად ცნობა და უწყვეტობა, (3) სხვა სახელმწიფოთა რეაგირება ან რეაგირების არქონა.<sup>344</sup> ამასთან, ის ისტორიული უფლებები, რომელთაც ნაკლებად გააჩნიათ სუვერენული ნიშნები, ანუ არ ასოცირდებიან საზღვაო სივრცეთა მფლობელობასთან, თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართალში გამოყვანილია ცალკე ორ კატეგორიად: მშვიდობიანი გავლის უფლება (ერთი სახელმწიფოს გემების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვის გადაკვთა) და ოევზჭერის ისტორიული უფლება.<sup>345</sup>

ისტორიული მფლობელობის სუვერენული უფლება და ისტორიული უფლება გარკვეულ მოქმედებებზე (საქმიანობაზე) განხვავდება ჩამოყალიბების მექანიზმითაც: მფლობელობის უფლება ყალიბდება მხოლოდ სახელმწიფოს აქტის შედეგად, როდესაც საქმიანობის უფლება შეიძლება ჩამოყალიბდეს კერძო პირთა ქმედებათა ერთობლიობით, როგორიცაა, მაგალითად, ოევზჭერის უფლება. ასევე, მფლობელობა მოიცავს სუვერენულ თვისებებს და ნიშნავს ექსკლუზიურობას, ანუ არცერთი სახელმწიფო არაა უფლებამოსილი განაციროს თავისი სუვერენიტეტი იმ სივრცეზე, რომლის მიმართაც არსებობს სხვა სახელმწიფოს მფლობელობის უფლება, - მაშინ როდესაც ისტორიული საქმიანობის უფლება მფლობელობას არ უკავშირდება.<sup>346</sup>

ადსანიშნავია, რომ ტერმინი “ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართლებრივი საფუძვლები” თავისი ჩამოყალიბების ადრინდელ ეტაპზე

<sup>344</sup> *ob. ILC Yearbook (1962 – I)*, გვ.1-26, წერტ:

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1962.htm>

<sup>345</sup> *ob. ILC Yearbook (1951 – II)*, გვ.94-99, წერტ:

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1951.htm>

<sup>346</sup> UNCLOS, განვრცობს რა აღნიშნულ თემას, აკონკრეტებს “ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართლებრივი საფუძვლები”-ს იმ შემადგენელ ნაწილს, რომელიც უკავშირდება ისტორიული საქმიანობის უფლებებს. კერძოდ, ამ კონვენციის 51-მუხლში ნახსენებია “ოევზჭერის ტრადიციული უფლებები და სხვა მართლზომიერი საქმიანობა,” იხ. სქოლით 14 *supra*

ობიექტად მოისაზრებდა ისტორიულ ყურეებს (შიდა წყლებს), თუმცა ეს ტერმინი ასევე მოიცავს სხვა სივრცეებსაც, როგორიცაა სრუტეები, საარქიპელაგო წყლები, და ზოგადად, ისეთი სახის საზღვაო სივრცეები, რომელზეც შესაძლოა გავრცელდეს სახელმწიფო სუვერენიტეტი.<sup>347</sup>

მაგრამ, ცხადია, რომ “ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართლებრივი საფუძვლები”-ს სამივე დამახასიათებელი ფაქტორის მოძიება კონტინენტური შელფის მიმართ პრობლემატურია, ვინაიდან თვით ცნება “კონტინენტური შელფი” არც თუ ისე დიდი ხანია, რაც დამკაიდრდა საერთაშორისო სამართლში. შესაბამისად, პრობლემატურია, თუ რამდენად არსებობს სხვა სახელმწიფოთა აღიარება (ან არაღიარება) რომელიმე სახელმწიფოს მიერ კონტინენტურ შელფზე განცხადებული ისტორიული უფლებებისა.<sup>348</sup> არც კასპიის ზღვის სადაც საბადოებთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი მოდავე მხარის მიერ მფლობელობის აღიარების დამადასტურებელი არგუმენტაცია.<sup>349</sup>

ადსანიშნავია, რომ დელიმიტაციის პროცესში გასათვალისწინებულ განსაკუთრებულ გარემოებათა იერარქიაში “ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამართლებრივ საფუძვლებს” აშკარად დომინირებული მდგომარეობა უკავიათ. გამყარდება რა სხვა სახელმწიფოთა აღიარებით, ასეთი ისტორიული საფუძვლები, რომლებიც მოიცავს შესაბამისი საზღვაო სივრცის საზღვრების მონახაზს, თავად გამოდის როგორც დელიმიტაციის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომელიც აბათილებს თანაბარი მანძილის მეთოდს. რაც შეეხება ცალკე აღებულ ისტორიულ უფლებებს - საქმიანობის უფლებებს (თევზჭერა, თავისუფალი ნაოსნობა), ისინი, როგორც უკვე აღინიშნა, არ შეეხება მფლობელობას, და არც დელიმიტაციას, და ამდენად *sensu strictu* არ წარმოდგენენ განსაკუთრებულ გარემოებებს, თუმცა, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება ზოგადად გათვალისწინებულ იქნას დელიმიტაციის პროცესში.

საერთაშორისო საზღვაო სამართლის საწყისი ეტაპის ანალიზი არასრული იქნებოდა, რომ არ მიმოვისილოთ 1958წ. კონტინენტური შელფის შესახებ კონვენციის მე-6 მუხლის დებულებანი, რომლებიც შეეხება დელიმიტაციის განსხვავებას სანაპირო სახელმწიფოთა მომიჯნავე ან საპირისპირო მდებარეობიდან გამომდინარე. საერთაშორისო სამართლის კომისიის მოსამზადებელი სამუშაოებიდან *travaux préparatoires* არ იკვეთება, რომ მდებარეობის განსხვავება წარმოშობს განსხვავებულ შედეგს დელიმიტაციის დროს.<sup>350</sup> აღნიშნული

<sup>347</sup> *ob.* ILC Yearbook (1962 – I), გვ. 6, წყარო:

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1962.htm>

<sup>348</sup> 1958წ. კონვენცია კონტინენტური შელფის შესახებ ითვალისწინებს აღნიშნულ გარემოებებს და აცხადებს (მუხლ.2, ნაწილი 3): “სანაპირო სახელმწიფოთა უფლებები კონტინენტურ შელფზე არაა დამოკიდებული ფაქტიურ ან ფორმალურ დაუფლებაზე, ან ნებისმიერ განცხადებაზე” *ob.* სქოლით 343 *supra*

<sup>349</sup> *ob.* სქოლით 454 *infra*

<sup>350</sup> *ob.* ILC Yearbook (1953 – II), გვ.79, წყარო:

<http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1953.htm>

განხვავება ფორმალური ხასიათისაა და ასახავს საერთაშორისო სამართლის კომისიის მცდელობას საზღვაო სამართლის ნორმების ჩამოყალიბების საწყის საფეხურზე მოეცვა ყოველნაირი სიტუაცია (ზოგჯერ ზედმეტი დეტალიზაციით), თამცა, ამ შემთხვევაში, სამართლებრივი გავრცობის გარეშე.

ვაჯამებთ რა საზღვაო დელიმიტაციის დებულებათა ჩამოყალიბების პროცესებს, აღსანიშნავია, რომ პირველი საზღვაო კონვენციების შექმნისას საერთაშორისო სამართლის კომისიამ განიხილა და გაითვალისწინა ამ კომპლექსურ საკითხთან დაკავშირებული მრავალი მხარე და ნიუანსი, როგორიცაა არსებული სახელმწიფო პრაქტიკა, დელიმიტაციის ტექნიკური მხარე, გეოგრაფიული თავისებურებების გავლენა და ა.შ.

რაც შეეხება დავების გადაჭრის მექანიზმს, საკითხის ზოგადად დიდი სირთულის გამო საერთაშორისო სამართალში, საწყის ეტაპზე ვერ მოხერხდა სავალდებულო მექანიზმის შემუშავება. და ამრიგად, დავების გადაჭრის მექანიზმი სრულიად დამოკიდებული იყო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ნებაზე. ამდენად, 1958წ. კონვენციებს შემოაქვს ახალი სამ ელემენტიანი წესი საერთაშორისო საზღვაო სამართალში: ხელშეკრულება/თანაბარი მანძილი/განსაკუთრებული გარემოებანი.<sup>351</sup> რაც შეეხება დავის გადაჭრის სავალდებულო მექანიზმს, იგი იქნა შემოღებული მხოლოდ UNCLOS-ით თ საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ.

ამრიგად, 1958წ. კონვენციები აყალიბებენ დელიმიტაციის შემდეგნაირ წესს: ა) დელიმიტაცია შეიძლება განხორციელდეს სანაპირო სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით; ბ) ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება თანაბარი მანძილის მეთოდი, გარდა იმ შემთხვევისა, გ) როდესაც არსებული “განსაკუთრებული გარემოებანი”, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მოითხოვენ სხვა მეთოდის გამოყენებას (ამ გარემოებების გათვალისწინებას დელიმიტაციისას, მ.შ. თანაბარი მანძილის შუალედური ხაზის მოდიფიცირებას).

ქვემოთ მოყვანილია საერთაშორისო პრეცედენტების ანალიზი, სადაც გამოყენებული იქნა ზემოთმოხსენიებული დელიმიტაციის წესი. ამის შემდგომ მოყვანილია UNCLOS-ს და ზოგადად თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის დელიმიტაციის წესების ანალიზი, რომლის შემდეგაც განხილული იქნება ამ წესების შესაძლო გამოყენება კასპიის ზღვის მიმართ.

<sup>351</sup> ი. ILC Yearbook (1950 – I), გვ. 233; (1950 – II), გვ. 49-51, წყარო: <http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1950.htm>; ILC Yearbook (1951 – I), გვ. 285-294, წყარო: <http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/1951.htm>

### (ვ) საერთაშორისო პრეცედენტული სამართალი

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, ფუძემდებლური გადაწყვეტილება კონტინენტური შელფის დელიმიტაციის შესახებ, რომელიც ჩრდილოეთი ზღვის შელფის გაყოფას შეეხებოდა გერმანიას, ნიდერლანდებსა და დანიას შორის, საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა 1969 წელს.<sup>352</sup>

აღნიშნული საქმის მსვლელობისას, სასამართლოს მიმართეს თხოვნით, რომ ჩამოვყალიბებინა საერთაშორისო სამართლის პრინციპები და წესები რომლებიც საზღვაო საზღვრების განსაზღვრაში დაეხმარებოდა ქვეყნებს და რომლების მიხედვითაც მხარეებს საშუალება ექნებოდათ განეხორციელებინათ საზღვაო დელიმიტაცია.

ამ საქმეში სასამართლოს მიერ განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილება მიჩნეულია, როგორც თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის დელიმიტაციის განსაზღვრის დადგენილი ძირითადი პრინციპები.

სიტუაცია გართულებული იყო იმ გარემოებით, რომ გერმანია არ იყო მიერთებული ქენევის 1958წ. კონვენციას კონტინენტური შელფის შესახებ. შესაბამისად, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამებოდა 1958 წლის კონვენციით განსაზღვრული დელიმიტაციის შუალედური ხაზის პრინციპი არსებულ საერთაშორისო წვეულებათა სამართალს.<sup>353</sup>


სასამართლომ დაადგინა დეტალური სამართლებრივი და ლოგიკური ანალიზის შემდეგ, რომ საზღვაო საზღვრის დადგენა თანაბარი მანძილის პრინციპით არ გამოხატავდა ექსკლუზიურად სამართლიანობის პრინციპს და არ წარმოადგენდა საერთაშორისო წვეულებას. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავდა იმას, რომ თანაბარი მანძილის/განსაკუთრებული გარემოებების წესი წარმოშობდა არასამართლიან შედეგს, არამედ ნიშნავდა უბრალოდ იმას, რომ ამ წესის გამოყენება არ შეიძლებოდა იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც არ იყო მიერთებული ამ წესის დამდგენ ექნევის კონვენციას;<sup>354</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ასეთი მიღომა ნათლად ასახავს იმ გარემოებას, რომ მისი გადაწყვეტილებები როგორც

<sup>352</sup> ი. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება ICJ Reports 1969, წერო: <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=e2&PHPSESSID=77fa2fed9a1fa06aa0fdf55709884b52&case=51&code=cs&p3=4>

<sup>353</sup> იქვე, პარაგრაფი 83.

<sup>354</sup> სინამდვილეში, ის რაც სასამართლომ მიიჩნია როგორც ფაქტორებად, რომლებიც სამართლიანი დელიმიტაციისას უნდა იქნეს გათვალისწინებული, ფაქტობრივად წარმოადგენს განსაკუთრებულ გარემოებებს.

ფორმალურად, ისე შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს სამართლიანობის პრინციპს და იყოს მიუკერძოებელი.<sup>355</sup>



ჩრდილოეთი ზღვის დელიმიტაციის საქმეში მხოლოდ შუალედური ხაზის გამოყენება წარმოშობდა აშკარად უსამართლო შედეგს: (ნახ.4): სადაც A-B და C-D ხაზებზე მოხდა შეთანხმება სანაპირო ქვეყნებს შორის, მაგრამ D-E-F და B-E-F ხაზღვრებზე პრეტენზია განაცხადეს ნიდერლანდებმა და დანიამ, ხოლო F-F და B-F დელიმიტაციის ხაზებს მხარს უჭერდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.<sup>356</sup>

საერთაშორისო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბა დელიმიტაციის ისეთი მეთოდი, რომელიც წარმოშობდა სამართლიან შედეგს. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, - როდესაც:

- ა. თანაბარი მანძილის მეთოდის გამოყენება არაა სავალდეუბლო; და
- ბ. არ არსებობს სხვა ცალკეული დელიმიტაციის მეთოდი, რომლის გამოყენება ყველა შემთხვევაშია სავალდებულო;

<sup>355</sup> *ob. ICJ Reports 1969, წყარო: <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=e2&PHPSESSID=77fa2fed9a1fa06aa0fdf55709884b52&case=51&code=cs&p3=4>*, პარაგრაფი 88.

<sup>356</sup> იქნე, პარაგრაფი 89(b).

გ. საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილი წესები და პრინციპები, რომლებიც საზღვრის განსაზღვრას ეხება.... არის შემდეგი:

- (1) საზღვრის დადგენა ხდება მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე, სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობითა და ყველა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით ..
  - (2) თუ წინა ქვე-პარაგრაფში მოცემული წესის მიხედვით მხარეებს შორის საზღვრის დადგენისას რჩება სივრცეები, რომლებიც ერთმანეთს გადაფარავს, ასეთი სივრცეები მათ შორის უნდა იქნას დაყოფილი შეთანხმებული პროპორციების მიხედვით, ან, შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, თანაბრად, თუ მხარეები არ გადაწყვეტებ გამოიყენენონ ერთობლივი იურისდიქციის ან საქმიანობის რეჟიმი ასეთი გადაფარული სივრცეების ან მათი ნებისმიერი ნაწილის მიმართ;
3. მხარეთა შორის მოლაპარაკებების დროს, ფაქტორები რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული, მოიცავს:
- (1) მხარეთა სანაპიროების ძირითად კონფიგურაციას, ისევე როგორც განსაკუთრებულ ან უზვეულო მაჩვენებლების არსებობას;
  - (2) განსახილველი კონტინენტური შელფის ცნობილ ან ადვილად გარკვევად ფიზიკურ და გეოლოგიურ სტრუქტურას და ბუნებრივ რესურსებს;
  - (3) პროპორციულობის გონივრულმა მაჩვენებელმა, რომლითაც ხორციელდება დელიმიტაცია სამართლიანობის პრინციპების მიხედვით, უნდა მოიყვანოს შესაბამისობაში კონტინენტური შელფის სივრცე, რომელიც მიეკუთვნება სანაპირო სახელმწიფოს, ამ სახელმწიფოს სანაპიროს სიგრძესთან, რომელიც განისაზღვრება სანაპირო ხაზის ძირითადი მიმართულებით, იქნება რა ამ მიზნებისათვის მხედველობაში მიღებული იმავე რეგიონში სხვა მომიჯნავე სახელმწიფოთა შორის მიმდინარე თუ მოსალოდნელი დელიმიტაცია კონტინენტური შელფის მიმართ.<sup>357</sup>

სასამართლოს დასკვნით, ბუნებრივი წიაშვისეულის არსებობისა და მათი შესაძლო ერთობლიობის ფაქტორი ერთ-ერთი გასათვალისწინებული ფაქტორია კონტინენტური შელფის დელიმიტაციის პროცესში.<sup>358</sup>


სასამართლომ გაამახვილა ყურადღება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ბუნებრივი რესურსები იმყოფება საზღვარზე, რომელიც ჰყოფს კონტინენტურ შელფს ორ ქვეყანას შორის, რაც ქმნის შესაძლებლობას აღნიშნული ბუნებრივი რესურსები განოყენებულ იქნას თვითნებურად ერთი ან მეორე მხარის მიერ, რაც, თავის მხრივ, ქმნის პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ამ რესურსების შესაძლო არაპროპორციულ ათვისებასთან ერთი ან მეორე სანაპირო სახელმწიფოს მიერ, - ხოლო რესურსების ამგვარი არათანაბარი გამოყენების თავიდან ასაცილებლად

<sup>357</sup> იქვე, პარაგრაფი 101.

<sup>358</sup> იქვე, პარაგრაფი 97.

შესაძლებელია მხარეებმა მიმართონ “ერთობლივი იურისდიქციის რეჟიმს.”<sup>359</sup>

### 6a b.5



მნიშვნელოვანი მიღწევა “ჩრდილოეთ ზღვის კონტინენტური შეღვევენის” საქმეში არის იმ მოსაზრებების ჩამოყალიბება, რომლებიც არის მოცემული როგორც (არა)პროპორციულობის ტესტი:<sup>360</sup>

სასამართლოს განმარტებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ მოდავე მხარეებმა მოახდინეს დელიმიტაციის განხორციელება სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით – ამისთვის მათ, მიუხედავად სასამართლოს უარყოფითი დამოკიდებულებისა თანაბარი მანძილის მეთოდის მიმართ,<sup>361</sup> ჯერ გაავლეს თანაბრად დაშორებული

<sup>359</sup> იქვე, პარაგრაფი 101 (C2).

<sup>360</sup> იქვე, პარაგრაფი 98, 101.

<sup>361</sup> რეალურად მოხდა ტერმინთა გადათამაშება, ანუ სამართლიანობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელება არის შუალედური ხაზი (ანუ რაღაც საბაზისო მონაცემი, რომელზეც შეიძლება დაყრდნობა) და შემდგომ განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინება. ოვით სასამართლოც ვერ გაექცა არ გარემოებას, და შუალედური ხაზის გამოყენება აღწერილი ხაზი ხშირად მეორდება. იხ. ზემოთა სქოლიო, პარაგრაფი 59, 98.

ხაზი, ხოლო შემდგომ მოახდინეს მისი მოდიფიცირება სამართლიანი დაყოფის მისაღწევად.<sup>362</sup>

ამრიგად, ჩრდილოეთი ზღვის კონტინენტური შელფის დელიმიტაცია განხორციელდა შემდეგნაირად: ნაპირებიდან თანაბარი დაშორების მანძილის დადგენა და შესაბამისი შუალედური ხაზის გავლება; ამ ხაზის მოდიფიცირება სხვა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით; და მიღებული შედეგის სამართლიანობის შემოწმება (არა)პროპორციულობის ტესტის მიხედვით

ინგლის-საფრანგეთის კონტინენტური შელფის საარბიტრაჟო საქმის<sup>363</sup> მიხედვით, დელიმიტაცია განხორციელდა უნევის კონვენციის შესაბამისად, ვინაიდან ორივე სახელმწიფო მიერთებული იყო აღნიშნულ კონვენციას.

არბიტრებმა თავდაპირველად საცდელი თანაბარი მანძილის საზღვრები მოხაზეს (რაღგან თანაბარი მანძილით საზღვრის დადგენა მოცემული იყო ზემოთხსენებულ კონვენციაში), შემდეგ მხედველობაში მიიღეს არსებული განსაკუთრებული გარემოებანი: (1) საფრანგეთის სტრატეგიული თავდაცვითი ინტერესები, ვინაიდან ბრიტანეთის ნორმანდიის კუნძულები (Channel Islands) საფრანგეთთან უფრო ახლოს იყო ვიდრე ინგლისთან, (2) ნორმანდიის კუნძულების მოსახლეობის ინტერესები და მისი პოლიტიკურ/ეკონომიკური მნიშვნელობა, და (3) პროპორციულობის პრინციპები. შედეგი გახდათ თანაბარ მანძილზე გავლებული შუალედური საზღვარი ორი ქვეყნის შორის ძირითად სახმელეთო ნაწილს შორის, და 12 საზღვაო მილის რკალი ნორმანდიის კუნძულების გარშემო. ჩრდილოეთ ზღვის კონტინენტური შელფის საქმისგან განსხვავებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განახორციელა ფაქტორივი დელიმიტაცია, საზღვრების გავლებით.

ლიბია-მალტას 1985 წ. საქმეში<sup>364</sup> კონტინენტური შელფის დელიმიტაციის შესახებ საერთაშორისო სასამართლომ ჯერ დროებითი თანაბარი მანძილის საზღვარი გაავლო და შემდეგ დაარეგულირა მისი კონფიგურაცია, გაითვალისწინა რა მხარეთა სანაპიროების სიგრძე, რის შედეგადაც სასაზღვრო ზოლმა მაღალი ახლოს გადაიწია.

აღნიშნული საქმის განხილვა მოხდა გაერო-ს საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის შემოღების მიჯნაზე, რომლის ძირითადი დოქტრინები ქვემოთ არის მოცემული.

<sup>362</sup> *ob.* THOMAS M. FRANCK, FAIRNESS IN INTERNATIONAL LAW AND INSTITUTIONS, გვ. 62-63 (1995).

<sup>363</sup> საარბიტრაჟო საქმე *Delimitation of the Continental Shelf between the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland, and the French Republic (Anglo-French)*, Decision of 30 June 1977, 18 R. Int'l Arb. Awards 3, reprinted in 18 ILM 397 (1979), *ob.* სსევე *INTERNATIONAL MARITIME BOUNDARIES II*, გვ. 1735-1754 (Jonathan I. Charney & Lewis M. Alexander eds., 1996).

<sup>364</sup> *ob.* Case Concerning the Continental Shelf, (*Libya v. Malta*) 1985 ICJ 13, წყარო: <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=a8&case=68&code=lm&p3=4>

(გ) გაერო-ს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ და საზღვაო საზღვრების განსაზღვრა

როგორც უკვე ვიხილეთ, საზღვაო საზღვრების დადგენის წესებსა და ნორმებზე მოლაპარაკებები სხვადასხვა მრავალმხრივ კონფერენციებზე მიმდინარეობდა. 1958 წელს, გაერთიანებული ერების პირველმა კონფერენციამ საზღვაო სამართლის შესახებ, გამოიმუშავა კონვენციები, რომელიც მოიცავს საზღვრების თანაბარი მანძილის პრინციპით განსაზღვრას, - ეს წესი გამოიყენება ტერიტორიული ზღვისა და კონტინენტური შელფის საზღვრების დადგენისას.<sup>365</sup> მაგრამ საზღვრის თანაბარი მანძილის პრინციპით განსაზღვრამ პრაქტიკაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოავლინა: მიუხედავად ამ წესის უდაცო მნიშვნელოვნებისა, ის უშუალოდ არ წარმოადგენს ზოგადი საერთაშორისო სამართლის ჩვეულებას.<sup>366</sup> ამდენად, გაერო-ს მესამე კონფერენციამ საზღვაო სამართლის შესახებ, ნაცვლად პირდაპირი მინიშნებისა თანაბარი მანძილის პრინციპზე, ჩაანაცვლა იგი ახალ 1982წ. კონვენციაში (UNCLOS) ზოგადი სამართლიანობის პრინციპით დალიმიტაციის განხორციელებისას.<sup>367</sup>

კონტინენტური შელფის დოქტრინის აღმოცენების დასაწყისშივე წამოყენებულ იქნა არეგულენტი, რომ გეოგრაფიული რელიეფის თავისებურებები იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რომ ძნელი არის, თუ შეუძლებელი არა, ისეთი ხისტი და ერთგვაროვანი უნივერსალური წესების გამოყენება, რომლებიც საზღვაო სახელმწიფოებს შორის საზღვაო საზღვრების დადგენას განსაზღვრავდა.<sup>368</sup>

იდეამ იმის შესახებ, რომ თითოეული საზღვარი არის განსაკუთრებული შემთხვევა, ასახვა პპოვა საერთაშორისო სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებში, რომელთა მიხედვით უნივერსალური მიდგომის კონცეპტუალიზაცია დალიმიტაციის პროცესში არაპრაქტიკულია.<sup>369</sup>

<sup>365</sup> *ob.* კონტინენტური შელფის შესახებ 1958 წ. კონვენციის მ-ე 6 მუხლი, *ob.* სქოლიო 343 *supra*, ასევე წერო: [15 UST 471](#), TIAS No. 5578, 449 UNTS 311; *ob.* ასევე მ-12 მუხლი კონვენციისა ტერიტორიული ზღვის შესახებ, წერო, [15 UST 1606](#), TIAS No. 5639, 516 UNTS 205.

<sup>366</sup> *ob.* საქმეები: North Sea Continental Shelf Cases (W. Ger./Den.; W. Ger./Neth.), 1969 ICJ REP., Case concerning the *Delimitation of the Continental Shelf* between the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland, and the French Republic (Anglo-French), Decision of 30 June 1977, 18 R. Int'l Arb. Awards 3, reprinted in 18 ILM 397 (1979), paras. 68, 70; Case *Concerning the Continental Shelf* (Tunisia/Libyan Arab Jamahiriya), 1982 ICJ REP. 18 (Judgment of Feb. 24).

<sup>367</sup> 74/83, United Nations Convention on the Law of the Sea, Dec. 10, 1982, UN Doc. A/CONF.62/22 (1982), *ob.* სქოლიო 14 *supra*.

<sup>368</sup> *ob.* ასევე Grisel, *The Lateral Boundaries of the Continental Shelf and the Judgment of the International Court of Justice in the North Sea Continental Shelf Cases*, 64 AJIL 562, 590 (1970); წერო: <http://www.icj-cij.org>

<sup>369</sup> *ob.* საქმე: Case *Concerning the Continental Shelf* (Tunisia/Libyan Arab Jamahiriya), 1982 ICJ REP. 18 (Judgment of Feb. 24), 1982 ICJ REP. გვ. 92, პარაგრაფი 132.

სადღეისოდ მიღებულია საზღვაო საზღვრების დადგენა სამართლიანი, მიუკერძოებელ პრინციპებზე დაყრდნობით, ყველანაირი ფაქტორისა და არსებითი გარემოს გათვალისწინებით, რათა მიღებულ იქნას სამართლიანი შედეგი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად დელიმიტაცია იწყება შუალედური ხაზის დადგენით, რომელიც შემდგომ იცვლება სხვადასხვა მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით. ამგვარი გარემოებების ნუსხა ასევე არ შეიძლება იქნას გადმოცემული ამომტურავად, ვინაიდან ვერ ასახავს სამართლიანობის პრინციპს. ამგვარად, სამართლიანობის პრინციპის მნიშვნელობაა შეარბილოს და მოქნილი გახადოს ხისტი წესების გამოყენება განსაკუთრებული მდგომარეობების შემთხვევებში, როდესაც პირდაპირ მკაცრი წესის გამოყენება არასამართლებლივ შედეგს მოიტანდა.”<sup>370</sup>

ლიბია/მალტას საქმის განხილვისას სასამართლომ განაცხადა, რომ “საზღვაო საზღვრების დადგენის ყოველი საქმე განსხვავებულია თავისი თავისებურებებით ერთმანეთისგან, მხოლოდ სამართლიანი, მიუკერძოებელი პრინციპების მეშვეობით არის შესაძლებელი ასეთი შემთხვევების ჯეროვნად გადაწყვეტა, და სამართლიანი შედეგის მიზანი, როგორც ამას საერთაშორისო სამართალი მოთხოვს, მიღწევადია.”<sup>371</sup>

ამავე საქმეში საერთაშორისო სასამართლომ ჩამოაყალიბა სამართლიანობის პრინციპის ზოგიერთი ასპექტი დელიმიტაციის განხორციელებისას: რელიეფის თავისებურებებისა და ბუნებრივი არაერთგვაროვნების კომპენსირების დაუშვებლობა; ერთი მხარის მიერ უფლებების დაურღვევლობა მეორე მხარის მიმართ მისი საზღვრის ბუნებრივ გაგრძელებაზე; ყველა განსაკუთრებული გარემოს გათვალისწინება; დებულება, რომ, თუმცა ყველა ქვეყანა თანასწორია სამართლის წინაშე და ყველას ერთნაირი მოქმედების უფლება გააჩნია, “სამართლიანობა არ გულისხმობს თანასწორუფლებიანობას. . . და ასევე არ ცდილობს აქციოს თანაბრად ის რაც ბუნებამ არათანაბარი შექმნა”; და ბოლოს – მართლმსაჯულების ამოცანა არაა გააჩნიალოს ბუნებრივი რესურსები.<sup>372</sup>

ტუნისი/ლიბიის საქმის განხილვისას საერთაშორისო სასამართლომ საზღვრის დადგენისას იხელმძღვანელა საერთაშორისო სამართლის პრინციპებით და განიხილა სხვადასხვა შემთხვევები, რომლებიც მსგავსი იყო აღნიშული საქმისა, რათა მიეღო სამართლიანი, მიუკერძოებელი შედეგი.”<sup>373</sup> სასამართლოს აზრით სამართლებრივი შედეგი არის “ყველა დროის მოთხოვნა” და პრინციპების სამართლიანობა უნდა

<sup>370</sup> *ib.* Jennings, *Equity and Equitable Principles*, 42 ANNUAIRE SUISSE DE DROIT INTERNATIONAL 27, 32 (1986).

<sup>371</sup> *ib.* საქმე: *Continental Shelf Case* (Libyan Arab Jamahiriya/Malta), 1985 ICJ REP. 13, გვ. 55, პარაგრაფი 76.

<sup>372</sup> *იქვე*, გვ. at 39-40, პარაგრაფი 46 (ციტირებული საქმე *North Sea*, 1969 ICJ REP, პარაგრაფი 91).

<sup>373</sup> *ib.* 1982 ICJ REP. გვ. 60, პარაგრაფი 71; ასევე საქმე *North Sea*, 1969 ICJ REP. გვ. 49, პარაგრაფი 90; წყარო: <http://www.icj-cij.org>

განისაზღვროს მათი პრაქტიკულობის გათვალისწინებით “სამართლიანი შედეგის” მისაღებად.<sup>374</sup>

ასე რომ, სამართლიანობის პრინციპები არ უნდა იქნას ახსნილი როგორც რაიმე აბსტრაქტული; ეს არის იმ წესების ერთობლიობა, რომელთა გამოყენება იძლევა სამართლიან შედეგს.<sup>375</sup>

UNCLOS იყენებს “სამართლიანი გადაწყვეტის” ტერმინს, რომელიც ატარებს იგივე, - შედეგზე გათვლილ მნიშვნელობას – და საზღვრების დადგენის მთავარი მიზანი, ამ კონვენციის 74-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და 83-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფების მიხედვით არის “სამართლიანი გადაწყვეტილების მიღწევა.”<sup>376</sup>

სამარლიანი დელიმიტაციის თეორიის მიხედვით უნდა დადგინდეს საზღვაო საზღვრის ყველა ელემენტები, რომელიც ჯეროვნად უნდა შევასდეს რათა დელიმიტაცია იქნეს მართებული ყველა მხარის ინტერესებისათვის. ასეთი მიდგომა იწვევს შესაბამისი ფაქტორების დაბალანსებას, რაც გამოიხატება სამართლიანად გავლებულ საზღვარში.<sup>377</sup> ეს პროცესი, როგორც უკვე აღინიშნა, არანაირად არ გულისხმობს იქონიოს მიზნად ბუნებრივი რესურსების თანაბრად გადანაწილება.<sup>378</sup>

ქვემოთ მოკლედ განხილულია საერთაშორისო სასამართლოს ერთერთი უკანასკნელი გადაწყვეტილება საზღვაო დელიმიტაციის შესახებ უკრაინასა და რუმინეთს შორის, რომელიც ასახავს თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის მნიშვნელოვან ასპექტებს, და მეტად საინტერესოა დელიმიტაციის მეთოდიკის სისტემატიზაციის თვალსაზრისით.<sup>379</sup>

ამ საქმის განხილვისას სასამართლომ საზღვრის დადგენის მეთოდოლოგია შემდეგნაირად განახორციელა: გაავლო დროებითი/საცდელი თანაბარი მანძილის საზღვარი რუმინეთისა და უკრაინის მოსაზღვრე ნაპირებს შორის; შემდეგ ეტაპზე, სასამართლომ გაითვალისწინა, რომ არსებობს ფაქტორები (ამ შემთხვევაში - კუნძულები), რომლებიც დროებითი თანაბარი მანძილის საზღვრის ცალკეული სეგმენტების გადანაცვლებას მოითხოვს, რათა მიღწეულ იქნას სამართლიანი შედეგი; დაბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშული საზღვრის დადგენისას გამორიცხული იყო რაიმე არასამართლიანი შედეგის მიღება, რადგანაც მათ შორის არსებული არათანაზომიერება წინასწარ განსაზღვრული იყო ორიგე ქვეყნის

<sup>374</sup> ob.1982 ICJ REP. გვ. 82, პარაგრაფი 114, და გვ. 59, პარაგრაფი 70; წყარო: <http://www.icj-cij.org>

<sup>375</sup> ob. საზმე Tunisia/Libya, 1982 ICJ REP., გვ. 18, პარაგრაფი 70; წყარო: <http://www.icj-cij.org>

<sup>376</sup> ob. სქოლიო 14 *supra*

<sup>377</sup> ob. ზოგადად Nelson, Equity and the Delimitation of Maritime Boundaries, IRANIAN REV. INT'L REL., No. 11-12, 1978.

<sup>378</sup> საქმე North Sea, 1969 ICJ REP. 3, პარაგრაფი: 18, 20, 91

<sup>379</sup> ob. საქმე: Romania v. Ukraine, ICJ Judgment of February 3, 2009, წყარო: <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=1&case=132&code=ru&p3=4>

შესაბამისი სანაპიროს სიგრძის თანაფარდობასა და შესაბამისი საზღვაო სივრცის თანაფარდობებს შორის.<sup>380</sup>

ამგვარად, განამტკიცა მის მიერ მიღებული ადრინდელი დასკვნები,<sup>381</sup> სადაც სამართლიანი შედეგი წარმოადგენს მთავარ მიზანს საზღვრის დადგენის საქმეში, და დელიმიტაციის მეთოდოლოგია არის დროებითი თანაბარი მანძილის/განსაკუთრებულ გარემოებათა წესი დამატებული პროპორციულობის ტესტით.

განვიხილეთ რა დელიმიტაციის ასპექტები, ქვემოთ მოყვანილია სუვერენული იურისდიქციის გავრცობადობის საკითხები UNCLOS-ს კონვენციის მიხედვით, აგრეთვე დავების გადაჭრის მექანიზმები.

(დ) სანაპირო სახელმწიფოთა სუვერენული უფლებები საზღვაო სივრცეების მიმართ

UNCLOS-მა მოახდინა არსებული წეს-ჩვეულებების კოდიფიცირება მთლიანობაში საზღვაო სივრცეების ყველა სახეობათა მიმართ, როგორიცაა შიდა წყლები, ტერიტორიული ზღვა, მიმდებარე ზონა, კონტინენტური შელფი, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, საარქიპელაგო წყლები და სრუტეები; ასევე ჩამოაყალიბა ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლისა და საერთაშორისო სრუტეებში ტრანზიტის რეჟიმის მარეგულირებელი ნორმები, აგრეთვე ჩამოაყალიბა დებულებები ნაოსნობის, თევზჭრისა და მეცნიერებლი კვლევის დარგში და სხვ.<sup>382</sup>

საზღვაო სივრცეებზე სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელება, კონვენციის მიხედვით, ხდება არა როგორც სახმელეთო ტერიტორიის მიმართ – სრული სუვერენიტეტი, არამედ სუვერენული უფლებების ამა თუ იმ მასშტაბით გავრცელებით თითოეული სივრცის მიმართ.<sup>383</sup> ამოქმედდა საწყისი მდგომარეობის დოქტრინა (*ab initio*), რომელიც საზღვაო სივრცის საზღვრებს განსაზღვრავს არა ქვეყნის მიერ ფიზიკურად მისი გამოყენების ან კუთვნილების მიხედვით, არამედ გეოგრაფიული სიახლოვის გათვალისწინებით – საზღვაო სივრცე არსებობს და ამიტომ იგი არ მოითხოვს სანაპირო ქვეყნის მიერ რაიმე ქმედებას მის დასამკვიდრებლად.<sup>384</sup>

<sup>380</sup> იქნ., პარაგრაფი 119-120, 122.

<sup>381</sup> ი. მაგ. საქმეები: *Cameroon v Nigeria: Equatorial Guinea intervening*), ICJ Report 2002,

პარაგრაფი 288; *Nicaragua v. Honduras*, Judgement of October 2007, პარაგრაფი 271.

<sup>382</sup> ი. სქოლიო 14 *supra*

<sup>383</sup> იქნ., მუხლები: 2 (ტერიტორიული ზღვა), 33 (მიმდებარე ზონა); 55 (განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა), 86 (დია ზღვა).

<sup>384</sup> ეს დოქტრინა წარმოადგენს ახლად წარმოშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ინტერესებს, რომელთაც ისტორიულად არ გააჩნდათ საშუალება განეხორციელებინათ რაიმე ქმედება ამა თუ იმ სივრცეზე თავისი უფლებების დასამკვიდრებლად. ი. ზოგადად, Resolution on Permanent Sovereignty over Natural Resources, G.A. Res. 1803, U.N. GAOR, 17th Sess., Supp. No. 17, at 15, U.N. Doc. A/RES/1803 (1962); Charter of Economic Rights and Duties of States, G.A. Res. 3281, U.N. GAOR, 24th Sess., U.N. Doc. A/RES/3281 (1974), reprinted in 14 I.L.M. 251 (1975).

ამგვარად, საზღვაო სივრცით სარგებლობა, მაგ. კონტინენტური შელფის წიაღისეულის მოპოვება, არ იქნა მიჩნეული იმის საფუძვლად, რომ რომელიმე სახელმწიფომ განავრცოს თავისი სუვერენული უფლებები მეორე სახელმწიფოს სანაპიროს გაგრძელებაზე მდებარე კონტინენტური შელფის მიმართ.<sup>385</sup> შესაბამისად, კონვენციის მიხედვით, რომელმაც ფართო მეცნიერული მხარდაჭერა პპოვა,<sup>386</sup> ამა თუ სივრცის ფიზიკური ათვისება არ წარმოადგენს საფუძველს მასზე სახელმწიფოს სუვერენული უფლებების გავრცელებისა.<sup>387</sup>

იგივე პრინციპი იქნა აღიარებული როგორც საერთაშორისო ჩვეულება.<sup>388</sup> სახმელეთო ტერიტორიების რეჟიმისაგან განსხვავებით, საზღვაო სივრცეების მიმართ სახელმწიფო ახორციელებს არა სრულ სუვერენიტეტს (გარდა შიდა წყლებისა), არამედ სუვერენულ უფლებებს, რაც არ გამორიცხავს სხვა სახელმწიფოთა საქმიანობას, მაგ. თავისუფალ ნაოსნობას.

#### (გ) ონამშრომლობა სახელმწიფოთა შორის

ერთი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის მაღალი დონისა და ხარისხის თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია ზოგადად, და განსაკუთრებით კასპიის რეგიონში, რომელიც ჩაკეტილ ზღვას წარმოადგენს, და ამდენად მისი ეკოლოგია მთლიანობაში სრულიად დამოკიდებულია თითოეული სახელმწიფოს საქმიანობაზე. UNCLOS არსებით მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნულ საკითხს: ამ კონვენციის 123-ე მუხლის მიხედვით “სახელმწიფოებმა რომლებიც ესაზღვრებიან ჩაკეტილ ან ნახევრად ჩაკეტილ ზღვებს, უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან თავიანთი უფლებების დასაცავად და კონვენციით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად.”<sup>389</sup>

<sup>385</sup> ამგვარი მიღგომა გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა განვითარებული სახელმწიფოების ინტერესებს, რომლებიც ახორციელებდნენ საქმიანობას ყოფილი კოლონიების სანაპიროების მახლობლად. - იხ. D.P. O'Connell, *The International Law of the Sea*(I.A. Shearer ed., 1982), გვ. 470-72.

<sup>386</sup> იხ. ზოგადად United Nations Conference on the Law of the Sea, 4th Comm., at 2-4, U.N. Doc. A/CONF.13/C.4/L.45 & Corr. 1 (1958); [United Nations Conference on the Law of the Sea, 4th Comm., at 16, P 13 \(Chile\) & at 74 P 2 \(Philippines\)](#), U.N. Doc. A/CONF.13/42 (1958).

<sup>387</sup> იხ. ზოგადად Report of the International Law Commission to the General Assembly, U.N. GAOR, 11th Sess., Supp. No. 9, art. 68, Commentary, P 7, U.N. Doc. A/3159 (1956); H. Lauterpacht, Sovereignty over Submarine Areas, 27 Brit. Ybk. Int'l L. 376, 376, 415-16 (1950); M.L. Jewett, The Evolution of the Legal Regime of the Continental Shelf, Can. Ybk. Int'l L. 153, 174 (1984) (also citing Flouret, Azcarraga, and Ferron as supporting Lauterpacht's view in the 1950s); D.N. Hutchinson, The Seaward Limit to Continental Shelf Jurisdiction in Customary International Law, 56 Brit. Ybk. Int'l L. 111, 113 (1985).

<sup>388</sup> იხ. D.P. O'Connell, *The International Law of the Sea*(I.A. Shearer ed., 1982), გვ. 475-76.

<sup>389</sup> იხ. სქოლით 14 *supra*

თანამშრომლობის სფეროები მოიცავს ცოცხალი რესურსების მართვას, მათ პროდუქტირებას, გამოკვლევასა და გამოყენებას, ისევე როგორც კონვენციის მონაწილე ქვეყნების მიერ თავიანთი უფლების დაცვასა და მოვალეობების შესრულებას საზღვაო გარემოს დაცვა-შენარჩუნებისათვის და ასევე სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად.

თანამშრომლობის ერთ-ერთი გამოხატულებაა აგრეთვე იმ მინერალური რესურსების ერთობლივი ათვისება, რომელიც სანაპირო სახელმწიფოთა მოსაზღვრე საზღვაო სივრცეებშია განლაგებული ამა თუ იმ თანაფარდობით.<sup>390</sup>

ერთობლივი საქმიანობის მაგალითი მრავლადაა, და ეს რეჟიმი ამოქმედებული იყო სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ UNCLOS-ს შემუშავებამდე: ასე მაგალითად არსებობს ერთობლივი რეჟიმი ბაჰრეინსა და საუდის არაბეთს შორის კონტინენტური შელფზე არსებული რესურსების მიმართ 1958 წლიდან.<sup>391</sup>

ასევე ჩრდილოეთის ზღვის საქმეში საერთაშორისო სასამართლომ მოუწოდა მხარეებს დაერეგულირებინათ მათ შორის არსებული დავები ერთობლივი რეჟიმის მეშვეობით.<sup>392</sup> საერთაშორისო სასამართლოს აღნიშნული რეკომენდაციის შემდგომ წარმოიშვა დაიდო ბევრი საერთაშორისო შეთანხმება რესურსების ერთობლივ ათვისებაზე მსოფლიოს სხვა და სხვა ნაწილში.<sup>393</sup>

ერთობლივი საზღვაო რეჟიმის იდეამ ასევე დაამტკიცა თავისი ეფექტურობა იმ შემთხვევებში, როდესაც სანაპირო სახელმწიფოები საერთოდ ვერ თანხმდებოდნენ ვერანაირ დელიმიტაციაზე და საზღვაო საზღვრების დადგენაზე. ასეთი ადრეული მაგალითია 1974წ. შეთანხმება იაპონიასა და კორეას შორის:<sup>394</sup> UNCLOS 74(3) და 83(3) მუხლების მიხედვით, რომლებიც განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა (EEZ) და კონტინენტური შელფის საზღვრების დელიმიტაციას ეხება, დელიმიტაციის მიღწევამდე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ გააფორმონ “პრაქტიკული შინაარსის წინარე შეთანხმება.. გამსჭვალული ურთიერთგაბებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით.” ფრაზა

<sup>390</sup> *ob.* ზოგადად M. Miyoshi, The Joint Development of Offshore Oil and Gas in Relation to Maritime Boundary Delimitation, 2 Mar. Briefing No 5 at 1 (C. Schofield ed., 1999); Belgium-Netherlands Treaties, Oct. 23, 1950, 136 U.N.T.S. 33; April 5, 1963, 507 U.N.T.S. 267; the Netherlands-Germany Treaties, Jan. 18, 1952, 179 U.N.T.S.156-162; Nov. 8, 1960, 450 U.N.T.S. 414; May 14, 1962, 509 U.N.T.S. 140; Czechoslovakia-Austria Agreement, Jan. 23, 1960, 495 U.N.T.S. 134. *ob.* ასევე W.T. Onorato, Joint Development in the International Petroleum Sector: The Yemeni Variant, 39 Int'l & Comp Law Q. 653 (1990).

<sup>391</sup> *ob.* Agreement between the Government of Bahrain and the Kingdom of Saudi Arabia Concerning Delimitation of the Continental Shelf, Feb. 22, 1958, reproduced in 2 Int'l Mar. Boundaries, 75, 87 n.49, 1495-1497 (J. I. Charney & L. M. Alexander eds., 1993).

<sup>392</sup> *ob.* 1969 I.C.J. 52, 53, PP 99, 101(C)(2).

<sup>393</sup> *ob.* ზოგადად P. C. Reid, Petroleum Development in Areas of International Seabed Boundary Disputes: Means for Resolution, 8 Oil & Gas L. & Tax. Rev. 215-216 (1984-85)

<sup>394</sup> *ob.* Agreement between Japan and the Republic of Korea Concerning Joint Development of the Southern Part of the Continental Shelf Adjacent to the Two Countries, Jan. 30, 1974, reproduced in 2 Int'l Mar. Boundaries, 75, 87 n.49, 1065 (J. I. Charney & L. M. Alexander eds., 1993).

“წინარე შეთანხმება” სწორედ ერთობლივი საქმიანობის რეჟიმს მოიცავს.<sup>395</sup>

ამრიგად, UNCLOS-ს დებულება “წინარე შეთანხმების” შესახებ, ურთიერთანამშრომლობის ვალდებულებასთან ერთად, გამოხატული ერთობლივი რეჟიმის სახით, არის მოქნილი ინსტრუმენტი კონსესუსის მიიღწევისა სადაც საზღვაო ტერიტორიების დელიმიტაციისას.

### დავების გადაჭრა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიხედვით არსებობს დავების მოგვარების სხვადასხვა საშუალება: მოლაპარაკებები, სხვადასხვა სამედიატორო პროცედურები და დაგათა განხილვა ისეთი ინსტიტუტების მიერ, როგორიცაა საერთაშორისო არბიტრაჟი ან საერთაშორისო სასამართლო.<sup>396</sup>

ამასთან დავების გადაჭრის საგალდებულო პროცედურა, რომელსაც ითვალისწინებს UNCLOS-ი<sup>397</sup> წარმოდგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს საერთაშორისო დავების დარეგულირებაში, რომელიც კი შემოღებულა გაერო-ს წესდებისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შემდგომ.<sup>398</sup>

UNCLOS-ის დავების გადაწყვეტის დებულება ამ კონვენციის XV თავის პირველი ნაწილის მიხედვით დავების დიპლომატიური არხებით გადაწყვეტისკენ მიუთითებს, მანამ ამოქმედდება დავების საგალდებულო გადაჭრის წესი ამავე თავის მე-2 ნაწილში მოცემული პროცედურების

<sup>395</sup> ob. H. Fox et al., Joint Development of Offshore Oil and Gas: A Model Agreement for States for Joint Development with Explanatory Commentary 37 (1989); R. Lagoni, Interim Measures Pending Maritime Delimitation Agreements, 78 Am. J. Int'l L. 367 (1984). ob. dissenting opinion of *ad hoc* Judge Evensen, *Tunisia/Libya Continental Shelf Case*, (Tunisia v. Libya), 1982 I.C.J. 320.

<sup>396</sup> ob. გაერო-ს წესდების 33-ე მუხლი, წყარო: [www.un.org](http://www.un.org)

<sup>397</sup> ob. UNCLOS, ნაწილი XV, სქოლით 14 *supra*. წინამდებარე ნაშრომი არ იხილავს დავათა გადაჭრის სხვა მექანიზმებს, როგორიცაა, მაგალითად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვა, ვინაიდან ნაკლებად საგარაუდოა, რომ კასპიისპირა სახელმწიფოებმა, რომელთაც სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით კონსენსუს ვერ მიაღწიეს 20 წელზე მეტი, შეძლონ მიაღწიონ ცალკე რაიმე შეთანხმების მიწდევა, რათა საქმე მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს არსებული პროცედურების თანახმად, იხ. საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის შესახებ:

<http://www.icj-cij.org/jurisdiction/index.php?p1=5&p2=1> ; მართლაც, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კასპიისპირა სახელმწიფოებმა მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის განხილვები გააკეთეს საერთაშორისო სასამართლო საქმისწარმოების შესახებ,

მაგრამ არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ გადაუდგინოთ, იხ.

[http://www.turkmenistan.ru/?page\\_id=3&lang\\_id=ru&elem\\_id=15305&type=event&sort=date\\_desc](http://www.turkmenistan.ru/?page_id=3&lang_id=ru&elem_id=15305&type=event&sort=date_desc) ;

<http://www.payvand.com/news/13/jan/1243.html>

<sup>398</sup> ob. ზოგადად Alan E. Boyle, Dispute Settlement and the Law of the Sea Convention: Problems of Fragmentation and Jurisdiction, 46 Int'l & Comp. L.Q. 37, 37 (1997); Jonathan I. Charney, Entry into Force of the 1982 Convention on the Law of the Sea, 35 Va. J. Int'l L. 381, 389-90 (1995); Louis B. Sohn, Settlement of Law of the Sea Disputes, 10 Int'l J. Marine & Coastal L. 205, 205 (1995); John Warren Kindt, Dispute Settlement in International Environmental Issues: The Model Provided by the 1982 Convention on the Law of the Sea, 22 Vand. J. Transnat'l L. 1097, 1098-99 (1989).

თანახმად.<sup>399</sup> ამრიგად, თუ დიპლომატიური მცდელობები უშედეგო აღმოჩდება, კონვენცია საშუალებას იძლევა დავების მოგვარება გადაცემული იქნეს განსახილველად შერჩეული საერთაშორისო ფორუმის მიერ (საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, საარბიტრაჟო ტრიბუნალი, სპეციალური საარბიტრაჟო ტრიბუნალი)<sup>400</sup> ერთ-ერთი მონაწილე ქვეყნის მოთხოვნის საფუძველზე.<sup>401</sup>

თუ კონვენციის მიერთებისას სახელმწიფო არ აკეთებს იმის დეკლარირებას, თუ რომელ ფორუმს გადასცეს შესაძლო დავები განსახილველად, - მაშინ იგულისხმება არბიტრაჟის შერჩევა.<sup>402</sup>

დავების გადაწყვეტის საგალდებულო პროცედურებმა UNCLOS-ს მიხედვით ფართო აღიარება პპოვა.<sup>403</sup> გარკვეული წინააღმდეგობა წარმოიშვა კონვენციის შემუშავებისას – დავათა გადაჭრის იმ დებულებათა მიმართ, რომელიც ეხებოდა საზღვაო საზღვრებთან წარმოშობილ დავებს: გამოითქვა მოსაზრება, რომ სავალდებულო პროცედურა არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ, როგორიცაა დელიმიტაცია.<sup>404</sup>

ამასთან დაკავშირებით მიღწეულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება, რომელიც ასახულია კონვენციის 298 (1)(ა)(ი) მუხლში: იგი ნებას ოთავს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს არ დაუშვან იმ დავების სასამართლო განსჯისათვის აგტომატურად გადაცემა, რომლებიც საზღვაო საზღვრების დადგენას ეხება.<sup>405</sup> მაგრამ, თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეთანხმება არ იქნება მიღწეული, მონაწილე ქვეყნებმა უნდა მიმართონ დავის გადაჭრის სავალდებულო პროცედურებს, რომლებიც კონვენციის XV ნაწილშია მოცემული.<sup>406</sup>

სახელმწიფოები ვერ ისარგებლებენ დავების სავალდებულო გადაწყვეტის მექანიზმით მანამ ისინი არ შეუერთდებიან UNCLOS-ს,<sup>407</sup> ვინაიდან დავათა გადაჭრის კონვენციური მექანიზმი არ წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებას, და ამდენად კონვენციის არ-მონაწილე სახელმწიფოს მიმართ მისი გამოყენება შეუძლებელია.<sup>408</sup>

<sup>399</sup> ob. UNCLOS, ნაწლი XV, სქოლით 14 *supra*

<sup>400</sup> ob. UNCLOS, მუხლი 287(1), იბ. სქოლით 14 *supra*

<sup>401</sup> ob. 5 United Nations Convention on the Law of the Sea 1982: A Commentary 39 (Myron H. Nordquist et al. eds., 1989)

<sup>402</sup> ob. UNCLOS, მუხლი 287(3); სქოლით 14 *supra*. ob. ზოგადად Louis B. Sohn, Settlement of Law of the Sea Disputes, 10 Int'l J. Marine & Coastal L. 206 (1995).

<sup>403</sup> John R. Stevenson & Bernard H. Oxman, The Third United Nations Conference on the Law of the Sea: The 1975 Geneva Session, 69 Am. J. Int'l L. 763, 796 (1975).

<sup>404</sup> იქვე, გვ. 781.

<sup>405</sup> ob. UNCLOS, მუხლები 15, 74, 83, 298(1)(ა)(ი); სქოლით 14 *supra*

<sup>406</sup> ob. UNCLOS, XV-ი ნაწილი; სქოლით 14 *supra*

<sup>407</sup> ob. John Alton Duff, UNCLOS and the New Deep Seabed Mining Regime: The Risks of Refuting the Treaty, [19 Suffolk Transnat'l L. Rev. 1, 12-13 \(1995\)](#).

<sup>408</sup> ob. Kathryn Surace-Smith, United States Activity Outside of the Law of the Sea Convention: Deep Seabed Mining and Transit Passage, [84 Colum. L. Rev. 1057 \(1984\)](#).

ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ UNCLOS-ს პირდაპირი გამოყენება კასპიის ზღვის მიმართ ამ ეტაპზე (და ალბათ უახლოეს მომავალში) შეუძლებელია, ეს კონვენცია შეიცავს ისეთ ინსტრუმენტებს,<sup>409</sup> რომელთა გამოყენებით შესაძლებელია კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე, თუ სანაპირო სახელმწიფოები მოისურვებენ ანალოგიურ დებულებათა გათვალისწინებას რეგიონალურ შეთანხმებებში. ასევე შესაძლოა იმ გამოცდილების გამოყენება, რომელიც დაგროვდა საერთაშორისო ტბათა დელიმიტაციისას.

ვინაიდან კასპიის ზღვა არ არის მსოფლიო ოკეანეს ნაწილი, ან *stricto sensu* ზღვა, “ზღვა/ტბის ორმნიშვნელოვანი განსაზღვრული ქმნის ერთიანი შერწყმული მიდგომის შესაძლებლობას, როდესაც საერთაშორისო სამართლის ორი სახის სათანადო წესთა კრებული შეიძლება გამოყენებულ იქნას კასპიის ზღვის მიმართ...”<sup>410</sup>

#### გარი IV. სამართლის ზოგადი პრინციპების გამოყენება კასპიის სტატუსის პრობლემასთან მიმართებაში

##### თავი 1. ზოგადი თეორიული ასპექტები

ზემოთ ჩვენ უკვე განვიხილეთ სახელმწიფოთა გარკვეული პრაქტიკა და, შესაბამისად, ჩვეულებანი გამომდინარე კასპიის ზღვის სტატუსის საკითხისადმი დამოკიდებულებაში. ცხადია, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკის ანალიზი თავისთავად საკმარისი არ არის კასპიის სტატუსის შესაძლო სამართლებრივი რეგულირების მკაფიო მოდელის შესაქმნელად. ამიტომ, შესაძლო ვარიანტების სრული სპექტრის შესაქმნელად, ჩვენ მივმართავთ საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებს.

კასპიის ზღვის დელიმიტაციის სამართლებრივი საკითხების განხილვისას უნდა იქნეს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლის მიხედვით.<sup>411</sup>

ასეთი დებულებები, იქცა რა უკვე კანონის ნორმებად რიგი განვითარებული სახელმწიფოებისათვის, არაერთხელ იყო გამოყენებული ორმხრივ და ლოკალურ პრაქტიკაში სხვა საზღვრისპირა ტბების,

<sup>409</sup> ob. Bernard Oxman, The Rule of Law and the United Nations Convention on the Law of the Sea, *Eur. J. Int. Law.* 1996, 7: 83. 353-371; წყარო: <http://ejil.oxfordjournals.org/content/7/3/353.full.pdf+html>

<sup>410</sup> ob. Vinogradov and P. Wouters, The Caspian Sea: Quest for a New Legal Regime, 9 *Leiden J. Int'l L.* 90 (1996).

<sup>411</sup> ob. სქოლით 126 *supra*.

ზღვების, მდინარეების მიმართ, ასევე საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში.

ტერიტორიული და საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით დავებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებული მდგომარეობის შენარჩუნების პრინციპი,<sup>412</sup> და მასთან დაკავშირებული ფლობის ხანგრძლივობა, ასევე აღიარებისა და თანხმობის პრინციპი<sup>413</sup> (აღიარება, თანხმობა) და სხვა.<sup>414</sup>

საერთაშორისო სასამართლო ორგანიზაციები ტერიტორიული დავების გადასაწყვეტად საერთაშორისო ხელშეკრულებათა და წვეულებათა ნორმების არარსებობის პირობებში იძულებულნი არიან მიმართონ სამართლის ზოგად პრინციპებს, მათ შორის ძველი რომის სამართლის პრიციპებსა და ნორმებს. სახელმწიფოს, რომელსაც არ სურს მიიყვანოს დავა კონფლიქტამდე და სასამართლომდე, შეუძლია ისინი გამოიყენოს პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში. თუ მხარეები აღიარებენ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას, მაშინ მათ, შესაბამისად, უნდა აღიარონ სამართლის ზოგადი პრინციპები.<sup>415</sup>

სასამართლო პროცესებზე, საერთაშორისო სასამართლის სტატუტის თანახმად, უპირატესობა ეძლევა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მ.შ. ოფიციალურად აღიარებულ რუკებს,<sup>416</sup> შემდეგ განიხილება სახელმწიფოთა პრაქტიკა, დაბოლოს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. თუ წყაროებმა არ აღმოფხვრეს ეს პრობლემა, მაშინ გაითვალისწინება ცნობილ მეცნიერთა დოქტრინები.

სახელშეკრულებო დებულებებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნიათ ვინაიდან სახელდობრ ისინი გამოხატავენ ნათლად მხარეთა მიზნებს, ნებას და თანხმობას ტერიტორიული მდგომარეობის შესახებ. ვინაიდან კასპიის ზღვასთან დაკავშირებული საბჭოთა-ირანული ხელშეკრულებები ვერ წყვეტილ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს,

<sup>412</sup> *uti possidetis (ლათ.)* - უტი პოსიდეტის – გააგრძელე იმის ფლობა, რასაც ფლობდი; იხ. ზოგადად წყარო: [http://www.law.cornell.edu/wex/uti\\_possidetis\\_juris](http://www.law.cornell.edu/wex/uti_possidetis_juris)

<sup>413</sup> *acquiescence(იხგლი)* - აღიარება.

<sup>414</sup> იხ. Корецкий В.М. Избранные труды. В 2-х кн. Кн. 2. Киев, 1989. с. 165. ასევე იხ. Клименко Б.М. Мирное решение территориальных споров. М., 1982. с. 146, Cassese A. The concept of "Legal dispute in the jurisprudence of the International court // Comunicazioni e Studi. Milan (Italia). Vol. 14. 1975; Menon P.K. Settlement of International boundary dispute // The Anglo-American Law Review. Chichester. (UK). Vol. 8. 1979. №1.

<sup>415</sup> იხ. ზოგადად Sharma S. International boundary Dispute and International law. Bombay, 1976; Prescott J. Boundary and Frontiers. L, 1979; The International Regulation of Frontier Disputes. Ed. by Evan Luard. N.Y., 1970.

<sup>416</sup> მითითებები სხვადასხვა გეოგრაფიულ რუკებზე, ცხადია, არ შეიძლება ჩაითვალოს განსაზღვრული სახელმწიფოს პოზიციის სისწორის უჯრედ მტკიცებულებად. მხოლოდ ისეთი გეოგრაფიული რუკები ითვლება საერთაშორისო სასამართლო დაწესებულებების მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც ერთვის საერთაშორისო ხელშეკრულებას დელიმიტაციის შესახებ, წარმოადგენს ხელშეკრულების ნაწილს, დგება ამ ხელშეკრულების დებულების სრული შესაბამისობით, და საზღვრები ტარდება მხოლოდ ამ იურიდიული აქტის მუხლებისა და პუნქტების მიხედვით. (იხ. Клименко Б.М. Мирное решение территориальных споров. М., 1982. с. 137).

ჩვენ მივმართეთ სახელმწიფოთა პრაქტიკას, რომელიც ასევე ზოგად ხასიათს ატარებდა, სულ ცოტა 1998 წლამდე.

ამდენად, კასპიის ზღვის მიმართ წარმოიქმნა გაურკვევლობის<sup>417</sup> სიტუაცია,<sup>418</sup> რაც წარმოშობს აპელირების აუცილებლობას სამართლის ზოგადი პრინციპებისადმი.

წინა თავებში განვიხილავდით კასპიის ზღვის სტატუსს საერთო ჭრილში, ანუ – ზღვა თუ საერთაშორისო ტბა და ა.შ., რათა შემდეგ სტატუსის ფორმის მიხედვით მოგვეხდინა საზღვრების დადგენის ანალიზი. სამართლის ზოგადი პრინციპები არ აყალიბებს სამართლებრივი სტატუსის ზოგად მოდელებს; ისინი შეიძლება მოვიშველიოთ საზღვრების გარკვევისას, და მათი განხილვისას უნდა მივუდგეთ საკითხს მეორე მხრიდან, ანუ გაგარკვიოთ ტერიტორიული მფლობელობის ფარგლები, და შემდგომ ვიმსჯელოთ სტატუსის ფორმაზე.

“საკითხი, საზღვრის აღიარების შესახებ, შეიძლება წარმოიშვას იქ, სადაც საზღვარი საერთოდ არ არის გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებებით ან გაფორმებულია არასაკმარისად ზოგიერთ უბნებზე. ასეთ შემთხვევებში ხანდახან არსებობს ფაქტიურად ჩამოყალიბებული საზღვარი, და თუ ორივე მხარე მას აღიარებს, მაშინ არანაირი დიდი პრობლემა იქ არ გაჩნდება.”<sup>419</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ყოფილი საბჭოთა-ირანის დე ფაქტო საზღვარი კასპიის ზღვაზე გადიოდა ასტარა-ჰასანყულის ხაზზე. სიტუაციას ართულებს ის, რომ კასპიისპირა ყოფილი სსრკ რესპუბლიკები არ გამოსულან ერთიანი პოზიციით ამ საზღვრის აღიარების შესახებ ირანთან ურთიერთობაში.

თუ დავუშვებოთ იურიდიული ფიქციის სახით ასეთი ერთიანი პოზიციის არსებობას, მაშინ იქმნება უზი პოსიდების<sup>420</sup> პრინციპის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც აძლევს სამართლებრივ ფორმას ისტორიულად არსებულ მდგომარეობას.

ეს პრინციპი ჩამოყალიბდა რომის სამართალში, და იგი ეხებოდა არსებული მფლობელობის აღიარებას უძრავი ნივთების მიმართ,<sup>421</sup> მათი ისტორიული მდგომარეობის მიხედვით.<sup>422</sup>

<sup>417</sup> non liquet (*ლათ.*) - გაურკვევლობა.

<sup>418</sup> იბ. Корецкий В.М. Избранные труды. В 2-х кн. Кн. 2. Киев, 1989. 166-167.

<sup>419</sup> იბ. Murty T. Evidense on Traditional Boundaries and Some Problems in its Interpretation // Indian Journal of International law. 1968. №4. p. 480-482.

<sup>420</sup> აქ და შემდგომ ტერმინის მიმართ იბ. სქოლით 415, *supra*.

<sup>421</sup> რომის სამართლის პოსტულატი *interdicta retinendae possessionis* (*ლათ.*) – არსებული უძრავი ნივთის მფლობელობა და მისი დაცვის უზრუნველყოფა. იბ. ზოგადად Покровский И.А., История Римского Права, М. 1999, с. 93, § 58, *წყარო:*

[http://civil.consultant.ru/elib/books/25/page\\_40.html#86](http://civil.consultant.ru/elib/books/25/page_40.html#86); იბ. ასევე სქოლით 478 *infra*

<sup>422</sup> იბ. И.А. Покровский. История Римского Права. СПб, 1999, с 344-360. იბ. ზოგადად Оппенгейм Л. "Международное право", 2003, РУДН, ред. В.С.Денисенко, гл. IV.

უგო პოსიდების პრინციპის გამოყენება თანამედროვე ეპოქის საერთაშორისო საჯარო სამართლები უკავშირდება ტერიტორიულ დავებს, რომეებიც წარმოიშვა სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ყოფილ კოლონიებს შორის, ღომინიონის მიერ დადგენილ (ან დაუდგენელ) შიდა ადმინისტრაციულ საზღვრებთან მიმართებაში. ეს პრინციპი ასევე გამოყენებული იქნა ევროსაბჭოს სპეციალური კომისიის მიერ იუგოსლავის ყოფილი რესპუბლიკების მიმართ.

როგორც საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებაშია აღნიშნულია, უგო პოსიდების პრინციპის გამოყენება არ უნდა იყოს აუცილებლად შემოფარგლული დეკოლონიზაციის შედეგად წარმოშობილი ტერიტორიული დავებით.<sup>423</sup> ამდენად უგო პოსიდების იძენს საერთო პრინციპის თვისებას.<sup>424</sup> ამავე საქმეში საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ საკითხებში, რომელიც ეხება ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების ტერიტორიულ ფლობას, უნდა მოხდეს აპელირება არსებული ტერიტორიული სტატუსის,<sup>425</sup> სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და თანხმობისა და აღიარების წესებისადმი.

ამ დებულებათა გამოყენებით უგო პოსიდების დე ფაქტო საზღვარი, ფაქტიური ტერიტორიული მდგომარეობის ფარგლებში სსრკ სამართალმემკვიდრეებსა და ირანს შორის გადის ასტარა-ჰასანყულის საზხე.

ირანის მიმართ შესაძლოა ასევე გამოყენებული ყოფილიყო “ესტოპელი”,<sup>426</sup> ანუ ნორმა, რომლის თანახმადაც სახელმწიფომ არ უნდა უარყოს ადრე მის მიერვე აღიარებული საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრების უფლების ფაქტი.<sup>427</sup>

ყველა შემთხვევაში, სამართლის საერთო პრინციპების გამოყენება მეტად რთული გვეჩვენება ფაქტიურად არსებულ სიტუაციაში, ანუ როდესაც სსრკ-ს სამართალმემკვიდრეებმა არ დააფიქსირეს საბჭოთა-ირანული დე ფაქტო საზღვრის აღიარება.

თავი 2. კასპიისპირა სახელმწიფოთა შორის ამჟამინდელი და სამომავლო შესაძლო სამართლებრივი დავების მიმოხილვა

<sup>423</sup> ი. სამართლის საერთო პრინციპების გამოყენება მეტად რთული გვეჩვენება ფაქტიურად არსებულ სიტუაციაში, ანუ როდესაც სსრკ-ს სამართალმემკვიდრეებმა არ დააფიქსირეს საბჭოთა-ირანული დე ფაქტო საზღვრის აღიარება.

<sup>424</sup> ი. Mullerson, Rein, International Law, Rights and Politics. Developments in Eastern Europe and the CIS, 0 Routledge, London, 1994, p.83. პრინციპი შეიძლება გამომედავნდეს დე ფაქტო და დე იურე მდგომარეობით.

<sup>425</sup> *status quo* (ლათ.) – არსებული მდგომარეობა.

<sup>426</sup> ი. Bowett T.D. Estoppel before International Tribunals and its Relations to acquiescence// British Year Book of International Law. Vol. 39. 1957. p. 177-179.

<sup>427</sup> ი. Талалаев А.Н. Международные договоры в современном мире. М., 1973. с. 230.; მიხეივ Право международных договоров. Общие вопросы. М., 1980.

ვითვალისწინებოთ რა მკაფიო საზღვრის არარსებობას პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს შორის კასპიის აუზში, წინასწარ შეიძლებოდა პროგნოზის გაკეთება, რომ დელიმიტაციის მომენტში ან დელიმიტაციის სურვილის წარმოშობისას მხარეებს აუცილებლად გაუჩნდებათ ურთიერთ პრეტენზიები, რომლებიც გამწვავდება ნავთობის საბადოების მიკუთვნების შესახებ დავის გამო. შიდა ადმინისტრაციული საზღვრები საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კასპიის ზღვაზე გამიჯნული არ იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ.

ამიტომაც 90-იან წლებში აზერბაიჯან-თურქმენეთისა და ყაზახეთ-რუსეთის საზღვრების დელიმიტაციისას გაჩნდა დაგები და დებატები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერიტორიული პრეტენზიების დასაბუთება, რომელიც გაჩნდა ზემოთხესენებულ აზერბაიჯანულ წყაროებში, არ მიგვაჩნია მყარი საფუძვლის მქონედ.

#### ნახ.6.



პერიოდის განმავლობაში<sup>428</sup>, აგრეთვე გამოკვეთილია ხანდაზმულობის ვადის საკითხი, რომელიც უკავშირდება “ხანდაზმულობის უწყვეტობას”<sup>429</sup> ცნებას.

კერძოდ, მიდის აპელირება რომის სამართლის პრინციპებზე, რომელიც უკავშირდებოდა უძრავი ქონების მფლობელობის დაცვას. მოიგვანება ასევე წარსულში გაკეთებული ზოგადი თეორიული კომენტარები, მაგალითად ფლობის ხანდაზმულობის ფაქტორთან დაკავშირებით: “სუვერენიტეტის შეძენა ტერიტორიაზე ხანგრძლივობის მიხედვით მოითხოვს ამ ტერიტორიის ფაქტობრივ ფლობას დროის რომელიმე ხანგრძლივი ვერცხლის განვითარების მიზანით”<sup>430</sup>.

ერთიანი კონტექსტის გარეშე განხილული აზერბაიჯანის და თურქმენეთის დავის კერძო შემთხვევაში ლოგიკური პრიორიტეტები შეიძლება აზერბაიჯანის მხარეზე იყოს: თითქმის ყველა ნავთობის საბადო კასპიის ზღვაზე აღმოჩენილი იყო აზერბაიჯანის მიერ (აზერბაიჯანის სსრ) საბჭოთა პერიოდში. ამასთან აღმოჩენის მომენტიდან ისინი ჯერ აზერბაიჯანის სსრ მუდმივ მფლობელობაში იმყოფებოდა, ხოლო შემდეგ კი აზერბაიჯანის რესპუბლიკის. ამასთან არ არსებობს სსრკ კომპეტენტური ორგანოს - უმაღლესი საბჭოს - გადაწყვეტილება, რომელიც დაადგენდა აზერბაიჯანის სსრ-ს ისეთ საზღვარს, რომელიც განსაზღვრავდა აღმოჩენილი საბადოებს აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიულ კუთვნილებას. ეს სიტუაცია მარტივია, და რომის სამართლის წყაროების მოშველიებას არ ითხოვს, რათა გავაკეთოთ დასკვნა, რომ პრინციპი უტი პოსიდუტის და იური ამ შემთხვევისათვის ვერ გამოდგება.

<sup>428</sup> ი. თალაევ ა. სამეცნიერო დოკუმენტი. მ. 1973. ს. 164-165.

<sup>429</sup> იქვე.

რაც შეეხება უტი პოსიდების და ფაქტო პრინციპის გამოყენებას, - აქ მართლაც არსებობს დისკუსიის გამართვის ნიადაგი, რომ არა აზერბაიჯანის ცალსახა პოზიცია კასპიის ზღვის ტბად აღიარების შესახებ. ერთდროულად ორი გამომრიცხავი მოთხოვნის წამოყენება, ჩვენის აზრით, ვერ შეუწყობს ხელს დავის გადაწყვეტას. მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ უტი პოსიდების და ფაქტო პრინციპის შესაბამისად სადაც საბადოების კუთვნილება აზერბაიჯანის სასარგებლოდა, მაშინ კასპიის ზღვის როგორც ტბის დელიმიტაცია აშკარად მოაქცევს სულ ცოტა ორ საბადოს თურქმენეთის ტერიტორიულ სექტორში (იხ. ნახ. 6).

გარდა ამისა უტი პოსიდების პრინციპი, რომელიც თანამედროვე ეტაპზე დეკოლონიზირებული ქვეყნების ტერიტორიულ დავებში გამოიყენებოდა, ყოველთვის აღიარებული იყო მოდავე ქვეყნების მიერ, როგორც საზღვრის დამდგენი პრინციპი. ვეჭვობთ, რომ ამგვარი აღიარება გააკეთოს თურქმენეთმა, თავისი პოზიციიდან გამომდინარე.<sup>430</sup>



ეველა ეს ფაქტორი, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ გათვალისწინებული იქნა რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელმაც 1997წ. ივლისში ჯერ აღიარა აზერბაიჯანის ტერიტორიული უფლებები თურქმენეთთან სადაც საბადოებზე, ხოლო უკვე ერთ თვეში უარყო ეს აღიარება.<sup>431</sup>

დავა თურქმენეთსა და აზერბაიჯანს შორის იმდენად გამძაფრებულია, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობანი ნაწილობრივ შეჩერებულია (საკონსულოები).

მიგვაჩნია, რომ დავების არსებობამ, მ.შ. რუსეთ-ყაზახეთის 90-იანი წლების შეუთანხმებლობამ ჩრდილოეთი საბადოების მიმართ, უბიძგა რუსეთს გამოსულიყო ახალი ინიციატივებით (იხ. ქვემოთ), რათა არ გაეშვა სიტუაცია კასპიის ზღვაზე თავისი კონტროლიდან.

ნახ. 7<sup>432</sup>

<sup>430</sup> იხ. Д-р Владимир МЕСАМЕД, ТУРКМЕНИСТАН - ИРАН : ДРУЖБА ПОНЕВОЛЕ? СА&СС Press® AB /Central Asia & Central Caucasus Press AB, 1998.

<sup>431</sup> იხ. სქოლიო 573 *infra*.

<sup>432</sup> ლათინური ასოებით აღნიშნულია შუალედური ხაზების ათვლის წერტილები

(5) კასპიის ზღვის ფსკერის განაწილება: ანალიზი და პროგნოზი  
ორმხრივი ხელშეკრულებები

1998 წელს რუსეთმა კასპიის ზღვის ფსკერის<sup>433</sup> (და შესაბამისი რესურსების) განაწილების მისეული წინადადება წამოაყენა, იგი უნდა განაწილებულიყო სახელმწიფო სექტორების მიხედვით, ხოლო წელის სიბრტყე და ზედაპირი უნდა ყოფილიყო საერთო სარგებლობაში.<sup>434</sup>

ქვემოთ მოცემული ორმხრივი და სამმხრივი ხელშეკრულებები ხემლოწერილ იქნა ზემოთხსენებული წინადადების მიხედვით:

ხელშეკრულება კასპიის ფსკერის ჩრდილოეთ ნაწილის გაყოფის შესახებ, ფსკერის ამ ნაწილზე მხარეთა სუვერენული უფლებების განხორციელების მიზნით, ყაზახეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის (6 ივლისი, 1998) და შესაბამისი სავალდებულო პროტოკოლი (13 მაისი, 2002);

რუსეთის ფედერაციასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება კასპიის ზღვის ფსკერის მომიჯნავე ნაწილების გაყოფის შესახებ (23 სექტემბერი, 2002);<sup>435</sup>

აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და ყაზახეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება კასპიის ზღვის ფსკერის განაწილების შესახებ (29 ნოემბერი, 2001) შესაბამის პროტოკოლთან ერთად (27 ოქტომბერი, 2003);

სამმხრივი ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციას, ყაზახეთის რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის, კასპიის ზღვის ფსკერის მომიჯნავე მონაკვეთებზე დადგენილი საზღვრების დამაკავშირებელი წერტილის განსაზღვრის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა 2003 წლის 14 მაისს.<sup>436</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტებში არ არის პირდაპირი მინიჭება UNCLOS-ზე ან ზოგადად საერთაშორისო საზღვაო სამართლებრივ აქტებზე, ზოგიერთი მათგანი შეიცავს მინიჭებას “საერთაშორისო სამართალზე” და “შესაბამის” საერთაშორისო პრაქტიკაზე. საინტერესოა, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებებში მოცემული ზოგიერთი მარეგულირებელი პრინციპები ანალოგიურია UNCLOS-ს მიერ დადგენილი პრინციპებისა.

ძირითადი დებულებები ამ ხელშეკრულებებისა შემდეგ საკითხებს ეხება:

<sup>433</sup> იბ. ფსკერის განაწილების შესახებ შეთანხმებისა და პროტოკოლის ტექსტი, აგრეთვა რუსეთის საგარეო სამინისტროს პოზიცია, წყარო: [http://www.mid.ru/ns-vnpop.nsf/osn\\_copy/FEE551EFF9C8FBE1C325704300315456](http://www.mid.ru/ns-vnpop.nsf/osn_copy/FEE551EFF9C8FBE1C325704300315456) ;

<http://zakon.law7.ru/base90/part7/d90ru7555.htm> ;

<http://archive.kremlin.ru/text/docs/2002/05/30236.shtml> ;

<http://www.pavlodar.com/zakon/?dok=03403&all=all>

<sup>434</sup> იბ. Sergei Blagov, Kazakhstan Pushes for Trilateral Caspian Deal, ASIA TIMES ONLINE, 10 Oct., 2002. წყარო: [http://www.atimes.com/atimes/Central\\_Asia/DJ10Ag01.html](http://www.atimes.com/atimes/Central_Asia/DJ10Ag01.html)

<sup>435</sup> იბ. [http://archive.kremlin.ru/interdocs/2002/09/23/2316\\_type72066\\_30520.shtml](http://archive.kremlin.ru/interdocs/2002/09/23/2316_type72066_30520.shtml)

<sup>436</sup> წყარო: [http://www.businesspravo.ru/Docum/DocumShow\\_DocumID\\_86604.html](http://www.businesspravo.ru/Docum/DocumShow_DocumID_86604.html)

- საზღვრის დადგენა: ხელშეკრულებები ეხება მოდიფიცირებულ შესახებ, რომლებიც გავლებულ იქნა მხარეების შეთანხმების შედეგად, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, ისეთი როგორიცაა გეოგრაფიული თავისებურებები და ა.შ. – ამდენად საზღვრის დადგენა ხელშეკრულებების მიხედვით თანხვედრია სამართლიანობის პრინციპის მიხედვით დელიმიტაციის განხორციელებისა;
- სუვერენიტეტი: ხელშეკრულებები ითვალისწინებენ სუვერენულ უფლებებს ფსკერზე და მინერალურ რესურსებზე, მაგრამ არა სრულ სუვერენიტეტს;
- ერთობლივი საქმიანობა: ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ბუნებრივი რესურსების ათვისების ერთობლივ რეჟიმს;
- დავების გადაწყვეტა: ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული ხელშეკრულებების მიხედვით.

სადღეისოდ არსებული ერთადერთი მრავალმხრივი კასპიის ზღვის ხელშეკრულება – ჩარჩო კონვენცია კასპიის ზღვის საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ (2003 წლის ნოემბერი)<sup>437</sup> – ასევე არაპირდაპირ მოიცავს დებულებებს, რომლებიც ანალოგიურია გაერო-ს კონვენციასთან (UNCLOS), (მაგალითად, 123-ე მუხლი).<sup>438</sup> გარდა ამასა, კასპიის ჩარჩო კონვენციას აქვს აშკარა მსგავსებები საერთაშორისო საზღვაო კონვენციებთან, რომლებიც გარემოს დაბინძურებისგან დაცვას ეხება.<sup>439</sup>

#### (ბ) შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან

ვინაიდან პოსტ-საბჭოთა დამოუკიდებელი კასპიირპირა ქვეყნები თავის ორმხრივ ხელშეკრულებებში “დაესესხენებ” ცალკეულ დებულებებს საერთაშორისო საზღვაო სამართალს, მართებულია შეკითხვა, თუ რატომ არ ამჯობინეს მათ UNCLOS-სთან შეერთება?

ერთის მხრივ, 1990-იან წლებში არსებობდა სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ ქვეყნებს სსრკ-ირანის ურთიერთობიდან მემკვიდრეობით მიღებული *de facto* მდგომარეობა ედიარებინათ და იგივე დაეტოვებინათ.

<sup>437</sup> ბალაშია 2006წ. 12 აგვისტოდან, იხ: [http://ru.government.kz/docs/z050000097\\_20051213.htm](http://ru.government.kz/docs/z050000097_20051213.htm); იხ. ასევე კონვენციის განმარტება და კომენტარი:

<http://www.tehranconvention.org/cop2/Annex%2020%20SCAP%20ru.pdf>; დამატებითი ოქმის შესახებ იხ.: <http://www.mnr.gov.ru/news/detail.php?ID=129803>

<sup>438</sup> იხ. სქოლიო 14 *supra*

<sup>439</sup> იხ. “Article 9. Pollution from Vessels: The Contracting Parties shall take all appropriate measures to prevent, reduce and control pollution of the Caspian Sea from vessels and shall co-operate in the development of protocols and agreements to the Convention prescribing agreed measures, procedures and standards to that effect, taking into account relevant international standards.” იხ. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციები ზღვის გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ - IMO (International Maritime Organization) conventions relating to prevention of marine pollution: <http://www.imo.org/About/Conventions/ListOfConventions/Pages/Default.aspx>

როგორ ზემოთ იქნა აღნიშნული, სსრკ-სა და ირანს შორის დადებულმა ხელშეკრულებებმა ვერ დაარეგულირა კასპიის სივრცეების სტატუსი და მფლობელობის საკითხები: სსრ კავშირი დამოუკიდებლად მოქმედებდა კასპიის ზღვის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში,<sup>440</sup> ასტარა-ჰასან-ყულის პირობითი საზღვრის მიხედვით, რაც ირანის მიერ არ იქნა უარყოფილი ან პერმანენტულად გაპროტესტებული თავის დროზე.<sup>441</sup> ამდენად, კასპიისპირა ოთხი სახელმწიფო, წარმოადგენს რა სსრკ-ს სამართლებრივ მემკვიდრეს უფლებამოსილნი იყვნენ შეენარჩუნებინათ სსრკ-ს და ირანის დეფაქტო ურთიერთობები, - 1978წ, ვენის კონვენციის მიხედვით სახელმწიფო სამართალმექვიდრეობაზე და აგრეთვე შესაბამის საერთაშორისო ჩვეულებებზე დაყრდნობით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმოქმედებდნენ მიზნობრივად და სისტემატურად ამ მიმართულებით.<sup>442</sup>

მაგრამ ამ ქვეყნებმა თავი შეიკავეს რაიმე განცხადების გაკეთებისაგან სსრკ-ირანის ურთიერთობებზე და მათ მემკვიდრეზე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ; უფრო მეტიც, აზერბაიჯანი არ შეუერთდა 1992 წლის დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის მემორანდუმს,<sup>443</sup> რომელიც სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულების მემკვიდრეობის საკითხს ეხებოდა. კიდევ ერთი დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთმა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დიდი როლი ითამაშა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის დარეგულირების, უფრო სწორად არდარეგულირების საქმეში, თავისი მერყევი პოზიციის გამო.

ამის მიუხედავად, იდეა იმის შესახებ, რომ ირანი დარჩეს “საბჭოთა” საზღვრებში, მოსაზრების დონეზე რჩებოდა.<sup>444</sup>

<sup>440</sup> სსრკ-ს 1982წ. კანონი “სახელმწიფო საზღვრის შესახებ” აცხადებს, რომ სახელმწიფო საზღვარი ტბებზე გადის იმ ხაზის გასწვრივ, რომელიც აერთებს სსრკ-ს სანაპირო გასასვლელის წერტილებს ტბებზე, კასპიის ზღვის მიმართ ნიშნავს ასტარა – ჰასან – კულის ხაზს. იხ. Сб. законов СССР. М., 1993.

<sup>441</sup> იხ. Kamayar Mehdiyoun, Current Development, Ownership of Oil and Gas Resources in the Caspian Sea, 94 AM.J. INTL L. 188-189 (2000); С. Черняковский. РОССИЯ ГОТОВА СОТРУДНИЧАТЬ С АЗЕРБАЙДЖАНОМ. Журнал «Международная жизнь», М, 01.02.2001

<sup>442</sup> ვენის 1978წ.კონვენცია სახელმწიფოთა სამართალმექვიდრეობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ, ძალაშია 1996წ.; სადღეისოდ (2013წ.) არც ერთი კასპიისპირა სახელმწიფო ამ კონვენციას მიერთებული არ არის; იხ. წყარო: [http://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg\\_no=XXIII-2&chapter=23&lang=en](http://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XXIII-2&chapter=23&lang=en). იხ. ზოგადად; W. Butler, The Law of Treaties in Russia and the Commonwealth of Independent States, Cambridge 2002,:  
[http://books.google.ru/books?id=\\_JQSh351abwC&pg=PA2&lpg=PA2&dq=vienna+convention+1969&source=bl&ots=UkOvLnVXmM&sig=F9W7EPf\\_tLwPmHpj5uBy8p3aEww&hl=ru&sa=X&ei=UZ5yUZuzJarV4gTS0YC4AQ&ved=0CHgQ6AEwCQ#v=onepage&q=vienna%20convention%201969&f=false](http://books.google.ru/books?id=_JQSh351abwC&pg=PA2&lpg=PA2&dq=vienna+convention+1969&source=bl&ots=UkOvLnVXmM&sig=F9W7EPf_tLwPmHpj5uBy8p3aEww&hl=ru&sa=X&ei=UZ5yUZuzJarV4gTS0YC4AQ&ved=0CHgQ6AEwCQ#v=onepage&q=vienna%20convention%201969&f=false)

<sup>443</sup> იხ. МЕМОРАНДУМ О ВЗАИМОПОНИМАНИИ 1992г. по вопросу правопреемства в отношении договоров бывшего Союза ССР, представляющих взаимный интерес, М.1993.

<sup>444</sup> იხ. Cf. Peter Goodspeed, Military Tensions Heightened over Caspian Sea Oil, National Post, Aug. 25, 2001, A13, 2001 WL 27076531.

იხ. ზოგადად ცალმხრივად დაწესებული წესების შესახებ: Richard B. Bilder, An Overview of International Dispute Settlement, 1 Emory J. Int'l Disp. Res. 1, 20-21 (1986) ; Eric W. Sievers, The Caspian, Regional Seas, and the Case for a Cultural Study of Law, 13 Geo. Int'l Envtl. L. Rev. 361, 368 (2001) (სადაც აღნიშნულია რუსეთის მუდმივი სამხედრო ზეწოლა ირანზე).

ასევე გასათვალისწინებელია, რომ თუ დსთ-ს ქვეყნები UNCLOS-ს შეუერთდებოდნენ, ამ კონვენციის სამართლიანობის პრინციპებისა და დავების გადაწყვეტის სავალდებულო მექანიზმის გათვალისწინებით, ძნელია ითქას დაადგენდა თუ არა მიუკერძოებელი საერთაშორისო სასამართლო იმავე საზღვაო საზღვრებს (ასტარა-ჰასან-ყული) მაგ. ირანისათვის. (იხ. კასპიის ზღვის სქემა მე-3 სურათზე).<sup>445</sup>

ყურადსადებია, რომ UNCLOS-ს კონვენციის მონაწილეებს არა აქვთ უფლება გამოიყენონ ამ კონვენციის მხოლოდ ცალკეული, ცალმხრივად მისაღები დებულებები, გააკეთონ დათქმები ან გამონაკლისები<sup>446</sup>

გარდა ამისა, UNCLOS-ის პირდაპირი გამოყენება რუსეთს ჩამოართმევს პოლიტიკურ პეგემონიას რეგიონში, რომელიც ჯერ კიდევ სარგებლობს გარკვეული გავლენით. ამდენად, პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს უწევთ ხელახლა დაარეგულირონ ურთიერთობანი.<sup>447</sup>

სხვაგვარად რომ ითქვას, რუსეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი (და შესაძლოა, თურქენეთი) ორმხრივი ხელშეკრულებების გამოყენებით ეცდებიან ადადგინონ კასპიის ზღვაზე არსებული ურთიერთობანი, ანუ დაიმკვიდრონ “საბჭოური სექტორი.

ამ სახის ხელშეკრულებებმა შესაძლოა არ მისცეს შესაძლებლობა ირანს, მიიღოს იმაზე მეტი კასპიის ზღვის სივრცეებიდან, ვიდრე მას პქონდა საბჭოთა დროს.<sup>449</sup>

პოსტსაბჭოთა კასპიისპირა ქვეყნების მიერ ზღვის ფსკერის განაწილებას უფრო მეტი პოლიტიკური ნიშნები აქვს, ვიდრე სამართლებრივი, ე.ი. არის მცდელობა სამართლებრივი პრობლემების პოლიტიკური საშუალებებით მოგვარებისა, სადაც ირანის პოზიცია არ არის გათვალისწინებული, და ამგვარი განაწილება მთლიანობაში დასავლელი ექსპერტების მიერ იქნა გაკრიტიკებული, როგორც სუსტი ნიადაგის მქონე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით<sup>450</sup>

<sup>445</sup> ob. Bernard H. Oxman, The High Seas and the International Seabed Area, 10 Mich. J. Int'l L. 526, 527-28 (1989).

<sup>446</sup> ob. . UNCLOS მუხლი 309, სქოლით 14 *supra*.

<sup>447</sup> ob. Azerbaijan Claims Russian, Kazakh Support in Border Row with Iran, Agence Fr. Presse, Aug. 3, 2001, 2001 WL 24983767.

<sup>448</sup> დასაშვებია, რომ თურქენეთი გაიზიარებს ასეთ პოზიციას.

Kamyar Mehdiyoun, Current Development, Ownership of Oil and Gas Resources in the Caspian Sea, 94 Am. J. Int'l L. at 185 (2000).

<sup>449</sup> ob. Azerbaijan Claims Russian, Kazakh Support in Border Row with Iran, Faraz Sanei, Note, The Caspian Sea Legal Regime, Pipeline Diplomacy, and the Prospects for Iran's Isolation from the Oil and Gas Frenzy: Reconciling Tehran's Legal Options with Its Geopolitical Realities, 34 Vand. J. Transnat'l L. at 756 (2001).

<sup>450</sup> ob. ზოგადად: BEN N. DUNLAP, Divide and Conquer? The Russian Plan for Ownership of the Caspian Sea, 27 B.C. Int'l & Comp. L. Rev. 115, Winter, 2004; Kamyar Mehdiyoun, CURRENT DEVELOPMENT: Ownership of Oil and Gas Resources in the Caspian Sea, 94 A.J.I.L. 179, January, 2000; Barry Hart Dubner, The Caspian: Is it a Lake, a Sea or an Ocean and Does it Matter? The Danger

მიუხედავად ამისა, ეს ხელშეკრულებები მაინც აგსებს არსებულ სამართლებრივ ვაკუუმს კასპიის ზღვის სტატუსთან დაკავშირებით, და შესაძლოა გამოდგეს დამაკავშირებელ რგოლად და წინა საფეხურად კასპიის ზღვის სტატუსის ერთიანი კონვენციის მიღებისაკენ.

**(გ) კასპიის ზღვის საზღვრების დადგენის პერსპექტივები და მისი მეთოდები**

ქვემოთ გაანალიზებულია კასპიის ზღვის ყველაზე პრობლემური მონაკვეთების შესაძლო დელიმიტაციის სამართლებრივი სცენარი. ეს არის: აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის არსებული დავა და ასტარა-ჰასან-ყულის ჩრდილოეთით მდებარე სივრცე, რომელზეც პრეტენზიას ირანი აცხადებს.

**(ა) აზერბაიჯანი თურქმენეთის წინააღმდეგ**

აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის ძირითადი დავის საგანი სამხერეთ კასპიის შუა ნაწილში მდებარე ნავთობის საბადოებია: “აზერი”, “ჩირაგი” და “კიაპაზი” (ან “კავეროჩკინ,” “26 ბაქოელი კომისარი” და “სერდარი” თურქმენულ ვარიანტში).

აზერბაიჯანი, საზღვრების დადგენას მოითხოვს სანაპიროების გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, აკშერონის (Apsheron) ნახევარკუნძულისა და ჟილოი (Zhiloi) კუნძულის ჩათვლით, მე-4 და მე-5 სურათზე მოცემული საზღვრის მიხედვით. ამგვარი განაწილებით, ნავთობის ორი საბადო აზერბაიჯანის მხარეს აღმოჩნდება, და მხოლოდ ერთი - თურქმენეთის მხარეს. თურქმენეთი, თავის მხრივ, მიმართავს საზღვრის გეორგაფიული განედის მიხედვით დადგენის თავისეულ ვარიანტს, უგულევებელყოფს რა სანაპირო ნაწილის ძირითად კონფიგურაციას, და აკშერონის ნახევარკუნძულს ნაწილობრივ.

გარდა ამისა, აზერბაიჯანი მიმართავს არსებული სიტუაციის შენარჩუნების არგუმენტს *uti possidetis* და აღნიშნული ნავთობის საბადოების ამჟამინდელ მფლობელობაში არსებობის საფუძველზე ითხოვს მისი საკუთრების აღიარებას.


---

of Utilizing Unilateral Approaches to Resolving Regional/International Issues, 18 Dick. J. Int'l L. 253, Winter, 2000; Eric W. Sievers, The Caspian, Regional Seas, and the Case for a Cultural Study of Law, 13 Geo. Int'l Envtl. L. Rev. 361, 2001; Houman Afshar, THE CASPIAN DISPUTE: IS A DOCTRINAL ANALYSIS TOO LATE OR CAN WE TURN BACK THE HANDS OF TIME?, 48 N.Y.L. Sch. L. Rev. 755, 2003 / 2004; Julie M. Folger, A Proposal to End the Stalemate in the Caspian Sea Negotiations, 18 Ohio St. J. on Disp. Resol. 529, 2003.


## 1. დავის საგანი

აზერბაიჯანისა და თურქმენეთის შორის არსებული დავა ეხება საზღვაო საზღვრის დადგენას და ორ ქვეყანას შორის კასპიის ზღვის ფსკერის საზღვრების განსაზღვრას. მაგრამ, აღნიშნული დავის ჭეშმარიტი მიზეზი არის სამი ნაკობის საბადო, რომლიც კასპიის ზღვის შუა ნაწილში მდებარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქვეყნის საზღვრის დადგენასთან დაკავშირებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს, თუ დელიმიტაცია განხორციელდება სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, ანუ ჯერ გავლებული იქნება შუალედური ხაზი, რომლის მოდიფიცირება მოხდება განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, როგორიცა ისტორიული კუთვნილება, გეოგრაფიული თავისებურებანი, საბადოების არსებობა და ა.შ.



ნახ. 8 (გავლებული გერტიკალური ხაზი ყოფს კიაპაზის არეს, წითელ წრეებში; სქემა მოცემულია მე-9 ნახატზე)



## 2. გამოყენებადი სამართალი

მიუხედავად იმისა, რომ არც აზერბაიჯანი და არც თურქმენეთი არ არის UNCLOS-ს მონაწილე, ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო საზღვაო სამართალი გამოყენებული იქნება შესაძლო დალიმიტაციისათვის.

3. სახელმწიფოებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის არ არსებობს შეთანხმება საზღვრის დადგენაზე, და არც რაიმე სხვა ხელშეკრულება, რომელიც მათ შორის საზღვაო საზღვრის შესაძლო განსაზღვრას ასახავს.

## 4. შესაბამისი სანაპიროები<sup>452</sup>

ვინაიდან კონტინენტური შელფის სივრცის განსაზღვრა გამოდინარებს შესაბამისი ნაპირის პროექციიდან,<sup>453</sup> მნიშვნელოვანია დადგინდეს აზერბაიჯანისა და თურქმენეთის სანაპიროთა მოხაზულობა, საიდანაც აითვლება კონტინენტური შელფი.

<sup>451</sup> ob. Andrew Harris, The Azerbaijan – Turkmenistan Dispute in the Caspian Sea, IBPU Boundary and Security Bulletin, Winter 1997-1998. სხვა დავების შესახებ კასპიის ზღვაზე იხ. Анинова Е.С., Территориальные споры в районе Каспийского моря, М., 2010, წყარო: [http://www.sealaw.ru/index.php?option=com\\_content&task=view&id=304&Itemid=76](http://www.sealaw.ru/index.php?option=com_content&task=view&id=304&Itemid=76)

<sup>452</sup> ამ ნაშრომში გეოგრაფიული კოორდინატები არ განიხილება.

<sup>453</sup> იხ. North Sea Continental Shelf (Federal Republic of Germany/Denmark; Federal Republic of Germany/Netherlands) case (Judgment, I.C.J. Reports 1969, p. 51, para. 96); Continental Shelf (Tunisia/Libya Arab Jamahiriya) case, (Judgment, I.C.J. Reports 1982, p. 61, para. 73).

შესაბამისი სანაპიროების დადგენისას, პირველ ეტაპზე წინასწარი თანაბარი მანძილის საზღვარი გაივლება. შემდეგ გათვალისწინებული იქნება განსაკუთრებული გარემოებანი, რომელმაც შესაძლოა ფორმა შეუცვალოს წინასწარ თანაბარ მანძილზე გავლებულ სადელიმიტაციო ხაზს, და მესამე და საბოლოო ეტაპი იქნება შემოწმება იმისა, ხომ არ არსებობს რაიმე სახის არაპროპორციულობა ორივე ქვეყნის სანაპიროს სიგრძისა და კონტინენტური შელფის სივრცის შეფარდებებთან. ეს არის საზღვრის დადგენის მეთოდოლოგია საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმებისა და ჩვეულებების მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ თურქმენეთის მხარეს მდებარე ყურეები და მათი შიდა სანაპიროები UNCLOS მქ-10 მუხლის მიხედვით საზღვრის დადგენისას არ უნდა იქნას მიჩნეული როგორც შესაბამისი სანაპიროები.<sup>454</sup>

რაც შეეხება აზერბაიჯანის მხარეს მდებარე აპშერონის ნახევარკუნძულს, იგი უნდა ჩაითვალოს როგორც სანაპიროს ძირითადი კონფიგურაციის ნაწილი, რაც გავლენას იქონიებს საზღვაო სივრცის ათვლისას. კუნძული ჟილი (Zhiloi) (რომელიც აპშერონის ნახევარკუნძულის მოპირდაპირედ მდებარეობს) არ უნდა იქნას მიჩნეული როგორც სანაპიროს ძირითადი კონფიგურაციის ნაწილი, ამიტომ იგი მიიღება მხედველობაში დელიმიტაციის პროცესში. სხვა შემთხვევაში, თუ ამ კუნძულს მიიჩნევთ სანაპიროს ნაწილად დელიმიტაციის თვალსაზრისით, ეს გამოიწვევს აზერბაიჯანის საზღვაო სივრცის არამართებულ ზრდას, რაც არ შეესაბამება სამართლიანობის პრინციპებს, წარმოადგენს რა გეოგრაფიული მონაცემის იურიდიულ ცვლილებას.<sup>455</sup>

ქვემოთ ასევე მიმოხილულია, იქნება თუ არა ეს კუნძული თანაბარი მანძილის საზღვრის სახეცვლილების ფაქტორი.

## 5. შესაბამისი საზღვაო ტერიტორია

შესაბამისი სანაპიროების განსაზღვრის შემდგომ განისაზღვრება შესაბამისი საზღვაო სივრცე, გამომდინარე დადგენილი სანაპიროების კონფიგურაციდან. ამ მიზნით, აპშერონის ნახევარკუნძული, რომელიც აზერბაიჯანის მხარეს მდებარეობს, შეიძლება იქნეს მიჩნეული როგორც სანაპიროს ძირითადი კონფიგურაციის ნაწილი.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ შესაბამისი საზღვაო სივრცის სამხრეთი საზღვარი ჯერჯერობით ვერ დადგინდება, ვინაიდან არ არსებობს დელიმიტაციის შეთანხმება ირანთან. შესაბამისად, ამ

<sup>454</sup> იხ. UNCLOS, “მუხლი 10. უურეები. (4). თუ უურის ბუნებრივი შესახვლელის მიქვევის წერტილებს შორის მანძილი არ აღემატება 24 საზღვაო მილს, შემაერთებული ხაზი შეიძლება გაივლოს ამ ორ უკიდურესი მიქვევის წერტილებს შორის და წყლები, რომელსაც მოიცავს იგი, ჩაითვლება შიდა წყლებად.”; სქოლით 14 *supra*

<sup>455</sup> იხ. მაგალითად საქმე Libyan Arab Jamahiriya/Malta, Judgment, I.C.J. Reports 1985, § 46-47, p. 30-31, წყარო: <http://www.icj-cij.org/docket/files/68/6415.pdf>

ნაშრომის მიზნებისათვის, შესაბამისი საზღვაო სივრცის სამხრეთის საზღვარი “პირობითად იქნება გავლებული იმ ადგილამდე, სადამდეც, სავარაუდოდ, მესამე ქვეყნის უფლებები”<sup>456</sup> (კ. ი. ამ შემთხვევაში ირანის) მოქმედებს. ჩრდილოეთში შესაბამისი საზღვაო სივრცე ვრცელდება იმ წერტილამდე, რომელიც დადგენილია ზემოთხსენებულ სამმხრივ ხელშეკრულებაში.

#### 6. საზღვაო დელიმიტაციის მეთოდოლოგია: წინასწარი თანაბარი მანძილის (შუალედური) ხაზის გავლება

საზღვრის დადგენის მეთოდოლოგია და მისი 3 საფეხური ზემოთ უკვე იქნა განხილული. ახლა განვიხილოთ წინასწარი თანაბარი მანძილის საზღვრის გავლების წესები. ძირითადად, წინასწარი საზღვრის გავლებისას ისეთი მეთოდები უნდა იქნას გამოყენებული, რომლებიც გეომეტრიულად დასაშვები და ობიექტურებია. ოურქმენეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში, ე.ი. მოპირდაპირე სანაპიროების ქვეყნების მაგალითზე, უნდა გაივლოს თანაბარი ნაპირების თანაბარი დაშორების წერტილებზე აგებული ხაზი, ვინაიდან არ არსებობს ისეთი მიზეზები, რომლებიც ამგვარ წინასწარ დელიმიტაციას დასაწყისშივე არასამართლიანად, ან გამოუსადაგერად წარმოაჩენს.<sup>457</sup>

თანაბარი მანძილის შუალედური სადელიმიტაციო ხაზი უნდა გაივლოს თურქმენეთისა და აზერბაიჯანის ნაპირების ზღვაში ყველაზე უკიდურესად გასული წერტილებიდან. როგორც უკვე აღინიშნა, კასპიის ზღვის მოცემული მონაკვეთი სანაპირო არ წარმოადგენს სირთულეს ობიექტური შუალედური ხაზის გავლებისათვის, და ამიტომ სხვა მეთოდები, როგორიცაა, მაგალითად, ბისექტრისას მეთოდი, არ იქნება საჭირო.<sup>458</sup>

ნიკარაგუა – ჰონდურასის საქმეში,<sup>459</sup> რომელ სახელმწიფოთა ნაპირები გამოირჩეოდა ბუნებრივად ცვალებადი კონფიგურაციით, და ამდენად როგორც იყო მუდმივი საბაზისო წერტილების პოვნა ხაზის გასავლელად, საერთაშორისო სასამართლომ გამოიყენა ბისექტრისას მეთოდი.


აზერბაიჯანისა და თურქმენეთის შემთხვევაში არ არსებობს მიზეზი რომელიც აიძულებდა მხარეებს თანაბარი (შუალედური) ხაზის მეთოდისგან გადახვევას, და ამის შესახებ მხარეებს არც არასდროს უკამათიათ.

<sup>456</sup> ob. *Case concerning Territorial and Maritime Dispute between Nicaragua and Honduras in the Caribbean Sea (Nicaragua v. Honduras)*, judgment of October 8, 2007, para.319. ICJ reports.

<sup>457</sup> ob. *Territorial and Maritime Dispute between Nicaragua and Honduras in the Caribbean Sea (Nicaragua v. Honduras)*, Judgment of 8 October 2007, para. 281.

<sup>458</sup> ანუ დელიმიტაციის ხაზების გეომეტრიული მეთოდით გამოვლის მიღვომა

<sup>459</sup> ob. *Territorial and Maritime Dispute between Nicaragua and Honduras in the Caribbean Sea, (Nicaragua v. Honduras)*, Judgment of 8 October 2007, para. 271)




ნახ. 10

მაგრამ თურქმენეთი, არ უარყოფს რა პირდაპირ თანაბრად დაშორებული ხაზის მეთოდს, სთავაზობს კასპიის სხვა ქვეყნებს ე.წ. თანაბარი მანძილის მეთოდს, რომელიც გეოგრაფიულ პარალელებს ემყარება (იხ. ნახ. 8-11). ამ მოსაზრებას კი არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საფუძველი აღნიშნულ საქმეში.

უფრო მეტიც, ძნელია ანალოგიური მაგალითის მოქებნა საერთაშორისო საზღვაო საზღვრის დადგენის პრაქტიკაში. როგორც იშვიათი შემთხვევა, კოლუმბია-პანამას ხელშეკრულება ეხება განედის პარალელებისა და გრძელის მერიდიანების გამოყენებას საზღვრის დადგენის პროცესში, თანაბარი მანძილის მეთოდთან ერთად, რაც გამოწვეული იყო მეტად სპეციფიკური გეოგრაფიული გარემოებებით,<sup>460</sup> რომელიც, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, არ არსებობს კასპიის ზღვის რეალობაში. ამრიგად, თურქმენეთის აგუმენტი არის უბრალო მცდელობა მოაქციოს სადაო ნავთობის საბადოები თავისი სუვერენიტეტის ქვეშ, მიმართავს რა გეოგრაფიული პარალელების მეთოდს.

<sup>460</sup> იხ. შეთანხმება კოლუმბიასა და პანამას შორის საზღვრების შესახებ, 20 ნოემბერი 1976წ., წყარო: <http://www.un.org/Depts/los/LEGISLATIONANDTREATIES/STATEFILES/COL.htm>



ნახ. 11. (ლურჯი ისრით აღნიშნულია კუნძული ჟილო, წითელი წერტილით აღნიშნულია თურქმენეთის მიერ მოთხოვნილი ტერიტორია, რომელიც მ-10 სურათზეა მოცემული, მწვანე ისარი საზღვრის პარალელური გაყოფა, რომელიც არ მოიცავს აპშერონის ნახევარკუნძულს).

## 7. განსაკუთრებული გასათვალისწინებელი გარემოებანი

როდესაც წინასწარი თანაბარი მანძილის ხაზი გაივლება, “მოძიებული და გარკვეული უნდა იყოს, არსებობს თუ არა ფაქტორები, რომლებიც მოითხოვს გავლებული ხაზის დაზუსტებას ან მის გადაწევას რომელიმე მიმართულებით, იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას სამართლიანი შედეგი.”<sup>461</sup>

აღნიშნულ საქმეში განსაკუთრებულ გარემოებებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

### 7.1. კუნძულების არსებობა<sup>462</sup>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კუნძული ჟილო ვერ გამოდგება როგორც საყრდენი საბაზისო ათვლითი წერტილი წინასწარი დროებით თანაბარი მანძილის ხაზის გავლებისას სანაპიროებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ კუნძულის არსებობა მიჩნეული იქნება როგორც მხედველობაში მისაღები განსაკუთრებული გარემოება, მაშინ წინასწარი თანაბარი მანძილის ხაზი უნდა შეიცვალოს, რათა კუნძულის ადგილმდებარებას სრული ან ნაწილობრივი ეფექტი მიეცას დელიმიტირებული საზღვაო სივრცის მთლიან კონფიგურაციაში.<sup>463</sup>

<sup>461</sup> ob. Land and Maritime Boundary between Cameroon and Nigeria (*Cameroon v. Nigeria: Equatorial Guinea intervening*), Judgment, I.C.J. Reports 2002, p. 441, para. 288.

<sup>462</sup> ამ ნაშრომში განიხილება ის კუნძულები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სადავო სასაზღვრო ხაზის გავლებისას.

<sup>463</sup> ასეთ შემთხვევაში კუნძულის უკიდურესი წერტილები იქნება გასათვალისწინებელი, რომელთა მიხედვით კუნძულის გარშემო აიგდა გარკვეული სიგანის საზღვაო სარტყელი.



ნახ. 12

ეს კუნძული ყველა თავისი პარამეტრის გათვალისწინებით, როგორც ეს საზოგადოებრივი წყაროებიდან არის ცნობილი (მანძილი, მოსახლეობა და ა.შ.), არ უნდა იქნეს მიჩნეული როგორც შესაბამისი მდგომარეობის შემქმნელი გარემოება, რომელიც წინასწარი თანაბარი მანძილის ხაზის ცვლილებას გამოიწვევს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ კუნძულის არსებობა მიღებული იქნება როგორც განსაკუთრებული გარემოება, ამ კუნძულის გათვალისწინებით შექმნილი ზერბაიჯანის სანაპიროს პროექცია კონტინენტურ შელფზე ვერ გადაფარავს ნავთობის სადათ საბადობის სივრცეს, როგორც ეს მე-12 ნახატზეა მოცემული.

ამასთან ერთად, კუნძულს უსაფრთხოების მიზნით შესაძლოა გააჩნდეს ტერიტორიული წყლების სარტყელი, UNCLOS-ს მე-3 მუხლის დებულებათა მიხედვით.<sup>464</sup>

## 7.2. მხარეთა ქმედება

7.2.1. რესურსები როგორც დელიმიტაციისას გასათვალისწინებელი ფაქტორი: ნებართვა (კონცესია) ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე, რესურსების საექსპლუატაციო საქმიანობა

<sup>464</sup> იხ. UNCLOS, მუხლი 3. “ტერიტორიული ზღვის სიგანე: ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება დაადგინოს მისი ტერიტორიული ზღვის სიგანე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 12 საზღვაო მილს, რომელიც აითვლება ამ კონვენციის შესაბამისად განსაზღვრული საწყისი ხაზებიდან,” სქოლით 14 *supra*

როგორც შპე ალინიშნა, სამივე სადაო ნავთობის საბადო სადღეისოდ აზერბაიჯანის მმართველობის ქვეშ იმყოფება, და იგი ახორციელებს მათ ექსპლუატაციის.<sup>465</sup>

ქვემოთ განხილული საქმეები განმარტავს, თუ რამდენად და რანაირად არის შესაძლებელი ბუნებრივი რესურსების გათვალისწინება განსაკუთრებულ გარემოებად – ფაქტორად სადელიმიტაციო ხაზის გავლებისას.

ნიგერია-კამერუნის საქმეში,<sup>466</sup> ნიგერია აცხადებდა, რომ კამერუნის მიერ გავლებული საზღვარი გავლენას იქონიებდა ნავთობის ლიცენზიებზე, რომელიც ნიგერიას უკვე გადაცემული ჰქონდა მესამე პირებისთვის, და ეს იყო გარემოება, რომელიც სასამართლოს უნდა მიეღო მხედველობაში საზღვრების დადგენისას.

სასამართლომ ამ საქმეში დაადგინა, რომ ნავთობთან დაკავშირებული პრაქტიკა არ იყო ის ფაქტორი, რომელიც შესაძლოა გათვალისწინებულიყო საზღვაო დელიმიტაციისას, და შესაბამისად გავლენა მოეხდინა შუალედური ხაზის გადაწევაზე.

ტუნისი-ლიბიას საქმეში სასამართლომ ასევე უარყო არგუმენტი იმის შესახებ, რომ ნავთობის საბადო არის დელიმიტაციის საგანი, და არა საკუთრივ კონტინენტური შეღვი.

ანალოგიურად, გვინეასა და გვინეა ბისაუს საერთაშორისო საარბიტრაჟო საქმეში<sup>468</sup> იქნა მიჩნეული, რომ არბიტრაჟი არაა უფლებამოსილი კომპენსირება გაუკეთოს იმ ქვეყანას, რომლის სივრცეში სამართლიანი დელიმიტაციის შედეგად არ აღმოჩნდება ბუნებრივი რესურსები, და მოუწოდა მხარეებს განავითარონ ურთიერთ[შორის] ეკონომიკური თანამშრომლობა.

იან მაიენის<sup>469</sup> კუნძულთან (Jan mayen) დაკავშირებულ საქმესთან მიჩნეული იქნა რესურსების ერთობლივი ათვისების მიზანშეწონილება.<sup>470</sup>

სხვა საზღვაო საზღვრებთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებები, თანამიმდევრულად მიყვება აღნიშნულ პრაქტიკას, უარყოფს რა რესურსებისა და ეკონომიკური მდგომარეობების გათვალისწინებას, როგორც განსაკუთრებულ გარემოებას

<sup>465</sup> იხ. საინფორმაციო წყარო: <http://analitika.at.ua/news/2009-08-31-13200>

<sup>466</sup> იხ. ICJ Judgements : <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=74&case=94&code=cn&p3=4>

და მისი ინტერპრეტაცია: <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=52&case=101&code=nc&p3=4>

<sup>467</sup> იხ. Case concerning the continental shelf [Tunisia v. Libyan Arab Jamahiriya] I.C.J Reports 1982 p.3

<sup>468</sup> იხ. 25 I.L.M 252 [1986]; Offshore delimitation in R. J. Zedalis, International Energy Law [Aldershot, Ashgate/Dartmouth, 2000] p.49 -79

<sup>469</sup> იხ. Conciliation commission on the continental shelf area between Iceland and Jan Mayen: Report and Recommendations to the Governments of Iceland and Norway. Reprinted in 23 I.L.M 797 [1981]

<sup>470</sup> იხ. Tribunal award II in the case of Eritrea v. Yemen citing the separate judgement of Judge Jessup in the North Sea cases.

დელიმიტაციისას, და, კერძოდ, შუალედური ხაზის მოდიფიცირებისას. ანალოგიურ სიტუაციას წარმოადგენს კასპიის ზღვის შემთხვევაც.<sup>471</sup>

საერთაშორისო სასამართლოს ძირითადი შეხედულება საზღვაო დელიმიტაციასთან დაკავშირებით გამოხატულია ჯერ კიდევ ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის საქმეში,<sup>472</sup> სადაც სასამართლომ დასკვნა, რომ ქვეყნების კონტინენტური შელფის საზღვრების დადგენამ შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა სახელმწიფოს სივრცეთა ურთიერთგადაფარვა. ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებული პრობლემები უნდა გადაწყვდეს შეთანხმების საფუძველზე, ან გადაფარული სივრცეების თანაბრად განაწილებით, ან ასეთი ტერიტორიების საერთო გამოყენებით; ხოლო მოცემული ბოლო ვარიანტი მაშინ არის ყველაზე მისაღები, როდესაც საუბარია ბუნებრივი რესურსების ერთიანობაზე.<sup>473</sup>

### 7.2.2. უფლებური მართვა და მასთან დაკავშირებული პრინციპები

აზერბაიჯანის მხარე<sup>474</sup> აპელირებს რომის სამართლის *uti possidetis juris* და *de facto*<sup>475</sup> პრინციპებისადმი, რომელიც განეკუთვნება უძრავი ქონების მესაკუთრის უფლებათა ინსტიტუტს. ამ პრინციპებზე დაყრდნობით აზერბაიჯანი მიიჩნევს, რომ, ფლობს რა ფაქტობრივად და იყენებს სადაო საბადოებს, მას აქვს მათზე საკუთრების უფლება. ამ ყოველივე სასარგებლოდ არსებობს რამოდენიმე თეორული მოსაზრებაც, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში გამოითქვა, როგორიცაა საკუთრების ფლობის ხელშეუხებლობა და არსებული საკუთრების უფლების წინააღმდეგ მოთხოვნათა ხანდაზმულობა.<sup>476</sup>

<sup>471</sup> ob. Case concerning the Continental Shelf [Libyan Arab Jamahiriya v. Malta] I.C.J Reports 1985 p.68  
Malta had complained of a relatively poor economic situation. ob. the Gulf of Maine case between Canada and the United States of America ICJ Reports 1984 p. 310-311

<sup>472</sup> ob. ICJ Reports 1969 p. 52

<sup>473</sup> ob. William T. Onorato, *Apportionment of an International Petroleum Deposit*, 17 ICLQ 85 (1968). and cited examples of such cooperation; and in the last thirty years there has grown up a significant body of cooperative State practice in the exploitation of resources that straddle maritime boundaries. The papers in a volume published by The British Institute of International and Comparative Law summarise and analyse this practice, Edited by Hazel Fox, *Joint Development of Offshore Oil and Gas* (1990) by R.R. Churchill, Kamal Hossein, Isa Huneidi, Masahiro Miyoshi, Ian Townsend-Gault, Anastasia Strati, H. Burmester, Clive R. Symmons, Thomas H. Walde, Brenda Barrett, P. Birnie and A.D. Read. as does a more recent study by Masahiro Miyoshi, *The Joint Development of Offshore Oil and Gas in Relation to the Maritime Boundary Delimitations*, International Boundaries Research Unit, 1999. I.F.I. Shihata and W.T. Onorato, *Joint Development of International Petroleum Resources in Undefined and Disputed Areas*, International Conference of the LAWASIA Energy Centre, Kuala Lumpur, 1992. ob. Award II Para. 84

<sup>474</sup> ob. Мамедов Р. Международно-правовой статус Каспийского моря: вчера, сегодня, завтра (Вопросы теории и практики). Ч. II. Становление международно-правового статуса Каспийского моря с древнейших времен до 1991 г. // Центральная Азия и Кавказ. Общественно-политический журнал. 2000. №3 (9). (ИАЦ “Central Asia and Caucasus” — Швеция); Mamedov R. International legal status of Caspian Sea in its historical development // Caspian energy/ Quarterly analitical journal. 2000. Summer. №2.

<sup>475</sup> ob. ზოგადი *interdicta retinendae possessionis* დოქტრინის შესახებ Mullerson, Rein, International Law, Rights and Politics. Developments in Eastern Europe and the CIS, 0 Routledge, London, 1994, ob. ასევე სქოლით 424 *supra*.

<sup>476</sup> ob. Талалаев А.Н. Международные договоры в современном мире. М., 1973. с. 164-165.

ერთის მხრივ ნავთობის სადაო საბადოები, მართლაც რომ აზერბაიჯანის მმართველობის ქვეშ იყო და არის: ეს საბადოები მოკვლეულ და აღმოჩენილ იქნა საბჭოთა აზერბაიჯანის მიერ (აზერბაიჯანის სსრ) საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. მათი აღმოჩენის დღიდან ისინი მუდმივად იყოფებოდა საბჭოთა აზერბაიჯანის მფლობელობაში. მაგრამ არ არსებობს რაიმე სახის დოკუმენტი, მიღებული კომპეტენტური ორგანოს მიერ, როგორიც შეიძლება ყოფილიყო საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც დაადგენდა აზერბაიჯანის საზღვაო ტერიტორიების საზღვრებს, და რომელიც ასევე განსაზღვრავდა ნავთობის საბადოების აზერბაიჯანისთვის მიკუთვნების საკითხს.

საბჭოთა კავშირს საერთოდ არ გაუვლია არცერთი შიდა საზღვაო საზღვარი შემადგენელ რესპუბლიკებს შორის. ასევე, საბჭოთა კავშირში არსებულ ყოველგვარ უძრავ ქონებას ფლობდა და განკარგავდა თავად საბჭოთა კავშირი და არა საბჭოთა კავშირში შემავალი რომელიმე ქვეყანა ცალკე, რაც ზემოთხსენებულ “არსებული მდგომარეობის შენარჩუნების” *uti possidetis juris* პრინციპს ნაკლებად შესაძლებელს ხდის ამ საქმეში.

რაც შეეხება არსებული მდგომარეობის შენარჩუნების დე ფაქტო პრინციპს *uti possidetis de facto*, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს არ ჰქონდათ უფლებამოსილება დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ ნავთობთან დაკავშირებული საკითხები, ისევე როგორც ამ საბადოებზე მომუშავე საბჭოთა პერსონალს არ ჰქონდა ცალკე მოქალაქეობა. პოსტ-საბჭოური პერიოდი კი იმდენად ხანმოკლე არის, რომ რაიმე ისტორიული მფლობელობის არგუმენტი გამოუსადეგარია, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანის მიერ ნავთობის საბადოების ფლობას არასდროს ეთანხმებოდა თურქმენეთი.<sup>477</sup>

ამას გარდა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნების *uti possidetis* პრინციპი, რომელიც ადრეულ ეტაპზე გამოიყენებოდა დეკოლონიზებულ ქვეყნებს შორის არსებული ტერიტორიული დავების გადაწყვეტისას, ყოველთვის აღიარებული იყო მოდავე ქვეყნების მიერ სასამართლო პროცესებზე, და გამოიყენებოდა როგორც სახმელეთო საზღვრის დადგენის ერთ-ერთი ელემენტი.<sup>478</sup> საეჭვოა, რომ თურქმენეთი დათანხმებოდა *uti possidetis* პრინციპის გამოყენებას საზღვაო დელიმიტაციის დავასთან დაკავშირებით.<sup>479</sup>

<sup>477</sup> ob. "...In July of 1997 the Governments of Azerbaijan and Russia had signed the agreement of joint operations in the Kiapaz (Serdar) oil field (which ownership is argued by Turkmenistan) however it was soon in August of 1997 dissolved by Russian president following the protest of Turkmenistan. Azerbaijan wants clarification on Caspian," J. COM., Aug. 28, 1997. Same year Turkmenistan applied to the UN for assistance in solving of that disputable problem. ob. Mikhail Alexandrov, Russian-Kazakh Contradictions on the Caspian Sea Legal Status, RUSS. & EURASIAN BULL., Feb. 1998 (Contemporary Europe Research Centre, University of Melbourne).

<sup>478</sup> ob. Frontier Dispute Case. *Burkina Faso v. Mali*. ICJ Reports, 1986. <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&k=b3&case=69&code=hvm&p3=5>

<sup>479</sup> ob. Д-р Владимир МЕСАМЕД, ТУРКМЕНИСТАН - ИРАН : ДРУЖБА ПОНЕВОЛЕ ? СА&CC Press® AB /Central Asia & Central Caucasus Press AB, 1998.

რაც უფრო მნიშვნელოვანია, “....ნაპირებს მიმდებარე ზღვის სივრცეების მსგავსად, მდინარეები და ტბები ჩვეულებრივ ექცევიან სახელმწიფო სუვერენიტეტის ქვეშ სანაპიროდან სუვერენიტეტის გავრცელების პრინციპით, დამოუკიდებლად ამ სივრცეების ოკუპირებისა ან მართვისა.”<sup>480</sup>

ზემოთხსენებული პრინციპების გამოყენება უბრალოდ არის რომის სამართლის გამოყენებით ნაკლებად დასაბუთებული ტერიტორიული პრეტენზიების<sup>481</sup> დაკმაყოფილების მცდელობა.

განვიხილეთ რა შესაძლო განსაკუთრებული გარემოებანი, მივედით იმ დასკვნამდე, რომ არც ერთი მათგანი არ ხასიათდება იმ დონის მნიშვნელობით, რომ რაიმე გავლენა მოახდინოს წინასწარი თანაბარი მანძილის ხაზის გავლებაზე, ისევე როგორც არ არსებობს რაიმე საეციფიკური გეოგრაფიული პირობები, როგორიცაა სანაპირის უსწორმასწორობები, მნიშვნელოვანი კუნძულები და ა.შ. ამრიგად მიუმართოვთ დელიმიტაციასთან დაკავშირებულ ბოლო საკითხს – არაპროპორციულობის ტესტს.

## 8. არაპროპორციულობის ტესტი

რადგან არ არსებობს გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს დროებით თანაბარი მანძილის საზღვრებზე, უნდა შემოწმდეს ხომ არ იწვევს ასეთი საზღვარი რაიმე მნიშვნელოვან არაპროპორციულობას შესაბამის სანაპირო სიგრძეებთან მიმართებაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ კონტინენტალური შელფის სივრცე არ უნდა დაწესდეს შესაბამისი სანაპირო ზოლის სიგრძის ზუსტი პროპორციულობით, და ეს ყოველივე შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ დაახლოებით.

არაპროპორციულობის ტესტის კრიტერიუმებიც საკმაოდ ბუნდოვანია, რომ მას დავეყრდნოთ სხვადასხვა პრეტენზიების დაზუსტებისას, – იგი უფრო გამოდგება აშკარა არაობიექტურობის გამოსარიცხად.

თუმცა, ერთობლივი განვითარების გამოყენებაზე ყურადღების გამახვილებამდე, ლირს განვიხილოთ ზოგადად ირანის პრეტენზიები.


## ირანის მოთხოვნები

<sup>480</sup> ob. Bernard Oxman, *Caspian Sea or Lake: What Difference Does It Make?* CASPIAN CROSSROADS MAG., Winter 1996.

<sup>481</sup> ob. In July of 1997 the Governments of Azerbaijan and Russia had signed the agreement of joint operations in the Kiapaz oil field (which ownership is argued by Turkmenistan) however it was soon in August of 1997 dissolved by Russian president following the protest of Turkmenistan. ob. Azerbaijan wants clarification on Caspian, J. COM., Aug. 28, 1997.

In the same year Turkmenistan applied to the UN for assistance in solving of that disputable problem. ob. Mikhail Alexandrov, Russian-Kazakh Contradictions on the Caspian Sea Legal Status, RUSS. & EURASIAN BULL., Feb. 1998 (Contemporary Europe Research Centre, University of Melbourne).

როგორც უკვე აღინიშნა, დასაწყისში ირანი მხარს უჭერდა კონდომინიუმის (თანასაკუთრების) რეჟიმს და მოგვიანებით კასპიის ზღვის თანაბრად გაყოფას – ე.ი. ზღვის 20-20% უნდა მიეკუთვნოდა ყოველ ზღვისპირა ქვეყანას – ნახ. 13 (წითელი პირდაპირი ხაზი არის საბჭოეთის მიერ დადგენილი ასტარა – პასან-კულის პირობითი საზღვარი; ცისფერი მრუდი ხაზი არის წინასწარი თანაბარი დაშორების სადელიმიტაციო საზღვრის შესაძლო ვერსია; მწვანე მართკუთხა ხაზი არის 20% პროპორციული განაწილება, როგორც მოთხოვნილი იყო ირანის მიერ).



ნახ. 13<sup>482</sup>

ერთის მხრივ, ასტარა-პასან-კულის ჩრდილოეთით ზღვის ნებისმიერ ნაწილზე ირანის პრეტენზიები შეიძლება გაქარწყლდეს *estoppel*<sup>483</sup> პრინციპის შესაბამისად, და ასეთი პრეტენზიები ნაკლებად გამყარებული იქნება არაპროპორციულობის ტესტით. მართლაც, ასტარა-პასან-კულის ხაზის გასწვრივ დემარკაცია და შესაბამისი საზღვაო სივრცის სამხრეთით ირანისთვის მიკუთვნება სავარაუდოდ არ გამოიწვევს უსამართლო შედეგს, ე.ი. იმგვარად, რომ არ იქნება აშკარად არაპროპორციული ირანის სანაპირო ზოლის სიგრძისა.<sup>484</sup>

მეორეს მხრივ, საერთაშორისო საზღვაო საზღვრების დადგენის პრინციპების თანახმად, ირანს შეუძლია პრეტენზია განაცხადოს დემარკაციაზე თანაბარი მანძილის/განსაკუთრებულ გარემოებათა წესების საფუძველზე, მაგრამ ირანს ამგვარი პრეტენზია ჯერ არ განუცხადებია.

<sup>482</sup> ი. : [http://vivovoco.rsl.ru/VV/JOURNAL/NATURE/01\\_07/CASPIAN.HTM](http://vivovoco.rsl.ru/VV/JOURNAL/NATURE/01_07/CASPIAN.HTM)

<sup>483</sup> ი. სქოლით 429 *supra*.

<sup>484</sup> ი. Brice M. Clagett, Ownership of Seabed and Subsoil Resources in the Caspian Sea Under the Rules of International Law, CASPIAN CROSSROADS MAG., (1995).

და მაინც, საინტერესო იქნებოდა განგვეხილა ირანის ფორმალური მიღებოდა ზოგადად საზღვაო დელიმიტაციის წესების მიმართ. 1993წ. ირანმა აამოქმედა “სპარსეთის უკურეში და ომანის ზღვაზე ირანის ისლამური რესპუბლიკის საზღვაო ტერიტორიების შესახებ აქტი.”<sup>485</sup> მაშინ როდესაც ეს აქტი ძირითადად შეესაბამება UNCLOS-ს (რომლის ხელმომწერი ირანი არ არის), მისი ცალკეული დებულებანი არ არის თანხვედრი საერთაშორისო საზღვაო სამართლის მოთხოვნებთან, - ეს ეხება კუნძულების რეჟიმს, სანაოსნო საშუალებების მშვიდობიან გავლასა და ზღვაოსნობის თავისუფლებას. თუმცა, რაც შეეხება საკუთრივ დელიმიტაციას, ამ აქტის მე-19 მუხლით ადიარებულია თანაბარი დაშორების ხაზის გამოყენება.

ამგვარად, ირანი ზოგადად ადიარებს თანაბარი დაშორების პრინციპს, რომელიც ამ დრომდე არ იქნა გამოყენებული მის მიერ კასპიის ზღვის მიმართ.

ზემოთ გაკეთებული ანალიზი აჩვენებს, რომ კასპიის ზღვის დელიმიტაციის საკითხები დაკავშირებულია საერთაშორისო საჯარო სამართალთან, რომელიც მოითხოვს დელიმიტაციის ჩატარებას სამართლიანად, თანაბარი მანილის/განსაკუთრებული გარემოებების მეთოდის გამოყენებით.<sup>486</sup>

სამართლიანი შედეგის მისაღწევად, და მიღწეული შედეგის გასაანალიზებლად შესაძლოა ასევე თეორიულად დამუშავებული მეთოდის გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, თანაბარკოეფიციენტიანი მეთოდი. ეს არის შედარებით მარტივი მეთოდი ობიექტური, სამართლიანი შედეგის მისაღწევად. მაგ., თანაბარკოეფიციენტიანი მეთოდით მარტივად გავლებული საზღვრები ახლოსაა ჩრდილოეთ ზღვის კონტინენტური შელფის სახელმწიფოებს შორის არსებულ საზღვრებთან, რომელიც დაგინდა კომპლექსური, მრავალწლიანი სასამართლო დაგის გადაჭრის შედეგად. ამ მეთოდით გავლებული ხაზი წარმოადგენს სასაზღვრო ხაზს, რომლის ყოველი წერტილი დაშორებულია მუდმივი კოეფიციენტით

<sup>485</sup> ob. Limits in the Seas, No. 114 – March 16, 1994, Iran's Maritime Claims, BIR, Department of State, წყარო: <http://www.state.gov/documents/organization/58228.pdf> ირანის ტერიტორიული პრეტენზიები სპარსეთის უკურეში არაა სრულ შესაბამისობაში UNCLOS-ს მოთხოვნებთან, რაზედაც რიგ სახელმწიფოს, მ.შ. აშშ-ს, აქვს გაკეთებული განცხადება (იქვე გვ. 37), მაგრამ აღნიშნული საკითხი დღემდე მოუგვარებებული რჩება. ირანი არ არის UNCLOS-ს ხელმომწერი,


[http://www.un.org/Depts/los/reference\\_files/chronological\\_lists\\_of\\_ratifications.htm](http://www.un.org/Depts/los/reference_files/chronological_lists_of_ratifications.htm). ამგვარად, ირანის რაიმე ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგავს UNCLOS-ს, ვერ იქნება გაპროტესტებული ვენის 1969წ. საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ კონვენციის მე-18 მუხლის საფუძველზე, ი.ხ.

[http://untreaty.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1\\_1\\_1969.pdf](http://untreaty.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_1_1969.pdf); რომელიც ირანს არა აქვს რატიფიცირებული, ი.ხ.

[http://treaties.un.org/pages/ViewDetailsIII.aspx?&src=TREATY&mtdsg\\_no=XXIII~1&chapter=23&TEmpl=mtdsg3&lang=en](http://treaties.un.org/pages/ViewDetailsIII.aspx?&src=TREATY&mtdsg_no=XXIII~1&chapter=23&TEmpl=mtdsg3&lang=en)

<sup>486</sup> ob. Brice M. Clagett, Ownership of Seabed and Subsoil Resources in the Caspian Sea Under the Rules of International Law, CASPIAN CROSSROADS MAG., (1995)

დადგენილი მანძილით იმ საბაზისო წერტილებიდან, საიდანაც აითვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე.<sup>487</sup>



ნახ. 14 (წყვეტილი ხაზი არის თანაბარკოეფიციენტიანი საზღვარი – შეადარეთ ჩრდილოეთ ზღვის ფაქტიურ საზღვრების – მუდმივი ხაზი).

### (ii) ერთობლივი განვითარების პერსაუქტიული გამოყენება<sup>488</sup>

მიმაჩნია, რომ /რესურსების/ ერთობლივი განვითარების სისტემა, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა როგორც დროებითი საშუალება,<sup>489</sup> შესაძლოა ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი გამოდგეს და მისაღები კასპიისპირა ქაეყნებისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა,<sup>490</sup> UNCLOS-ის 74-ე და 83-ე მუხლები მოითხოვს, რომ, თუ სახელმწიფოები ვერ შეთანხმდებიან საზღვრის დადგენაზე, მათ უნდა შეიმუშავონ “პრაქტიკული ხასიათის დროებითი დონისძიებანი.” ამასთან, “პრაქტიკული ხასიათის დროებითი

<sup>487</sup> ob. Wijnand Langeraar, Maritime Delimitation: The equiration method – a new approach, 1986

Source: Langeraar Wijnand. Maritime delimitation: The equiratio method - a new approach // Marine Policy. - 1986. - Vol. 10. - № 1. source: [http://www.csc.noaa.gov/mbwg/\\_pdf/biblio/Langeraar.pdf](http://www.csc.noaa.gov/mbwg/_pdf/biblio/Langeraar.pdf)

<sup>488</sup> ob. I. F. I Shihata, W. T. Onorato, 'Joint Development of International Petroleum Resources in Undefined and Disputed Areas' in G. H. Blake, M. A. Pratt, C. H. Schofield, Eds. , Boundaries and Energy: Problem and Prospects [1998] 436-437.

<sup>489</sup> ob. ზოგადად სქოლით 398 supra.

<sup>490</sup> იქვე

დონისძიებების” არსი კონვენციაში მითითებული არ არის. ამგვარად, ასეთი დონისძიებების ხასიათი უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევასთან მიმართებაში: რესურსების რაოდენობის, ტერიტორიული მოცულობის და სხვა საკითხების გათვალისწინებით. მიზანი უნდა მდგომარეობდეს “სადელიმიტაციო ტერიტორიის დროებითი გამოყენების ხელშეწყობაში.”<sup>491</sup>

ნავთობისა და გაზის საბადოების ერთობლივი გამოყენების რეგულირება კი წარმოადგენს ასეთი დროებითი თანამშრომლობის უპირველეს მოდელს.<sup>492</sup>

რადგან UNCLOS არ მოქმედებს კასპიის ზღვის მიმართ, შეუძლებელია ზღვისპირა სახელმწიფოები დაავალდებულო ამგვარად იმოქმედონ, თუმცა მათ შეუძლიათ გამოიყენონ დროებითი რეგულირებების (დონისძიებების) პრაქტიკული მექაქნიზმი ერთობლივ განვითარებაზე არსებული პრეცედენტების მიხედვით.

ერთობლივი განვითარება შეიძლება ეხება მთლიანად სადელიმიტაციო სივრცეს, ან მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც არსებობს საბადოები.<sup>493</sup>

ზოგ შემთხვევაში, საერთო რესურსის აღმოჩენის შესაძლებლობა საკმაო სტიმულს წარმოადგენდა სახელმწიფოებისათვის ჩამოეყალიბებინათ ერთობლივი განვითარების (რესურსების ათვისების) პროგრამა საერთო სადელიმიტაციო სივრცის გარკვეული ზონის მიმართ.<sup>494</sup>

სხვა შემთხვევებში, მხოლოდ სივრცეთა გადაფარვის არსებობა (ან ამის ვარაუდი) საქმარისი იყო ერთობლივი საქმიანობის მისაღწევად (მალაიზია-ტაილანდი),<sup>495</sup> ისევე, როდესაც პრაქტიკული დელიმიტაცია არც იყო დაწყებული (სუდანი-საუდის არაბეთი).<sup>496</sup>

ყოფილი კოლონიები, რომელთა სივრცის დაყოფას მესამე მხარის (დომინონის) მიერ ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოები არ ეთანხმებოდნენ, ასევე ირჩევენ ერთობლივი გამოყენების რეჟიმს.<sup>497</sup>

<sup>491</sup> ob. R. Lagoni, Interim Measures Pending Maritime Delimitation Agreements, [78 Am. J. Int'l L. 354 \(1984\)](#).

<sup>492</sup> ოქვე გვ. 361, 362.

<sup>493</sup> ob. S.H. Amin, Customary Rules of Delimitation of the Continental Shelf: The Gulf States Practice, 11 J. Mar. L. & Com. 509, 510-513 (1980)

<sup>494</sup> ob. R. R. Churchill, Falkland Islands-Maritime Jurisdiction and Co-operative Arrangements with Argentina, in Current Developments, 46 Int'l & Comp. L. Q. 468 (C. Warbrick & D. McGoldrick eds., 1997).

<sup>495</sup> ob. D. Ong, Thailand/Malaysia, the Joint Development Agreement 1990, 6 Int'l J. Estuarine & Coastal L. 67 (1991).

<sup>496</sup> ob. M. Miyoshi, The Joint Development of Offshore Oil and Gas in Relation to Maritime Boundary Delimitation, 2 Mar. Briefing No 5 at 30 (C. Schofield ed., 1999).

<sup>497</sup> ob. V.J.R. Prescott, Report on Guinea Bissau-Senegal, in 2 Int'l Mar. Boundaries, 2 Int'l Mar. Boundaries, 75, 87 n.49, (J. I. Charney & L. M. Alexander eds., 1993) at 2253.

კასპიის ზღვის შემთხვევაში ირანთან შეთანხმების მიღწევა არის უპირველეს ყოვლისა აზერბაიჯანისა და თურქენეთის პასუხისმგებლობა, რადგანაც ისინი უშუალოდ ესაზღვრებიან ირანს. თუმცა ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის ერთობლივი განვითარების რეჟიმი არ არის უცხო: რუსეთსა და ყაზახეთს უკვე გაფორმებული აქვთ შეთანხმება კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში, გამყოფ ზოლზე არსებული საბადოების ერთობლივი ათვისების შესახებ. მსოფლიოში არსებული მრავალი მაგალითი გამოხატავს სივრცისა და წიაღის ერთობლივი განვითარების არა მარტო შესაძლებლობას, არამედ რეჟიმების მრავალფეროვნებას, რაც მას მეტად მოქნილ მექანიზმად აქცევს, დაწყებული საბადოების ერთობლივი ათვისებით, დამთავრებული მხოლოდ შემოსავლების განაწილებით.<sup>498</sup>

ამასთან აღსანიშნავია, რომ კასპიის ახალი დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებები ქმნის გარკვეულ უკუწინაპირობას ირანთან შეთანხმების მისაღწევად, ვინაიდან ასეთი ორმხრივი ხელშეკრულებები დაიდო ირანის პოზიციის იგნორირებით.<sup>499</sup>

თუმცა, ადრეული ფაქტობრივი საზღვარი (ამ შემთხვევაში ასტარა – ჰასან-კულის ხაზი) შეიძლება მართებულად ჩაითვალოს მესამე სახელმწიფოებს შორის დროებითი ერთობლივი განვითარების ზონების ჩამოყალიბებისათვის, რაც, თავის მხრივ, არ გამორიცხავს ირანის თანხმობას, მაგრამ გამოდგება არგუმენტად მასთან მოლაპარაკებებში.<sup>500</sup>

### (გ) შესაძლო დელიმიტიაციის შედეგები ირანისათვის

კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ფორმირებაში მისი ნაკლებ კონსტრუქციული როლის გათვალისწინებით, ირანს ამჟამად გააჩნია საშუალება შეზღუდული ზეგავლენა მოახდინოს კასპიის ზღვის ჩრდილოეთი და შუა ნაწილების დელიმიტაციაზე. “ირანმა ძირითადად თავად შეზღუდა თავისი არჩევანის უფლება. როდესაც რუსეთმა, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა დაიწყეს ნავთობის საბადოების გაყოფა ზღვის ფსკერზე, ირანი ასეთი გაყოფების წინააღმდეგი იყო. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ირანს სათანადო ყურადღება არ მიუქცია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. არ არსებობდა საფუძველი მჭიდრო ურთიერთობებისა. როგორც ნათლად

<sup>498</sup> ი. მ. Miyoshi, The Basic Concept of Joint Development of Hydrocarbon Resources on the Continental Shelf, 3 Int'l J. Estuarine & Coastal L. 1 (1988).

<sup>499</sup> ი. ზოგადად დაუყოფელი რესურსების დალმერივად ათვისების შესახებ R. Churchill & G. Ulfstein, Marine Management in Disputed Areas: The Case of the Barents Sea 85 (1992).

ი. ასევე UNCLOS მუხ. 83 ცალმხრივი ქმედებებისაგან თავის არიდების შესახებ, სქოლით 14 *supra*.

<sup>500</sup> ი. აgreement between Japan and the Republic of Korea Concerning Joint Development of the Southern Part of the Continental Shelf Adjacent to the Two Countries, Jan. 30, 1974, reproduced in 2 Int'l Mar. Boundaries, 75, 87 n.49, 1065 (J. I. Charney & L. M. Alexander eds., 1993).

სჩანს, დიდი ზარალი კასპიის ზღვის რეგიონში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ირანმა განიცადა. ეს ზარალი უფრო თვალსაჩინოა, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ რუსეთს, ყაზახეთსა და აზერბაიჯანს შეთანხმების მცდელობას კასპიის ზღვის ფსკერის რესურსების დაყოფაზე. საგარეო პოლიტიკაში ყველაფრის უარყოფა მხოლოდ მოკლე პერიოდის განმავლობაშია შესაძლებელი. ადრე თუ გვიან საქმის ნამდვილი არსი გამოვლინდება და ყველასთვის გახდება ცნობილი.”<sup>501</sup>

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ირანის კონსტიტუციული წინადადება მიმდინარე ვითარებაში იქნებოდა ის, რომ მას მოეთხოვა ნავთობის პროექტებში გარკვეული მონაწილეობა ერთობლივი განვითარების ან მსგავსი სქემების მეშვეობით.<sup>502</sup> ირანისათვის თავდაპირველად სასურველ კონდომინიუმის (ყველაფერზე თანასაკუთრების) პრინციპისა და ერთობლივი განვითარების, როგორც დროებითი დონისძიების შორის, ძირითადი განსხვავება არის ის, რომ ბუნდოვანი კონდომინიუმის პრინციპის გამოყენება არაპრაქტიკულია და არ აღწევს არც სამართლიან შედეგს და არც სადაც ტერიტორიული საკითხების საბოლოო გადაწყვეტის წინაპირობას ქმნის.<sup>503</sup>

ერთობლივი განვითარების რეჟიმი, რომელიც ეხება კონკრეტულ სივრცეს, ნავთობ/გაზის საბადოებს და ა.შ. გამოცდილია საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც შუალედური ზომა, რომელიც ამზადებს მოდავე ქვეყნებს შორის მორიგების ნიადაგსა და საფუძვლებს.

მეორე არჩევანი ირანისათვის მდგომარეობს საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვაში, UNCLOS-თან შეერთებით და/ან საერთაშორისო ჩვეულებათა სამართლის მეშვეობით.<sup>504</sup> მაგალითად, ირანის სპეციალურმა წარმომადგენელმა კასპიის საკითხებზე, გამოვიდა რა ორმხრივი შეთანხმებების წინააღმდეგ, განაცხადა, რომ “ირანი იტოვებს უფლებას მიმართოს საერთაშორისო არბიტრაჟს.”<sup>505</sup>

კასპიის სტატუსზე ცალმხრივი სარჩელის პერსპექტივის დეტალური ანალიზი ამ ნაშრომის საგანი არ არის, თუმცა, ყოველივე

<sup>501</sup> ob. სქოლით 106 *supra*

<sup>502</sup> ორხრივი ხელშეკრულებები შეიცავს დებულებას, რომ არ შეუშლის ხელს საბოლოო ყოვლისმომცველი სადელიმიტაციო შეთანხმების გაფორმებას.

<sup>503</sup> წყლის ობიექტის საერთო საკუთრების მაგალითები როგორდ მოსამიებელია, ob. Bernard Oxman, Caspian Sea of Lake: What Difference Does It Make?”, CASPIAN CROSSROADS MAG, Winter 1996. 3 J.H.W. VERZIJL, INTERNATIONAL LAW IN HISTORICAL PERSPECTIVE 19 (1970).

არსებობს მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს ერთი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ფონსეკას ყურეს საერთო საკუთრებას, რომელსაც გააჩნია უნიკალური გეოგრაფიული მდგომარეობა; ეს საქმე ჯერ საბოლოოდ განხილული არ არის: The Case Concerning the Land, Island and Maritime Frontier Dispute (El Salvador/Honduras: Nicaragua intervening), 1992 I.C.J. 351, 582-606 (judgment).

<http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=0&case=75&code=sh&p3=5>

<sup>504</sup> ob. Vladimir Socor, The Guns of Summer: Iran Prowls the Caspian, Wall St. J. Eur. (New York), Aug. 3, 2001, at 7.

<sup>505</sup> ob. BP Defies Iran Over Caspian, Iran Times (Washington, D.C.), Dec. 14, 2001, at 1..

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველო, რომ ირანი თუნდაც პროცესუალურად რაიმე წარმატებას მიაღწევდეს.

დაბოლოს, რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობებს, სავარაუდოა, რომ ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების გეგმა კასპიის ზღვის ფსკერის გაყოფაზე ფართო მხარდაჭერას მოიპოვებს, რამდენადაც მას შეუძლია დაასრულოს არსებული კონფრონტაცია კასპიის სტატუსზე და გაათავისუფლოს ეკონომიკური გარემო.<sup>506</sup>

ნაშრომის მე-III ნაწილის შემაჯამებლად შეიძლება დავასკვნათ, რომ კასპიის ზღვის დელიმიტაციის სქემა (ფსკერის მიმართ) შემუშავულ იქნა ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის გარკვეული ერთიანობის საფუძველზე. ეს შეთანხმებები ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, და უმთავრეს პრობლემად რჩება ირანთან კონსესუსის მიღწევა.<sup>507</sup> ერთობლივი განვითარების რეჟიმი, რომელიც ეხება როგორც ზღვის ფსკერს და ასევე წყლის სივრცეებს, შეიძლება აღმოჩნდეს ერთ-ერთი შუალედური საფეხური ორმხრივი შეთანხმებებიდან კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ყოვლისმომცველ კონვენციისაკენ.

## გარი V. კომპლექსური მიდგომა კასპიის სტატუსის პრობლემასთან.

### გაყოფის შესაძლო გარიანტები და პრინციპები

#### თავი 1. სრული სუვერენიტეტი. ტერიტორიული წყლები

მიდგომები კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის პრობლემის მიმართ, ჩვენის აზრით, უნდა ყალიბდებოდეს კასპიისპირა სახელმწიფოების ისტორიული და თანამედროვე პრაქტიკის მიხედვით, საერთაშორისო ჩვეულებების და სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე ყველა იმ საერთაშორისო - სამართლებრივი მექანიზმების გათვალისწინებით, რომელთა გამოყენება შესაძლებელია არსებულ სიტუაციაში.

სტატუსის საკითხი მოიცავს რამოდენიმე ასპექტს. პირველია კასპიის ზღვის გეოგრაფიულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა (ზღვა - ტბა). მეორე მომენტი - ესაა ტერიტორიულ მფლობელობასთან და სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა. მესამე - კასპიის ზღვის გამოყენების პრინციპების სისტემის განსაზღვრა

<sup>506</sup> ob. Michael Lelyveld, U.S.: Official Disputes Iranian Success with Caspian Project, RADIO FREE EUROPE--RADIO LIBERTY (Oct. 18, 2002), წყარო: <http://www.rferl.org/content/article/1101119.html>.

<sup>507</sup> ob. Faraz Sanei, Note, The Caspian Sea Legal Regime, Pipeline Diplomacy, and the Prospects for Iran's Isolation from the Oil and Gas Frenzy: Reconciling Tehran's Legal Options with Its Geopolitical Realities, 34 VAND. J. TRANSNAT'L L. at 824 (2001); <http://www.questia.com/library/1G1-79027631/the-caspian-sea-legal-regime-pipeline-diplomacy>

და მათი რეალიზაციის მექანიზმი. დაბოლოს - სადაო საკითხების გადაწყვეტა.

უნდა გავითვალისწინოთ სტატუსის როგორც “ტბის”, ისე „ზღვის”<sup>508</sup> ვარიანტი, აგრეთვე კომბინირებული ვარიანტებიც.

იმისაგან დამოუკიდებლად, თუ როგორ ვარიანტამდე მივლენ კასპიისპირა ქვეყნები სტატუსის განსაზღვრისას, გარკვეული მონაცემი (სექტორი) წყლის სივრცეზე, საჰაერო სივრცეზე მის თავზე, აგრეთვე შესაბამისი ფსკერის და წიაღის ფართი იქნება სრული სახელმწიფო სუვერენიტეტის დაქვემდებარებაში, როგორც ეს, მაგალითად განსაზღვრულია საბჭოთა კავშირ-ირანული ხელშეკრულებით (ანუ 10 მილი, - რაც უფრო ვრცლად განხილულია ამ ნაშრომის 1-ი კარის მე-2 თავის (ბ) ნაწილში) ან UNCLOS-ს (ტერიტორიული ზღვის სიგანე - 12 მილი).

ამასთან დაკავშირებით კასპიისპირა ქვეყნისათვის და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის უფრო სასურველი და მისაღები შესაძლებელია აღმოჩნდეს გაერო-ს კონვენციის დებულებები, ვინაიდან ტერიტორიულ ზღვაზე სრულ სუვერენიტეტთან ერთად ის უშევბს არაკასპიისპირა ქვეყნის დროშით მცურავი ხომალდებისათვის მშვიდობიანი გავლის უფლებას, რაც დადებითად აისახება ნაოსნობის თავისუფლებაზე.

## თავი 2. ფსკერი და წიაღი. ნახშირწყალბადური რესურსები

მიუხედავად არსებული დიდი წინააღმდეგობებისა, ბოლო რამოდენიმე წლის ტენდენცია იმისკენ მიღის, რომ კასპიისპირა ქვეყნები იწყებენ ფსკერისა და წიაღის მიმართ ამჟამად დე ფაქტოდ არსებული მდგომარეობის აღიარების. თუ შესაბამისი შეთანხმება ყველა კასპიისპირა სახელმწიფოს შორის მიღწეული იქნება, მაშინ აქაც შესაძლოა კონტინენტური შელფის მიმართ UNCLOS-ს დებულებების გამოყენება.

შელფის გამიჯვნის საკითხი მსოფლიოში ბევრჯერ დამდგარა, მაგალითად, ჩრდილოეთის ზღვის მიმართ. 1960-იანი წლების დასაწყისისათვის ჩრდილოეთის ზღვის გარშემო ტერიტორიულზე მცირე საბადოთა ჯგუფში, საიდანაც ყოველწლიურად მოიპოვებოდა დაახლოებით 7 მილიონი ტონა ნავთობი და 1 მილიარდი კუბ. მეტრი ბუნებრივი აირი, აღმოჩნდა გიგანტური გაზის საბადო - გრონინგენი. ამ აღმოჩნდან დაიწყო ჩრდილოეთის ზღვის ნავთობისა და გაზის ისტორია.<sup>509</sup>

<sup>508</sup> პლავაც ადსანიშნავია, რომ ზღვის სივრცის რეჟიმის საკითხი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის საკმარისად დამუშავებულ თეორიას და პრაქტიკას და იძლევა საგნობრივი მიდგომის შესაძლებლობას. ანუ წყლის ობიექტი, მაშინაც კი, თუ იგი არა აღიარებული ზღვად UNCLOS-ს შესაბამისად, შეიძლება დელიმიტირებული იქნეს იმ სქემის ანალოგის მიხედვით, რაც UNCLOS-ს აქვს გათვალისწინებული.

<sup>509</sup> იხ. О. Егоров, О. Чиракина “Нефтяной бизнес: реалии и альтернативы”, М. 1998.

1958 წ. უენევის საერთაშორისო კონვენციით კონტინენტური შელფის შესახებ (ყოვლისმომცველი UNCLOS-ს წინამორბედი) დადგენილი იყო კონტინენტური შელფის ფლობის პრინციპები, მაგრამ 1963 წლისათვის ჩრდილოეთის ზღვისპირა ქვეყნებიდან მხოლოდ დანიამ მოაწერა ხელი უენევის შეთანხმებას და მოახდინა მისი რატიფიცირება. 1964 წელს კი მას დიდი ბრიტანეთი შეუერთდა.

საზღვრების გატარების საკითხი შელფის ზონაში დანიას, გვრ და ჰოლანდიას შორის სადაოდ რჩებოდა 1967 წლამდე, როდესაც ის გატანილი იქნა საერთაშორისო სასამართლოს განსახილველად,<sup>510</sup> რომელმაც გამოიყენა უენევის კონვენციის ნორმათა ანალოგიური ჩვეულებები, და 1970 წლისათვის სამი ქვეყანა, როგორც იქნა, შეთანხმდა. ბოლოს კონვენციას მიუერთდა ნორვეგია.

ამგვარად, თუ კასპიისპირა ქვეყნები მიმართავენ საერთაშორისო სასამართლოს, როგორი სათქმელია, გამოიყენებს თუ არა ის UNCLOS-ს, მაგრამ იმის ალბათობა, რომ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს კონვენციურის ანალოგიური სქემა (ჩვეულებათა სახით), - საკმაოდ მაღალია.

### თავი 3. წყლის სიბრტყე

კასპიის ზღვის წყლების სტატუსის საკითხის გადაწყვეტა გარკვეულ წილად უფრო გაძნელებულია, ვიდრე ფსკერის და წიაღის პრობლემები.

არსებობს რიგი მიზეზებისა, რომელთა გამოც წყლის სივრცის გამიჯვნა UNCLOS-ის ან ტერიტორიული სექტორების მიხედვით შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს კასპიის ზღვის ბიორესურსების შენარჩუნების უზრუნველყოფისათვის, მაგალითად, საჭიროა დაბინძურებისათვის პასუხისმგებლობის სპეციალურად განხაზღვრა ჩაკეტილი წყლის სივრცეში. ცოცხალი რესურსებისადმი ინტერესების მიღმა, აქ წამოიჭრება მთლიანობაში ეკოლოგიის, ნავიგაციის თავისუფლების და რიგი სხვა პრობლემები. ამგვარი პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს სავარაუდო კომპლექსურ მიდგომას, მ.შ. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ეგიდით მიღებული კონვენციების სრულ ამოქმედებას ნავიგაციისა და ეკოლოგიის დარგში.<sup>511</sup>

<sup>510</sup> ob. North Sea Continental Shelf (Fed. Rep. Germany\Denmark; Germany\Netherlands) 1969 International Court of Justice (Judgment). ob. D.J. Harris, Cases and Materials on International Law, L. 1991, p.29-40.

<sup>511</sup> ob. საზღვაო კონვენციები ნაოსნობის დარგში, წყარო: <http://www.imo.org/About/Conventions/ListOfConventions/Pages/Default.aspx>.

## (ა) ნაოსნობის თავისუფლება<sup>512</sup>

კასპიის ზღვაზე საბჭოთა ნავსადგურებს შორის საკმაოდ განვითარებული ნაოსნობა იყო. პრინციპში, კასპიისპირა არც ერთი ქვეყანა არაა დაინტერესებული მის შეზღუდვაში, მეტიც, სხვადასხვა წყაროებში განიხილება დონისძიებები, მათ შორის, რუსეთისა<sup>513</sup> და ირანის მიმართებაში, რომლებიც გაუადვილებდნენ კასპიის ზღვაში მოხვედრას არაკასპიისპირა ქვეყნების დროშით მცურავ ხომალდებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კასპიის ზღვაში მცურავ ხომალდებზე (მაგალითად კასპიის საზღვაო სანაოსნოს ხომალდებზე) ვრცელდებოდა სსრკ საზღვაო ფლოტის სამინისტროს და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნები ზღვაოსნობის უსაფრთხოების საკითხებზე და ა.შ.

ნაოსნობის განვითარებისაკენ მიისწრაფვის ყველა ქვეყანა, კონკრეტული პირობებისაგან დამოუკიდებლად. დიდი ტბები გამიჯნულია აშშ და კანადას შორის ჯერ კიდევ 1783 წლიდან. მაგრამ 1909 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით ნაოსნობა ამ ტბებზე არ იზღუდება.<sup>514</sup>

ვინაიდან, UNCLOS-ს ნორმები (მშვიდობიანი გაგლის უფლების გათვალისწინებით) გამოირჩევა დამუშავების მაღალი ხარისხით, მიგვაჩნია, რომ კასპიისპირა ქვეყნებს შორის ხელშეკრულების გამომუშავება ნაოსნობის თავისუფლების შესახებ კონვენციის საფუძველზე ურთიერთმისაღები იქნებოდა. როგორც ჩანს, სპეციალური შეთანხმებები საჭიროა სამხედრო ზღვაოსნობის საკითხების რეგულირებისათვის.

## (გ) ბიორესურსები

საკმაო უთანხმოებას იწვევს ზღვის ბიორესურსების გაყოფის საკითხიც. შევჩერდეთ ამ პრობლემაზე უფრო დაწვრილებით, რადგან პირველი ნაბიჯები კასპიის ზღვის ცოცხალი რესურსების შესახებ შეთანხმებათა შესამუშავებლად უკვე გადადგმულია.

<sup>512</sup> არსებობს წინასწარი შეთანხმებები ხუთი ქვეყნის თავისუფალ და საგანგებო ნაონბაზე. პერსპექტივაში განიხილება კასპიის ზღვის ფსკერზე მიღსადებების გაყვანა., ი.ხ. Проблемы судоходства в определении международного режима использования Каспийского моря / Россия и Восток. Обучающееся общество и социально-устойчивое развитие Каспийского региона: Материалы международной конференции. Астрахань: Издательский дом «Астраханский государственный университет», 2005; ი.ხ. ასევე [http://online.zakon.kz/Document/?doc\\_id=1031933](http://online.zakon.kz/Document/?doc_id=1031933)

<sup>513</sup> პერმოდ, საერთაშორისო ვოლგა-დონის სატრანსპორტო დერეფნის შექმნის შესახებ გამოცხადებული არაერთხედ რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ; ი.ხ. მაგ. რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის ინტერვიუ 2008წ. ოქტომბერში, წყარო: <http://www.rbcdaily.ru/politics/562949979006725..>

<sup>514</sup> ი.ხ. Bernard H. Oxman, "Caspian Sea or Lake: What difference does it make?", Caspian Crossroads Magazine, volume 1, issue 4, 1996.

კასპიის ზღვა - ევრაზიის ერთერთი უმნიშვნელოვანების თევზის სარეწი წყალსატევია. არსებითად კასპიის ზღვა, მასში ჩამავალი მდინარეებით, შეიცავს კასპიის სვიას, რუსული ზუთხის, ტარალანას, ფოლრეჯის მსოფლიო გენოფონდს და წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ ზუთხეული სახეობების მრავალფეროვნებათა საცავს.

90-6 წლებში და უფრო ადრე კასპიის ზღვა იძლეოდა მსოფლიო ხიზილალის წარმოების 90%. ამიტომ შავი ხიზილალა, როგორც ნავთობი, შეიძლება სტრატეგიულ ნედლეულს მიეკუთვნოს. საუკეთესო წლებში სსრკ კასპიის ზღვაში იჭერდა 27-30 ათას ტონა ზუთხეულს და აწარმოებდა 2500 ტონა ხიზილალას.<sup>515</sup> მთლიანობაში კასპიის ზღვის ბიოლოგიური რესურსები ყოველწლიური “საბაზრო” გადაანგარიშებით 6 მილიარდ აშშ დოლარად ფასდება.

როდესაც საუბარი ეხება კასპიის ზღვის ბიოლოგიურ რესურსებს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ორი გარემოება. ჯერ ერთი, რომ კასპიის ზღვის ბიოლოგიური რესურსები, მინერალურთაგან განსხვავებით, თვითწარმოებადია. სხვაგვარად რომ ითქვას, გონიერი ექსპლუატაციისას ისინი ამოუწურავი იქნება.

მეორე, თუ ზღვის მინერალური რესურსები შეიძლება როგორმე საზღვრის დახაზვით გაიყოს, ბიოლოგიური რესურსები მოძრავ და განუყოფელს წარმოადგენენ. ზღვის ერთი ნაწილის იმგვარი ექსპლუატაცია, რომ ამით არ დაზარალდეს სხვა ნაწილის ბიოლოგია, პრინციპში შეუძლებელია. ზამთარში ისინი გადაადგილდებიან კასპიის ზღვის სამხრეთისაკენ, ზაფხულში კი ჩრდილოეთისაკენ.

ზუთხეულის გაყოფის შესახებ შეთანხმება მიღწეულია - ყველა კასპიისპირა ქვეყანა ეთანხმება იმას, რომ თითოეული მათგანი დებულობს იმ წვლილის პროპორციულად, რომელიც შეაქვს შესაბამისი ბიოლოგიური სახეობის აღწარმოებაში. მაგრამ ჯერ არაა გამომუშავებული ის მექანიზმი, რომელიც ყველა ქვეყანას ზუთხეულის მისი წილის მიღების გარანტიას მისცემს.

ყველა კასპიისპირა ქვეყანამ აღიარა თევზჭერის იურისდიქციის სანაპირო ზონის შექმნის აუცილებლობა, - წინააღმდეგ შემთხვევაში კასპიის ზღვა შეიძლება საერთოდ თევზის გარეშე დარჩეს. პრობლემა აქ იმაშია, რომ ზოგიერთი ჯიშის თევზის ყველაზე ეფექტური სარეწი არის აზერბაიჯანის და თურქმენეთის სანაპიროებთან, და რადგანაც ერთ სახელმწიფოს შეუძლია გადასცეს რეწის უფლება სხვას ლიცენზირების საფუძველზე, - მაშინ რაც უფრო ფართოა აზერბაიჯანულ-თურქმენული ზონა, მით მეტად იქნება სხვა სახელმწიფოების მიერ თევზის გარკვეული სახეობების მოპოვება დამოკიდებული ამ ორი ქვეყნის ლიცენზიებზე.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი მოლაპარაკებებისა და მრავალი ვარიანტის განხილვისაკომპრომისი კასპიისპირა სახელმწიფოთა შორის თევზჭერის იურისდიქციის ზონის სიგანის შესახებ ნაპიგნი არ არის..

<sup>515</sup> იხ. <http://www.liveinternet.ru/users/3596969/post232151842/>; <http://stop-news.com/2645-chernaya-ikra-i-mirovye-lidery-eksporta-iran-i-izrail.html>; [viperson.ru/data/200806/pektahkasiikoiproblemy.doc](http://viperson.ru/data/200806/pektahkasiikoiproblemy.doc)

აღსანიშნავია, რომ ოეგზერის და ოაგისუფალი ზონების შეთავსება გამოიწვევს ურთიერთსასარგებლო ინტერესს და საშუალებას მისცემს კასპიისპირა ქვეყნებს შეინარჩუნონ კასპიის ზღვის უნიკალური ბიოლოგიური რესურსები.<sup>516</sup>

### (ვ) გარემოს დაცვა

წყლის ობიექტების მიმართ გარემოს დაცვის საკითხი მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რთულად გადასაწყვეტი საკითხია.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ საკითხის გადაწყვეტისადმი მისწრაფება არაა დამოკიდებული შესაბამისი ზღვების ან ტბების სამართლებრივ სტატუსზე, ან წყლისპირა სახელმწიფოების ურთიერთობებზე. მაგალითად აშშ და კანადა იმყოფებიან საკმაოდ მეგობრულ ურთიერთობებში, დიდი ტბების სტატუსის შესახებ არ დაობენ, მაგრამ მიუხედავად თანამშრომლობისა, ამ ტბებზე დაბინძურების პრობლემა ჯერ კიდევ არსებობს.<sup>517</sup>

განსაკუთრებით მწვავედ დგას პრობლემა იმ წყლის ობიექტების მიმართ, რომელთა სიახლოვეს განლაგებულია მსხვილი სამრეწველო ობიექტები.

კასპიის ზღვას ეკოლოგიის თვალსაზრისით კეთილმოწყობილად ვერ ჩავთვლით. შეთანხმება შეიძლება შემუშავებული იქნეს ამ საკითხის კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირების გარეშე. მთავარია, რომ ყველა კასპიისპირა ქვეყანა დამოკიდებულია ერთმანეთზე ეკოლოგიური პოზიციიდან.

საკმარისია ზღვაში ან ნაპირზე დაბინძურების ერთი წყაროს არსებობა, რომ დაბინძურება გავრცელდეს კასპიის ზღვის მთელ სივრცეზე. მაგრამ დაბინძურებაზე პასუხისმგებლობის საკითხი დამოკიდებულია სტატუსის განსაზღვრაზე, ვინაიდან წყლის სტატუსი სადღეისოდ საერთოდ გაურკვეველია: თუ წყლის სივრცე გაიყოფა, მაშინ რომელიმე ნაკვეთის დაბინძურებაზე პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს შესაბამის სანაპირო სახელმწიფოს, მაგრამ თუ კასპიის ზღვის წყლები აბსოლუტურად განუყოფელი იქნება, დაბინძურებულ სივრცეზე პასუხისმგებლობის დაკისრება და აგრეთვე კონტროლიც გაძნელდება.

სავარაუდოა, რომ ამ პოზიციებიდან საჭირო იქნება წყლის სიბრტყის დაყოფა ზონებად, თუგინდ იურისდიქციის მინიმალური ფარგლებით - ეკოლოგიის დაცვისა და ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნების მიზნით. სხვა შემთხვევაში ქმედითი ეკოლოგიური ღონისძიებების

<sup>516</sup> იხ. ზოგადად ანალიტიკური მასალები, წყარო:

<http://pda.iam.duma.gov.ru/node/2/4618/16298>; იხ. ასევე სქოლით 522 *infra*

<sup>517</sup> იხ. Great Lakes Pollution: Selected Resources, Compiled by Geri Olmstead, WMRC Library Intern, and Laura L. Barnes, WMRC Librarian Last updated: July 11, 2007; წყარო:

[http://www.istc.illinois.edu/info/library\\_docs/other\\_pubs/great-lakes-pollution.pdf](http://www.istc.illinois.edu/info/library_docs/other_pubs/great-lakes-pollution.pdf)

გატარება პრობლემური იქნება. ასე მაგალითად, სადღეისოდ მოქმედმა ჩარჩო კონვენციამ<sup>518</sup> ვერ შეძლო რაიმე სერიოზული გარდატეხა შეეტანა არსებული ეკოლოგიური პრობლემის მოგვარებაში, უფრო მეტიც, ვერ ჩამოყალიბდა კასპიის ზღვის სივრცის ერთიანი მონიტორინგის სისტემაც.<sup>519</sup>

და მაინც, ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს ყველა კასპიისპირა ქვეყნის ერთიანი შეთანხმებული პოზიცია და პრაქტიკული ნაბიჯები. იმ გარემოებამ, რომ ირანსა და სსრკ შორის არ იყო შეთანხმება გარემოს დაცვის შესახებ და ამ მიმართულებით არ ყოფილა ერთობლივი ძალისხმევის მცდელობები, გამოიწვია ის, რომ კასპიის ზღვა სსრკ დაშლის მომენტისათვის იქცა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ წყალსატევად და პასუხისმგებლობა ამაზე არც ერთ მხარეს არ დაკისრებია.<sup>520</sup>

### (გ) თანამშრომლობა კასპიისპირა ქვეყნებს შორის

არსებულ დაპირისპირებათა მიუხედავად, ადრე თუ გვიან, კასპიისპირა სახელმწიფოები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან თავისი უფლებების განხორციელების და ვალდებულებათა შესრულების ფარგლებში, რომლებიც მათ დაეკისრებათ კასპიის ზღვის მიმართ დადებული სხვადასხვა შეთანხმებებით.

ასეთი თანამშრომლობა შეიძლება ხორციელდებოდეს უშუალოდ, ან შესაბამისი რეგიონალური ორგანიზაციების მეშვეობით. ცხადია, რომ მათი ქმედებების მიმართულებანი დოკუმენტურად იქნება დაფიქსირებული. ამ მიზნისათვის, როგორც ჩანს, მეტად სასარგებლო აღმოჩნდება UNCLOS-ს. 123-ე მუხის დებულებები, რომლის თანახმად ზღვისპირა ქვეყნებმა ჩაკეტილ ან ნახევრად ჩაკეტილ ზღვებზე უნდა ითანამშრომლონ, რათა: მოახდინონ ცოცხალი რესურსების მართვის, შენარჩუნების, შესწავლის და ექსპლოატაციის კოორდინაცია; ზღვის გარემოს დაცვასთან და შენარჩუნებასთან დაკავშირებული მათი უფლებების და ვალდებულებების იმპლემენტაციის კოორდინაცია;

<sup>518</sup> იხ. სქოლიო 440 *supra*; მიღებულია კონვენციის ახალი ოქმი, რომელიც აწესრიგების მონიტორინგისა და ანგარიშგების საკითხებს, იხ. წყარო: <http://adilet.zan.kz/rus/docs/U1300000486>

<sup>519</sup> 2013წ. ეკოლოგიური სიტუაციის შესახებ იხ. საინფორმაციო წყარო: <http://pda.lenta.ru/articles/2013/04/16/deadsea/>; სიტუაციის გაუმჯობესებას არ შველის ის გარემოებაც, რომ ყველა კასპიისპირა სახელმწიფო არის მონაწილე 1992წ. კონვენციისა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, იხ. კონვენცია: [http://www.un.org/ru/documents/decl\\_conv/conventions/biodiv.shtml](http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/biodiv.shtml), იხ. მონაწილე სქოლიო 605 *infra*

<sup>520</sup> იხ. წყარო: <http://ecocollaps.ru/events/kriticheskij-uroven-zagryazneniya-neft-gubit-zhizn-kaspiskogo-morya.html>

სამეცნიერო კვლევითი პოლიტიკის კოორდინაცია; მოიწყონ სხვა ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები და ითანამშრომლონ მათთან, რათა განახორციელონ ზემოაღნიშნული ამოცანები.<sup>521</sup>

თავი 4. პოსტსაბჭოური სახელმწიფო პრაქტიკისა და ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი ინიციატივების ზოგადი ანალიზი და პერსპექტივები. იურიდიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები

როგორც უკვე აღინიშნა, კასპიის ზღვაზე ნავთობისა და გაზის დიდი ოფშორული საბაზოების აღმოჩენამ კიდევ უფრო გადაუდებელი გახდა ზღვის სამართლებრივი სტატუსის პრობლემის გადაწყვეტის მოთხოვნილება და ნახშირწყალბადური და ბიოლოგიური რესურსების მოპოვების უფლების სადაო ასპექტების მოწესრიგების აუცილებლობა.

სხვადასხვა მონაცემებით, რუსეთით, აზერბაიჯანით, ირანით, ყაზახეთით და თურქმენეთით შემოსაზღვრული კასპიის ზღვა შეიცავს დაახლოებით ჩვიდმეტიდან – ოცდაცამეტამდე მილიარდ ბარელ ნავთობის დასაბუთებულ (დამტკიცებულ) მარაგს.<sup>522</sup>

როგორც ცნობილია, კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის პრობლემის მოუწესრიგებლობა აფერხებდა ამ წყალსატევის ნავთობის მარაგების განვითარებას. საბჭოთა კავშირ-ირანის დუიურე და დეფაქტო შეთანხმებები ამ მხრივ აწესრიგებდნენ კასპიის ზღვის გამოყენებას საბჭოთა ეპოქაში, მაგრამ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან ახალი კასპიისირა სახელმწიფოები ვერ ახერხებენ შეთანხმებას, თუ როგორ გაიყონ მისი უდიდესი რესურსები.<sup>523</sup>

ასეა თუ ისე, ფაქტობრივად, რუსეთი თამაშობდა ძირითად როლს კასპიის ზღვის სტატუსის დარეგულირების, ან უფრო სწორად, დაურეგულირებლობის საკითხებში.

1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთი, მისწრაფვოდა რა რეგიონზე დასავლეთის გავლენის შეზღუდვისაკენ, შეუერთდა ირანის პოზიციას და მოიყვანა არგუმენტები ზღვაზე საერთო საკუთრების სასარგებლოდ. შემდგომ, რუსეთმა გამოთქვა მოსაზრებანი ზღვის ფსკერის (და

<sup>521</sup> იხ. სქოლით 14 *supra*

<sup>522</sup> იხ., წყარო: <http://fpc.state.gov/documents/organization/74906.pdf>. კასპიის ზღვის აუზის მარაგების სხვა შეფასებების თანახმად – იქ 15.31 მილიარდი ბარელი ნავთობია, მსოფლიო მარაგის 2.7%. გაზის მარაგი მოიცავს დაახლოებით 230 – 360 ტრილიონ კუბურ ფუტს, ანუ მსოფლიო მარაგის 7%. ნავთობის შესაძლო მარაგების შეფასებები მერყეობს 20 მილიარდიდან 200 მილიარდ ბარელ ნავთობამდე. იხ. ასევე The changing face of energy geopolitics, OECD OBSERVER, June 22, 1999, p. 48, - LEXIS, News Library, Curnws File.

<sup>523</sup> იხ. Geoffrey Kemp, U.S.-Iranian Relations: Competition or Cooperation in the Caspian Sea Basin, in ENERGY AND CONFLICT IN CENTRAL ASIA AND THE CAUCASUS 148-49 (Robert Ebel & Rajan Menon eds., 2000).

შესაბამისი რესურსების) ეროვნულ სექტორებად დაყოფის შესახებ, წყლის სიბრტყის უმეტეს ნაწილზე და ზედაპირზე საერთო მმართველობისა და სარგებლობის რეჟიმის შენარჩუნებით.<sup>524</sup>

რაც უფრო მნიშვნელოვანია, რუსეთმა ხელი მოაწერა ორმხრივ ხელშეკრულებებს აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის ფსკერის რუსულ, აზერბაიჯანულ და ყაზახურ ეროვნულ სექტორებად გაყოფის თაობაზე,<sup>525</sup> ირანი დაუინებით მოითხოვდა და მოითხოვს, რომ ძველი საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმებები ჯერ კიდევ ძალაში დარჩეს და უარს ამბობს ხელი მოაწეროს ან აღიაროს ნებისმიერი ორმხრივი ხელშეკრულება ზღვის გაყოფის შესახებ, სანამ ახალი მრავალმხრივი ხელშეკრულება არ იქნება დადებული კასპიის ზღვის ხუთივე სახელმწიფოს მიერ.

კასპიის სტატუსის ჩამოყალიბების რეალური სურათის გაცნობიერებისათვის, აუცილებლად მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადღება დაფუთმოთ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის თაობაზე რუსეთის მიერ შემოთავაზებული ვარიანტის ზოგიერთ ასპექტს; მის დადებით და უარყოფით ზეგავლენას რეგიონში მდგრადი და დაბალნებებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის დამკვიდრებაზე.

#### (ა) სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბების საკვანძო ისტორიული ძოშენებები

ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ზოგიერთ ისტორიულ-სამართლებრივ მნიშვნელოვან ეტაპებს. 1921 წლის შეთანხმებამ მეგობრობის შესახებ ირანსა და რუსეთს შორის გააუქმა ყველა წინამორბედი შეთანხმება და აღადგინა ირანის სანაოსნო უფლებები კასპიის ზღვაზე.<sup>526</sup> 1935 წლის 25 აგვისტოს ორ სახელმწიფოს შორის ვაჭრობისა და ნავიგაციის შესახებ დადებული შეთანხმების თანახმად, “თითოეული მხარე შემოიფარგლებოდა მისი დროშის ქვეშ მცურავი ხომალდების თევზჭერის

<sup>524</sup> ი. ი. სქოლიო 436 *supra*.

<sup>525</sup> ი. ი. Sergei Blagov, Kazakhstan Pushes for Trilateral Caspian Deal, ASIA TIMES ONLINE, 10 იქტ. 2002 წ., სქოლიო 437 *supra*.

<sup>526</sup> შეთანხმება მეგობრობის შესახებ, 1921 წლის 26 თებერვალი, სპარსეთი და რუსეთი, SFSR, 9 LNTS 383., ციტირებული Mohamad Reza Dabiri მიერ, Rezhim-e hogug-e darya-e khzar be onvan mabnaii baray-e solh va tose-a –ში [კასპიის ზღვის სამართლებრივი იურიდიული სტატუსი: მშვიდობისა და განვითარების საფუძველი], Kamyar Mehdiyoun, J.D. Columbia University – ი. თარგმანი. LEONARD SHAPIRO, SOVIET TREATY SERIES 1917-1928, Washington, Georgetown University Press (1950).

უფლებით მის სანაპირო წყლებში, ათი სანავიგაციო მილის საზღვრამდე.”<sup>527</sup>

1940 წლის 25 მარტს კვლავ იქნა დადასტურებული 10 მილიანი თევზჭერის ზონა შეთანხმებაში ვაჭრობისა და ნავიგაციის შესახებ.<sup>528</sup> 10 მილიანი ზონის მიღმა თევზჭერის უფლება ეძლევათ მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და ირანის ქვეშვრდომებს. შეთანხმება არ შეხებია ზღვის ფსკერის ათვისებას.

მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმება და შენიშვნები მისდამი შეიცავდნენ რამოდენიმე მითითებას კასპიის ზღვაზე, როგორც “საბჭოთა კავშირ – ირანის ზღვაზე.”<sup>529</sup> 1954 წელს დადგებული უკანასკნელი ხელშეკრულება საზღვრის შესახებ განსაზღვრავს სახმელეთო საზღვარს ამ ორ მხარეს შორის კასპიის ზღვის განივი საზღვაო საზღვრის გაუმიჯნავად.<sup>530</sup>

### (გ) სახელმწიფო პრაქტიკის სამართლებრივი შეფასებები

საბჭოთა იურისტები კასპიის ზღვის იურიდიულ სტატუსს განიხილავდნენ, როგორც შიდა ზღვისას.<sup>531</sup> შიდა ზღვის რუსულ-საბჭოთა დოქტრინა ძალიან სადაცოა და მისწრაფვის გარკვეულ წელის მონაკვეთებზე კომერციული და სამხედრო მოქმედებები შემოიფარგლოს მხოლოდ ზღვისპირა სახელმწიფოების ქვეშვრდომებით.<sup>532</sup> კასპიის ზღვის გარდა საბჭოების მიერ შიდა ზღვებად გამოცხადებული იქნა შავი და ბალტის ზღვები.<sup>533</sup>

ეს დეფინიცია, განსაკუთრებით შავი და ბალტის ზღვების მიმართ, საკამათოდ იქნა მიჩნეული დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან,

<sup>527</sup> JANE DEGRAS, SOVIET DOCUMENTS ON FOREIGN POLICY 1933-1941, Oxford University Press (1953); შეთანხმება ვაჭრობისა და ნავიგაციის შესახებ, საბოლოო ოქმებითა და დანართოთ. 1935 წლის 25 აგვისტო, Iran-USSR, Art. 15, 176 LNTS 301, 317.

<sup>528</sup> იბ. WILLIAM E. BUTLER, THE SOVIET UNION AND THE LAW OF THE SEA, Johns Hopkins Press Baltimore (1971). Iran-USSR, 144 BRIT. & FOREIGN ST. PAPERS 419 (1940-42).

<sup>529</sup> მითითება კასპიის ზღვაზე, როგორც “საბჭოთა კავშირ – ირანის ზღვაზე” ასევე გამოყენებული იყო 1935 წლის შეთანხმებაზე თანდართულ შენიშვნებში. იბ. სქოლიო 413 *supra*, 329-ე გვერდზე. იბ. ასევე MAIRIN MITCHELL, MARITIME HISTORY OF RUSSIA 848-1948, London: Sidgwick & Jackson, 1949.

<sup>530</sup> იბ. ხელშეკრულება საზღვრისა და საფინანსო საკითხების მოწესრიგების შესახებ? 1954 წლის 2 დეკემბერი. წერო: Agreement concerning the Settlement of Frontier and Financial Questions, Dec. 2, 1954, Iran-USSR, 451 UNTS 250.

<sup>531</sup> იბ. BUTLER, სქოლიო 531 *supra*, გვ. 125.

<sup>532</sup> იბ. იქვე, გვ. 116 – 33.

<sup>533</sup> იბ. იქვე გვ. 125. შავი ზღვის მიმართ შიდა ზღვის დოქტრინის განხილვისათვის, იბ. Joseph J. Darby, The Soviet Doctrine of the Closed Sea, 23 SAN DIEGO L. REV. 685 (1986). რადგან შავი და ბალტის ზღვებისაგან განსხვავევით, კასპიის ზღვა უშუალოდ არა დაკავშირებული ოკეანესთან, კასპიის ზღვის, როგორც “შიდა ზღვის” საბჭოთა კლასიფიკაცია, არაკასპიისპირა ქვეყნებს მისი გაპროტესტების საბაბს არ აძლევდა.

რომელთაც არ დაუშვეს მისი ჩართვა 1958 წლის შენების კონვენციის პროექტში დია ზღვის შესახებ.<sup>534</sup>

თუმცა, კასპიის ზღვის შემთხვევაში ირანის კანონმდებლობამაც ასევე აღიარა კასპიის ზღვა “შიდა ზღვად”. 1949 წლის ირანის კანონი კონტინენტური შელფის კვლევისა და შესწავლის შესახებ ფაქტიურად ამტკიცებდა ეროვნულ იურისდიქციას საზღვაო ფსკერის და კონტინენტური შელფის ბუნებრივ რესურსებზე საარსეთისა და ომანის უურებებში. თუმცა, კანონი არ შეხებია კასპიის ზღვას.<sup>535</sup> ექვსი წლის შემდეგ, შენიშვნა იქნა დამატებული კანონის მე-6 მუხლისადმი, სადაც ნათქვამია: “რაც შეეხება კასპიის ზღვას, გამოყენებადია შიდა ზღვების შესახებ საერთაშორისო სამართლის წესები.”<sup>536</sup>

შიდა ზღვების თაობაზე დოქტრინის საკამათო ხასიათის ფონზე, ირანის საკანონმდებლო ორგანოს განზრახვა ბოლომდე არა ცალსახად გამოხატული რჩება.<sup>537</sup>

როგორც ცნობილია, 1949 წელს საბჭოთა კავშირმა დაიწყო კასპიის ზღვის ნახშირწყალბადოვანი რესურსების ექსპლუატაცია ნაპირიდან

<sup>534</sup> 1958 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე საზღვაო სამართლის შესახებ რუმინეთმა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ შესთავაზეს დამატება დია ზღვის თაობაზე შეთანხმების 1-ლ მუხლს, კერძოდ, “გარკვეული ზღვებისათვის ნავიგაციის საეციალური რეჟიმი შეიძლება დაწესდეს ისტორიული მიზეზების ან საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე”. შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს და სხვებს მოჰყავდათ არგუმენტები ამ წინადადების საწინააღმდეგოდ იმის საფუძველზე, რომ ეს იყო საბაზი “შიდა ზღვების” ტერმინის დასამკვიდრებლად. იხ. GARY KNIGHT & HUNDAH CHIU, THE INTERNATIONAL LAW OF THE SEA: CASES, DOCUMENTS, AND READINGS 325-26 (1991).

<sup>535</sup> იხ. CHARLES G. MacDONALD, IRAN, SAUDI ARABIA, AND THE LAW OF THE SEA, LexisNexis, 160 (1980).

<sup>536</sup> 1955 წლის 19 ივნისის კანონი, ირანის კონტინენტური შელფის კვლევისა და ექსპლუატაციის შესახებ, მუხლი 2. იხ. Loi relative a l'exploration et a l'exploitation du "Falat Gharreh" (Plateau continental de l'Iran), June 19, 1955, Art. 2 note, LAWS AND REGULATIONS ON THE REGIME OF THE TERRITORIAL SEA 24, UN Doc. ST/LEG/SER.B/6, UN Sales No. 1957.V.2 (1957). LAWS AND REGULATIONS ON THE REGIME OF THE TERRITORIAL SEA 24, UN Doc. ST/LEG/SER.B/6, UN Sales No. 1957.V.2 (1957). კანონის ოფიციალური ფრანგული ტექსტი, წარდგენილი ირანის მისის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, თარგმნის “შიდა ზღვის” ტერმინს, როგორც les mers fermées (ფრანგული ტერმინი, ხიტყვასიტყვით თარგმანი – ჩაქეტილი). ორიგინალური ირანული ტექსტი შეიცავს daryay-e basteh, რაც საპარსულად ჩაქეტილს, დახურულს” ნიშნავს.” იხ. Mohamad Reza Dabiri, Rezhime-e hoghugi-e daryay-e khazar: ameli baray-e tavazon manafeh va tavazon amniyat [კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი: ეროვნული ინტერესების და ეროვნული უსაფრთხოების გაწონასწორება], MAJALLEH, 1995 წლის ზაფხული, 141, 144-ე გვერდებზე. კანონის ერთადერთი ინგლისური ტექსტი კი, გადმოგვცემს შესაბამის ფრაზას, როგორც “შიდა ზღვა”, თარგმანის წყაროს განუსაზღვრავად. იხ. NEW DIRECTIONS IN THE LAW OF THE SEA (S. Houston Lay et al. eds., 1973).

<sup>537</sup> ირანული კანონმდებლობა სავარაუდოდ მიმართავდა *mare clausum*-ის დოქტრინას. თუმცა ამ დოქტრინას არასოდეს მოუპოვებია საერთაშორისო აღიარება. იხ. BUTLER, სქოლით 531 *supra*, გვ. 116.

საკმაოდ მოშორებით. ოპერაციები თავმოყრილი იყო იმ ადგილში, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის სანაპირო ზონას წარმოადგენს.<sup>538</sup>

სანამ საბჭოთა კავშირი გადაერთო 1960-იან წლებში ციმბირში ნავთობისა და გაზის კვლევებსა და ექსპლუატაციაზე, აზერბაიჯანის სანაპიროს მიმდებარე საბადოები მის ყველაზე მწარმოებლურ ზონებს წარმოადგენდა.<sup>539</sup> არ არსებობს არანაირი დასაბუთება იმისა, რომ ოდესმე საბჭოთა კავშირს ჰქონოდა კონსულტაციები ირანთან კასპიის ზღვაზე მის სანავთობო ოპერაციებთან დაკავშირებით. ირანელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ირანი დაეთანხმა საბჭოთა სახელმწიფოს ამ ცალმხრივ მოქმედებებს, რომელიც ირანულ წარმოდგენაში არღვევდნენ 1940 წლის შეთანხმებით განმტკიცებულ “საერთო ზღვის” პრინციპს, მაგრამ დატოვებული იქნა რეაგირების გარეშე, - მძლავრი ჩრდილოელი მეზობლის გაღიზიანების და მისთვის წინააღმდეგობის გაწევისათვის თავის არიდების მიზნით.

პოსტსაბჭოთა რუსეთმა (თავდაპირველად ინერციის ძალით) და ისლამურმა ირანმა მხარი დაუჭირეს პოზიციას, რომ “საერთო ზღვის” პრინციპი ყოველთვის უმთავრესი იყო კასპიის ზღვის რეჟიმის საკითხში. ზღვისპირა სახელმწიფოების პრაქტიკა კი ხშირად საწინააღმდეგოს მოწმობდა.

კასპიის ზღვის საბადოებმა ბაქოს მახლობლად ნავთობის მოცემა დაიწყეს ჯერ კიდევ 1871 წელს და 1900 წლისათვის შეადგენდნენ მსოფლიო მოპოვების თითქმის ნახევარს.<sup>540</sup> საბჭოთა დაწესებულებებმა გააფართოვეს ნავთობმომპოვებელი ოპერაციები, მაგრამ არასოდეს სრულად არ გამოუყვალევიათ კასპიის ზღვა, გარკვეულწილად იმიტომ, რომ განიცდიდნენ დრმა წყლის გეოლოგიურ – საძიებო ტექნოლოგიების ნაკლებობას.

ხოლო 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კასპიის ზღვის აუზში არსებული ნავთობის მარაგების აღმოჩენამ კასპიის მიმართ ახლებური დამოკიდებულება წარმოქმნა.<sup>541</sup>

არაა გასაკვირი, რომ ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსხვილმა რესურსებმა, აგრეთვე კასპიის ზღვის სტრატეგიულმა ადგილმდებარეობამ აღმოსავლეთ – დასავლეთის გზაჯვარედინზე უკვე ადრეულ ეტაპზე მიიზიდა რეგიონალური და მსოფლიო სახელმწიფოების ყერადღება; ისინი მიისწრავენ გაეტარებინათ და დაუცვათ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები.

<sup>538</sup> ob. DANIEL YERGIN, THE PRIZE: THE EPIC QUEST FOR OIL, MONEY AND POWER, LexisNexis 57 (1991).

<sup>539</sup> ob. Michael P. Croissant & Cynthia M. Croissant, The Caspian Sea Status Dispute: Azerbaijani Perspectives, CAUCASIAN REGIONAL STUD., No. 1, 1998.

<sup>540</sup> ob. Bruce R. Kuniholm, The Geopolitics of the Caspian Basin, 54 MIDDLE E. J. 546 (2002), LEXIS, Nexis Library, Magazine File.

<sup>541</sup> იქვე.

გერმოდ, შეერთებული შტატები, მიისწრაფვოდნენ რა ყოველმხრივ განევითარებინათ თავისი ენერგეტიკული ინტერესები, რეგიონში ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების დამოუკიდებლობის მხარდაჭერის საბაბით, შეუდრეველი იყვნენ დასავლეთის ბაზრებზე კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის მრავალრიცხოვანი ნავთობსადენების მშენებლობისათვის მხარდაჭერის აღმოჩენის საკითხში.

კასპიის სანავთობო განვითარების ამერიკულ პოლიტიკას სარგებლობა მოაქვს, უპირველესად ყოვლისა, აზერბაიჯანის, საქართველოს და ოურქეთისათვის (აგრეთვე, ნატოსათვისაც), ბაქო – თბილისი – ჯეიპანის ნავთობსადენის ამ ქვეყნებზე გატარებით. ბაქო – თბილისი – ჯეიპანის ნავთობსადენი სარგებლობას მოუტანს აგრეთვე ყაზახეთსაც, თუ განხორციელდება ყაზახეთის ნავთობის ამ ნავთობსადენით ექსპორტირების გეგმები. მიღსადენების ამერიკულმა დიპლომატიამ არ დაიმსახურა მოწონება რუსეთში და გამოიწვია ირანის შეშფოთება რეგიონში ამერიკელთა გრძელვადიანი ყოფნის მიმართ, რომელიც გამორიცხავს ირანს კასპიის ნავთობის მომავალი განაწილებიდან.

*(გ) საერთაშორისო პრაქტიკა და კასპიის ზღვის სამართლებრივი ხელისა და კარიანტენის ფარგლები*

ჩვენი აზრით, არც საერთაშორისო საზღვაო<sup>542</sup> სამართალი და არც არსებული სასაზღვრო ტბების რეჟიმები არ არის უშუალოდ გამოყენებადი კასპიის ზღვის მიმართ.

კასპიის ზღვას არ გააჩნია ბუნებრივი გასასვლელი მსოფლიო ოკეანეში და ტრადიციულად გამოიყენებოდა მხოლოდ ზღვისპირა სახელმწიფოების მიერ. ეს შეუძლებელს ხდის საზღვაო სამართლის ნორმების პირდაპირ, ყოვლისმომცველ და უპირობო გამოყენებას, როგორც იმ ზღვების მიმართ, რომელთაც გააჩნიათ გასასვლელი ოკეანეში და გახსნილნი არიან საერთაშორისო ნავიგაციისათვის.

და მაინც, ზღვის ზომები, წყლის მარილიანობა და ნახშირწყალბადით მდიდარი ზღვის ფსკერი აგრეთვე განასხვავებენ კასპიის ზღვას საერთაშორისო (სასაზღვრო) ტბების უმრავლესობისაგან. ამგვარად, საერთაშორისო საზღვაო სამართალი და სასაზღვრო ტბების არსებული რეჟიმები ერთობლიობაში შეიძლება სასარგებლო იყოს კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ფორმირებისას.<sup>543</sup>

<sup>542</sup> ob. Brice M. Clagett, Ownership of Seabed and Subsoil Resources in the Caspian Sea Under the Rules of International Law, CASPIAN CROSSROADS MAG., (1995) p.5-12; Bernard H. Oxman, Caspian Sea or Lake: What Difference Does It Make?, CASPIAN CROSSROADS MAG., (1996). p. 5-8.

<sup>543</sup> იქვე.

საზღვაო სამართლის გაერო-ს კონვენცია არსებითად ითვალისწინებს ზღვისპირა სახელმწიფოს სპეციალური იურისდიქციის გავრცელებას საზღვაო სივრცეზე, ფსკერზე და წიაღზე ნაპირიდან 200 მილის (და 350 მილამდე შეთანხმებულ შემთხვევებში) მოშორებით. ამ დროს პირველი თორმეტი მილი ექვივალენტურია სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის, ხოლო დანარჩენი ნაწილი – საგანგებო ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფია, სადაც ზღვისპირა სახელმწიფო თევზჭერისა და წიაღისეული მოპოვების საგანგებო უფლებას ფლობს.<sup>544</sup>

საზღვაო სამართლის გაეროს კონვენციის ნორმების პრაქტიკული და დახვეწილი შემუშავებულობის მიუხედავად, მათი გამოყენება კასპიის ზღვის მიმართ არ წარმოადგენს მარტივ შემთხვევას, ვინაიდან, მაგალითად, აზერბაიჯანისა და თურქენეთის საგანგებო ეკონომიკური ზონები, რომელთა სანაპიროებიც განლაგებულია 400-ს მილზე ახლოს, - გადაიფარებოდნენ.

ამ შემთხვევებში საზღვარს ავლებენ ჩვეულებრივ შუალედური წრფის გასწვრივ, რომელიც თანაბრადაა დაშორებული საწინააღმდეგო სანაპირო ზოლებიდან. ამგვარ შემთხვევაში საზღვაო სამართლის გაეროს კონვენცია გაითვალისწინებდა საზღვაო სივრცის და ზღვის ფსკერის დაყოფას ეროვნულ სექტორებად, თითოეული კასპიისპირა სახელმწიფოს სანაპირო ზოლის სიგრძის დაახლოებით პროპორციულად. ერთ-ერთი ამის ანალოგიური გამოთვლის თანახმად, ამგვარი დაყოფის შემთხვევაში ყაზახეთი მიიღებდა კასპიის ზღვის 29.9%; აზერბაიჯანი – 20.7%; თურქენეთი -19.2%; და რუსეთი და ირანი შესაბამისად – მხოლოდ – 15.6% და 14.6%.<sup>545</sup>

კასპიის ზღვა რომ ტბად განიხილებოდეს, საკუთრება მის სასარგებლო წიაღისეულზე არსებითად არ იქნებოდა განსხვავებული საზღვაო სამართლის გაერო-ს კონვენციის შეთანხმებისაგან. საკვანძო განსხვავება უფრო კასპიის ზღვის ზედაპირის გამოყენების სფეროში იქნებოდა. საერთაშორისო ტბების ზედაპირული წყლები, ზღვებისაგან განსხვავებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მოსაზღვრე სახელმწიფოების მიერ. რუსეთი დაესესხა ამ პრინციპს, როგორც “საერთო წყლებისათვის” მის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილების ელემენტს.<sup>546</sup>

კასპიის ზღვის თაობაზე მიმდინარე სამართლებრივი დისკუსიების უმეტესი ნაწილი ფოკუსირდება საბჭოთა კავშირისა და ირანის მიერ 1921

<sup>544</sup> ob. Faraz Sanei, Note, The Caspian Sea Legal Regime, Pipeline Diplomacy, and the Prospects for Iran's Isolation from the Oil and Gas Frenzy: Reconciling Tehran's Legal Options with Its Geopolitical Realities, 34 VAND. J. TRANSNAT'L L. 681, 790 (2001).

<sup>545</sup> ob. Kamyar Mehdizadeh, Current Development, Ownership of Oil and Gas Resources in the Caspian Sea, 94 AM. J. INT'L L. 179, 183, 187 (2000).

<sup>546</sup> ob. Lelyveld, Russia: Will a New Formula for Sharing Caspian Riches Work?, RADIO FREE EUROPE--RADIO LIBERTY (Nov. 28, 2001), წყარო:  
<http://www.rferl.org/content/article/1098103.html>.

და 1940 წლებში დადებულ შეთანხმებებზე. შეთანხმებები ითვალისწინებენ საბჭოთა კავშირისა და ირანის მიერ ზღვის საგანგებო გამოყენებას, მაგრამ ფარავენ მხოლოდ თევზჭერის და სანავიგაციო უფლებას და არა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებას. 1940 წლის შეთანხმება შემდგომში ითვალისწინებს ორივე ქვეყნისათვის 10 მილიან საგანგებო თევზჭერის ზონას, რომელიც გადის თითოეული სახელმწიფოს სანაპირო ზოლის გასწვრივ.

ირანი ამტკიცებს, რომ საბჭოთა ეპოქის შეთანხმებები ითვალისწინებულ 10 მილიანი ზონის მიღმა ზღვის ფსკერისა და წყლების საერთო ფლობას და გამოყენებას, “თანაფლობის” პრინციპის თანახმად.<sup>547</sup>

ამგვარი პრინციპის თანახმად, კასპიის ზღვაზე წარმართულ ნებისმიერ ნავთობის მოკვლევისა და ბურღვის ოპერაციებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოს წინასწარი მოწონებისა და თანხმობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ირანი სთავაზობს აზერბაიჯანს, ყაზახეთს და თურქმენეთს შეაჩერონ კასპიის რეგიონში ნავთობისა და გაზის მოპოვება, სანამ არ იქნება მიღწეული ახალი მრავალმხრივი შეთანხმება. 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთს ასევე მოჰყავდა არგუმენტები ამ მიღვომის სასარგებლოდ, მაგრამ ბოლო წლებში დაიწყო ზღვის ფსკერის დაყოფისა და ზედაპირული წყლების საერთო ფლობის პრინციპის მიღვომის მხარდაჭერა.

აზერბაიჯანის უდრევმა უარმა “საერთო საკუთრების” მიღებაზე და თანაფლობის პრინციპის მიმართ რუსეთის მიერ პოზიციის შეცვლამ იზოდაციაში მოაქციეს ირანი ზღვისპირა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში. 1998 წლის სექტემბერში ირანმა ოფიციალურად გამოაცხადა მის მიერ სექტორული დაყოფის პრინციპის მიღების შესახებ, იმ პირობით, რომ დაყოფის ერთი და იგივე სქემა იქნება გამოყენებული როგორც წყლების, ისე ზღვის ფსკერის მიმართაც.<sup>548</sup> ამის გარდა, ირანი ამტკიცებდა, რომ ამგვარი დაყოფა უნდა იქნეს თანაბარი, ანუ თითოეული ზღვისპირა სახელმწიფოს წილი უნდა შეადგენდეს წყლების და ზღვის ფსკერის 20%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ მნელად მოიპოვება საერთაშორისო საპრეცენდენტო სამართალსა და სახელმწიფო პრაქტიკაში ზღვის ფსკერის რესურსებზე საერთო საკუთრების ცალკეული მაგალითებიც კი.

<sup>547</sup> ob. Abbas Maleki, Caspian Sea and Foreign Policy of Islamic Republic of Iran, JOMHURI ESLAMI (Tehran), Oct. 23, 2001, Vol.23, No.6474 ob. ასევე Iran's Share of the Caspian Sea (Interview with Mehdi Safari), TEHRAN PERSIAN DAILY, Apr. 18, 2002.

<sup>548</sup> ob. Iran: Rowhani Calls for Unanimous Legal Regime for Caspian, Foreign Broadcast Information Service [FBIS], Doc. FBIS-NES-98-270 (Sept. 27, 1998) (ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს მდივნის, ჰასან როჟკანის განცხადება რუსეთის ელჩის კონსტანტინე შუავალევისადმი). ირანის მიერ დაყოფის ერთი და იგივე სქემაზე დაბეჯითებით მოხვენის ანალიზისათვის, ob. Iran: Maleki on policy toward US, Caspian Issues, Doc. FBIS-EAS-1999-0214 (Feb. 14, 1999.) (ინტერვიუ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, აბას მალექისთან)

როგორც პროფესორი ოქსმანი აღნიშნავს: “სინამდვილე იმაში მდგომარეობს, რომ ტბების და ნახევრად ჩაკეტილი ზღვების უმრავლესობა, შემოსაზღვრული ერთზე მეტი სახელმწიფოს მიერ, დაყოფილი იქნა... დაყოფა... მხარდაჭერილი იქნა სახელმწიფო პრაქტიკის მიერ.”<sup>549</sup> ზუსტად ასევე მეცნიერმა ჯ. ვერზიილმა აღნიშნა, რომ ტბებისა და შიდა ზღვების საერთო საკუთრების მაგალითები “რამდენადაც მისთვის ცნობილია, ფაქტიურად არ არსებობს.”<sup>550</sup>

თუმცა მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს პრეცენდენტი, როდესაც საერთაშორისო სასამართლომ აღიარა საზღვაო სივრცე საერთო საკუთრებაში. მხედველობაშია დავა სალვადორს, პონდურასსა და ნიკარაგუას შორის ფონსეკას ყურის თაობაზე.<sup>551</sup> სასამართლომ აღიარა მხარეების უფლება 3 მილიან ტერიტორიულ ზღვაზე, ხოლო დანარჩენი საზღვაო სივრცე საერთო საკუთრებაში დატოვა.

ამ დროს სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით: ყურე დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ერთი სახელმწიფოს, ცენტრალურ-ამერიკული რესპუბლიკის იურისდიქციის ქვეშ; სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ ისინი დიდი ხნის მანძილზე ფაქტიურად ერთობლივად იყენებდნენ ამ ყურეს; ყურის გეოგრაფია იმგვარია, რომ მისი დაყოფის შემთხვევაში პონდურასი შეიძლება საერთოდ ზღვაზე გასასვლელის გარეშე დარჩეს, თუ არა იმ საზღვაო სივრცეების გავლით, რომელნიც სალვადორისა და ნიკარაგუას სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფებიან. ამგვარად ეს მდგომარეობა ერთობ განსხვავდება კასპიის ზღვის სიტუაციისაგან და პირდაპირი ანალოგია აქ სავარაუდოდ ნაკლებად დასაშვებია,<sup>552</sup> თუმცა რუსეთის ახალი ინიციატივების თანახმად წყლის სივრცე საერთო სარგებლობაში უნდა დარჩეს.

<sup>549</sup> ob. Bernard Oxman, Caspian Sea or Lake: What Difference Does It Make? CASPIAN CROSSROADS MAG., Winter 1996.

<sup>550</sup> 3 J.H.W. VERZIJL, INTERNATIONAL LAW IN HISTORICAL PERSPECTIVE 19 (1970), ციტირებულია Clagett, Brice M. Clagett, Ownership of Seabed and Subsoil Resources in the Caspian Sea under the Rules of International Law, CASPIAN CROSSROADS MAG., Summer/Fall 1995, მე-6 გვერდზე.

<sup>551</sup> ob. Case Concerning the Land, Island and Maritime Frontier Dispute (El Salvador/Honduras: Nicaragua intervening), 1992 I.C.J. 351, 582-606 (judgment). წყარო: <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=0e&case=75&code=sh&p3=4>.

<sup>552</sup> საქმე არ დასრულებულა სასამართლოს 1922 წლის გადაწყვეტილებით, ვინაიდან 2002 წელს სალვადორმა შეიტანა განცხადება საქმის გადახედვის თაობაზე (3-მილიანი ზონის კოორდინატების გადახედვა) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, გეოგრაფიულ კვლევებზე დაყრდნობით. ob. International Court of Justice, Press Release 2002/21: El Salvador requests a revision of the Judgment delivered on 11 September 1992 by the Chamber of the Court in the case concerning the Land, Island and Maritime Frontier Dispute (El Salvador/Honduras: Nicaragua intervening). წყარო: <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=0e&case=127&p3=0>.

## (გ) რუსეთის ინიციატივები. უახლესი მიღვომები და შედეგები

რუსეთის ქმედებები კასპიის ზღვაზე ხშირად ასახავს მუდმივად არსებულ დაძაბულობას საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის, რომელთანაც გადახლართულია ლუკოილის<sup>553</sup> ტიპის მძლავრი ნავთობკორპორაციების ინტერესები. რუსეთი ირონიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა 1994 წლის დასაწყისისათვის: იმ დროს, როდესაც მისი საგარეო საქმეთა სამინისტრო კასპიის რეგიონში აზერბაიჯანის სანავთობო ოპერაციებს სამართალდარღვევას უწოდებდა და იმუქრებოდა, რომ შეწყვეტდა მათ ძალისმიერი მეთოდებით, მისი სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრო ლუკოილთან და სხვა მსხვილ ნავთობკომპანიებთან ერთად ემზადებოდა აზერბაიჯანისათვის ამავე პროექტებში<sup>554</sup> დახმარების აღმოსაჩენად. ნავთობის ლობიმ მოიპოვა მთავარი გამარჯვება 1994 წლის ნოემბერში, როდესაც პრემიერ-მინისტრმა ჩერნომირდინმა, გაზპრომის ყოფილმა მეთაურმა, მიიღო მოსკოვში პრეზიდენტი პ. ალიევი და კვლავ დაუდასტურა მას კონსორციუმის გარიგების მიღება.<sup>555</sup>

<sup>553</sup> იაკობ პაპე, რუსი ექსპერტი, კომანიების შეხედულებებს აღწერდა შემდეგნაირად: “მენავთობები მხარს არ უჭერებ რუსეთის არანაირ მცდელობებს, მოახდინოს გავლენა მის სამხრეთელ მეზობლებზე, კერძოდ, სსრკ ყოფილი ისლამური რესპუბლიკების რუსეთის სპეციალური ინტერესების ზონად გამოცხადებით. ისინი ამას მხარს არ უჭერებ, იმიტომ რომ არ სჯერათ ამ ზომების ეფექტურობისა. მათთვის მნიშვნელოვანია გაფართოების საშუალება ახლავე, იმ დროს, ჯერ სანამ ყველაფერი განაწილებული არაა. სწორად ამიტომ მენავთობების სურთ პატივი სცენ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ეროვნულ მისწრაფებებს, ამავე დროს მოელიან, რომ ეს სახელმწიფოები გადადგამენ ნაბიჯებს რუსეთში ჯერ კიდევ არსებული სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ადამიანური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისათვის.” იხ. Yuri Fedorov, Russia's Policies toward Caspian Region Oil: Neo-Imperial or Pragmatic? PERSPECTIVES ON CENTRAL ASIA, Oct. 1996 (Center for Post-Soviet Studies, Carnegie Corp. of NY).

<sup>554</sup> დაძაბულობა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის ამოტივტივდა კონფერენციაზე კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის თაობაზე, რომელიც ჩატარდა მოსკოვში 1995 წლის ოქტომბერში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული განყოფილების დირექტორმა განაცხადა თავისი სამინისტროს სტანდარტული პოზიცია, კასპიის ზღვაზე აზერბაიჯანის ცალმხრივი მოქმედების კრიტიკის დამატებით. ლუკოილ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ამაზე მოახდინა რეაგირება ისე, რომ ხაზი გაუსვა რუს და აზერბაიჯანელ მენავთობებს შორის თანამშრომლობის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მომებიანობას და შემდეგ განაგრძო: “[ლუკოილმა] იცის, როგორ მოიპოვოს ნავთობი და როგორ გააკეთოს ეს საუკეთესოდ შესაძლებელი საშუალებით, მაშინ როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა იციან, როგორ უნდა იქონიონ საქმე პოლიტიკურ პრობლემებთან. ამიტომ, თითოეული დაინტერესებულია მისი საკუთარი ბიზნესით.” ამგვარად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას იმავე კონფერენციაზე, - რომ არ ყოფილა “არანაირი განსხვავება კასპიის ზღვის პრობლემისადმი მიღვომის პრინციპაში” ამ თუ სამინისტროს შორის - დამაჯერებული შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. კონფერენციაზე შეტყობინებების მიმოხილვისათვის იხ. Lev Klepatsky & Valery Pospelov, Manoeuvring Round the Caspian Sea, 10 INT'L AFF. 59 (Moscow 1995).

<sup>555</sup> იხ. Robert V. Barylski, Russia, the West, and the Caspian Energy Hub, 49 MIDDLE E. J. 217, 224 (1995). Barylski აღწერს კულუარულ ბრძოლას საგარეო საქმეთა სამინისტროსა და

ორი წლის შემდეგ, 1996 წლის ნოემბერში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეარბილა თავისი პოზიცია, წამოყენა პიბრიდული გეგმა, რომლითაც აერთიანებს აზერბაიჯანის პოზიციას (რომელიც მოუწოდებს ეროვნული სექტორებისაკენ კასპიის ზღვაში) საერთო საკუთრების მხარდაჭერ ირანისა და რუსეთის პოზიციებთან.<sup>556</sup>

ეს კომპრომისი, რომელსაც დაეთანხმა ყველა ზღვისპირა სახელმწიფო, აზერბაიჯანის გარდა, ითვალისწინებდა ეროვნულ სუვერენიტეტის შემოღებას შელფის გასწვრივ და შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებას, თითოეული სახელმწიფოს სანაპიროდან ორმოცდახუთი მილის ფარგლებში, შუალედური ნეიტრალური სვეტით, რომელიც დატოვებული უნდა იქნეს ერთობლივი ათვისებისათვის.<sup>557</sup>

მოგვიანებით რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ ადმონიდა მთავრობის ერთიანი პოზიციის შერყევის მოწმე, როდესაც 1997 წლის აგვისტოში რუსეთის ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გამოაცხადა ლუკოლი გამარჯვებულად ტენდერში ჩრდილო-კასპიის მიდამოების ათვისებაზე. ეს მონაკვეთი ვრცელდებოდა იმდენად შორს ორმოცდახუთ მილიანი ზონის მიღმა, რომ ყაზახეთის ტერიტორიაზე შედწევის გამო აღშფოთებულმა ყაზახეთმა გააგზავნა პროტესტი მოსკოვში.<sup>558</sup>

საბოლოოდ, 1998 წლის ოქტომბერში, რუსეთმა მთლიანად შეცვალა თავისი ხანგრძლივად დაკავებული პოზიცია საერთო სარგებლობის თაობაზე და, რაც შეიძლება ჩაითვალოს შიდა სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში ნავთობის ინტერესების (და მათთან ერთად, ერთგვარი სადი აზრის) საბოლოო გამარჯვებად, განაცხადა მთელი კასპიის ზღვის ფსკერის სექტორალური გაყოფის მხარდაჭერის შესახებ.<sup>559</sup> 1998 წლის 6 ივნისს რუსეთმა და ყაზახეთმა გაიყვეს ზღვის ფსკერის ჩრდილოეთ ნაწილი თანაბრად დაშორებული წრფის თანახმად.<sup>560</sup> თუმცა შეთანხმება

რუსეთის მთავრობაში მენავთობეთა ინტერესების წარმომადგენლებს შორის, ხაზს უსვამს ჩერნომირდინის უარს გაატაროს უკომპრომისო პოლიტიკა.

<sup>556</sup> იხ. Azerbaijan: Caspian Sea Status to Be Discussed in Russian-Azeri Talks, Doc. FBIS-SOV-98-209 (July 28).

<sup>557</sup> რუსეთმა ასევე გამოაცხადა თავისი მზადყოფნის შესახებ მიიღოს “სხვა ზღვისპირა სახელმწიფოების ლოკალური იურისდიქცია” 45-მილის ზონის მიღმა ნავთობის ნაკვეთებზე, თუ გარკვეული კრიტერიუმები იქნება გამოყენებული და თუ ნაკვეთები უპვე იყო ათვისებული, ან იგეგმებოდა ასათვისებლად. ეს შეთანხმება, თითქოს, ადიარებდა ლუკოლი-ის და სხვა რუსული ნავთობაკომპანიების ინტერესებს, რომელიც პარტნიორები იყვნენ ამ პროექტებში. იხ. Mikhail Alexandrov, Russian-Kazakh Contradictions on the Caspian Sea Legal Status, RUSS. & EURASIAN BULL., Feb. 1998 (Contemporary Europe Research Center, University of Melbourne).

<sup>558</sup> იხ. Syed Rashid Ali, Russia/Kazakhstan Caspian Agreement, PETROLEUM TIMES ENERGY REP., Feb. 1998, LEXIS, News Library, Curnws File.

<sup>559</sup> იხ. Azerbaijan: Baku Encouraged by New Russian Proposals on Caspian, Doc. FBIS-SOV-98-041 (Feb. 10).

<sup>560</sup> იხ. Russia and Kazakhstan share Caspian spoils, BBC Online Network, July 7, 1998.

მხოლოდ ზღვის ფსკერს ეხებოდა, ვინაიდან რუსეთი დაუინებით მოითხოვდა, რომ კასპიის წყლები საერთო საკუთრებაში ყოფილიყო.<sup>561</sup>

1998 წელს რუსეთი დაუახლოვდა აზერბაიჯანის და ყაზახეთის პოზიციებს, თანხმდებოდა რა ზღვის ფსკერის პროპორციულ ეროვნულ სექტორებად დაყოფაზე, მაგრამ კვლავ დაუინებით მოითხოვდა ზედაპირული წყლების საერთო სარგებლობას.

2002 წლის გაზაფხულზე და ადრეულ შემოდგომაზე რუსეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებებს აზერბაიჯანსა და ყაზახეთთან, აღიარა ეროვნული სექტორები, დაფუძნებული საშუალო, სანაპიროებიდან თანაბარ დაშორებულ წრფეებზე. რუსმა დიპლომატებმა წარმატებას მიაღწიეს აგრეთვე იმაში, რომ დაარწმუნეს აზერბაიჯანი და ყაზახეთი მხარი დაეჭირათ რუსეთის პოზიციისათვის “გაყოფილი ფსკერი, საერთო წყლები” ზღვის სტატუსის თაობაზე მრავალმხრივ მოლაპარაკებებზე ხუთ სახელმწიფოს შორის.<sup>562</sup> ამგვარად, დღესდღეობით არსებობს შეთანხმებები რუსეთს, აზერბაიჯანსა და ყაზახეთს შორის ზღვის ფსკერსა და მის ქვეშ ნავთობის უფლებების გაყოფის პრინციპისა და მეთოდის თაობაზე.

რუსეთისათვის ამ პოზიციის დაცვა ნიშნავდა უარის თქმას ნებისმიერ “საბჭოთა” განაცხადზე ნავთობით მდიდარ მონაკვეთზე ყაზახეთის და აზერბაიჯანის ნაპირების გასწვრივ და უარის თქმას ბაქო – თბილისი – ჯეიპანის ნავთობსადენის ბლოკადისათვის<sup>563</sup> ბრძოლაზე.

ამ დაომობებზე რუსეთი წავიდა რამოდენიმე მიზეზის გამო.<sup>564</sup> რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პრეზიდენტ კ. პუტინის ლიდერობით რუსეთი უფრო დაინტერესებული გახდა მოლაპარაკებათა პროცესში მაქსიმალურად გაეზარდა რუსეთის წილი კასპიის რეგიონის ეკონომიკურ სიმდიდრესა და მასზე პოლიტიკურ გავლენაში (და ზეწოლაში). ამას გარდა, რუსეთმა აღადგინა თავისი ნავთობსადენები დასავლეთის ბაზრებისაკენ, ააშენა ახალი მილსადენი ჩეჩენეთის გვერდის ავლით და დაასრულა რუსეთის გავლით ნავთობსადენის მშენებლობის ერთობლივი პროექტი ყაზახეთთან ერთად.

ლუკოილი, რომელიც წარმატებით ლობირებს თავის ინტერესებს რუსეთის სახელმწიფო ინსტანციებში, უკვე მუშაობს აზერბაიჯანსა და ყაზახეთში, აგრეთვე რუსეთის კასპიის სანაპიროების სიახლოეს

<sup>561</sup> იხ. კასპიის ზღვის სტატუსის მოწესრიგების საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კ.ი.

კალიფურის ორი ინტერვიუ, წერა: <http://www.mid.ru/bdomp/ns-dos.nsf/45682f63b9f5b253432569e7004278c8/432569d800223f34c3256e6d0030221e!OpenDocument>,

და <http://www.mid.ru/bdomp/ns-dos.nsf/45682f63b9f5b253432569e7004278c8/432569d800223f3443256bc20034e31e!OpenDocument>.

<sup>562</sup> იხ. Steven Lee Myers, Carving Up the Caspian, N.Y. TIMES, Sept. 24, 2002, p. A13.

<sup>563</sup> იხ. Carol Saivetz, Caspian Geopolitics: The View from Moscow, 7 BROWN J. WORLD AFF. 53, 54-55 (2000).

<sup>564</sup> იხ. Fiona Hill, Russia: The 21st Century's Energy Superpower?, 20 BROOKINGS REV. 28 (2002).

აღმოჩენილ ნავთობის საბადოებზე. რუსეთმა აგრეთვე შესთავაზა ნავთობის ექსპორტი შეერთებულ შტატებს და გახდა პარტნიორი აშშ-ს მიერ წარმოებულ “ტერორიზმთან ომში.”<sup>565</sup>

რუსეთისაგან განსხვავებით, ირანმა ნაკლებად გამოხატა კომპრომისზე წასვლის მზადყოფნა. ზღვით და ზღვის ფსკერით საერთო სარგებლობის იდეის დამატებით მან შესთავაზა ალტერნატიული გადაწყვეტილება: ზღვის გაყოფა ხუთ თანაბარ ეროვნულ სექტორად (20 პროცენტი თითოეულს) - პოზიცია, რომელსაც არც ერთი სხვა სახელმწიფო მხარს არ უჭერს. ამას გარდა, ირანი ცდილობდა მიეღო დაომობები სხვა კასპიისპირა სახელმწიფოების მხრიდან, თავისი სამხედრო პოტენციალის დემონსტრირებით.<sup>566</sup> 2001 წლის ივლისში ირანის ქვემქოსანი ნავი აედევნა ბრიტიშ პეტროლიუმის ორ ხომალდს სადაო ნავთობის საბადოდან სამხერეთ კასპიის ზღვაში. ბრიტიშ პეტროლიუმმა დაუყოვნებლივ შეაჩერა მთელი საქმიანობა აზერბაიჯანთან კონტრაქტის მიხედვით სადაო ნავთობის საბადოზე. შეერთებულმა შტატებმაც და რუსეთმაც გამოხატეს პროტესტი ირანის მოქმედებების გამო.

2001 წლის ივლისის ინციდენტმა ხაზი გაუსვა ირანის იზოლაციას და მოვლენებმა ამ მომენტიდან მოახდინეს იმ მზადყოფნის დემონსტრირება, რომლითაც დანარჩენი კასპიისპირა სახელმწიფოები შეუერთდნენ რუსეთის პოზიციას.<sup>567</sup> 2002 წლის აპრილში თურქმენეთში კასპიის ქვეყნების უმაღლესი დონის წარუმატებელი შეხვედრის შემდეგ, რომელზეც ირანი დაუინებით მოითხოვდა ზღვის თანაბარ გაყოფას, პრეზიდენტმა ვ. პუტინმა გასცა განკარგულება ჩატარებულიყო მსხვილმასშტაბიანი სამხედრო სწავლებანი კასპიის ზღვაზე 2002 წლის აგვისტოში, რომელშიც ასევე მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა, მაგრამ ირანი მრავალმნიშვნელოვნად არ იქნა დაშვებული როგორც მონაწილე.<sup>568</sup>

ამდენად, რუსეთის მიმდინარე მიდგომა კასპიის ზღვის სტატუსის მიმართ შეიძლება აღიწეროს როგორც მცდელობა არ დაკარგოს რეგიონში ეკონომიკური მარწუხები თუნდაც გარკვეული პოლიტიკური გავლენის ხარჯზე. ასეთი მიდგომის დევიზია “გაყოფილი ფსკერი, საერთო წყლები”, რომელიც თავის მხრივ არანაირ კავშირში არაა არც საბჭოთა-ირანის ხელშეკრულებების შინაარსთან, არც რუსეთის ფედერაციის 90-ანი წლების პოლიტიკასთან.

<sup>565</sup> ob. Brenda Shaffer, The U.S. Needs Russia to Help Contain Iran, L.A. TIMES, Feb. 21, 2002, p. 13.

<sup>566</sup> ob. Michael Lelyveld, Caspian: A Delicate Balance Prevails, RADIO FREE EUROPE--RADIO LIBERTY (July 16, 2002), წყარო: <http://www.rferl.org/content/article/1100276.html>.

<sup>567</sup> ob. Jean-Christophe Peuch, Caspian: 'Militarization' of the Sea--Myth or Reality?, RADIO FREE EUROPE--RADIO LIBERTY (June 10, 2002), წყარო: <http://www.rferl.org/content/article/1099954.html>.

<sup>568</sup> ob. Michael Lelyveld, Russia: Are Moscow's War Games in Caspian Muscle Flexing?, RADIO FREE EUROPE--RADIO LIBERTY (Aug. 7, 2002), წყარო: <http://www.rferl.org/content/article/1100476.html>.

ამჟამად რუსეთი იცავს ზღვის ფსკერის გაყოფას თითოეული სახელმწიფოს სანაპირო ზოლის შესაბამის ეროვნულ სექტორებად, მაგრამ ტოვებს ზედაპირულ წყლებს თხუთმეტ მილიანი ტერიტორიული ზონის მიღმა ერთობლივი გამოყენებისათვის ყველა სახელმწიფოს მიერ.<sup>569</sup> ნავთობის სადაო საბადოებზე განაცხადების მიხედვით წარმოქმნილი დავების გადასაწვეტად რუსეთი სთავაზობს შეთანხმებების დადებას ორმხრივი პრინციპით.

ამ ახლებური პოზიციის აღსასრულებლად, რუსეთმა დადო ორმხრივი ხელშეკრულებები თავის მეზობლებთან, აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან. ეს შეთანხმებები მოიცავენ კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილს, ფაქტიურად ყოფენ მას რუსულ, აზერბაიჯანულ და ყაზახურ ეროვნულ სექტორებად.<sup>570</sup>

ამ ორმხრივი შეთანხმებების სამართლებრივი ეფექტი, ახალი მრავალმხრივი შეთანხმების არარსებობის პირობებში, ბოლომდე ცხადი არაა, ვინაიდან არ განიმარტება, რჩება თუ არა ძალაში ძველი საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმებები, განსაკუთრებით ირანის პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც დაუინებით მოითხოვს ადრეული შეთანხმებების მოქმედების აღიარებასა და აღდგენას.

თუ საბჭოთა ეპოქის შეთანხმებები დაიშალა 1991 წელს საბჭოთა კავშირთან ერთად, ან თუ ისინი არასოდეს ფაქტიურად არ აწესრიგებდა კასპიის ზღვაზე საკუთრების საკითხს, მაშინ ახალმა ორმხრივმა შეთანხმებებმა რუსეთს, აზერბაიჯანს და ყაზახეთს შორის უნდა შეავსონ არსებული სამართლებრივი ვაკუუმი.

როგორც უკვე აღინიშნა, ირანი თანმიმდევრულად აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირისა და ირანის 1921 და 1940 წლების შეთანხმებები ძალაში რჩება მანამდე, სანამ ხუთივე სანაპირო სახელმწიფოს მიერ მიღებული არ იქნება ახალი მრავალმხრივი შეთანხმება. გარდა ამისა, ირანი მოითხოვს, რომ ახალი მრავალმხრივი შეთანხმება ითვალისწინებდეს ზედაპირული წყლებითა და ზღვის ფსკერით საერთო სარგებლობას, ან ალტერნატივის სახით, - მოხდეს ზღვის დაყოფა თანაბარ ეროვნულ სექტორებად – თითოეულისათვის ოცი პროცენტი.

ირანის უცვლელ არგუმენტაციას აქვს, ჩვენის აზრით, რამოდენიმე სამართლებრივი ხასიათის ხარვეზი. პირველ ყოვლისა, კასპიის სტატუსის შესახებ ირანის პოზიციის ქვაკუთხედს წარმოადგენენ საბჭოთა კავშირისა და ირანის შეთანხმებები, რომლებიც პირდაპირ არ ეხება კასპიის ზღვის სტატუსს და სრულებით გვერდს უვლის ზღვის

<sup>569</sup> ob. Michael Lelyveld, Caspian: Russia Proposes Wider Offshore Zone for Dividing the Sea, RADIO FREE EUROPE--RADIO LIBERTY (Aug. 28, 2002), წერტ:

<http://www.rferl.org/content/article/1100639.html>.

<sup>570</sup> ob. Michael Lelyveld, Caspian: Azerbaijan, Iran Seek New Phase in Border Dispute, RADIO FREE EUROPE--RADIO LIBERTY (June 18, 2002), წერტ:

<http://www.rferl.org/content/article/1100024.html>.

ფსკერის გაყოფისა თუ მიკუთვნების საკითხს. შემდეგ, - ამ შეთანხმებებში არ არის პირდაპირი მითოთებები, რომლებიც შესაძლებელი იქნებოდა ცალმხრივად გაგებული ყოფილიერ კასპიის ზღვის რესურსების საერთო საკუთრების სასარგებლოდ. კასპიის ასეთი საერთო სტატუსი შეთანხმებებში ნათლად უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგრამ საბჭოთა პერიოდში არც საბჭოთა კავშირი და არც ირანი არ განიხილავდნენ კასპიის ზღვას, როგორც საერთო საკუთრებას.

საბჭოთა კავშირმა ნავთობის მოპოვება დაიწყო შეთანხმებაში გათვალისწინებული ათ მილიანი თევზჭერის ზონის გარეთ, რაზეც ირანს პრეტენზია არ ჰქონია. დაბოლოს, ირანმა უარი თქვა 1921 და 1940 წლების შეთანხმებების დებიტიმურობის აღიარებაზე სხვა სფეროებში, რომლებსაც ისინი აგრეთვე შეეხებოდა, მაგალითად უსაფრთხოების დარგში.<sup>571</sup>

#### (დ) კასპიის ზღვის სტატუსთან დაკავშირებული ახალი კითარების პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები

ვინაიდან რუსეთის მიერ შემოთავაზებული ინიციატივები გაზიარებულია აზერბაიჯანისა და ყაზახეთის მიერ, უპრიანი იქნება შედეგების ანალიზი ამ ქვეყნებისათვის ერთობლიობაში. მიგვაჩნია, რომ თურქმენეთი, რომელიც არ გამოირჩეოდა დიდი აქტიურობით და ყოველ შემთხვევაში პირდაპირ და ლიად არ უჭერდა მხარს ირანს, ასევე ამ სამეულთა დაჯგუფებაში უნდა მოვისაზროთ. მით უფრო, რომ თურქმენეთის პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ – რომლის დროსაც თურქმენეთი ისედაც მეტნაკლებად დამოუკიდებლად მოქმედებდა - ძნელი წარმოსადგენია, რომ ირანის გავლენა ამ ქვეყანაზე გადააჭარბებს რუსეთის ან აშშ-ს გავლენას.

თუ რუსეთის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილება მიღებული იქნება საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში – როგორც ორმხრივი შეთანხმებების სისტემა ან როგორც საფუძველი ახალი კასპიის შეთანხმებისათვის – მაშინ რუსეთი ყველაზე მოგებული დარჩება პოლიტიკური და უკონომიკური თვალსაზრისით, თუმცა ჩვენ ვთვლით რომ ასეთმა არამდგრადმა პოზიციამ უკუშედებებიც შეიძლება მოიტანოს.

პირველ რიგში, სამართლებრივი სტატუსის დარეგულირებაში წამყვანი როლი საშუალებას მისცემს რუსეთს მოიპოვოს რეგიონში მასტაბილიზირებელი ძალის მდგომარეობა, თუმცა ასევე დაგძენთ, რომ ასეთი მდგომარეობა შეიძლება მოჩვენებითი და დროებითი იყოს.

მეორე – კასპიის სტატუსის მხრივ რუსეთის მჭიდრო თანამშრომლობა აზერბაიჯანსა და ყაზახეთან შესაძლებელს გახდის სხვა ისეთი მასშტაბური პრობლემების ირგვლივ მჭიდრო

<sup>571</sup> ob. Kamyr Mehdioun, Current Development, Ownership of Oil and Gas Resources in the Caspian Sea, 94 AM. J. INTL L. 188-189 (2000).

ურთიერთთანამშრომლობას, როგორიცაა სტაბილურობა კავკასიაში და შუა აზიაში; ამასთან ერთად მოხდება რუსეთთან პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარებაც.

მესამე – ზღვის ფსკერის დაყოფა ეროვნულ სექტორებად საშუალებას მისცემს რუსეთის გავლენიან ნავთობკომპანიებს განაგრძონ რუსეთის სექტორში აღმოჩენილი მარაგის ათვისება, აგრეთვე აზერბაიჯანელ და ყაზახ პარტნიორებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ სხვა პროექტებშიც.

დაბოლოს – მიდგომა “საერთო წყლები” მისცემს მოსკოვს თავისუფლებას, რათა მოახდინოს კასპიის ზღვის პატრულირება და შეებრძოლოს იმას, რასაც ის საკუთარი შეხედულებისამებრ განიხილავს, როგორც დანაშაულსა და ტერორიზმს.<sup>572</sup>

1998 წლის აგვისტოში, აზერბაიჯანმა განაცხადა, რომ რუსეთი – კასპიის ზღვის საერთო საკუთრების პრინციპის დიდი ხნის მომხრე, დათანხმდა დაყოს ზღვის ფსკერი თანაბრად დაშორებული ხაზის საფუძველზე.<sup>573</sup>

იმავე წლის თებერვალში, აზერბაიჯანმა და თურქმენეთმა მიაღწიეს წინასწარ შეთანხმებას ზღვის ფსკერის გაყოფის თაობაზე თანაბრად დაშორებული ხაზის პრინციპის თანახმად. თუმცა ეს ორი სახელმწიფო ვერ შეთანხმდა საბოლოოდ იმ მოსაზრებაში, თუ როგორ უნდა იქნას გავლებული ასეთი გამყოფი ხაზი.<sup>574</sup> უთანხმოება წარმოიშვა ასევე კასპიის ზღვაში რამოდენიმე საბადოს კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით.<sup>575</sup>

<sup>572</sup> იხ. Sergei Blagov, Russia's Asian Policy Gains Momentum, ASIA TIMES ONLINE, Nov. 14, 2002, წყარო: [http://www.atimes.com/atimes/Central\\_Asia/DK14Ag01.html](http://www.atimes.com/atimes/Central_Asia/DK14Ag01.html) (ანტი-ტერორისტულ ოპერაციებში ყაზახეთის რუსეთთან თანამშრომლობის განხილვა); იხ. Daan van der Schriek, Moscow Hostage Crisis Encourages Closer Russian-Azerbaijani Relations, წყარო: <http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav103002.shtml> (Oct. 30, 2002)

(აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩეჩენი სეპარატისტების აქტივობის ჩახშობასა და ორ ქვეყნას შორის თბილი ურთიერთობების აღდგენის თაობაზე აზერბაიჯანისა და რუსეთის თანამშრომლობის განხილვა).

<sup>573</sup> იხ. Azerbaijan: Azerbaijan's Aliyev on Disagreement with Russia on Caspian, Doc. FBIS-SOV-98-217 (Aug.5) (აზერბაიჯანის პრეზიდენტის პერიოდის განცხადება ინტერვიუს ახალი ამბების სააგენტოსათვის).

<sup>574</sup> ზოგიერთი შეტყობინებები მიუთითებდა, რომ თურქმენეთი მოწონებით უყურებს თანაბრად დაშორებულ ხაზს, სადაც იგნორირებულია ყურეები ან კუნძულები, მაშინ როცა აზერბაიჯანს სურს ჩართოს ისინი ამგვარი ხაზის გავლების გაანგარიშებებში. იხ. Azerbaijan-Turkmenistan, PLATT'S OILGRAM NEWS, Apr. 1, 1998, LEXIS, News Library, Curnws File.

<sup>575</sup> ერთ-ერთ სადაცო საბადოს თურქმენები სერდარს, ხოლო აზერბაიჯანელები კიაპაზს უწოდებენ. 1997წ. აგვისტოში თურქმენეთის მწვავე საპროტესტო მოთხოვნების შემდეგ, და, როგორც ჩანს, ამ მოთხოვნების ერთგვარი აღიარების ნიშნად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გააუქმა როსნეფტსა და ლუკოილს მიერ დადგებული შეთანხმება, რომელიც არეგულირებდა აზერბაიჯანთან სადაო მონაკვეთის ათვისებას. ცნობების თანახმად ეს გარიგება 1 მილიარდ ლოდარს შეადგენდა. იხ. Azerbaijan wants clarification on Caspian, J. COM., Aug. 28, 1997. იმავე წელს მოგვიანებით თურქმენეთმა თხოვნით მიმართა ბამრო-ს დახმარება გაეწია სადაცო საკითხის დარეგულირებაში. იხ. Mikhail Alexandrov, Russian-Kazakh Contradictions on the Caspian Sea

აზერბაიჯანი და ყაზახეთი ტრადიციულად ფრთხილობდნენ რუსეთთან ორმხრივ ურთიერთობებში კასპიის ზღვის საკითხთან დაკავშირებით.<sup>576</sup> თუმცა აზერბაიჯანისა და ყაზახეთისათვის რუსეთის გადაწყვეტილების მთავარი უპირატესობა იყო კასპიის გარკვეულ მონაკვეთებზე მათვის სუვერენული უფლებების განსაზღვრა და ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობების გარკვევა, უახლოესი მომავლისათვის მაინც.

აზერბაიჯანი და ყაზახეთი, რა თქმა, უნდა ამჯობინებდნენ იურიდიული სტატუსის მრავალმხრივ გაფორმებას. მიუხედავად ამისა, კასპიის სივრცეზე საკუთარი უფლებების სწრაფად უზრუნველყოფისათვის, მათი ინტერესებისა და აგრეთვე ირანის შეურიგებლობის გათვალისწინებით, ორმხრივი ხელშექრულების სისტემა შესაძლოა საუკეთესო გამოსავალიც კი იყოს, რისი იმედიც შეიძლება პქონდეთ აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ლიდერებს ამ დროისათვის.

ყაზახეთი მხარს უჭერს კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას UNCLOS-ს თანახმად. შესაბამისად, იგი გამოდის შიდა და ტერიტორიული წყლებისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დაწესების მომხრედ.<sup>577</sup>

1993 წლის ოქტომბერში თურქმენეთი გახდა პირველი კასპიის ზღვისპირა სახელმწიფო, რომელმაც მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც აღიარებულ იქნა 12-მილიანი ტერიტორიული ზღვისა და “საზღვაო ეკონომიკური ზონის” იურისდიქცია.<sup>578</sup> თურქმენეთმა ასევე ძირითად საკითხებში მიაღწია ურთიერთგაბებას აზერბაიჯანთან და წინასწარ შეთანხმებას ყაზახეთთან ზღვის სექტორებად დაყოფის თაობაზე.<sup>579</sup> თუმცა ყაზახეთი, თურქმენეთი და აზერბაიჯანი ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებენ კასპიის ზღვაში თანაბრად დაშორებული გამყოფი ხაზის გავლებაზე, მაგრამ მხარეები ვერ თანხმდებიან ასეთი ხაზის გავლების პრინციპის განსაზღვრასთან მიმართებაში.

ამდენად, ყაზახეთი და აზერბაიჯანი (და გარკვეულ წილად თურქმენეთი), ფლობენ რა ფაქტიურად მათ ნაპირებთან არსებულ

---

Legal Status, RUSS. & EURASIAN BULL., Feb. 1998 (Contemporary Europe Research Center, University of Melbourne).

<sup>576</sup> ი. ხ. Hooman Peimani, Russia Navigates Another Caspian Rapid, ASIA TIMES ONLINE, Oct. 8, 2002, წყარო: [http://www.atimes.com/atimes/South\\_Asia/DJ08Df05.html](http://www.atimes.com/atimes/South_Asia/DJ08Df05.html).

<sup>577</sup> ი. ხ. Sergei Vinogradov & Patricia Wouters, The Caspian Sea: Quest for a New Legal Regime, 9 LEIDEN J. INT'L L. 95 (1996).

<sup>578</sup> Law on the State Border, Oct. 1, 1993, Art. 6, ციტირებულია მ. 55 გვ. 92-93.

<sup>579</sup> აზერბაიჯან-თურქმენეთის ურთიერთშეთანხმების შესახებ კასპიის ზღვის “ძირითად წერტილებზე”, ი. ხ. Turkmenistan – Background of Caspian Disputes, APS REV. OIL MARKET TRENDS, Sept. 7, 1998, LEXIS, News Library, Curnws File 1997წ.-ის ყაზახეთ-თურქმენეთის შეთანხმებაში ნათქვამია, რომ “უკეთ კასპიის ზღვისპირა ქვეყანა მხარს უნდა უჭერდეს წყლის რეგიონის შუასაზე გაყოფის პრინციპს, მანამდე, სანამ გაირკვევა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი”. ი. ხ. Michael P. Croissant & Cynthia M. Croissant, The Caspian Sea Status Dispute: Azerbaijani Perspectives, CAUCASIAN REGIONAL STUD., No. 1, 1998 (ორი სახელმწიფოს პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი შეთანხმების ციტირება).

ნავთობისა და გაზის საბადოებს, თანხმდებიან ნებისმიერ წინადადებაზე, რომელიც ასე თუ ისე დააკანონებს ამ მფლობელობას, მიუხედავად იმისა, რამდენად სამართლიანი და სამართლებრივად სწორი იქნება რუსეთის მიერ შემოთავაზებული სქემა.

ირანისათვის რუსეთის მიდგომა “დაყოფილი ფსკერი, საერთო წყლები” – ნაკლებად მისაღებია. პირველ რიგში, ეს ირანს მთლიანად კასპიის სივრცეზე ეკონომიკურ პერსპექტივებს ართმევს. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ირანის სანაპიროს მახლობლად მნიშვნელოვანი საბადოები არ აღმოჩნდა.

მეორე – ირანი ასევე ითვალისწინებს რეგიონში ამჟამინდელ და სამომავლო არასტაბილურობას; მაგალითად, აზერბაიჯანის ნებისმიერი მოძლიერება მხოლოდ გააძლიერებს ირანის ეთნიკური აზერბაიჯანული მოსახლეობის, ან მისი ნაწილის, სეპარატისტულ განწყობას და შესაძლოა გამოიწვიოს პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებში, რომლებიც აზერბაიჯანს ესაზღვრება. გარდა ამისა, ირანის პოლიტიკურმა პრობლემებმა შესაძლოა იმატოს კასპიის ზღვის დაყოფის რუსეთის წინადადებების აშშ-ს მხარდაჭერის შედეგად.

ირანს შეიძლება მაინც პქონდეს გარკვეული დათმობების იმედი კასპიის ზღვის სტატუსის თაობაზე საბოლოო შეთანხმების გაფორმებისას, მაგრამ მოცემული მომენტისათვის ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. კასპიის ხუთივე სახელმწიფოს მონაწილეობით მიღებული მრავალმხრივი შეთანხმების არარსებობის გამო, ძნელია დანახვა, თუ როგორ ადგვეთს რუსეთის მიერ აზერბაიჯანთან და ყაზახთან შექმნილი ორმხრივი ხელშეკრულებების სისტემა იმ კონფლიქტს, რომელიც წარმოიშობა ზღვის სამხრეთ ნაწილში სადაც ნავთობსაბადოების ირგვლივ.

თუ ირანის ლიდერები გადაწყვეტენ, რომ ირანს დასაკარგი არაფერი აქვს, მათი ლტოლვა მიმართული იქნება მხოლოდ დესტრუქციული ნაბიჯებისკენ კასპიის ზღვის სხვა სახელმწიფოების მოქმედებით დაკავშირებით. ასეთი მდგომარეობა, შესაძლოა, თვით ირანის მიერ პროვოცირებულიც, ფართო პერსპექტივაში მაინც არ ხდის რუსეთის წინადადებებს კონსტრუქციულს.

(ე) პოსტსაბჭოური სახელმწიფო პრაქტიკის ზოგადი ანალიზი და პერსპექტივები

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სსრკ და ირანს შორის არსებული ხელშეკრულებები არ არეგულირებდნენ საკითხებს საზღვაო სივრცეების იურისდიქციისა და მფლობელობის შესახებ, სსრკ დამოუკიდებლად ახორციელებდა ყველა ქმედებას ზღვაზე მის მიერ გატარებული

საზღვრის (ასტარა-ჰასანეული) ჩრდილოეთით,<sup>580</sup> რასაც აქტიური პოლიტიკისტები ირანის მხრიდან არ მოჰყოლია; ირანი, თავის მხრივ, უარს აცხადებდა ედიარებინა შეთანხმებები გარკვეულ ნაწილში (რომელიც ეხება უსაფრთხოების საკითხებს),<sup>581</sup> რაც ასევე უჭირავს ქვეშ აყენებს სსრკ-ირანის ხელშეკრულებების სამართლებრივ ძალას.

ოთხი კასპიისპირა სახელმწიფო წარმოადგენს სსრკ-ს სამართალმემკვიდრეებს. თუმცა ანალოგიური სიტუაციის მოძებნა მსოფლიო პრაქტიკაში ძნელია, 1978წ. სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ ვენის საერთაშორისო კონვენციის მიხედვით<sup>582</sup> და არსებული მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, ოთხ კასპიისპირა ყოფილ სსრკ რესპუბლიკას შეეძლო შეენარჩუნებინა სსრკ-ირანის დე ფაქტო და დე იურე ურთიერთობები, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მიზანმიმართულად, სისტემატიურად და შეთანხმებულად იმოქმედებდნენ.

მაგრამ ამ სახელმწიფოებს არც ერთი ერთობლივი განცხადება არ გაუკეთებიათ სსრკ-ირანის ურთიერთობათა მიმართ მათი დამოკიდებულების შესახებ, უფრო მეტიც, დსთ-ს მემორანდუმს<sup>583</sup> სსრკ-ს საერთაშორისო შეთანხმებების მიმართ აზერბაიჯანი საერთოდ არ შეუერთდა.

აზერბაიჯანის პოზიცია 1991 წლიდან რჩებოდა უცვლელი - კასპიის ზღვის სექტორული დანაწილება. ყაზახეთისა და თურქმენეთის პოზიციები მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ ყოფილა. ხოლო რუსეთის პოზიცია ჯერ ემხრობოდა ირანისას - ზღვის საერთო საკუთრების შესახებ, ხოლო 1998წ. შეიცვალა კონტინენტური შელფის დაყოფის სასარგებლოდ.

უფრო მეტიც, აღინიშნებოდა რუსეთის პოზიციის შიდა წინააღმდეგობა, ანუ როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქადაგებდა კასპიის ზღვის საერთო საკუთრების შესახებ, ამ ქვეყნის ენერგეტიკის სამინისტრო ლობირებას უწევდა რუსეთის ნავთობკორპორაციებს, რათა მათ განეხორციელებინათ ნავთობის მოპოვება აზერბაიჯანულ და ამერიკულ კომპანიებთან ერთად, იმ ტერიტორიაზე, რასაც დე ფაქტო აზერბაიჯანის სექტორი ეწოდება.<sup>584</sup>

<sup>580</sup> სსრკ-ს კანონი “სახელმწიფო საზღვრის შესახებ”, 1982წ, აცხადებს, რომ, სახელმწიფო საზღვარი ტბებზე გადის იმ პირდაპირი ხაზის მიხედვით, რომელიც აერთებს სსრკ-ს საზღვრის გასასვლელებს ამ ტბაზე. იხ. Закон о государственной границе СССР 1982 г. // Сб. законов СССР. М., 1993.

<sup>581</sup> იხ. Kamyr Mehdiyoun, Current Development, Ownership of Oil and Gas Resources in the Caspian Sea, 94 AM. J. INT'L L. 188-189 (2000).

<sup>582</sup> იხ. სქოლით 445 *supra*.

<sup>583</sup> იხ. МЕМОРАНДУМ О ВЗАИМОПОНИМАНИИ 1992г. по вопросу правопреемства в отношении договоров бывшего Союза ССР, представляющих взаимный интерес. წერტილ: <http://pravo.levonevsky.org/bazaby/org513/basic/text0215.htm>.

<sup>584</sup> იხ. Lev Klepatsky & Valery Pospelov, Manoeuvring Round the Caspian Sea, 10 INT'L AFF. 59 (Moscow 1995); იხ. ასევე Robert V. Barylski, Russia, the West, and the Caspian Energy Hub, 49 MIDDLE E. J. 217, 224 (1995).

აქედან გამომდინარე სადღეისოდ ძნელად წარმოსადგენი ხდება კასპიის სტატუსის დარეგულირების შესაძლო ყველაზე მარტივი გზა – სსრკ-ირანის დე ფაქტო და დე იურე ურთიერთობებისა და საზღვრების აღდგენა, და შემდგომი მოლაპარაკება უკვე ოთხ ყოფილ სსრკ რესპუბლიკას შორის.

1998 და 2002წწ. რუსეთმა, დადო რა შეთანხმებები ყაზახეთთან და აზერბაიჯანთან კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის კონტინენტური შელფის დაყოფის შესახებ, შეეცადა თავისივე არაერთგვაროვანი მიღვომის გამოსწორებას. აღსანიშნავია, რომ ამგვარი დაყოფა გამოირჩევა დიდი სისუსტით საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით,<sup>585</sup> იგი საერთოდ არ ითვალისწინებს არც ირანის პოზიციას და არც სსრკ-ირანის ურთიერთობების ასპექტებს.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხსენებული შეთანხმებები პირდაპირ საფუძვლად დაედოს რაიმე ხუთმხრივ ხელშეკრულებას. აღნიშნული მდგომარეობა წარმოადგენს სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის მცდელობას პოლიტიკური ხერხითა და მეთოდებით. ხოლო პოლიტიკური სიტუაცია, როგორც ცნობილია, არ გამოირჩევა სტაბილურობით, განსაკუთრებით ყოფილ სსრკ-ს ქვეყნებში.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია დადებული შეთანხმებების მოქცევა საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებში, და მომზადება მრავალმხრივი შეთანხმებისა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ. მიგვაჩნია, რომ გამოყენებულ უნდა იქნას საერთაშორისო სამართლის აპრობირებული ნორმები, პირველ რიგში UNCLOS-ს დებულებები და მიდგომები, და იმავდროულად გამოყენებულ იქნეს პაკეტური მიდგომა, ანუ როდესაც ცალკეული საზღვაო სივრცის რეჟიმი (ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი, დიდი ზღვა) დარეგულირდება ცალკე, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმებისა და ჩვეულებების გამოყენების შედეგად. აღნიშნული მიდგომა საშუალებას მისცემს კასპიის ქვეყნებს არ შემოიფარგლონ კონკრეტული ნორმატიული ბაზის ჩარჩოებით და სრულად გაითვალისწინონ კასპიის ზღვის აქამდე არსებული განსაკუთრებული სტატუსი.

<sup>585</sup> ი. კრიტიკული მოსაზრებები და კომენტარები: BEN N. DUNLAP, Divide and Conquer? The Russian Plan for Ownership of the Caspian Sea, 27 B.C. Int'l & Comp. L. Rev. 115, Winter, 2004; Kamyar Mehdiyoun, CURRENT DEVELOPMENT: Ownership of Oil and Gas Resources in the Caspian Sea, 94 A.J.I.L. 179, January, 2000; Barry Hart Dubner, The Caspian: Is it a Lake, a Sea or an Ocean and Does it Matter? The Danger of Utilizing Unilateral Approaches to Resolving Regional/International Issues, 18 Dick. J. Int'l L. 253, Winter, 2000; Eric W. Sievers, The Caspian, Regional Seas, and the Case for a Cultural Study of Law, 13 Geo. Int'l Envtl. L. Rev. 361, 2001; Houman Afshar, THE CASPIAN DISPUTE: IS A DOCTRINAL ANALYSIS TOO LATE OR CAN WE TURN BACK THE HANDS OF TIME?, 48 N.Y.L. Sch. L. Rev. 755, 2003 / 2004; Julie M. Folger, A Proposal to End the Stalemate in the Caspian Sea Negotiations, 18 Ohio St. J. on Disp. Resol. 529, 2003.

## თავი 5. გაყოფის პრინციპები

6a.b.15



სალვადორს, პონდურასსა და ნიკარაგუას შესახებ.<sup>586</sup>

კასპიის სამართლებრივი სტატუსის დადგენა ვიწრო ჩარჩოებში - ან მხოლოდ ზღვა (ჩაკეტილი თუ ნახევრად ჩაკეტილი) ან მხოლოდ ტბა უშედეგო აღმოჩნდა. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს პრეცედენტი, როდესაც საერთაშორისო სასამართლომ დატოვა საზღვაო სივრცეები საერთო საკუთრებაში. საქმე ეხებოდა დავას მორის ფონსეკას ჭურეს

სასამართლომ აღიარა სამივე სახელმწიფოს ტერიტორიალური ზღვის უფლება სამი მილის სიგანით, ხოლო დანარჩენი სივრცე დატოვა საერთო საკუთრებაში. არაა გამორიცხული, რომ კასპიისპირა სახელმწიფოებმა აგრეთვე დატოვონ წყლის სივრცის ნაწილი საერთო სარგებლობაში.

შეიძლება მაინც ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში კასპიის ზღვის მთლიანი ან უმეტესი ნაწილი გაიყოფა, ამიტომ ასეთი გაყოფის შესაძლო პრინციპების განხილვა ურიგო არ იქნება. UNCLOS-ს შესაბამისად, თუ სახელმწიფოთა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები ან სახელმწიფოთა კონტინენტური შელფები საპირისპიროდ მდებარე ან მომიჯნავე სანაპიროებით გადაიკვეთებიან, მაშინ კონვენცია ითვალისწინებს მათი გამიჯვნის წესს, საპირისპიროდ მდებარე სახელმწიფოთა სანაპიროებიდან თანაბარ დაშორებული ე.წ. შეა ხაზიდან.

ტბების მიმართ ზოგ შემთხვევებში გაყოფის ხაზი წარმოადგენს სახელმწიფო საზღვრების გაგრძელებას, სხვა შემთხვევაში გაყოფა ხორციელდება იმ ხაზების გასწორივ, რომელიც აკავშირებენ ტბის ცენტრალურ წერტილს წყლისპირა სახელმწიფოების სანაპირო ზოლზე გასვლის წერტილებთან. სანაოსნო მდინარეების მიმართ გაყოფა ყველაზე ხშირად ფარგატერის მიხედვით ხდება, მიუხედავად ნაპირებიდან მისი დაშორებისა.

<sup>586</sup> იბ. სქოლით 506 *supra*.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გაყოფის პრინციპები (განსაკუთრებით საზღვაო სივრცეების მიმართ) დიდი დავის საგანს წარმოადგენს. საერთაშორისო სასამართლომ და სხვა სასამართლო ინსტანციებმა, რომელიც იხილავდნენ ამგვარ საქმეებს, უარი თქვეს თანაბრად დაშორებული შუა ხაზის პრინციპზე, როგორც ერთადერთ შესაძლებელზე და ამგვარი ქმედება სავსებით ეთანხმება UNCLOS-ს, რომელიც უშვებს, ისტორიული და სხვა განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, ზემოხსენებულ მეთოდზე უარის თქმას. მაგრამ ეს პრობლემა, თავის მხრივ, დაკავშირებულია წყლის ობიექტების სანაპიროების გეოგრაფიასთან, კუნძულების არსებობასთან და ა.შ.

ვინაიდან კასპიის ზღვის მიმართ არაა გადაწყვეტილი მთავარი იურიდიული საკითხი, ამიტომ ამა თუ იმ გაყოფის პრინციპის დაწვრილებითი ანალიზი ნაადრევია. თუმცა, საერთო კონტურების მოხაზვა მაინც შეიძლება. ფსკერის გაყოფა უფრო შესაძლებელია მოხდეს UNCLOS-ს მიერ დადგენილი პრინციპის გათვალისწინებით. რაც შეეხება წყლის სივრცეს, აქაც, პირველივე შეხედვით თანაბრად დაშორებული შუა ხაზის პრინციპზე უარის თქმის აშკარა მიზეზი აგრეთვე არ იკვეთება.

აღვნიშნავთ, რომ კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის ფსკერის გამიჯვნა რუსეთს და ყაზახეთს შორის განხორციელდა შუა ხაზის მიხედვით, რომელიც მოდიფიცირებული იქნა სამართლიანობის პრინციპის და მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე, კუნძულების, გეოლოგიური სტრუქტურების, გაწეული გეოლოგიური დანახარჯების, საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების და კასპიის ზღვაზე ჩამოყალიბებული პრაქტიკის გათვალისწინებით.<sup>587</sup>

<sup>587</sup> ი. რუსეთისა და აზერბაიჯანის ერთობლივი სამთავრობო განცხადება, წყარო: [http://www.mid.ru/bdomp/dip\\_vest.nsf/99b2ddc4f717c733c32567370042ee43/460db8c441872ba1c32568890029bb3c!OpenDocument](http://www.mid.ru/bdomp/dip_vest.nsf/99b2ddc4f717c733c32567370042ee43/460db8c441872ba1c32568890029bb3c!OpenDocument)

## დ ა ს პ გ ნ ე ბ ი

წინამდებარე ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ყველა ის საერთაშორისო კონვენცია, საერთაშორისო მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულება და შეთანხმება, აგრეთვე საერთაშორისო სასამართლო პრეცედენტები, რომელიც ჩვენის აზრით შეიძლება როგორიც პირდაპირ, აგრეთვე არაპირდაპირი ანალოგით, სრულად ან ნაწილობრივ, გამოყენებულ იქნას საერთაშორისო საწყლოსნო ობიექტის სამართლებრივი სტატუსის გარკვევისას.

როგორც ზემოთმოყვანილი ანალიზი ცხადყოფს, რუსეთ-სარსევთისა და საბჭოთა კავშირი-ირანის ხელშეკრულებები არ არის კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტები. შედარებითი სამართლებრივი განხილვა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართალი, და კერძოდ UNCLOS-ი, არის საუკეთესო სამართლებრივი მოდელი კასპიის ზღვის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხთა სრული სპექტრის განსაზღვრისას, მიუხედავად იმისა, რომ ეს კონვენცია სადღეისოდ არ მოქმედებს კასპიის ზღვის მიმართ. ამასთან ერთად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო ტბების დელიმიტაციის სამართლებრივი გამოცდილება.<sup>588</sup> აქევე დავძენთ, რომ ზღვებისა და ტბების დელიმიტაციის მაგალითები მრავალფეროვნებით გამოირჩევა, დამოკიდებულია რა სანაპირო ქვეყნების ინტერესებზე.<sup>589</sup>

თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმებისა და ჩვეულებების, აგრეთვე მათი გამოყენებით განხილულ სასამართლო პრეცედენტებზე დაყრდნობით წინამდებარე ნაშრომში განხორციელებულია კასპიის ზღვაზე არსებული ერთ-ერთი დავის ცალკეული ასპექტების განხილვის გამარტივებული სამართლებრივი მოდელირება (დელიმიტაციის ნაწილში), რაც გვარწმუნებს ზემოთ ხენებული ნორმების სამართლიანობაში და ეფუძნებაში.

UNCLOS-ის პრინციპებისა და მისი ცალკეული დებულებების გამოყენების წინაპირობად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ კასპიის ზღვის ფსკერის ჩრდილოეთი ნაწილის გარკვეული დელიმიტაცია უკვე განხორციელებულია საერთაშორისო საზღვაო სამართლის წესების თანხვედრით,<sup>590</sup> მიუხედავად ასეთ წესებზე პირდაპირი მითითებისაგან თავის არიდებისა, რაც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია პოლიტიკური ფაქტორებით.

<sup>588</sup> ob. Brice M. Clagett, Ownership of Seabed and Subsoil Resources in the Caspian Sea Under the Rules of International Law, CASPIAN CROSSROADS MAG., (1995) p. 5-12; Bernard H. Oxman, Caspian Sea or Lake: What Difference Does It Make?, CASPIAN CROSSROADS MAG., (1996).

<sup>589</sup> ob. Brice M. Clagett, "Ownership of Seabed and subsoil Resources in the Caspian Sea Under the Rules of International Law", Caspian Crossroads Magazine, volume 2, issue 7, 1997.

<sup>590</sup> ob. სქოლით 436 *supra*, იხ. ზოგადად ყაზახეთის საელჩოს განცხა:

[http://www.kazembassy.by/politic/relevant\\_questsins.html](http://www.kazembassy.by/politic/relevant_questsins.html)

კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესწავლისას გამოსარჩევია ის ასპექტი, რომელიც ეხება ზღვის ფსკერის/კონტინენტური შეღვის დელიმიტაციას, ვინაიდან ეს საკითხი წარმოადგენს მთლიანი სტატუსის გარკვევის ქვაკუთხედს.<sup>591</sup> სწორედ კასპიის ზღვის შეღვზე აღმოჩენილმა ნავთობისა და გაზის დიდმა მარაგმა განაპირობა სტატუსთან დაკავშირებული პოზიციების მკვეთრი სხვაობა სხვადასხვა მხარეებს შორის.<sup>592</sup>

კასპიის ზღვის სამართებლივი სტატუსის განსაზღვრა ძირითადად სამ საფეხურს მოიცავს. უპირველესი არის დელიმიტაცია და სახელმწიფო საზღვრების გარკვევა. შემდეგ - წყლისა და რესურსების გამოყენების რეების შემუშავება, და ბოლოს - სადაო საკითხების გადაწყვეტა. აქვე აღსანიშნავია, რომ ზღვის წყლისა და მისი რესურსების გამოყენების საკითხები არანაკლებ როლია, ვიდრე კონტინენტური შეღვის დელიმიტაცია, მისი რეების განსაზღვრა და ენერგორესურსების განაწილება.<sup>593</sup>

სამივე ზემოთხსენებულ ჭრილში UNCLOS-ი, ჩვენის აზრით, მოიცავს უნივერსალურ და ეფექტურ სამართლებრივ მექნიზმებს. დელიმიტაციის საკითხებში UNCLOS-ის ეფექტურაბა და სამართლიანობა ეჭვს არ იწვევს კასპიისპირა სახელმწიფოებში, ვინაიდან ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის ფსკერის განაწილება მოხდა სწორედ თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმათა ანალოგით.

რაც შეეხება წყლის სივრცის გამოყენებას, UNCLOS-ი ქმნის უნიკალურ სისტემას<sup>594</sup> საზღვაო სივრცეებზე სუვერენიტეტის დაცვისა და, ამავდროულად, ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის;<sup>595</sup> ეს სისტემა ასევე იცავს სახელმწიფოების ეკონომიკურ უფლებებს და ამასთან ერთად აწესებს საზღვაო გარემოს დაცვის ვალდებულებებს.<sup>596</sup>

<sup>591</sup> ob. Geoffrey Kemp, U.S.-Iranian Relations: Competition or Cooperation in the Caspian Sea Basin, in ENERGY AND CONFLICT IN CENTRAL ASIA AND THE CAUCASUS 148-49 (Robert Ebel & Rajan Menon eds., 2000).

<sup>592</sup> ob. სქოლით 525 *supra*

<sup>593</sup> გარემოს დაცვის საკითხები მწვავედ დგას იმ ობიექტების მიმართაც, რომელთა სამართლებრივი სტატუსი გარკვეულია; ასე, მაგალითად, დაბინძურების პრობლემა არსებობს დიდი ტბების მიმართ, რომლებიც მდებარეობს აშშ და კანადას შორის.

<sup>594</sup> UNCLOS დებულებანი ნაოსნობის მიმართ იხ. UNCLOS, მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის 14 *supra*

ნაოსნობის თავისუფლება დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს საერთაშორისო მდინარეებსა და ტბებზე, იხ. Bernard H. Oxman, "Caspian Sea of Lake: What difference does it make?", Caspian Crossroads Magazine, volume 1, issue 4, 1996.

<sup>595</sup> საბჭოთა პერიოდში ნავთონის კასპიის ზღვასა და მსოფლიო ოკეანეს შორის საკმაოდ განვითარებული იყო - ვოლგა-დონის ხელოვნური არხის მეშვეობით. იხ. წყარო: <http://esparus.com/shipping-channels/volgo-donskiy-kanal-sudohodnyy-kanal> ; [http://www.volfoto.ru/volgograd/kanal\\_volgo-don/](http://www.volfoto.ru/volgograd/kanal_volgo-don/)

<sup>596</sup> იხ. XII-ე ნაწილი, UNCLOS, სქოლით 14 *supra*

როგორც ზემოთ არაერთხელ ავდნიშნეთ, კასპიის ზღვის გარემოს დაცვის საკითხი ისტორიულად უგულვებელყოფილი იყო და ეს პრობლემა შესაძლოა მოგვარდეს მხოლოდ ადეკვატური სამართებლივი სისტემის ამოქმედების მეშვეობით.<sup>597</sup> არსებული ჩარჩო კონვენცია კასპიის ზღვის საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ კი რჩება ერთადერთ და საკმაოდ განზოგადოებულ და ჯერჯერობით არაეფექტურ საერთაშორისო შეთანხმებად, რომელიც დაიდო ყველა კასპიისპირა სახელმწიფოს შორის.<sup>598</sup>

დავების დარეგულირების დარგში აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართალს გააჩნია მოქნილი მრავალსაფეხურიანი მექანიზმი.

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმათა და ჩვეულებათა ჩარჩოებში შესაძლებელია კასპიის ზღვაზე უკვე არსებული ფსკერის ორმხრივი სადელიმიტაციო ხელშეკრულებების უნიფიცირება და კასპიის ზღვის ერთიანი სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი შეთანხმების შემუშავება.

როგორც სამართებლივი სტატუსის დადგენის ისტორია გვიჩვენებს, ეს არ ყოფილა ადვილი და სწრაფად გადასაჭრელი საკითხი, რაც, სხვასთან ერთად იმ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომ კასპიის ზღვა არის ჩაკეტილი საწყლოსნო ობიექტი, და რომ არა რუსეთში აშენებული ხელოვნური არხი, მას არა აქვს არანაირი გასასვლელი მსოფლიო ოკეანეში. აქედან გამომდინარე სამართლებრივ სტატუსის განმსაზღვრელ ძირითად საკითხებს უსათუოდ დაემატება საერთაშორისო სანავიგაციო გასასვლელის საკითხიც. ხოლო ამ უკანასკნელს დაუკავშირდება სამხედრო გემების ნაოსნობისა და ზოგადად კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის საქმიანობის საკითხები. ვფიქრობთ, რომ ამ საკითხების გადაჭრაც მოსახერხებელია თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმათა და ჩვეულებათა გამოყენებით, თუმცა მათი წამოჭრა საკმაოდ შორეული პერსპექტივის საქმეა და ამჯერად ვრცელ ანალიზს არ შევუდგებით.

ვუბრუნდებით რა დღევანდელ სიტუაციას, მიგვაჩნია, რომ რუსეთის ინიციატივები<sup>599</sup> კასპიის სტატუსთან დაკავშირებით შესაძლოა გამოდგეს როგორც კასპიის ზღვის დანარჩენ, სამხრეთ ნაწილში ფსკერის დელიმიტაციის მაგალითი, ან როგორც კასპიის ზღვის სტატუსის ახალი საერთო (მრავალმხრივი) შეთანხმების ნაწილი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ შემოთავაზებული წინადადება – “განაწილებული ფსკერი, საერთო წყლები”- პირველ რიგში ზღვის ფსკერის პრობლემის გადაწყვეტას გულისხმობს და გარკვეული დროით გვერდზე დებს წყლის სივრცის რეჟიმის პრობლემას;

<sup>597</sup> სსრკ-სა და ირანს შორის არ არსებობდა შეთანხმება გარემოს დაცვის შესახებ, რის გამოც კასპიის ზღვის დაბინძურებამ დაუშვებელ ზღვარს მიაღწია. იხ. სქოლიო 523 *supra*.

<sup>598</sup> იხ. სქოლიო 440, 521 *supra*.

<sup>599</sup> იხ. სქოლიო 436 *supra*

იგი გარევეულწილად წარმოადგენს სამართლებრივი პრობლემის პოლიტიკურ გადაწყვეტას.<sup>600</sup>

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის გეგმა უახლოეს მომავალში მნიშვნელოვან სარგებელს სთავაზობს როგორც რუსეთის ისე ამერიკის/დასავლეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს. თუმცა, ასეთი გეგმის მიხედვით შექმნილი მდგომარეობა შესაძლოა არამყარი საფუძველი იყოს რეგიონში ხანგრძლივი უსაფრთხოებისათვის და სხვადასხვა სახის სტრატეგიული ინტერესების განხორციელებისათვის.

კერძოდ კი, რუსეთში, როგორც კასპიის ახალი სქემის ინიციატორ ქვეყანაში და ასევე ირანში, რომელიც ჯერ თამაშგარეთაა, მომავალში განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის შიდა პოლიტიკური ხასიათისაც კი, შესაძლოა იქონიონ დრმა ზემოქმედება რუსების მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილებების სიცოცხლისუნარიანობაზე.

რუსეთის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი სტატუსის პოტენციური პრობლემა მდგომარეობს ასევე იმაში, რომ მისი წარმატება თუ წარუმატებლობა უშუალოდაა დაკავშირებული კასპიის ცალკეულ სახელმწიფოებს შორის კარგი ურთიერთობების დამყარებაზე.

ამგვარად, პრობლემის რუსული გადაწყვეტა თავისი ბუნებით შორსაა საერთაშორისო სამართლებრივი დარეგულირებისაგან. დავა, დაიყოს თუ არა კასპიის ზღვა და როგორ, მნიშვნელოვანწილად შეიძლება მოგვარდეს ზღვისპირა სახელმწიფოებს შორის მრავალი ორმხრივი შეთანხმებების გზით, სადაც თავიდანვე ჩადებული იქნება ისეთი პირობები, რომლებსაც შემდგომ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც დაფუძნებული იქნება კარგად შემუშავებულ და პრაქტიკული გამოცდილებით დამტკიცებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებზე, საერთაშორისო საზღვაო სამართლის ტრადიციებზე, ასევე იმ ნორმებისა და ტრადიციების გათვალისწინებით, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ტბების სტატუსს. ანუ, მნიშვნელოვანია კასპიის სტატუსის პოლიტიკური გადაწყვეტა მოექცეს სამართლებრივ ჩარჩოებში, რომლებმაც უნდა გაუძლონ დორის გამოცდას.

ასეთი მდგომარეობა, როდესაც ნაწილობრივი პოლიტიკური გადაწყვეტა მიღწეულია, მაგრამ იურიდიულად ბოლომდე არ არის გაფორმებული, იწვევს დასავლეთის იურისტების საკმაოდ კრიტიკულ მიდგომას.<sup>601</sup> ადნიშნულის დაბალანსების თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ნების გამოხატულება უფრო მოქნილი ხდება, მნედველობაში მიიღება სხვადასხვა ფაქტოთ მრავალფეროვნება, რაც ხელს უწყობს კონსენსუსის გამონახვას და შეჯერებული პოზიციების სამართლებრივად ასახვის უკეთეს პირობებს ქმნის. ამ ჭრილში აღსანიშნავია, რომ კასპიის ზღვის გაყოფის მოწინააღმდეგენი სულ

<sup>600</sup> საერთო წყლების სტატუსი მისცემს რუსეთს საშუალებას თავისუფლად აქონტროლოს კასპიის ზღვა, იხ. სქოლით 436 *supra*.

<sup>601</sup> იხ. სქოლით 588 *supra*.

უფრო სერიოზულად უდგებიან მისი გარდუვალობის საკითხს ფსკერის მიმართ მანც, ხოლო მათი ოპონენტები - სრული გაყოფის მომხრეები - ასევე იწყებენ იმის გათვალისწინებას, რომ წყლის სივრცის გაყოფა და გარემოს დაცვის ერთიანი პოლიტიკის არარსებობა არ შეიძლება ნებისმიერ შემთხვევაში საკეთილდღეოდ აისახოს თვით კასპიის ზღვის ბედზე მისი უნიკალური ეკოლოგიური სისტემებით.<sup>602</sup> მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქტორიოს, რომ ფსკერის და წყლის სივრცის გაყოფის პრინციპები, აგრეთვე ამ სივრცეების რეჟიმები, შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ვინაიდან ამ საკითხების გადაწყვეტისას მთავარია კასპიისპირა ქვეყნების ხალხების საერთო ინტერესების გათვალისწინება და კონფრონტაციის თავიდან აცილება.<sup>603</sup>

ფაქტიური მდგომარეობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე კასპიის ზღვაზე ეკონომიკურ აქტიურობაში ჩართული არაკასპიისპირეთის სახელმწიფოების ინტერესებიც; როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო სამართალი რიგ შემთხვევებში ითვალისწინებს არასანაპირო ქვეყნების უფლებებს საოკეანო ბუნებრივ რესურსებზე (UNCLOS). ეკონომიკური აქტიურობის სწორად წარმართვამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი კასპიის ზღვის ერთიანი სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბებას - აქ უპირველესად იგულისხმება ზღვისპირა სახელმწიფოთა თანამშრომლობა და ერთობლივი საქმიანობა, რასაც ასევე ითვალისწინებს თანამედროვე საზღვაო სამართალი.

მიგვაჩნია, რომ არასანაპირო ქვეყნებისა და ზოგადად საერთაშორისო საზოგადოების გარკვეული მონაწილეობა კასპიის ზღვის სტატუსის ჩამოყალიბებაში ხელს შეუწყობს პოლიტიკურ სტაბილურობას და დადებით გავლენას მოახდენს ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაზე.

მაგალითად, იმ დროს, როდესაც კასპიისპირეთის ქვეყნები ვერ ახორციელებენ ქმედით დონისძიებებს ბუნებრივი რესურსების დაცვის საქმეში, 1973წ. ველური ფლორისა და ფაუნის გადაშენების პირას მყოფ სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციის ფარგლებში კასპიისპირა ქვეყნებიდან მნიშვნელოვნად შემცირდა ხიზილალისა და თევზპროდუქტების ექსპორტი.<sup>604</sup> ასეთი ქმედება თავისთავად მნიშვნელოვნად შეამცირებს კასპიის სივრცეში დამლუპველ და შეუთანხმებელ თევზჭერის ქმედებებს.. შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანაც, თუ როგორ ახდენს საერთაშორისო საზოგადოებრიობის ჩართვა დადებით გავლენას რეგიონალურ პრობლემებზე.

<sup>602</sup> იბ. ზოგადად წყარო: [http://www.greensalvation.org/old/Russian/Publish/Oil\\_business/oil\\_01.htm](http://www.greensalvation.org/old/Russian/Publish/Oil_business/oil_01.htm) და <http://caspiy.net/stati/2-novye-spory-o-starom-kak-razdelit-kaspij.html>

<sup>603</sup> იბ. Brice M. Clagett, "Ownership of Seabed and Subsoil Resources in the Caspian Sea Under the Rules of International Law", Caspian Crossroads Magazine, volume 2, issue 7, 1997.

<sup>604</sup> იბ. წყარო: [http://www.cites.org/eng/news/pr/2004/pdf/1008\\_sturgeonquota.pdf](http://www.cites.org/eng/news/pr/2004/pdf/1008_sturgeonquota.pdf) და

[http://www.cites.org/eng/news/pr/2010/20100723\\_caviar.shtml](http://www.cites.org/eng/news/pr/2010/20100723_caviar.shtml) ; კონვენცია დალაშია 1975

წლიდან, მისი მონაწილეა ყველა კასპიისპირა სახელმწიფო გარდა თურქმენეთისა, იბ.

წყარო: <http://www.cites.org/eng/disc/parties/alphabet.php>

ერთის მხრივ, კასპიის ზღვის სტატუსის ირგვლივ არსებული მდგომარეობისა, კასპიისპირა სახელმწიფოთა განსხვავებული პოზიციების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ რაიმე ზუსტი მონახაზის მოყვანა მიზანშეწონილი არ არის, რამეთუ უპირველესად საჭიროა იმ პრინციპების პოვნა, რომელთა გაზიარებაც მისაღები იქნება სანაპირო სახელმწიფოებისათვის, - და აქედან გამომდინარე მოხდება სამართლებრივი რეჟიმების განსაზღვრა, რომელთა ნაირსახეობებსაც მოიცავს წინამდებარე ნაშრომი. მეორეს მხრივ, თუ სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა არ მოხდება რაიმე უნიფიცირებულ ნორმებზე დაყრდნობით, ან თუნდაც მათი ანალოგით, მაშინ კასპიისპირა სახელმწიფოებს მოუწევთ გამოიმუშავენ განსაკუთრებული მიდგომა სტატუსის განმსაზღვრელი ცალკეული ასპექტების მიმართ, რაც მოითხოვს დიდი მოცულობის სამუშაოს ჩატარებას ასეთი მიდგომების შეთანხმების კუთხით, მათ და ინტერპრეტაციასთან და აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო და უწყებათაშორისი დონის სახელშეკრულებო დოკუმენტების, ათეულობით სხვადასხვა შეთანხმებების, ოქმებისა და მემორანდუმების მომზადებას, რაც დროის დიდ მონაკვეთს წაიღებს; ამიტომ ამ თვალსაზრისითაც ხაზგასასმელია, რომ UNCLOS-ს ნორმათა გამოყენება სარგებელს მოიტანს.

ამდენად მიგვაჩნია, რომ თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართალი წარმოადგენს იმ მყარ საფუძველს, რომელზედაც შეიძლება აიგოს კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი. კასპიის ზღვასთან დაკავშირებული სამართლებრივი და პოლიტიკური პრობლემების მშვიდობიანი, სამართლიანი და ეფექტური მოგვარება კი შეიძლება აღმოჩნდეს სამაგალითო ყოფილი სსრკ ტერიტორიაზე არსებული სხვა ტერიტორიული პრობლემების ცივილიზებული გზით მოგვარებისათვის.

## ტერმინები და შემოკლებები

1. გვ. – გვერდი
2. ქ.წ. – ეგრეთწოდებული
3. რედ. – რედაქტორი
4. გ.ვ. – მათ შორის
5. სსს – საგარეო საქმეთა სამინისტრო
6. с (стр.) – страница
7. М. – Москва
8. ICJ – International Court of Justice
9. P. – Paris
10. p. – page
11. UNTS - United Nations Treaty Collection
12. UNCLOS – გაერო-ს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ
13. ILC Yearbook – Yearbook of the International Law Commission

სქოლითებში მოყვანილი ყველა ინტერნეტ-წყარო და ბმული მოქმედებს 2013წ. 30 აპრილის მდგომარეობით.

## ධიඳුග්‍රාජිය

විෂයභාජන සහ මෙහෙයුම්වාසිය:

*Абдурахманов А.* Азербайджан во взаимоотношениях с Россией, Турцией и Ираном в первой половине XVIII века. Баку, 1964.

Азербайджанская Демократическая Республика (1918—1920). Баку, 1998.

*Азимов А.* Краткая информация о неформальных консультациях заместителей министров иностранных дел Азербайджана, Ирана, Казахстана и России // Архив МИД Азербайджанской Республики.

*Акимов А.В.* Экономическая ситуация и интересы стран-участниц проекта разработки Каспийской нефти // Каспийская нефть и международная безопасность. Вып. 2. Материалы международной конференции. М., 1996.

*А. Гейдар* Азербайджанская нефть в политике мира. Баку, 1997;

*Алиев Н., Юсиф-заде Х.* Еще раз к вопросу разделения Каспийского моря на экономические зоны // Caspian. Baku, 1997.

*Алиев Н.* Некоторые размышления о нефтяном будущем // Бакинский рабочий. 2000. 20 октября.

*Аскеров Э.И.* Принципы мира, дружбы и сотрудничества СССР с народами стран Востока (Турция, Иран, Афганистан). М., 1969

*Ағишин Данекар.* Предупреждение экологического кризиса на Каспийском море // Аму-Дарья. Иранский журнал по изучению Центральной Азии. Год первый, весна 1999, № 1

*Ахундов Р.* В Тегеране обсуждают биоресурсы Каспия // Вышка. 1996. 24 мая.

*Бадирбейли Р.Ф.* Отношение западноевропейских дипломатов к персидскому походу Петра I // Известия АН Азерб. ССР. Сер. История, философия и право. Баку, 1979, № 4.

П. Бараболя, Л. Иващенко, Д. Колесник. “Международно-правовой режим важнейших проливов и каналов”, Юр. лит., 1965

Ю. Барсегов “Статус Каспия: внутриконтинентальное море или межнациональное озеро”, М.1997.

И. Блищенко “Международное морское право”, М., 1988.

*Бойцов Ф.С., Иванов Г.Г., Маковский А.Л.* Морское право. М., 1985.

*Броулин Я.* Международное право (в двух кн.). Кн. вторая. М., 1977.

А. Бутаев “Каспий: море или озеро?”, Махачкала, 1998.

*Верецетин В.С.* Свобода судоходства в открытом море. М., 1958.

*Внешняя политика стран Ближнего и Среднего Востока / Отв. ред. А.А. Куценков, А.И.Чичеров.* М., 1984.

*Вышинпольский С.А.* Мировые морские пути и судоходство. Очерки. М., 1953.

*Волков А.А., Бекяшев К.А.* Морское и рыболовное право. М., 1980.

*Глазунов Г.А.* Международное морское право. Справочник. М., 1985.

*С. Гуреев, М. Копылов* “Международное транспортное право”, М., 1987.

*Горшков Г.С., Мелков Г.М.* Военное мореплавание и стратегическое равновесие: международно-правовые аспекты. М., 1986.

*О. Егоров, О. Чиракина* “Нефтяной бизнес: реалии и альтернативы”, М. 1998.

*А. Жудро, Д. Джавад* “Морское право”, М., 1974.

*Иванащенко Л.А.* Международно-правовой режим закрытых морей //М, 1985

*Камаровский Л.А., Ульяницкий В.А.* Международное право. М., 1908.

*Клименко Б.М.* Мирное разрешение территориальных споров. М., 1982. С. 141-142.

*А. Колодкин* “Морское право и международное судоходство”, М. 1982.

Конституция Азербайджанской Республики. Баку, 1997.

Конвенция о сохранении и использовании биоресурсов Каспийского моря. Проект // Архив МИД Азербайджанской Республики.

*Куандыков Б.М.* Правовой статус Каспийского моря — основа планомерного освоения минеральных ресурсов региона // Международная научно-практическая конференция “Правовой статус Каспийского моря, проблемы и перспективы сотрудничества прикаспийских государств”. Алматы. 15-16 мая 1995 г.

*Кудрявцев А.А.* Древний Дербент. М., 1982. Курс международного права , М., Наука, 1992.

*Күшикүмбаев С.* Каспий на перекрестке геополитических интересов: нефть, политика, безопасность // Caspian. Kazakhstan. Almaty, 1999.

*Логунов В.Д.* Международно-правовой режим Каспийского морского театра // Военно-морской международно-правовой справочник. М., 1966.

*Маковский А.А., Радченко Б.М.* Каспийская Красознаменная. М., 1982.

*Малинин С.А.* К вопросу о правовой классификации водных пространств // Морское право и практика: Сборник материалов ЦНИИМФ. Л., 1960, № 8.

*Мамедов Р.* Международно-правовой статус Каспийского моря: вчера, сегодня, завтра (Вопросы теории и практики). Становление международно-правового статуса Каспийского моря с древнейших времен до 1991 г. //, М., 2001.

*Малеки А.* Геополитическая ситуация в Каспийском регионе: баланс сотрудничества // Правовой статус Каспийского моря... (Международно-практическая конференция).

*Мамедов Р.Ф.* Некоторые международно-правовые аспекты режима Каспийского моря // Актуальные проблемы современного международного права. Баку, 1984.

*Мамедов Р.Ф.* Правовое регулирование советско-иранских отношений в области рыболовства в Каспийском море // Международно-правовые формы сотрудничества социалистических и развивающихся стран. Баку: Азерб. Госуниверситет, 1987.

*Мартенс Ф.Ф.* Современное международное право цивилизованных народов. Издание пятое. Т. I. Санкт-Петербург, 1904.

*Марченко Г.В.* Проблема транспортировки каспийской нефти в свете урегулирования региональных конфликтов // Каспийская нефть и международная безопасность. Вып. 2.

“Международное право в период после холодной войны”, под редакцией Г. Даниленко, Л. Демроша, “Спарк”, М., 1996.

“Международное право”, по редакцией Г. Тункина, М., 1982.

Международное право / Отв. ред. Ф.И. Кожевников. М., 1957.

Международное право / Отв. ред. Л.А. Моджорян, Н.Т. Блатова. М., 1970.

Международно-правовой режим Каспийского моря / Автореферат дисс... канд. юрид. наук. М., 1989.

Могилевкин И. “Морское судоходство в мировой экономике и международных отношениях”, М. 1992.

*Молодцов С.В.* Международное морское право. М., 1987.

Молодцов С. “Правовой режим морских вод”, М., 1982.

Молодцов С. “Международное морское право”, М., 1987.

*Муртазалиев А.М.* Правовая охрана рыбных запасов в северной части Каспийского моря / Автореферат дисс... канд. юрид. наук. М., 1984.

*Мустафаев Р.С.* Позиция Азербайджанской Республики по вопросу о статусе Каспия и правового режима использования его ресурсов. Информация о международном семинаре “Каспийская нефть и международная безопасность. 5-6 марта 1996 г.” // Архив МИД Азербайджанской Республики.

*Нгуен Нгок Минь.* Международное морское право. М., 1981.

*Оппенгейм Л.* "Международное право", 2003, РУДН, ред. В.С.Денисенко.

*Парвизпур Б.Х.* СССР — Иран: Возникновение и развитие добрососедских отношений и сотрудничества, 1917—1927 гг. Опыт историко-правового исследования. Тбилиси, 1977.

*Парвизпур Б.Х.* Великий Октябрь и суверенитет Ирана. Тбилиси, 1984.

Советское морское право / Под ред. В.Ф. Мещеры. М., 1980.

*Тузмухамедов Р.А.* Советско-иранские отношения (1917—1921). М., 1960.

*Туманский А.* Новооткрытый персидский географ X столетия и известия его о славянах и руссах. М. — Л., 1953.

*Туманович Н.А.* Европейские державы в Персидском заливе в XVI—XIX вв. М., 1982.

*Федоров Ю.* Каспийская нефть и международная безопасность. Вып. 1. Аналитический доклад по материалам международной конференции. М., 1996.

*Чинашвили Г.* Извращенное освещение советско-иранских отношений на страницах “Джомхурье эслами” // Исламская Республика Иран за пять лет: Специальный бюллетень. М., 1985.

*В. Чичварин* “Охрана природы и международные отношения”, М.1970.

*Шестopalов В.Я.* Персидский залив: проблема континентального шельфа. М., 1982.

*Щульце П.* Каспийская нефть: подходы к проблеме // Каспийская нефть и международная безопасность. Вып. 2.

*Andrassy I.* Megdunarodno pravo. Skolska knjuda. Zagreb, 1978.

Assemblée de l’Union de l’Europe occidentale. Actes officiels, 43 session. Deuxième partie, desembre 1997. IV. Proces Verbaux. Compte. Rendu du debats.

Also, Martin, *L'Estoppel en droit international public* (Paris, 1979).  
Arend Clark Anthony, *Legal Rules and International Society* (Oxford: Oxford University Press, 1999).

Athanassios Vamvoukos, *Termination of Treaties in International Law: The Doctrine of Rebus Sic Stantibus and Desuetude* (Oxford: Clarendon Press, 1985).  
*Brown D.J.* Public International Law. London, 1970.

*Butler W.E.* The law of Soviet Territorial Waters. A case study of maritime legislation and practice. N.Y. — W. — L., 1968.

*Byers Micheal*, Custom, Power, and the Power of Rules: International Relations and Customary International Law (Cambridge: Cambridge University Press, 1999).

*Geranmayeh Ali*. The Caspian Sea in Iranian History and Politics, L. 1999.

*Fitzmaurice Gerald*, "The Law and Procedure of the International Court of Justice, 1951-54," 30 British Yearbook of International Law (1953).

*Harris D. J.* Cases and Materials on International Law, L. 1991.

*Herzig E.*, Iran and former Soviet South, The Royal Institute of International Affairs. Londress. 1995.

*Hurrell Andrew*, "International Society and the Study of Regimes," in Volker Rittenberger, ed., *Regime Theory and International Relations* (Oxford: Clarendon Press, 1993).

*Harting F.D.* Les conceptions soviétiques de droit de la mer. P., 1960.

*Idrisov E.* Oil and Gaz of Kazakhstan // Solution to the Problem of Status of the Caspian Sea: A Key Task of Caspian States Conference in London. 1998. 29-30 April.

*Ian Brownvilie*, The Principles of Public International Law (Oxford: Oxford University Press, 1998).

*Wesley Hohfeld*, Fundamental Legal Conceptions (New Haven: Yale University Press, 1923).

*Kaveh L. Afrasiabi*, Ph.D., International Law and Iran's Policy on the Caspian Sea: Shifting Paradigms, Tehran, 2001.

*Jennings Robert and Arthur Watts*, eds., Oppenheim's International Law, Vol. 1 (9<sup>th</sup> ed.) (Harlow: Longman, 1992).

*Keohane Robert O*, International Institutions and State Power (Boulder, CO; Westview Press, 1989).

*Lord McNair*, The Law of Treaties (Oxford: Clarendon Press, 1961).

*Lauterpacht Hersch*, Private Law Sources and Analogies of International Law (Hamden, CT: Archon Books, 1970).

*Malanczuk Peter*, Akehurst's Modern Introduction to International Law (7<sup>th</sup> ed.) (London and New York: Routledge, 2002).

*Mathias, David Jacobson, and Yosef Lapid, eds.*, Identities, Borders, Orders (Minnesota: Minnesota University Press, 2002).

*Moghtader Hooshang*, Public International Law (5<sup>th</sup> ed.) (Tehran: Institute For Political and International Studies, 1998).

*Oxman Bernard H.*, "Law of the Sea" in Christopher C. Joyner, ed., The United Nations and International Law (Cambridge: Cambridge University Press, 1999),

*Panah, Mohammad Reza Rafaat*, The Geographical Features and Grounds for Cooperation in the Caspian Sea (Tehran: Doctoral Dissertation, College of International Relations, 1993).

*Pondaven Phillippe*, Le Lacs-Frontiere (Paris: Pedone, 1972).

*Prescott J.* Boundaries and Frontiers. L., 1979.

*Region de la mer Caspienne*. Colloque du 26 fevrier 1997. P.: Academie Diplomatique International, 1997.

*Reuter Paul*, An Introduction to the Law of Treaties (London: Kegan Paul, 1995).

*Rosenau, James N.* Public Opinion and Foreign Policy: An Operational Formulation (New York: Random House, 1961).

*Romano Cesare P. R.*, "The Caspian and International Law: Like Oil and Water?", London 1998.

*William Ascher and Natalia Mirovitskaya, eds.*, The Caspian Sea: A Quest for Environmental Security (London and Boston: Kluwer Academic Publishers, 2001).

*Sanger Clyde*, Ordering the Oceans: The Making of the Law of the Sea (Toronto: Toronto University Press, 1987).

*Sariolghalam Mahmood*, Foreign Policy of the Islamic Republic of Iran: Theoretical Reconsideration and the Alliance Paradigm (Tehran: Center For Strategic Research, 2001).

*Savadoro L.* Les régimes internationaux de l'utilisation des ressources minérales de la mer Caspienne // Annuaire du droit de la mer. T. 2. 1997.

*Verzijl Jean H. W.*, International Law in Historical Perspective, Vol. 3 (Leyden, A.W. Sijthoff, 1981).

*Villiger Mark*, Customary International Law and Treaties (Dordrecht: Martinus Nijhoff, 1985).

*Yakemtchouk Romain*. Les Hydrocarbures de la Caspienne. La competition des puistrale. Bruxelles, 1999.

*Yakemtchouk R.* Les hydrocarbures de la Caspienne. La compétition des puissances dans le Caucase et en Asie centrale. Bruxelles, 1999.

*Yazdani Majid*, "The Legal Regime of Closed Seas With Consideration of the Caspian Sea," Central Asia and the Caucasus Review, No. 14 (Summer 1996).

*Young, Richard*, International Cooperation (Ithaca, NY: Cornell University Press, 1989).

დოკუმენტები, კრებულები და ცხობარები:

საქონაშორისო საზღვაო სამართლი, გაერო-ს კონვენცია  
საზღვაო სამართლის შესახებ, თბილისი, 2011

Военно-морской международно-правовой справочник. М., 1966.

Военно-морской международно-правовой справочник / Сост. В.А. Белли.  
Кн.2. М. — Л., 1940.

Дипломатический словарь. В трех томах. Т. II. М., 1985.

Дипломатический словарь. Т. II. С. 482.

Дипломатический словарь. Т. II. М., 1985.

Документы внешней политики СССР. М., 1965.

Дипломатический вестник. 1995. №12.

Документы внешней политики СССР. Т. III. М., 1959.

История Азербайджана. В VII томах. Т. III (XIII—XVIII вв.). Баку, 1999.

Морское право. Конвенция ООН по морскому праву с предметным  
указателем и Заключительным актом Третьей Конференции ООН по  
морскому праву. Организация Объединенных Наций. Нью-Йорк, 1984.

Обращение участников Международной конференции “Нефть и экологическая безопасность Каспийского региона”. (Москва — Астрахань, 24-27 июня 1997 г.) // Архив МИД Азербайджанской Республики.

Отчет о VII Международной конференции, организованной Институтом политических и международных исследований МИД Исламской Республики Иран 22-23 июня 1999 г. в Тегеране по теме: “Каспийское море: возможности и ограничения” // Архив МИД Азербайджанской Республики.

Сборник договоров России с другими государствами 1856—1917. М., 1952.

Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР с иностранными государствами. Вып. X. М., 1956.

Советско-иранские отношения в договорах, конвенциях и соглашениях / Составители С.И.Сычев, В.К.Волков. М., 1946; История Азербайджана.

United Nations Treaty Collection (UNTS), 1950

бəобязмəдəсoт əsər əzərbəjçilıq əzərbəyddəyliq əzəmətliyə:

Багиров А. Можно ли наконец поделить Каспий? // Российская газета. 1999. 5 января.

Барсегов Ю.Г. Каспий в международном праве и мировой политике. М., 1998; Не пей до дна. О проблемах раздела Каспия размышляет доктор юридических наук Юрий Барсегов // Трибуна. 1998. 10 сентября.

Буянцева А. Калюжный предлагает делить, когда речь идет о Каспии // Ведомости. 2000. 17 июля.

Виноградов Б. Каспийская пятерка без России и Ирана // Известия. 1998. 3 марта. Виноградов Б. Туркменбashi оказался неуступчивым. Ашхабад отверг позицию Москвы по статусу Каспия // Известия. 2000. 20 июля.

Воробьева А.Г. К вопросу о пребывании Степана Разина в Азербайджане и Персии // Известия АН Азербайджанской ССР. Сер. История, философия, право. Баку, 1983, № 3.

Встреча премьеров в Астрахани // Российская газета. 1993. 15 октября.

Гаджизаде А. Россия определила свои приоритеты на Каспии. Что решат остальные прибрежные страны // Независимая газета. 2000. 18 июля.

Гафарлы М. Ельцин и Назарбаев разделили Каспий. Подписана декларация “О вечной дружбе и союзничестве” и предложено урегулировать взаимные долги с помощью “нулевого варианта” // Независимая газета. 1998. 7 июля.

Гаджизаде А. В поисках выхода из тупика. Москва недовольна позицией Ирана по вопросу статуса Каспия // Независимая газета. 2000. 14 ноября.

*Ганкин Л.* Ельцин с Назарбаевым поделили Каспий // Коммерсант, 10 апреля 1998.  
*Гюль К.К.* Из истории географических исследований Каспийского моря // Известия АН Азерб. ССР. Сер. Геол.-геогр. наук, 1960.  
*Гиззатов В.Х.* Каспийская нефть и международная безопасность // Каспийская нефть и международная безопасность. Вып.2. Материалы международной конференции. М., 1996.  
*Годжаев А.* Статус Каспия — всего лишь повод, главная проблема — нефть // Панorama. 1996. 14 ноября.

*Грозин А.* Каспий: варианты моря — озера // Деловое обозрение “Республика”. Алматы, 2000. 15 июня.

*Гулый С.* Каспий делят парами // Новые известия, 8 июля 1998.

*Давыдова М.* Каспийское горе // Итоги. 2000. 17 сентября.

*Дубнов А.* К Каспийскому консенсусу через русский “авось”. Москва объяснил Тегерану, что хотела как лучше... // Время. 1998. 10 июля.

*Дубнов А.* Гонка за статусом. Раздел Каспийского моря опять откладывается // Время новостей. 2000. 4 октября.

*Дубнов А.* Калюжный ввязался в игру с иранцами и напугал их Америкой // Время новостей. 2000. 3 августа.

*Жило П.В.* О названиях Каспийского моря // Известия АН Азерб. ССР. Сер. Геол.-геогр. наук, 1960, № 4.

*Журавлев А.* Маневры вокруг “Каспийского пирога” // Правда. 1997. 29 августа — 1 сентября.

*Зубков В.* Каспий на перепутье // Трибуна. 2000. 6 октября.

*Игнатова М.* Слуга двух господ. Россия начала сложную игру на Каспии // Известия. 2000. 2 августа.

*Иванов М.С.* Иран в 60—70 годах XX века. М., 1977.

*Иванов Н.* У Каспия наметился правовой статус // Сегодня, 12 февраля 1998.

*Иванов Н.* Надо чаще встречаться на Каспии // Век. 2000. 14 ноября.

*Иванов Н.* Дружба дружбой, а нефть пойдет там, где дешевле. При выборе путей транзита каспийской нефти экономика возобладала над политикой // Сегодня. 1998. 30 октября.

*Касимова Т.* “Каспийский треугольник”. Мировая война на Каспии, конечно, не начнется, но вероятность “вооруженных инцидентов” возрастает // Зеркало. Баку, 2000. 30 ноября.

Каспийское море в арабских источниках (перевод с арабского и примечания З.М. Буняитова и Н.М. Велихановой) // Известия АН Азерб.

*Киямпур С.* Москва и Астана начали раздел дна Каспия по национальному признаку // Русский телеграф. 1998. 7 июля.

*Коптев Д.* Дно Каспия уже поделили. Остается поделить воды // Русский телеграф. 1998. 30 июля.

*Мамедов Р.* Международно-правовой статус Каспийского моря: вчера, сегодня, завтра (Вопросы теории и практики). Ч. II. Становление международно-правового статуса Каспийского моря с древнейших времен до 1991 г. // Центральная Азия и Кавказ. Общественно-политический журнал. 2000. №3 (9).

*Мехтиев А.* Россию не устраивает нынешний статус Каспия. Борясь за каспийскую нефть, Москва может больше потерять, чем получить // Независимая газета. 1994. 15 июня.

*Мерзляков Ю.* По пути раздела Каспия. К Соглашению между Россией и Казахстаном о разграничении дна северной части Каспия // Нефть и газ Каспия. Аналитический журнал. 1998.

*Мирзоев М.А.* Как делить Каспий? // Вышка. 1996. 26 ноября.

*Насер Сагафи-Амери.* Международная конференция “Каспийское море: возможности и ограничения” // Аму-Дарья. Иранский журнал по изучению Центральной Азии и Кавказа. Год первый. №3. 1999. Осень.

*Новопрудский С.* Почтовый трубопровод Баку — Джейхан. Турция: открылся сезон переписки по каспийской нефти // Финансовые известия. 1998. 4 ноября; Нота МИД ИРИ за № 453/1/7640/18 от 11 ноября 1979 г.

Основа правового сотрудничества — добroе сотрудничество // Бакинский рабочий. 1996. 19 ноября.

*Переплесин М., Яшин Е.* Испытание морем. На Каспий делят не только нефть, но и политическое влияние // Независимая газета. 2000. 24 октября.

*Переплесин М., Яшин Е.* Не сесть на мель в Каспийском море. Спецпосланник Президента РФ побывал в Ашхабаде // Независимая газета. 2000. 20 июля.

*Петров Э.* Острые берега Каспия. Ашхабад и Тегеран не согласны с предложениями Москвы по урегулированию проблем моря // Независимая газета. 2000. 11 сентября.

*Романова Л., Максаков И.* Стамбульский цйтнот Москвы. Подписание документов по проекту Баку-Джейхан усиливает влияние Вашингтона в Закавказье // Независимая газета. 1999. 20 ноября.

*Рыбальченко И., Татевосян А.* Азербайджанская нефть потечет другим путем. Мимо России // Коммерсант. 1999. 10 ноября.

Сладкий запах каспийской нефти // Век. 1998. 27 ноября.

*Сайдкасым Киямпур.* Москва и Астана начали раздел дна Каспия по национальному признаку // Русский телеграф. 1998. 7 июля.

*Соколова В.* Блокада Москвы. Туркменские власти отказались поддержать российский вариант раздела Каспия // Известия. 2000. 5 августа.

*Тесемникова Е.* Россия смешает акценты. В Москве предлагают отложить определение статуса Каспия на неопределенный срок // Независимая газета. 2000. 6 октября.

ТРАСЕКА — новый импульс для развития нашей страны // Панорама. 1998. 19 августа.

Ученые обсуждают проблемы нефти и экологической безопасности // Панорама. 1997. 29 июня.

*Халафов Х.* Иранские требования по поводу статуса Каспия не имеют основания // Азадлыг. 2000. 8 августа.

*Харрази К.* Текст выступления... на заседании открытия седьмой конференции Центральной Азии и Кавказа // Аму-Дарья... №3, 1999.

*Чубченко Ю.* Сепаратный раздел Каспийского моря // Коммерсант. 1998. 7 июля.

*Чубченко Ю.* Каспийское море остается неделимым. До начала июля // Коммерсант. 1998. 29 апреля.

*Чубченко Ю.* Калужный испил свой Каспий. Последний каплей стал Тегеран // Коммерсант. 2000. 2 августа.

*Шематенков В.Г.* Интеграция прикаспийских государств — путь к решению проблемы минеральных ресурсов Каспия // Каспийская нефть и международная безопасность. Вып. 2.

*Шерматова С.* “Шелковый путь” для нефти // Московские новости. 1998. 6-13 сентября.

*Шерматова С.* Каспий плюс Карабах. Какие предложения привез в Баку Виктор Калужный // Московские новости. 2000. 18 июля.

Abbas Mohammad Reza Turkamani, “Caspian Sea Pollution: Necessity of Respect For the International Environmental Principles and the International Duties of States,’ *Central Asia and Caucasus Review*, Vol. 7, No. 27 (Fall 1999).

Afrasiabi, “Iran’s Foreign Policy in the Caspian Region,” *The Middle East Insight* (July/August 2002).

Bowett D. Estoppel before International Tribunals and its Relations to Acquiescence // British Year Book of International law. Vol. 39. 1957.

Brice Claget M. “Ownership of Seabed and Subsoil Resources in the Caspian Sea Under the Rules of International Law”, *Caspian Crossroads Magazine*, volume 1, issue 3, 1995. *Central Asian Quarterly Labyrinth*. Vol.2, 1995.

Clawson Patrick. Knitting Iran Together: The Land Transport Revolution, 1920—1940 // *Iranien Studies*. Vol. 26, Ete-automne, 1993, No. 3-4.

*Dabiri M.R.* A New Approach for the Legal Regime of the Caspian Sea as a Basis for Peace and Development. Iranian Journal of International Affairs. 28-46 (Spring-Summer). 1994.

*Danehkar Afshin*, "The Environmental Status of the Caspian Sea: Fears and Hopes on the Verge of the 3<sup>rd</sup> Millennium," Central Asia and the Caucasus Review, No. 35 (Fall 2001).

*Djalili*. Mohammad Reza Mer Caspienne: perspectives iraniennes // Cahiers d'etudes sur la Méditerranée orientale et le monde turco-iranien, 1997, № 23.

*Guevorguian K.* Le cadre juridique d'une coopération dans la région de la mer Caspienne // La région de la mer Caspienne. Colloque du 26 février 1997. P., 1997.

*Giroux A.* Le Kazakhstan contre Russie et Caspienne // La Caspienne. Une nouvelle frontière. CEMOTI. Cahiers d'études sur la méditerranée orientale et le Monde turco-iranienne. 1997. №23.

*Henkin Louis*, "Arctic Anti-Pollution: Does Canada Make or Break International Law?" American Journal of International Law, vol. 65, no. 131 (1971).

*Khalafov K.* Le statut juridique de la mer Caspienne, ses fondements en droit international et ses conséquences pratiques // La région de la mer Caspienne. Colloque du 26 février 1997.

*Kepbanov Yolbaps A.* The new legal status of the Caspian sea is the basis of regional co-operation and stability // Journal of International Affairs. December 1997 — February 1998. Vol. II. #4.

*Mamedov R.* International legal status of Caspian Sea in its historical development // Caspian energy/ Quarterly analytical journal. 2000. Summer. #2.

*Mann Frederick J., Arthur S. Keller and Oliver J. Lissitzyn, eds.*, Creation of Rights of Sovereignty Through Symbolic Acts (New York: AMS Press, 1967).

*Meese R.* La mer Caspienne: Quelques problèmes actuels // Revue Générale du Droit International Public. 1999. #2.

*Merzliakov Iu.* Legal Status of the Caspian Sea // Millennium Journal of International Studies. 1999. #45 (1).

*Momtaz D.* Quel régime juridique pour la mer Caspienne? // Collection espèces et ressources maritimes. Droit et sciences humaines. P. Pedone, 1996. #10.

*Momtaz Djamchid.* Quel régime pour la mer Caspienne? // Collection espaces et ressources maritimes. Droit et sciences humaines. P., 1996, No. 10.

*Momtaz Jamshid and Said Mirzaie Yangieh*, "The Legal Regime of the Caspian Sea: Iran's Perspective," Central Asia and the Caucasus Review, vol. 35 (Fall 2001).

*Nugman G.* The legal status of the Caspian Sea // Eurasian Studies. Spring. 1998. #13.

*Oxman Bernard H.* "Caspian Sea or Lake: What difference does it make?", Caspian Crossroads Magazine, volume 1, issue 4, 1996.

*Riazi F.* La reglementation des cours d'eau frontiers de l'Iran // Revue Iranienne des Relations Internationales. Teheran. 1979, No. 13-14.

*Romano Cezare P.R..* La Caspienne: un flou juridique, source de conflits // Cahiers d'études sur la Méditerranée orientale et le monde turco-iranien. 1997, No. 23.

Schachter Oliver, "The Emergence of International Environmental Law," Journal of International Affairs, vol. 44 (1991).

*Tharpes Y.*, "International Environmental Law: Turning the Tide in Marine Pollution," Miami Inter-American Law Rev., vol. 20 (1989).

*Vicken Cheterian.* Sea or Lake: A Major Issue for Russia // Cahiers d'études sur la Méditerranée orientale et le monde turco-iranien, 1997, No. 23.

*Vinogradov S., Wouters P.* The Caspian Sea: Current Legal Problems // Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht. Symposium Paper. Heidelberg., 26—28 January 1995.

*Vinogradov S., Wouters P.* The Caspian Sea: Quest for a New Legal Regime // Leiden Journal of International law. Vol. 9. 1996.

*Vinogradov S., Wouters P.* The Caspian Sea: Current Legal Problems // ZagRV. 1995. Vol. 55.

Yearbook of the International Law Commission, 1949-51.

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი თემა პროფესორ ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით შევასრულე დამოუკიდებლად და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

ჩემთვის ცნობილია იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება და ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს არასწორი მონაცემების წარდგენას.

გიორგი მურვანიძე